



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გიორგი არსოშვილი

„დამნაშავეს რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი“

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი **მაია ივანიძე**

თბილისი

2023

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე დისერტაცია ეძღვნება დამნაშავეს რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის უმთავრეს მიზანს.

დამნაშავეს რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის, კვლევა მნიშვნელოვანია როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით, ასევე აქტუალურია პრაქტიკული და სამეცნიერო თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში.

დისერტაციაში დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზანი განხილულია სამარლიანობის აღდგენის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებთან ურთიერთმიმართებაში, რის საფუძველზეც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის მიზნებიდან, ნაშრომი ორიენტირებულია დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზნის უპირატესობის წარმოჩენაზე, სასჯელის სხვა მიზნებთან მიმართებაში.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული: რესოციალიზაციის ცნება და სახელმწიფოს ვალდებულება რესოციალიზაციაზე, რესოციალიზაცია გამიჯნულია მომიჯნავე ცნებებისაგან, რესოციალიზაცია საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში, სისხლის სამართლის ზემოქმედების სხვადასხვა ზომების მნიშვნელობა რესოციალიზაციის პროცესში და ასევე სასჯელისაგან გათავისუფლების შემდგომი ეტაპის მნიშვნელობა რესოციალიზაციისათვის.

როგორც რესოციალიზაციის ქვაკუთხედს, დისერტაციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და პროპორციულობის საკითხებს, მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლის აუცილებლობას და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენას.

დისერტაციის მიზანია წარმოაჩინოს ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემები, აჩვენოს, იმ რესურსების ნაკლებობა და ხელშემშლელი ფაქტორები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეს რესოციალიზაციის პროცესზე.

დისერტაციაში განვითარებული მსჯელობით, მაქსიმალურად შევეცადე შემეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილ მსჯავრდებულებთან მიმართებაში, ვინაიდან მიმაჩნია, რომ საზოგადოების როლი უმნიშვნელოვანესია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში.

წარმოდგენილი დისერტაცია გვთავაზობს ცალკეულ რეკომენდაციებს განხილული სირთულეების დასაძლევად, როგორც პრაქტიკოსების, ასევე თეორეტიკოსებისათვის.

A b s t r a c t

The present dissertation is dedicated to the resocialization of the offender as the main goal of punishment.

The research regarding resocialization of the offender as the goal of punishment is important in terms of criminal law policy, as well as relevant from a practical and scientific point of view, especially within the framework of the liberalization of criminal law policy.

The goal of resocialization of the offender is discussed in the dissertation in correlation to the goals of restoring integrity and preventing new crimes, on the basis of which, among the goals of punishment defined by Article 39 of the Criminal Code of Georgia, the paper is focused on presenting the prevalence of the goal of resocialization of the offender, in relation to other goals of punishment.

The paper discusses in detail: the concept of resocialization and the state's obligation to resocialization, resocialization separated from adjacent concepts, resocialization in the process of execution of custodial and non-custodial sentences, the importance of various measures of the impact of criminal law in the process of resocialization, and also the importance of the stage following the release from punishment for resocialization.

As a milestone of resocialization, the dissertation pays special attention to the issues of individualization and proportionality of the punishment, the necessity to study the personality of the convicted person and to draw up an individual plan for serving the sentence.

The aim of the dissertation is to present problems existing in the Georgian legislation and practice, to show the lack of those resources and the hindering factors that have a negative effect on the process of resocialization of the offender.

Based on the reasoning developed in the dissertation, I tried to change society's attitude towards ex-convicts as much as possible, since I believe that the role of society is the most important in the process of resocialization of the convicted.

The present dissertation offers individual recommendations to overcome the discussed difficulties, both for practitioners and academia.

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|------------|
| აბრევიატურა | VI |
| შ ე ს ა ვ ა ლ ი | VIII |
| თავი I. სასჯელს მიწების ისტორიულ განვითარება | 1 |
| 1.1. სასჯელს მიწები ძველქართულისხლს სამარაღში | 1 |
| 1.2. სასჯელს მიწები საბჭოთა სისხლს სამარაღში..... | 12 |
| 1.3. სასჯელს მიწები ევროპულისხლს სამარაღში..... | 22 |
| 1.4. სასჯელს მიწები ამერიკის შეერთებულშტატებში..... | 36 |
| თავი II. დმნაშავის რესოციალზცია, როგორც სასჯელს ურთავრესი მიზნი..... | 49 |
| 2.1. რესოციალზციის ცნება | 49 |
| 2.2. სახელწიფუს ვალდებუება რესოციალზციაზე | 63 |
| 2.3. სასჯელს დნიშვნა დ მსჯავრდებულს რესოციალზცია | 83 |
| 2.4. მსჯავრდებულს რესოციალზციის ძირითად საშუალბები (მსჯავდებულს დსაქმება, პროფესიულ დ უმალესი განათლება, პროფესიულ მომზდება) | 116 |
| 2.5. დმნაშავის რესოციალზცია, როგორც სასჯელს მიზნი საზღვარგარეთს ქვეყნების კანონმდებლბით..... | 137 |
| თავი III. ალტერნატიულ სასჯელბის ეფექტრობა დმნაშავის რესოციალზციისთვის | 154 |
| 3.1. დმნაშავის რესოციალზციის საკითხი საზგადებებისათვის სასარგებლშრომის დნიშვნის დრს..... | 156 |
| 3.2. დმნაშავის რესოციალზციის საკითხი ჯარმის დნიშვნის დრს..... | 163 |
| 3.3. დმნაშავის რესოციალზციის საკითხი შინაპატრობის დნიშვნის დრს | 171 |
| 3.4. დმნაშავის რესოციალზცია გამასწორებელ სამუშაოს დნიშვნის დრს | 180 |
| თავი IV. დმნაშავის რესოციალზცია თავისუფლების აღვეთს დნიშვნისას..... | 185 |
| 4.1. დმნაშავის რესოციალზციის თავისებურბანი ვადანი თავისუფლების აღვეთსას 185 | |
| 4.2. დმნაშავის რესოციალზციის თავისებურბანი უკლთავისუფლების აღვეთსას... 209 | |
| 4.3. რესოციალზციის პროცესი პენიტენციურსისტემაში..... | 217 |
| 4.4. მსჯავრდებულთა მომზდება გათავისუფლებისთვის..... | 229 |
| თავი V. დმნაშავის რესოციალზციის საკითხი სისხლს სამარაღის შემოქმედბის სხვადსხვა ზრბების დრს | 236 |
| 5.1. სასჯელს მოხდსაგან პირობითვადმდე გათავისუფლება დმნაშავის რესოციალზციისათნ კავშირში | 236 |

| | |
|---|------------|
| 5.2. შეწყალებისა და ამნისტიის როლი მსჯავდებულის რესოციალზაციისათვის | 250 |
| თავი VI. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელს მიზნი და მისი ურთიერთმიმართება დმნაშავის რესოციალზაციასთან | 256 |
| 6.1. სამართლიანობის არჩი | 256 |
| 6.2. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელს ერთერთ მიზნი | 259 |
| 6.3. სისხლს სამართლს პოლიტიკის როლი სამართლიანი სასჯელს განსაზღვრისათვის | 262 |
| 6.4. სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი | 266 |
| 6.5. სამართლიანობა და სასჯელს ინდვიდუალზაცია | 272 |
| 6.6. სამართლიანობის აღდგენისა და დმნაშავის რესოციალზაციის ურთიერთმიმართება | 276 |
| თავი VII. ახალ დნაშაულს თავიდან აცილება, როგორც სასჯელს მიზნი და მისი ურთიერთმიმართება დმნაშავის რესოციალზაციასთან | 280 |
| 7.1. ახალ დნაშაულს თავიდან აცილება როგორც სასჯელს მიზნი და დნაშაულს პრევენციის მოთლები | 280 |
| 7.2. სასჯელს დნიშვნა და ახალ დნაშაულს თავიდან აცილება | 289 |
| 7.3. ახალ დნაშაულს თავიდან აცილებისა და დმნაშავის რესოციალზაციის ურთიერთმიმართება | 300 |
| და ს კ ვ ნ ა | 312 |
| ბ ი ბ ლ ო გ რ ა ფ ი ა | 325 |

აბრევიატურა

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი

ე.ი. - ესე იგი

თბ. - თბილისი

იხ. - იხილეთ

მუხ. - მუხლი

რედ. - გამოცემის რედაქტორი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე

სხვ. - სხვა

Art. – Article

EU. – European Union

Ed. - Edition

J. – Journal

N.Y. – New York

P. - Page

Par. – Paragraph

USA – United States of America

UK – United Kingdom

AT - Allgemeiner Teil

Aufl. - Auflage

BGHSt - Entscheidungen de Bundesgerichtshofes in Strafsachen

BT - Besonderer Teil

BverfGE - Entscheidungen de Bundesverfassungsgerichts

FS - Festschrift

GA - Goldammer,s Archiv für Strafrecht

Hrsg. - Herausgeber

LK - Leipziger Kommentar

MüKo - Münchener Kommentar

NJW - Neue Juristische Wochenschrift

NStZ - Neue Zeitschrift für Strafrecht

Rn. - Randnummer

StGB - Strafgesetzbuch

ZStW - Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft

СССР - Союз Советских Социалистических Республик

C. – страница

Ст. – статья

Ред. – Редактор

შ ე ს ა ვ ა ზ ო

თემის აქტუალობა

„დიადი ძიება ადამიანისათვის იმ დროიდან დაიწყო, როცა დაიბადა, შესაძლოა მრავალმა წელმა ჩაიარა მანამ, სანამ ამას მიხვდებოდა, სანამ ნათელი გახდებოდა, რომ იგი გამუდმებით ეძიებს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში და რასაც ერთი კონკრეტული სახელიც კი არა აქვს. ინდივიდი ამ ძიებაში მარტო არა არის. მთელი კაცობრიობა მასთან ერთად ადგას ამ გზას.“¹ სწორედ განვლილი გზისა და საერთო ცნობიერების საფუძველზე საზოგადოება განსაზღვრავს მისთვის მისაღებ ნორმებსა და ქცევის წესებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება.

ამერიკელი სოციოლოგის, ჰივარდ ბეკერის, მოსაზრების თანახმად, „ქმედებები თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები.“² დანაშაული წარმოადგენს დელიქვენტურ ანუ ნორმიდან გადახრით ქცევას.

დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების ნორმალურ განვითარებას. დამნაშავეები არსებობდნენ კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, შესაბამისად, არსებობდა სასჯელებიც.

სასჯელი და სასჯელის მიზნები, ისევე როგორც დანაშაული, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი სისხლის სამართლის მეცნიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს. სასჯელი, როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცნება, ნაკლებადაა დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, ვინაიდან ძირითადი აქცენტი დანაშაულის პრობლემატიკაზეა გადატანილი.

სასჯელის მიზნები არა მარტო სისხლისსამართლებრივ, არამედ ასევე ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს.

¹ გოგიაშვილი გ., კონსტიტუციის საიდუმლოებანი, ლექციები შედარებით-კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2014, გვ.7

² შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ.47.

სასჯელის მიზნების შესწავლა ასევე აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკიდან ლიბერალურ პოლიტიკაზე.

მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის მიზნების ჩამონათვალში რესოციალიზაცია ბოლო ადგილს იკავებს, მას უპირატესი მნიშვნელობა აქვს სამართლიანობის აღდგენასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებთან მიმართებაში.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოოდ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია უნდა განხორციელდეს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას, ხოლო რესოციალიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სასჯელის მოხდის პროცესში, ისე სასჯელის მოხდის შემდეგაც.

შესაბამისად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პროცესს და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის საქმიანობა მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან ადაპტაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის მოხდის პერიოდში სახელმწიფომ მსჯავრდებულს უნდა შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს უარყოფითი შედეგების გარეშე, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნის განხორციელება საკმაოდ პრობლემურია, რადგან „რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის

დაკონკრეტება, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ზოგჯერ მათი გამიჯვნა და ცალკე ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია“.³

ამიტომაც უფრო მართებული იქნება ზემოაღნიშნულ ნაშრომში განვიხილოთ ისეთი საკვანძო საკითხები, რაც პირდაპირ კავშირშია დამნაშავეს რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზნის მიღწევასთან. საერთაშორისო სტანდარტები განმარტავს რომ სასჯელის მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი „ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს განთავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას“.⁴

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეებზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

- წინამდებარე ნაშრომში განხილულია სასჯელის მიზნების ისტორიული განვითარება, როგორც ძველ ქართულ სისხლის სამართალში, ასევე საბჭოთა სისხლის სამართალში და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში;
- დისერტაციაში სასჯელის უმთავრესი მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გამიჯნულია ისეთი ცნებებისაგან, როგორცაა: სოციალიზაცია, გამოსწორება, რეაბილიტაცია, აღზრდა, მკურნალობა და ინტეგრაცია.
- ნაშრომში დეტალურადაა განხილული რესოციალიზაციის ცნება და სახელმწიფოს ვალდებულება რესოციალიზაციაზე.
- დისერტაციაში განხილულია სამართლიანობის აღდგენა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზნები და მათი ურთიერთმიმართება დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზანთან.
- ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის გენერალური და სპეციალური პრევენცია. ორივე მათგანში გამოკვეთილია პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. ერთმანეთისგან არის გამიჯნული ნეგატიური გენერალური პრევენცია და პოზიტიური გენერალური პრევენცია. კერძოდ, სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას (ნეგატიური გენერალური პრევენცია) ახდენს არა საზოგადოების ყველა

³ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 2014, გვ.19

⁴ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 4 (1).

წევრის მიმართ (განსხვავებით პოზიტიური გენერალური პრევენციისგან, რომელიც საზოგადოების ყველა წევრზე მოქმედებს), არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ.

– რესოციალიზაციის პრობლემა განხილულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან კავშირში, როგორცაა სისხლის სამართლის ზემოქმედების სხვადასხვა ზომები, კერძოდ: დანიშნული სასჯელისგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება, შეწყალება და ამინისტია.

– სადისერტაციო ნაშრომში დეტალურადაა განხილული რესოციალიზაციის მნიშვნელობა ალტერნატიულ სასჯელებთან მიმართებაში.

- როგორც რესოციალიზაციის უმთავრეს საფუძველს, ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას და მისი საჭიროებების შესწავლას. საერთაშორისო სტანდარტები განმარტავს, რომ სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება უნდა იყოს აგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს - მსჯავრდებულთა დასაქმებას; განათლებას და განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს.⁵

- დისერტაციაში განხილულია სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამების მნიშვნელობა და საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ხაზგასმით განმარტავს, რომ მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პროგრამებში, რომლებიც დაეხმარება მათ, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი გაიარონ უმტკივნეულოდ.⁶

- მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ვინაიდან როგორც პრაქტიკა ცხადყოფს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესი იწყება სწორედ განთავისუფლების შემდეგ. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, „პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ მომავალზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და

⁵ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 103.4

⁶ იქვე, 107.1

გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას განთავისუფლების შემდეგ.⁷ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განმარტებულია, რომ „საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ“⁸

- ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზს სასჯელის მიზნებთან კავშირში.
- წარმოდგენილ დისერტაციაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული ზოგიერთი ნორმის წინააღმდეგობა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში დავაფიქსირეთ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, რაც უდაოდ შესწორებას მოითხოვს და ა.შ.

კვლევის მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, სასჯელის მიზანი - დამნაშავის რესოციალიზაცია განხილული იქნეს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ფილოსოფიური თვალსაზრისით და გამოიკვეთოს რესოციალიზაციის მიზნის უპირატესობა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, ლოგიკური, სისტემური, დოგმატური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

კვლევის ობიექტი

⁷ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107.

⁸ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 90

წინამდებარე დისერტაციის კვლევის ობიექტია სასჯელის მიზნის - დამნაშავეს რესოციალიზაციის პრობლემა. კვლევაში აქცენტი გადატანილია რესოციალიზაციაზე, როგორც სასჯელის უმთავრეს მიზანზე და მის ურთიერთმიმართებაზე სხვა მიზნებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნულ მიზანთან უპირობოდ დაკავშირებულია აგრეთვე სასჯელის აღსრულება და სასჯელის ეფექტურობა, ამიტომ დისერტაციაში განხილული იქნება აღნიშნული საკითხებიც.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სასჯელის უმთავრესი მიზანი - დამნაშავეს რესოციალიზაცია ძალზედ აქტუალური და სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართალში. ვფიქრობ, რომ დისერტაციაში განვითარებული მსჯელობა და ანალიზი საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირთათვის, ასევე პრაქტიკოსებისთვისაც, ვინაიდან სასჯელის მიზნები და მასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

დისერტაციის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისაგან, კერძოდ: აბსტრაქტის, შესავალი ნაწილის, 7 თავის, 28 ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თავი I. სასჯელის მიზნების ისტორიული განვითარება

1.1. სასჯელის მიზნები ძველ ქართულ სისხლის სამართალში

უძველესი დროიდან მოყოლებული სასჯელი დანაშაულზე რეაგირების საშუალებაა და მასთან ერთად თანაარსებობს დროსა და სივრცეში. გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში, იმპერიებში დანაშაულზე რეაგირების საშუალებად სასჯელს გამოიყენებდნენ და დანაშაულების კლასიფიკაციასთან ერთად სასჯელებიც განსხვავდებოდა. ამ განსხვავებებთან ერთად განსხვავებული მიზანი ჰქონდა სასჯელს და სწორედაც მისი სასტიკი თუ ლმობიერი ბუნება ემსახურებოდა კონკრეტულ მიზანს.

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში სასჯელის შესახებ წერს: „ ის, რაც დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისა, თუ გარდამავლობითი მოქმედებისათვის მოსამართლის განაჩენით უნდა გადახდენოდა, „სასჯელი“-ს სახელით იყო ცნობილი. მაგრამ ამ სიტყვის გარდა სხვა ტერმინებიც არსებობდა : „სისხლი“ და „მისაგებელი“⁹“.

ძველი ქართული სისხლის სამართალი დანაშაულზე რეაგირების აღმნიშვნელად გამოიყენებდა რამდენიმე ტერმინს: „სასჯელი“, „სისხლი“, „მისაგებელი“. „სასჯელი“ ძველ ქართულში ნიშნავს „სამართალს“, „ბჭობას“.¹⁰ ივანე ჯავახიშვილის ამავე ნაშრომში ვკითხულობთ, რომ „სისხლი“ ნამდვილად „სისხლის ფასს“ ნიშნავდა, რაც დამნაშავეს მხრიდან დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელ ქონებრივ საზღაურს აღნიშნავდა, ხოლო „მისაგებელი“ კი სამაგიეროს გადახდას, რაც თანდათანობით იურიდიულ მეცნიერებაში შურისძიებად შეფასდა.

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში, მიუთითებს იმ ოთხ ძირითად მიზანზე, რომელსაც ეყრდნობოდნენ სასჯელის დანიშვნის დროს. რა თქმა უნდა ეს მიზნები სხვადასხვა პერიოდში მოდიფიცირებას განიცდიდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

⁹ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, 358.

¹⁰ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953,187

სასჯელის მიზანი სხვადასხვა ეპოქის განვითარების დონის შესაბამისად, მეტად უფრო ჰუმანური ხდებოდა და ადამიანის პიროვნების „მოქცევისკენ“ იყო მიმართული.

ქართულ საეკლესიო და საერო სამართლის ძეგლებში სასჯელის მიზნები თავისებურად იყო ასახული.

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში მიმოიხილავს საეკლესიო სასჯელებს. იშველიებს ღირსი იოანე მმარხველის თხზულებას, სადაც აღწერილია, რომ „პირველ ადამიანთა სასჯელად ცოდვისათვის სამოთხით ექსორია იყო ღვთაებისგან ნახმარი, ხოლო შემდგომ წარღვნა, რომლითაც უნდა მთელი უკეთურება მოსპობილიყო და კაცობრიობა განახლებულიყო“.¹¹ აღნიშნული სასჯელის მიზანი სამაგიეროს მიზღვა, დასჯა იყო. აღსანიშნავია, რომ შემდეგ როგორც ივანე ჯავახიშვილი აღწერს, ხორციელთა სატანჯველი მოუვლინა ღვთაებამ: „ბრძანა ხორციელითა ტანჯვითა წუართნად მოქმედებითა ცოდვისათა, რაითამცა შიშითა მით ტანჯვითასაითა დასცხრეს უკეთურებაი კაცთა და ცოდვისა მიმართ წარმდებობაი“¹², ძველი აღთქმის მიხედვით ხორციელი ტანჯვის მისჯა, ცოდვილთა გამოსწორების მიზნით გამოიყენებოდა და ამ მიზანზე დაყრდნობით იქნა გამოყენებული სასჯელის ეს სახე. თუმცა, აქვე აღწერილია, რომ სასჯელთა ეს წესი მოქმედებდა მანამდე სანამ იესო ქრისტემ მიტევებისკენ და სინანულისკენ არ მოუწოდა საზოგადოებას. ამ შემთხვევაშიც სასჯელის მიზანი ცოდვილთა გამოსწორებას წარმოადგენდა, თუმცა მისი აღსრულება ხორციელი ტანჯვის გამოყენებით არ ხდებოდა, მეტიც ბასილი კესარიელმა სასჯელები კიდევ უფრო შეამსუბუქა, რადგან საეკლესიო მოძღვრებების მიხედვით: ღმერთს თავისი რისხვის გაძლიერება არ სურდა, მისი მიზანი ცოდვილის სინანული იყო. აქვე, ივანე ჯავახიშვილი დამატებით აღნიშნავს, რომ „უფალი, იგი წინასწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ, არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევაი და ცხორებაი მისი“¹³. როგორც ძველ ისე ახალ აღთქმაში სასჯელის დანიშვნის მიზანი ცოდვილის, დამნაშავეს წვრთნას და გამოსწორებას წარმოადგენდა. ახალ აღთქმაში სასჯელის სახე ბევრად უფრო მსუბუქი

¹¹ ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984,378.

¹² იქვე, 378 გვ.

¹³ იქვე, 379 გვ.

იყო და არ იყო მიმართული ხორციელი ტანჯვისკენ იმ შემთხვევაში თუ დამნაშავის გამოსწორება შესაძლებლობას იძლეოდა.

საეკლესიო სამართლის მიხედვით იმ დამნაშავეთა მიმართ, რომელთა გამოსწორება შესაძლებელი იყო მსუბუქ სასჯელს იყენებდნენ რომ ისინი დაეფიქრებინათ და გამოსწორების გზაზე დაეყენებინათ. ივანე ჯავახიშვილი სამონასტრო მოძღვრებაში ამ გაბატონებულ მიზანს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით „წუართნად“¹⁴ იხსენიებს და მიუთითებს რომ სასჯელის მიზანი სწორედ დამნაშავის გამოსწორება, მისი წვრთნა იყო და სწორედ ამ მიზნით იყენებდნენ სასჯელის ისეთ ფორმებს, რომელსაც დამნაშავის გამოსწორების მიზანზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. სხვადასხვა დროს ასეთი სასჯელი საჯარო გაკიცხვითაც შემოიფარგლებოდა.

სასჯელის მეორე მიზანი ხორციელი და ფიზიკური ტანჯვის მიგვრა იყო საეკლესიო და საერო სამართალში. ასეთი მიზნით გამოყენებულ სასჯელებს იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სასჯელების ასეთ ფორმებს იმ დამნაშავეების მიმართ იყენებდნენ ვისი გამოსწორებაც შეუძლებელი იყო.

სასჯელის მესამე მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში მშვიდობის დაცვა, ხოლო მშვიდობიანობის მისაღწევად გამოიყენებოდა ექსორია და გაძევება. გაძევება კონკრეტული საზოგადოებიდან მოკვეთის სახით ხდებოდა, მაგალითად ხევიდან და სასჯელის ეს ფორმა იყო ძალზედ დამაზიანებელი, კერძოდ, ასეთი სასჯელის გამოყენებისას პირს უნდა დაეტოვებინა ქონება, სახლ-კარი და უნდა გადახვეწილიყო იმ ადგილიდან, ხოლო ექსორია ქვეყნიდან განდევნას ნიშნავდა.

ძველი აღთქმისგან განსხვავებით, ახალი აღთქმა სასჯელების დანიშვნას ცოდვილთა მოქცევის მიზნით ახორციელებდა, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში ჯერ ფიზიკური ტანჯვით დამნაშავის გამოსწორებას აღიარებდა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებოდა ექსორია (ქვეყნიდან გაძევება). სასჯელის უკიდურეს ფორმას გამოიყენებდნენ, მაშინ როდესაც დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელი იყო ან მისი მხრიდან ჩადენილი დანაშაული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოღვაწის წინააღმდეგ იყო მიმართული. მეკობრეობისთვის-„მელსა

¹⁴ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, 378-380.

ზედა ჩამორჩობა“- რომელიც გიორგი III-ის პერიოდში ხდებოდა, დიმიტრი I-ის მეფობის დროს ღალატისთვის თავის მოკვეთით სჯიდნენ.¹⁵

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით რიგ შემთხვევებში საერო სამართლი იზიარებდა საეკლესიო სამართლისთვის დამახასიათებელ სასჯელის სახეებს და მის მიზნებს. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ ივანე ჯავახიშვილი იშველიებს დავით აღმაშენებლის მიერ ლიპარტ ამირასადმი გამოყენებული სასჯელს. თავდაპირველად მისთვის პატიმრობა იქნა მისჯილი, ხოლო პატიმრობის ვადის გასვლისთანავე მეფეს მისთვის იგივე თანამდებობა უბოძებია. მაგრამ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მიუხედავად მეფის მოწყალებისა ლიპარტ ამირას დაუმორჩილებლობა მაინც გამოუვლენია და ამის შემდეგ ის გაძევებულ იქნა საბერძნეთში. ქართული საეკლესიო სამართლის მიხედვით მხოლოდ წვრთნას შედეგი შესაძლოა არ გამოეღო, ამის შემდეგ შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მძიმე სასჯელი, როგორც იყო ექსორია (ქვეყნიდან გაძევება), და ამ სასჯელის მიზანს საზოგადოებაზე ზრუნვა წარმოადგენდა¹⁶.

გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, მწერლის, მთარგმნელის, ფილოსოფოსის - ეფრემ მცირეს აზრით სასჯელთა სისტემის ისტორიულ განვითარება კანონიკური მწერლობისგან განსხვავებული იყო. თავდაპირველად სასჯელის მიზანს შურისძიება, სამაგიეროს გადახდა წარმოადგენდა, ხოლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავარი მიზანი სასჯელის დანიშვნის დროს კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა-აღსრულებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.¹⁷

პროფესორი ალექსანდრე ვაჩიშვილის მითითებით „აღნიშნული პერიოდის იურიდიულ მწერლობასა და მოქმედ სამართალშიც ცნობილი იყო ის თეორიები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერები პრევენციის თეორიებს უწოდებენ. პრევენციის თეორიები ხასიათდება იმით, რომ სასჯელის მიზანს ისინი ხედავენ დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებაში“¹⁸. ალექსანდრე ვაჩიშვილი მიუთითებს, რომ პრევენციის ცნებას ვხვდებით არისტოტელეს შრომებში, პლატონის თხზულებებში და ძველ რომაულ

¹⁵ ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, 371,

¹⁶ იქვე, 378-380 გვ.

¹⁷ იქვე, 381 გვ.

¹⁸ იხ. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2003, 249, ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1, თბ., 1946, 83.

წყაროებში. აგრეთვე საეკლესიო სამართალში შევიდა სასჯელის პრევენციულობის შესახებ მოძღვრებები, რომლებსაც თეოლოგიური განმარტებები და დასაბუთებები დაერთო¹⁹.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა დროს სასჯელის მიზნები ცვლილებას განიცდიდა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, პროფესორი გიორგი დავითაშვილი თავის ნაშრომით წარმოგვიდგენს სასჯელის ძირითად ოთხ მიზანს.

ძველ ქართულ სისხლის სამართალში სხვადასხვა სახის სასჯელები გამოიყენებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ფუძემდებლური მიზნები, რასაც მაშინ იყენებდნენ სასჯელის დანიშვნის დროს:

- „სამაგიეროს მიზღვა (შურისძიება)
- დანაშაულის პრევენცია
- დამნაშავის გამოსწორება
- კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა“²⁰

საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე, ისევე როგორც ძველ ქართულ ჩვეულებით სისხლის სამართალში, სამაგიეროს მიზღვას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და აღნიშნული მეტად ხშირად გვხვდებოდა სვანეთში და ფშავ-ხევსურეთში. ძირითადად „სისხლის აღების“ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული, რომელიც მოკლული ოჯახის წევრის ან ნათესავების მხრიდან მკვლელის მოკვლისკენ იყო მიმართული.²¹ შეიძლება ითქვას, რომ სამაგიეროს მიზღვა სასჯელის უნივერსალურ მიზანს წარმოადგენდა. მათ სწამდათ, რომ სისხლის აღების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოკლულის სული მათ დასწყევლიდა და ათასგვარ დაავადებას მოუვლენდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ სამაგიეროს მიზღვაში არ გამოიხატებოდა ამ ქმედების განხორციელება, ნაკლები დოზით მაგრამ მაინც შურისძიება ერთგვარად პრევენციული შინაარსის მატარებელიც არის, თუმცა სამაგიეროს მიზღვა მაინც ძირითად მიზანს წარმოადგენს

¹⁹იხ. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2003, 249, ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1, თბ., 1946, 83.

²⁰ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 193.

²¹იქვე, 189-190 გვ.

სასჯელის დანიშვნის დროს.მძიმე სასჯელის დანიშვნა, არა მხოლოდ სამაგიეროს მიზლვას, არამედ ზოგად პრევენციულ ფუნქციასაც ასრულებდა. ამ აზრის საილუსტრაციოდ ეგნატე გაბლიანს მოჰყავს მაგალითად ასეთი ფაქტი: „იმის გამო, რომ მკაცრი ხასიათის სასჯელი იყო გათვალისწინებული თემის ღალატისთვის და ეკლესიის გატეხვისთვის ასეთი ტიპის დანაშაული უფრო ნაკლებად ხდებოდა“²².

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ვახტანგ VI სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლი, რომელიც პირდაპირ საუბრობს სასჯელის რეპრესიულ და ამავდროულად პრევენციულ ბუნებაზე, „სასჯელმა უნდა დააშინოს დანაშაულის ჩამდენი და გარეშე პირებიც. მაგალითად მუხლი მე-13: ცრუ მოწმე მკაცრად უნდა დაისაჯოს იმგვარად, რომ იგივე სხვამ არ გაიმეოროს“²³. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით სასჯელის ფორმა იმგვარი უნდა ყოფილიყო, რომ არა მხოლოდ დასჯილიყო დამნაშავე, არამედ სასჯელს პრევენციული ფუნქციაც განხორციელებულიყო.

სასჯელის პრევენციულ ბუნებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველ ქართულ სისხლის სამართალში, რომელიც სხვათა გაფრთხილებას ემსახურებოდა. ქართულ ეთნოგრაფიულ რვეულებში არის ბევრი ისეთი დანაშაულები და სასჯელის სახეები წარმოდგენილი, რომლებიც ნათლად გვაჩვენებს, რომ სასჯელის პრევენციულ შინაარსს უპირატესობა ენიჭებოდა. ქურდობისთვის შვიდმაგი ოდენობის დაკისრება, რომელიც პირველ რიგში ემსახურებოდა მომავალში მსგავსი ტიპის დანაშაულის აცილებას²⁴. აგრეთვე, გამოიყენებოდა შემარცხვენელი ტიპის სასჯელებო მაგალითად: სახედარზე უკუღმა შესმა და თავზე ლაფის დასხმა სახალხოდ. აღნიშნული სასჯელი პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი დამაფუძნებელი მიზანი იყო პრევენცია და საზოგადოების შეხედულებების გამოსწორება²⁵.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერს, რომ სასჯელის მიზანი ზოგად პრევენციასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში დამნაშავის წვრთნაც იყო. საზოგადოების წევრად ჩამოყალიბების მიზანს ემსახურებოდა ნებისმიერი ისეთი ტიპის

²² იხ. დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 191. გაბლიანი ეგ., თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 66.

²³ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 259.

²⁴ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 190.

²⁵ იქვე, 190 გვ.

სასჯელი, რომელიც არ იყო განსაკუთრებულად მკაცრი მაგრამ, მისი შინაარსიდან გამომდინარე აშკარად მიმართული იყო ადრესატის მართლშეგნების გაღვივებისაკენ. მსგავსი მიზნის სასჯელის არსებობას მონტესკიე ამართლებს და ამბობს რომ „მიყვებით ბუნებას, რომელმაც ადამიანებს მათრახად სირცხვილი მისცა! სასჯელის უდიდესი ნაწილი სირცხვილით ტანჯვა უნდა იყოს“²⁶. სწორედ მონტესკიეს ამ სიტყვებში სასჯელის ზოგად პრევენციულ მნიშვნელობას ესმება ხაზი, რომელიც პირველ რიგში საჯაროდ აღსრულებით აჩვენებს საზოგადოებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, ხოლო მეორე მთავარი მიზანი დამნაშავის სამომავლო აღზრდას წარმოადგენს.

სასჯელის პრევენციული ბუნების აუცილებლობას, დამნაშავის გამოსწორებაზე ზრუნვას და ზოგადად მსუბუქი და შინაარსობრივი სასჯელის სწორად დანიშვნის მნიშვნელობას, მისაღწევ შედეგზე გასვლის კუთხით აღიარებს და მნიშვნელობას ანიჭებს მონტესკიე, ის წერს: სასჯელი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს, დამნაშავის აღზრდას და სამომავლოდ დანაშაულის ჩადენის სურვილის გაქრობას საზოგადოებაში (პრევენცია)²⁷, ხოლო სასჯელის ზომა იმგვარად უნდა დადგინდეს, რომ არ შეილახოს ადამიანის ღირსება, სასჯელს უნდა ჰქონდეს ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში „გაცვდება მმართველობის ზამბარა“ და ამით ის მიზანი რასაც ემსახურება სასჯელი მიუღწეველი დარჩება²⁸.

ძველი ქართული მართმსაჯულების უაღრესად წარმატებულ პერიოდად ივანე ჯავახიშვილი XI-XII საუკუნეების პერიოდს მიიჩნევს. საილუსტრაციოდ კი, დავით აღმაშენებლის პერიოდის ისტორიკოსს ჩანაწერი მოჰყავს, „მეფეს მოჩივართა მართალ გამოძიებასთან ერთად სწორედ „შემცოდეთა წყალობითნი წუართნანი ჰმართებდა“²⁹. შესაბამისად ამ პერიოდში მხოლოდ საქმის გამოძიება და დამნაშავის დასჯა არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საკითხს, არამედ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთი სასჯელის გამოყენებას, რომლის მიზანი დამნაშავის წვრთნა ანუ მისი შემდგომი პიროვნული, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას წარმოადგენდა და

²⁶ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თავი XII სასჯელთა ძალა, ლაზუჩიძე დ (მთარგ.), თბ, 1994, 114.

²⁷ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თავი XII სასჯელთა ძალა, ლაზუჩიძე დ (მთარგ.), თბ, 1994, 113

²⁸ იქვე, 113 გვ.

²⁹ ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, 382.

საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისკენ იქნებოდა მიმართული. მიუხედავად ამ წარმატებული პერიოდისა, გიორგი III-ის დროს განსაკუთრებულად მკაცრი სასჯელები გამოიყენებოდა, რომელთა მიზანი პირველ რიგში სამაგიეროს მიზღვა და შემდგომი პრევენცია იყო, სწორედ სასტიკი სასჯელების გამოყენება აკრძალა თამარ მეფემ, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სასჯელი თავის თავში ნაწილობრივ მაინც მოიცავს დანაშაულის შესაფერისად „მისაგებელს“. თამარ მეფის დროს სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვა დაჩრდილა დამნაშავეს გამოსწორების მიზნით შემსუბუქებულმა სასჯელებმა.

თამარ მეფის ისტორიკოსის - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“-ს ავტორის თქმით, თავისი ზეობის წლებში, თამარ მეფეს არავინ დაუსჯია არც დამასახიჩრებელი სასჯელით და არც მათრახის ცემით, მით უფრო არც სიკვდილით. ისტორიკოსი აქებს და იწონებს მეფის ასეთ საქციელს³⁰.

ცხადია ამ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა ძველი ქართული მართლმსაჯულება, კერძოდ მან აღიარა ადამიანი, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ადრე თუ გვიან ისევ იმ საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს, რომლის წინააღმდეგაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არა ისეთი, როგორც უწინ იყო, არამედ უკვე გამოსწორებული.

ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლებში და ძველი ქართული საერო სამართლის წყაროებში დაცულ სასჯელის მიზნებს შორის შეინიშნება განსხვავებები. ძირითადი განსხვავება კი სასჯელის დანიშვნის მთავარ მიზანში ვლინდება. კერძოდ, თუ საეკლესიო სამართალი სასჯელის დანიშვნის მიზნად უმთავრესად განიხილავდა დამნაშავეს გამოსწორებას და ეს მიზანი უცვლელად დარჩა საუკუნეების განმავლობაში, საერო სამართალში ძირითადი მიზანი დამნაშავესთვის სამაგიეროს მიზღვა და ზოგადი პრევენცია იყო. დროთა განმავლობაში სასჯელის მიზნები საერო სამართალში გაფართოვდა მან დამნაშავეს გამოსწორება და კერძოდ და საჯარო ინტერესის არსებობა აღიარა. ეს განაპირობა სასჯელის მსუბუქება მაგრამ ეფექტურად აღსრულების ფორმებმა. საეკლესიო სამართალისგან განსხვავებით საერო სამართალში დანიშნულ სასჯელს

³⁰ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, 125.

შესაძლოა, რამდენიმე მიზანი ერთობლივად მოეცვა. მაგალითად: პატიმრობის გამოყენებით დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით სათანადო შედეგზე გადიოდნენ, პირველ რიგში სჯიდნენ დამნაშავეს, ამით დანაშაულის პრევენციას ახორციელებდნენ და საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ. საეკლესიო სამართალში დამნაშავეს გამოსწორების მოტივით დანიშნული სასჯელის არაეფექტურობის შემთხვევაში ხდებოდა მათთვის ფიზიკური ტანჯვის მისჯა, რომლის მიზანიც იყო დამნაშავეს დასჯა და მისთვის სამაგიეროს მიზღვა, ხოლო როდესაც დანაშაული მძიმე არ იყო გაძევება (ბერძნული სახელი „ექსორია“) უსჯიდნენ, რათა საზოგადოება დაეცვათ დამნაშავესგან და ამავედროულად გაძევებით დაესაჯათ იგი.

სასჯელის პრევენციული ბუნება შესაძლოა განვიხილოთ ფართო და ვიწრო გაგებით. იურიდიულ ლიტერატურაში პრევენცია ფართო გაგებით, მოიცავს საზოგადოების მხრიდან სამომავლოდ დანაშაულის თავიდან აცილებას. ამასთან, სასჯელის პრევენციულობა ვიწრო გაგებით მიმართულია კონკრეტულად დამნაშავეს გონის მიმართ და ამით წარმოშობს სასჯელის მეორე მიზანს, რასაც დამნაშავეს პიროვნების „წუართან“-როგორც ძველ წყაროებშია მოხსენიებული, განვითარება და მოქცევა შესაძლოა ეწოდოს.

სასჯელის დანიშვნის მიზნებზე საუბრისას, როგორც ზემოთ აღინიშნა ძველ ქართულ სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დამნაშავეს გამოსწორების მიზანს, ყოველივე ეს სასჯელის მიზნის განვითარებით იყო გამოწვეული. თანდათანობით მნიშვნელობა მიენიჭა სასჯელის დანიშვნის შემდეგ მისაღწევი შედეგის არსს, განსაკუთრებული სტატუსი შეიძინა ადამიანის პიროვნებამ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა ნაწილმა, რადგან მისი დასჯა აღარ წარმოადგენდა თვითმიზანს სასჯელის დანიშვნის დროს, არამედ დასჯასთან ერთად სასჯელს უნდა უზრუნველყო დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა, როგორც სხვათა მხრიდან აგრეთვე დამნაშავეს მხრიდანაც, თან ისე, რომ ადამიანი როგორც საზოგადოების შემადგენელი ნაწილის „დაშლა“ არ მომხდარიყო. სწორედ ამიტომ სასჯელის დანიშვნის მიზანს მხოლოდ დასჯა და საზღაურის მიზღვა არ წარმოადგენდა,

არამედ რეპრესიული მიზნის უკან წაწევის ფონზე პრევენციასთან ერთად დამნაშავის გამოსწორება გახდა ამოსავალი წერტილი.

სასჯელის დანიშვნის დროს, შესაძლოა ხელმძღვანელობდნენ რამდენიმე მიზნით ან სულაც როგორც სისხლის სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე იყო მხოლოდ ერთი მიზნით, რასაც სამაგიეროს მიზლვას, შურისძიებას უწოდებდნენ.

ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის შეხედულებები, რომელიც მიუთითებს, რომ სასჯელი სამაგიეროს გადახდის საშუალებას ანუ ზღვევას არ უნდა წარმოადგენდეს. ილია გმობს სამაგიეროს მიზლის მოთხოვნას და ქადაგებს, რომ მტერს სისხლით კი არ უნდა აზღვევინო, არამედ სამაგიერო უნდა გადაუხადო სიკეთით.³¹

თანდათანობით საზოგადოების განვითარების პარალელურად სასჯელის მიზნად შურისძიების როლი შესუსტდა, თუმცა არ გამქრალა და ამავდროულად ზოგადი პრევენციული ბუნება წარმოიშვა. თავის მხრივ რეპრესიულმა და პრევენციულმა მიზნების ერთობლივმა გავლენამ განაპირობა პრევენციული ბუნების, საფუძვლიანი განხორციელება, რაც გამოიხატებოდა არამხოლოდ საზოგადოების გაფრთხილებაში სასჯელის ფორმით, არამედ თავად დამნაშავის აღზრდაში, წვრთნაში ანუ მის შემდგომ გამოსწორებაში. ამ უკანასკნელმა იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ სასჯელის რეპრესიული ბუნება დაასუსტა და სასჯელის მიზანზე გავლენას ნაკლები „ფართობი“ შესთავაზა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასჯელის, როგორც რეპრესიული ასევე პრევენციული ბუნების პროდუქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

სასჯელის მიზანი კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასაც წარმოადგენდა. ის თავისმხრივ კერძო პირთა ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად, რომელიც მიმართული იყო კერძო პირისთვის სამართლიანი და შესაბამისი სასჯელის დანიშვნაში. ეს ძირითადად ეხებოდათ მათ ვის მიმართაც იყო ჩადენილი დანაშაული, რომლებიც დაზარალებულების როლში გვევლინებოდნენ.

აგრეთვე საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვაც იყო სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, რადგან საჯარო სასჯელის დანიშნულება იყო სახელმწიფოს

³¹ იხ. მეტრეველი ვ., ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ, 1983, 29.

წინააღმდეგ, მისი მოწესრიგების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და ამ მიზნით გამოყენებული სასჯელი მიმართული იყო საჯარო წესრიგის აღსადგენად.

პროფესორი ვალერიან მეტრეველი აღნიშნავს, რომ როგორც ასეთი ცალკე აღებული საჯარო სასჯელი მხოლოდ არ არსებობდა, რადგან დამნაშავეს „სისხლის ფასის“ გადახდა ეკისრებოდა, რომელიც კერძო სასჯელის ფარგლებში ექცეოდა და აგრეთვე, სასჯელიც ენიშნებოდა.

შესაბამისად სასჯელის მიზნის ამ მნიშვნელობით არსებობა ქართულ სამართალში მიუთითებს, სასჯელის იმ ძირითად მიზანზე, რაც დასაწყისში ვახსენეთ, მისი კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობაზე და მის მნიშვნელობაზე ძველ ქართულ სისხლის სამართალში³².

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, სასჯელის მიზნები ძველ ქართულ სისხლის სამართალში სასჯელის სახეებთან ერთად იცვლებოდა. სასჯელის მთავარ მიზანი X საუკუნემდე თუ სამაგიეროს მიზლვას და შემდგომი პრევენციას წარმოადგენდა, XI-XII საუკუნეში ჰუმანური სასჯელების შემოღებით, მთავარ მნიშვნელობას დანაშაულის პრევენციას და დამნაშავეს გამოსწორებასაც ანიჭებდნენ. თუმცა ამით დამნაშავესთვის სამაგიეროს მიზლის მიზანი არ გამქრალა, მან ფორმირება განიცადა და არა როგორც განმსაზღვრელი, არამედ აუცილებლობის მნიშვნელობით ჩამოყალიბდა.

შესაბამისად XI-XII საუკუნის პერიოდი გახდა გარდამტეხი სასჯელის მიზნების კუთხით, რადგან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრებულმა სასჯელის მიზნებმა დიდი გავლენა იქონია დანაშაულის აცილებაზე, ამავდროულად ყურადღება დაეთმო დამნაშავეს, როგორც პიროვნებას, რადგან განისაზღვრებოდა ისეთი სასჯელი რაც მიზნად ისახავდა მის სამომავლოდ გამოსწორებას. სწორედ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფდა სასჯელის ძირითადი და მთავარი ფუნქციის შესრულებას, რაც უდაოდ მეტყველებს იმ პერიოდში არსებულ მაღალგანვითარებულ სამართალზე.

³²მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 259.

1.2. სასჯელის მიზნები საბჭოთა სისხლის სამართალში

მოცემული ქვეთავის ფარგლებში განვიხილავთ საბჭოთა სისხლის სამართალში არსებული სასჯელების მიზნებს და მათ განვითარებას საბჭოთა კავშირის სამართლებრივ სივრცეში.

1924 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ძირითად საწყისებში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ „სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ისახავს მიზლისა და დასჯის ამოცანებს“.

1938 წელს მიღებული საკავშირო კანონი სასამართლო წყობილების შესახებ პირდაპირ მიუთითებდა, რომ „საბჭოთა სასამართლო, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელს, არა მარტო სჯის დამნაშავეს, არამედ აგრეთვე თავის მიზნად აქვს დამნაშავეს გამოსწორება და ხელახალი აღზრდა“.³³

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მიხაილ სტანოვსკი საბჭოთა კავშირის სამართლის წყაროებზე დაყრდნობით, სასჯელების სამ ძირითად მიზანს გამოყოფს:

- სოციალური სამართლიანობის აღდგენა;
- დამნაშავეს გამოსწორება;
- გაფრთხილება ახალი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ (პრევენცია)³⁴.

თუმცა აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქციის 22-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზნები წარმოდგენილია შემდეგი სახით: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალი დანაშაულის ჩადენა, როგორც მსჯავრდებულთა ისე სხვათა მიერ“. მოცემული მუხლი წარმოაჩენს სასჯელის, რამდენიმე მიზანს. მიუხედავად ამისა, სასჯელის მიზნის

³³ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღზრდის დროის ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 42

³⁴Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999, 16

მნიშვნელოვან პოსტულატად დამნაშავეის დასჯას მაინც აღიარებს. მოცემული მიზანი წარმოადგენს, იმ უნივერსალურ საშუალებას, რაც ახასიათებს თითოეულ სასჯელს, მიუხედავად მისი სასტიკი თუ ჰუმანური ბუნებისა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის დანიშვნით მხოლოდ დასჯა არ ხდებოდა მიუთითებს იმაზე, რომ სათანადო დასჯის ელემენტს მაინც მოიაზრებდა კანონმდებელი, რაც აძლევდა საბჭოთა კავშირში შემავალი წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს ერთგვარი „დისკრეციით“ მოქმედების საშუალებას. ისინი, არსებითად მსგავსი დანაშაულისთვის სხვადასხვა სასჯელის სახეების იყენებდნენ 22-ე მუხლის მოშველიებით. ამ ფაქტზე საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლევ სმირნოვი, რეკომენდაციის სახით უთითებდა, რომ ერთი და იმავე ხასიათი დანაშაულზე სხვადასხვა სახის სასჯელი არ უნდა გამოეყენებინათ, თუმცა სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას, ლევ სმირნოვი აღნიშნავდა, რომ ხშირ შემთხვევაში მძიმე დანაშაულზე განსაკუთრებით მძიმე სასჯელის დანიშვნა ხდებოდა, რასაც მხოლოდ დამნაშავეის სამაგალითოდ დასჯის მიზანი ჰქონდა, რომელიც სრულად აცდენილი იყო 22-ე მუხლის შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი დამნაშავეის დასჯის მიზნით სასჯელის არსებობას აღიარებდა.³⁵

საბჭოთა კავშირის სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანი მხოლოდ დასჯას არ წარმოადგენდა. სასჯელის ერთ-ერთი მიზანი დასჯა, მაინც იყო და სწორედ ამ მიზანზე დაყრდნობით ხდებოდა სასჯელის დანიშვნა მთელ რიგ შემთხვევებში. თუმცა სიკვდილით დასჯის გამოყენებისას კი სასჯელის მიზნად „დამნაშავეის დასჯას“ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საბჭოთა საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით წარმოდგენილია დამატებით რამდენიმე მიზანი სასჯელის დანიშვნისას, კერძოდ:

- დამნაშავეის დასჯა;
- დამნაშავეთა აღზრდა, მათში შრომისადმი სათანადო დამოკიდებულების გაღვივება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება (საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემით და კანონთა შესრულებით);

³⁵ Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с .1.

- შემდგომი დანაშაულის აცილება (პრევენცია);

ძირითადი ეს ოთხი მიზანი წარმოადგენდა საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის სასჯელის განსაზღვრისას დამაფუძნებელ მიზნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯას და დამნაშავეთა გადასახლებასაც იცნობდა³⁶, ხოლო სიკვდილით დასჯის დროს რა თქმა უნდა მოცემული 4 მიზნიდან ძირითადი აქცენტი დამნაშავეის დასჯას ეფუძნებოდა.

მე-20 საუკუნეში თითქმის 1955 წლამდე გადასახლება სასჯელის სახედ აქტიურად გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში. გულაგები, საბჭოთა კავშირში არსებული კოლონიები, სადაც პატიმრები სასჯელს იხდიდნენ, ძირითადად ამ სასჯელის დანიშვნის მიზანს დამნაშავეთა დასჯა წარმოადგენდა. ამავდროულად ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკაზე. გულაგებში პატიმართა მაქსიმალურმა რაოდენობამ 1950 წელს მიაღწია და 2,5 მილიონ პატიმარს შეადგენდა³⁷. კოლონიებში დამნაშავეთა გაგზავნა 1955 წლიდან შეწყდა და იქ მყოფებიც დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს.

აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ ჰქონდათ სასჯელადსრულების დაწესებულებები „ციხეები შრომისთვის“ სადაც პატიმრებს უწევდათ შრომა. ეს ციხეები დიდ მოგებაზე მუშაობდნენ, შემოსავალი არამარტო უზრუნველყოფდა ციხის ხარჯების ანაზღაურებას, არამედ სოლიდური წვლილი შეჰქონდა ეკონომიკაში.³⁸ ხშირ შემთვევაში კი, ციხეში დამზადებული პროდუქტი ექსპორტზეც გადიოდა. სწორედ ამიტომ შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ მე-20 საუკუნის აღმოსავლეთ ევროპის სასჯელადსრულების სისტემაში ასეთი ციხეები მრავლად იყო, ნილს კრისტი იხსენებს პოლონეთში მდებარე ერთ ერთ

³⁶Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999.29.

³⁷ კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ნატალია ბურდული (მთარგ.),თბ., 2017, 37.

³⁸ კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ნატალია ბურდული (მთარგ.),თბ., 2017, 107-108.

ასეთ ციხეში ნანახ სურათს, თუ როგორ მდებარეობდა ქარხანა ციხის კედლებში, რომელიც სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანა დანადგარებს აწარმოებდა.³⁹

სასჯელის მიზნებზე ამ კუთხით პროფესორი ნილს კრისტი მსჯელობას არ ავითარებს, თუმცა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა ასეთი სასჯელის მიზანი დამნაშავეს დასჯასთან ერთად მისი გამოსწორება და აღზრდა ყოფილიყო შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

დამნაშავესთვის სასჯელის შეფარდებას და სამართლიანობის აღდგენას, შესაძლოა ერთმანეთთან ჰქონდეთ კავშირი, თუმცა ეს კავშირი არ იყო ისეთი მყარი, რომ მათი შინაარსის გაიგივება შეიძლებოდა. სამართლიანობის აღდგენა, იმდენად ფართო ცნებაა, რომ მისი განხილვა დამნაშავეს დასჯის ჭრილში მართებული არ იქნება⁴⁰. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით „სამართლიანობის აღდგენა სამომავლოდ კანონის დაცვის საწინდარია“. სასჯელის დანიშვნის დროს მნიშვნელოვანია წინა პლანზე წამოწეული იყოს სასჯელის მიზანი, რომელსაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ამისთვის, სასჯელის ინდივიდუალურობა მნიშვნელოვანია⁴¹. ხოლო სოციალური სამართლიანობის აღდგენა თავის თავში მოიცავს ოთხ ასპექტს, რომელთა მიმართაც აქვს დაცვის ინტერესი: განსასჯელი, დაზარალებული, საზოგადოება და სახელმწიფო.

მოცემული ინტერესის ქვეშ ამ ოთხი ასპექტის მიმართ კუმულაციური დაცვის შესაძლებლობა უზრუნველყოფდა სოციალური სამართლიანობის დაცვას, ხოლო სასჯელის გამოყენება ამ მიზნით, ისე რომ ოთხივე სუბიექტის მიმართ გატარებულიყო სათანადო და სამართლიანი მოპყრობის ღონისძიება გამოიწვევდა მოცემული მიზნის

³⁹ კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ნატალია ბურდული (მთარგ.), თბ., 2017, 108-109.

⁴⁰ Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999, 18.

⁴¹ Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с 2.

შესრულებას, ხოლო მისი შესრულებით იმ შედეგს, რომლისკენაც მიისწრაფვოდა კანონმდებელი⁴².

სასჯელის დანიშვნა პირველ რიგში განაპირობებდა დასჯის ღონისძიების გატარებას, დამნაშავეს მიმართ, იმ ერთ-ერთ მთავარ მიზანს რაც სოციალური სამართლიანობის აღდგენის საწყისს წარმოადგენდა. ამ მიზნის ფარგლებში თავისთავად ექცეოდა დაზარალებულის უფლებები და მისი დაცვა. აღნიშნული განპირობებული იყო მისთვის სათანადო, სამართლიანი და შესაბამისი ზიანის ანაზღაურებით, როგორც მატერიალური ისე მორალური ზიანის მხრივ, აგრეთვე დამნაშავეს მიმართ გამოყენებული შესაბამისი თანაზომიერი სასჯელი ერთ-ერთი გამოვლინებაა დაზარალებულის უფლებების დაცვის.⁴³

ავტორი, მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე საზოგადოების დაცვის ინტერესს, რომელიც გამოიხატება იმ ზოგადი სამართლიანობის დამკვიდრებით, რითაც სამართლიანობის შეგრძნებას გაუჩენდა საზოგადოებას, რაც მიიღწევა დანაშაულზე სათანადოდ რეაგირებით. საზოგადოების ინტერესს, რა თქმა უნდა შემდგომი დანაშაულის ჩადენისგან თავის არიდება, დამნაშავეს სათანადო დასჯა და აგრეთვე, დაზარალებულის უფლებების დაცვა წარმოადგენდა. თუმცა ყველას ეს კრიტერიუმი ამავდროულად ცალკე დამაფუძნებელ მიზნებად გვევლინება და მათ შორის მის ერთიან ნაწილსაც წარმოადგენდა.

მეოთხე კრიტერიუმის სახით სახელმწიფოს ჩართულობა არის წარმოდგენილი, რომელიც სასჯელის ამ მიზანში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სახელმწიფოს მიზანს, სასჯელის დანიშვნის დროს ზოგადი მშვიდობის დამყარება და სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენდა. სახელმწიფოს როლი სოციალური სამართლიანობის აღდგენაში მოიაზრებდა: დანაშაულზე რეაგირებას, რაც განპირობებულია დამნაშავეს მხრიდან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესრიგის დარღვევაში, რა დროსაც შესაბამისი რეაგირება ობიექტურად სავარაუდო და აუცილებელია.⁴⁴

⁴²Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999. С. 17,

⁴³იქვე, 19 გვ.

⁴⁴იქვე, 19 გვ.

სასჯელის დანიშვნის მეორე მიზანს დამნაშავეს გამოსწორება წარმოადგენდა. აღნიშნული მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის გავლენას ახდენდა სასჯელის დანიშვნით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზნის ერთობლივი გავლენით ყალიბდებოდა. მიხაილ სტანოვსკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სასჯელის მსუბუქი ფორმების გამოყენებაზე უთითებს, რაც განაპირობებდა დამნაშავეს გამოსწორების მიზანზე გასვლის ერთ-ერთ საშუალებას. კერძოდ, დამნაშავეს გამოსწორება უზრუნველყოფდა საზოგადოებაში მის დაბრუნებას, როგორც სრულფასოვანი წევრის, რომელიც შემდგომ ამავე საზოგადოების ნაწილი ხდებოდა.

სასამართლოს მიერ ისეთი ტიპის სასჯელების გამოყენება, როგორებიც იყო გამასწორებელი სამუშაო (იძულებითი შრომის კუთხით), სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა, თავისუფლების აღკვეთა პირობითი მსჯავრის დადებით, წარმოადგენდა დამნაშავეს გამოსწორების მიზნით მოტივირებულს.⁴⁵

დამნაშავეს გამოსწორების მიზანს ვაწყდებით მაშინ, როდესაც სასჯელის არამხოლოდ მსუბუქი ფორმის გამოყენებას ახდენს სასამართლო, არამედ მძიმე სასჯელს უცვლიდა მსუბუქი სასჯელით. აღნიშნული პათოსი განავითარა საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა ქვედა ინსტანციის სასამართლოს, რომ „მკაცრი ზომების გამოყენება, მათ მიმართ ვინც არ არის „გამოზრდილი“, საზოგადოებრივი შრომისთვის, ამასთან მათი იზოლირება საზოგადოებისგან, გამოიწვევდა არა მათ გამოსწორებას, არამედ ხელს შეუწყობდა განსასჯელთა სოციუმიდან გარიყვას“⁴⁶.

მოცემული გადაწყვეტილების ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა დამნაშავეს გამოსწორების მიზანს. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის რათა ამ მიზანზე შესაძლებელი იყოს გასვლა, მნიშვნელოვანი იყო კანონმდებლის მხრიდან სათანადოდ მოწესრიგებულიყო სასჯელის სახეები. სასამართლოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაული, გამოყენებული მეთოდი და მისი ფსიქოტიპი და ამის მიხედვით უნდა შეეფარდებინა

⁴⁵Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999. С . 139.

⁴⁶Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с . 1-2.

სასჯელი. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფდა დამნაშავეს სათანადო დასჯას, დანაშაულის პრევენციას და დამნაშავეს სამომავლოდ აღზრდას.

საბჭოთა კავშირის, უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის და 1964 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებები ეყრდნობოდა, რა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით წარმოდგენილ სასჯელის მიზნებს, იზიარებდა მის შინაარსს და ყველა მიზნის ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობას⁴⁷.

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების მიხედვით : „დამნაშავეს გამოწორების მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია, შემდგომი მშვიდობის დამყარებისთვის, რომ ნებისმიერი საშუალებით გამოყენებულ უნდა იქნეს მსუბუქი სასჯელი, რომელიც ამავედროულად უნდა იყოს შესაბამისი და თანაზომიერი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს დამნაშავეს პიროვნება, რათა სასჯელის მოხდით გამოსწორდეს დამნაშავე“⁴⁸.

საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარების ნაწილში აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი მშვიდობა არის ის უმთავრესი მიზანი, რომლის მიღწევასაც უნდა ემყარებოდეს სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, მისი შინაარსი არამხოლოდ დამნაშავეს დასჯის ან მისი გამოსწორებით გამოიხატებდა, არამედ ის მოიცავდა კანონისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის, რომელიც ასახვას მათი მხრიდან მოწესრიგების პატივისცემაში. სასჯელის დანიშვნით და დამნაშავეს იზოლირებით საზოგადოებრივი სიმშვიდე მიიღწევა, რაც ამავედროულად შემდგომი დანაშაულის ჩადენისგან იცავდა მათ⁴⁹.

საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარება და შემდგომ შენარჩუნება გვევლინებოდა სასჯელის დანიშვნის მიზნად, თუმცა მისი მიღწევა დამოკიდებული იყო წინა ორი მიზნის გათვალისწინებაზე, რომლებიც არის დამნაშავეს დასჯა და დამნაშავეს

⁴⁷Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 25 марта 1964 г №2, Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, .

⁴⁸იბ. Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с. 1.

⁴⁹იბ. Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с.1.

გამოსწორებაზე ზრუნვა, თუმცა საზოგადოებრივი მშვიდობა, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს დანაშაულის შემდგომი პრევენციის ნაყოფიც იყო.

დანაშაულის პრევენციისთვის, არაერთი მკვლევარის მიიჩნევს, რომ შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც მძიმე ისე მსუბუქი სასჯელი⁵⁰. თუმცა მონტესკიე, რომელიც მსუბუქი სასჯელის დანიშვნას ანიჭებდა უპირატესობას და არგუმენტად ადამიანთა მხრიდან კანონის სასტიკი შინაარსისადმი შეჩვევას იშველიებდა, რათა არ „გაცვდეს“ კანონის შესაძლებლობა, საილუსტრაციოდ მას იაპონელების მიერ ბავშვთა აღზრდის დროს დასჯის მექანიზმების არ არსებობა მოჰყავს, რადგან მკაცრი მოპყრობა ბავშვების მიმართ გამოიწვევს მათ „ გაჯიუტებას“⁵¹, იგი ასევე აღნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი სასჯელის განსაკუთრებული მკაცრი ბუნება, საკმარისია სასჯელის დანიშვნის დროს სასჯელის ბუნებამ სამართლიანობის განცდა დაუტოვოს საზოგადოებას. თავად ამ საზოგადოების მხრიდან ნათლად იქნება აღქმული კანონმდებლის მიერ დანაშაულზე სამართლიანი რეაგირების მექანიზმი.

საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქციის 22-ე მუხლის მიხედვით წარმოდგენილი შინაარსი, რომელიც სასჯელის მნიშვნელობაზე საუბრობს, მის პარალელურად თავად ეს კოდექსი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას, რომლის არსებობაც ცალსახად მიმართული იყო დამნაშავეის დასჯისკენ

⁵⁰ „პროფესორი მარგოროდსკი მ.დ. აღნიშნავდა, პრევენციული ხასიათი სასჯელისა ვლინდებოდა ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლებრივად დასჯადობასა და სასჯელის სახის დაკონკრეტებაში, სასამართლოს მხრიდან მის გამოყებასა და შეფარდებული სასჯელის აღსრულებაში“ (იხ.Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999. С.:23,)

„საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლო 1979 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოები ერთსა და იმავე საქმეზე დაუსაბუთებლად იყენებდნენ განსახვავებული სახის სასჯელს, რაზეც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლზე მიუთითა უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ სასჯელი, როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისთვის, ის მიზნად ისახავს დამნაშავეის გამოსწორებას, და დანაშაულის აცილებას, როგორც დამნაშავეის აგრეთვე სხვა პირთა მხრიდან. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლევ სმირნოვი მოცემული მუხლის მითითებით ასაბუთებს, რომ იმისათვის რათა დანაშაულის ჩადენა არ განმეორდეს აუცილებელია დასაბუთებულად და კანონის შესაბამისად მოხდეს სასჯელის შესაბამისი სახის გამოყენება, რა დროსაც დამნაშავეის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფორმას, ხასიათს და მოტივს უნდა მიექცეს ყურადღება და სასჯელის ზომა ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს“ (იხ. Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3, с . 2,)

⁵¹მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, ლაბუჩიძე დ. (მთარგ.), თბ., 1994, თავი XIII, 115.

სასჯელის უმაღლესი ზომით, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეიცავდა პრევენციულ ხასიათს. კერძოდ მიზანი კანონმდებლის იყო სასჯელისადმი შიშის დამკვიდრება საზოგადოებაში და ამით შემდგომი დანაშაულის ჩადენისგან თავის არიდება.

პროფესორ მ.დ. შარგოროდსკის აზრით, სასჯელის დანიშვნით ხოლო მის მიზნად პრევენციული შინაარსის არსებობით, კანონმდებელი აფრთხილებდა საზოგადოებას დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სათანადო სასჯელის დანიშვნის გამოყენების შესახებ და მისი სიმძიმის გათვალისწინებით მათზე ახდენდა გავლენას, რათა აერიდებინა შემდგომ დანაშაულის ჩადენა⁵².

სასჯელის დანიშვნის დროს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლო ყურადღებას ამახვილებდა სასჯელის იმ სამ ელემენტზე, რომელზე დაყრდნობითაც სასჯელის ზომის განსაზღვრა მოხდებოდა. ესენია:

1. კანონიერების პრინციპი; 2. სამართლიანობის პრინციპი; 3. ჰუმანურობის პრინციპი.⁵³

კანონიერების პრინციპის არსებობისთვის, როგორც უთითებს მიხაილ სტანოვსკი, აუცილებელია რომ დამნაშავეს მიმართ გამოყენებული ყოფილიყო საბჭოთა სისხლის სამართლის ნორმები, როგორც დანაშაულზე რეაგირების სამართლიანი ფორმა. მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით არის შესაძლებელი განესაზღვროს სასჯელი დამნაშავეს.

სამართლიანობის პრინციპის არსებობისთვის მნიშვნელოვანია შეფარდებული სასჯელის სახესთან ერთად განსაზღვრული იყო ისეთი ფარგლები, რომელიც უზრუნველყოფდა სათანადო მიზნის მიღწევას, რასაც მოიაზრებდა კანონმდებელი. აგრეთვე, სასჯელის სახესთან ერთად მისი ფარგლების განსაზღვრისას აუცილებელი იყო ყურადღება მიექცოდა განსასჯელის პიროვნებას.⁵⁴

ჰუმანურობის პრინციპზე საუბრისას, მიხაილ სტანოვსკი აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი ადგენდა ფარგლებს, რათა სასჯელის მიზანი არ იყოს დამნაშავესთვის ფიზიკური ტკივილის და ტანჯვის მიყენება, არამედ მის მიმართ უნდა დაინიშნოს ისეთი

⁵²იხ. Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999. С. :23-24. Шаргородский М.Д. Наказание по Советскому Уголовного Правую Москва 1958. С. 198.

⁵³იქვე, 137 გვ.

⁵⁴იქვე, 137 გვ.

მსუბუქი სასჯელი რომელიც აუცილებელი და ამავედროულად საკმარისია დამნაშავეს გამოსწორებისთვის და შემდგომი დანაშაულის აცილებისთვის.⁵⁵

სწორედ ამ სამი პრინციპის ერთობლივი მოქმედება და განსაკუთრებულად კი ჰუმანურობის პრინციპის მოქმედებით, ხდებოდა იმ პრევენციული შინაარსის გატარება რომელიც სასჯელის მიზანს წარმოადგენს. 1960 წელს მოქმედი საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ მაშინდელი მოწესრიგება სასჯელის მიზნის კუთხით აღიარებდა კერძო და საჯარო პრევენციას. კერძო პრევენცია მიმართულია კონკრეტულად დამნაშავეს მიმართ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მისი მხრიდან არ მომხდარიყო მომავალში დანაშაულის ჩადენა, რაც შეეხება ზოგად პრევენციულ ღონისძიებას, სასჯელის დანიშვნის დროს მისი მიზანი მოიცავდა საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან დანაშაულის თავიდან აცილებას.

საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლით წარმოდგენილია ძირითადი სასჯელის სახეები : 1. თავისუფლების აღკვეთა; 2. გადასახლება; 3. გასახლება; 4. გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთადად; 5. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; 6. ჯარიმა; 7. თანამდებობიდან დათხოვნა; 8. საზოგადოებრივი გაკიცხვა. ასევე საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობდა დამატებითი სახის სასჯელებს, რომლებიც ბრალდებულებს ძირითად სასჯელებთან ერთად ენიშნებოდათ, რომლის მიზანი შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო დამნაშავეს გამოსწორებისკენ მიმართული, თუმცა ის დამნაშავეს დასჯისკენ იყო მიმართული დაემსახურებოდა დანაშაულის თავიდან აცილებას. ესენი იყო : 1. სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, 2. ქონების კონფისკაცია, 3. მშობლების უფლების ჩამორთმევა⁵⁶.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართალი აღიარებდა სასჯელის სამ მიზანს, დამნაშავესთვის სამაგიეროს მიზღვასთან ერთად ის ასევე ითვალისწინებდა დამნაშავეს გამოსწორებას და დანაშაულის თავიდან აცილებას,

⁵⁵Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург 1999. С 139 .

⁵⁶იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1960 წლის რედაქცია მუხლი: 22-23

თუმცა გამოსწორება, როგორც სასჯელის მიზანი, ვერ იყო ეფექტური იმ სასჯელებისა და სისტემის პირობებში.

1.3. სასჯელის მიზნები ევროპულ სისხლის სამართალში

ევროპის ქვეყნების სისხლის სამართალში სასჯელის მნიშვნელობას და მის ფუნქციას განმსაზღვრელი ადგილი ეკავა. სასჯელის აუცილებლობასთან ერთად მისი დანიშვნის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სასჯელის მიზანს. სწორედ ამ მიზანზე დაფუძნებით ხდებოდა სასჯელის დანიშვნა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით ვლინდებოდა, თუმცა თითოეულ მათგანს აერთიანებდა ერთი, დანაშაულზე რეაგირების საფუძველი.

უშუალოდ სასჯელის მიზნების განხილვისას აუცილებელია ისინი განვიხილოთ ინდივიდუალურად. სასჯელს შესაძლოა ჰქონდეს, რამდენიმე მიზანი ერთობლივად, მისი სასტიკი ფორმის მიუხედავად.

სასჯელის დანიშვნის დროს ძირითად მიზნებზე საუბრისას განასხვავებენ სასჯელის მიზნის აბსოლუტურ და რელატიურ თეორიებს⁵⁷. აბსოლუტური თეორია აღიარებს სასჯელის რეპრესიულ ბუნებას. რაც ვლინდება დამნაშავის დასჯის მიზნით დანიშნულ სასჯელებში. თუმცა, აბსოლუტური თეორია თავის მხრივ მოიცავს დანაშაულის გამოსყიდვის და სამაგიეროს მიზლის თეორიებს. გამოსყიდვის თეორიას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, რადგან გამოსყიდვა მოიცავს განსახორცილებელი აქტის ნებაყოფლობით შესრულებას, ხოლო დასჯის დროს დამნაშავის ნება სურვილის გათვალისწინება არ ხდება⁵⁸. სამაგიეროს მიზლის მიზნით სასჯელის დანიშვნა კანტის და ჰეგელის მიხედვით ჩადენილი დანაშაულის თანაბარმნიშვნელოვანი სასჯელის დანიშვნით ხორციელდებოდა, რაც უზრუნველყოფდა სამართლიანობის აღდგენას. „რელატიური თეორია თავის მხრივ გამოყოფს პოზიტიურ გენერალურ პრევენციას(სამართალშეგნების ამაღლება და მართლწესრიგისადმი საყოველთაო

⁵⁷ ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, 6.

⁵⁸ იქვე, 6.

ნდობის გამტკიცება), ნეგატიურ გენერალურ პრევენციას(სხვისი გაფრთხილება), პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას(დამნაშავის პიროვნების გამოსწორება) და ნეგატიურ სპეციალურ პრევენციას(საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა დამნაშავის იზოლირებით)⁵⁹“.

საუკუნეების განმავლობაში ინგლისში მოსახლეობის მიმართ სასჯელის ფორმად სიკვდილით დასჯა (ჩამოხჩობით, გილიოტინაზე თავის მოკვეთით ან ცოცხლად დაწვით) ვლინდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი ტიპის სასჯელს მხოლოდ ერთადერთი მიზანი ჰქონდა ეს იყო სამაგიეროს მიზღვა(Retribution) დამნაშავისთვის⁶⁰. როგორც, მკვლევარი დ.ტეილორი აღწერს მოცემული მიზანი წარმოადგენდა ისეთ პრიმიტიულ მიზანს, რომელსაც განვითარებული საზოგადოების პირობებში არ უნდა ეარსება⁶¹.

ნილს კრისტი თავის ნაშრომში უთითებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომ პირველი შურისმაძიებელი, რომელიც მიზანმიმართულად ითხოვს სამაგიეროს მიზღვას არის დაზარალებული, რომელსაც სურს დამნაშავისთვის ტკივილის მიყენება⁶². აქვე ის ავითარებს მსჯელობას და პატიების ელემენტის არსებობას განიხილავს, ამავდროულად ადგენს საზღვრებს და სვავს რიტორიკულ შეკითხვას, ყველა შემთხვევაში უნდა შეეძლოს დაზარალებულს პატიება? მაშინაც კი როდესაც, დანაშაულმა არამართო დაზარალებულის, არამედ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია?. აღსანიშნავია, რომ სამაგიეროს მიზღვის მიზნით სასჯელის დანიშვნის დროს დაზარალებულის პოზიციის ირიბი გათვალისწინება ხდებოდა, რაც მისი მხრიდან ტკივილის მიყენების სურვილით გაჯერებულ სასჯელში აისახებოდა.

აღნიშნული მიზნის ფარგლებში, შეფასებებს ვხვდებით ალ. ვაჩეიშვილის ნაშრომში, რომელიც აღწერს ინგლისელი ფილოსოფოსის ლოკის მოსაზრებას, სასჯელის ძირითად, მნიშვნელოვან მიზნად სამაგიეროს მიზღვის, შურისმაძიების ელემენტს, რაც

⁵⁹ ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, 6-7.

⁶⁰ Taylor D., crime, policing and punishment in England 1750-1914, 124-125.

⁶¹ იქვე, 125 გვ.

⁶² კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, უმანგი ბახტაძე (მთარგ.), 2017, 153-154.

გულისხმობს სასჯელის დანიშვნას იმ მიზნით, რომ დაისაჯოს დამნაშავე⁶³. აღნიშნული დამაფუძნებელი მიზნის კარგი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ 1500 დან 1800 წლების ინგლისში მკვლევლობისთვის სასჯელის სახით განესაზღვრებოდათ ჩამოხრჩობა საჯაროდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ცოლი მოკლავდა საკუთარ ქმარს, დამნაშავეს ცოცხლად წვავენ⁶⁴, ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს მეუღლის საკუთრებად აღიქვამდნენ ქალებს⁶⁵, ხოლო ამგვარი მოპყრობა კი აშკარად მიუთითებს სასჯელის გამოყენებას სამაგიეროს მისაზღველად.

გერმანელი პროფესორი კარლ ვონ ბირკმეიერი, რომელიც მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, სასჯელის მთავარ მიზნად სამაგიეროს მიზლვას განიხილავდა : „ სასჯელი არის დანაშაულის რეპრესია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, რაც ხორციელდება იმით, რომ დამნაშავეს უფლებრივ სიკეთეთა დაზიანებისთვის მიეყენებინა შეფარდებით უფლებრივ სიკეთეთა თანასწორი დაზიანება სისხლის სამართლის სასამართლო განაჩენის საფუძველზე“⁶⁶. ასევე ბირკმეიერი აღნიშნავს, რომ სამაგიეროს მიზლის შედეგებს წარმოადგენს დაშინება, გამოსწორება და გაუვნებელყოფა, ხოლო აღნიშნული ასპექტები კი უზრუნველყოფენ სასჯელის იმ მიზნის მიღწევას, რომელიცაა მართლწესრიგის დაცვა დანაშაულთან ბრძოლის გზით⁶⁷.

იურიდიულ ლიტერატურაში სამაგიეროს მიზლვასთან ერთად ხშირად პრევენციულ მიზანსაც განიხილავენ, სასჯელის ხასიათის მხრივ მას საზოგადოების დამაშინებელი ფუნქცია შესაძლოა დაკისრებული ჰქონდა და გაეფრთხილებინა ისინი, ამით კი სამომავლოდ დანაშაულის ჩადენა აერიდებინათ. თუმცა, მოცემული სიტუაციის მიხედვით, განსაკუთრებულად სასტიკად დასჯა (ცოცხლად დაწვა), სასჯელის შურისძიების მიზნით გამოყების ნათელი ილუსტრირებაა. ერთის მხრივ, სიკვდილით დასჯის შინაარსის მატარებელი ნებისმიერი სასჯელი თავის თავში მოიცავს იმ ძირითად მიზანს, რაც არის შურისძიება(სამაგიეროს მიზლვა), თუმცა ასეთი სასჯელები მისი

⁶³ვაჩეიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თბილისი 1960, 33

⁶⁴ Briggs J., , Harrison C., McINNES A., and Vincent D., Crime and Punishment In England, 1996, 71.

⁶⁵ იქვე, 71 გვ.

⁶⁶ იხ. ვაჩეიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თბ., 1960,167, წყარო: Birkmeyer K., strafe und sichernde Massnahmen ,1906.

⁶⁷ იქვე, 170 გვ.

განხორციელების პირობების გათვალისწინებით გარკვეულწილად პრევენციული შინაარსის მატარებელიც იყო.

სასჯელის სახეებიდან, სიკვდილით დასჯა ძირითად ადგილს იკავებდა და მას არამხოლოდ იმ დამნაშავეების წინააღმდეგ იყენებდნენ ვინც მკვლელობას ჩაიდენდა, არამედ ასევე მათ წინააღმდეგაც ვინც სხვა მძიმე დანაშაულს სჩადიოდა.

ინგლისში, ჯეიმს პირველის პერიოდში მე-17 საუკუნის დასაწყისში, 50 სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, რაც ემსახურებოდა პირველ რიგში დამნაშავეს დასჯას, ხოლო ნაკლებად მაგრამ მაინც მოიაზრებდა სამომავლოდ დანაშაულის აცილებასაც⁶⁸. ჩამოხრჩობა, რომელიც სიკვდილით დასჯის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა აქტიურად გამოიყენებოდა მე-18 საუკუნის ინგლისში. პირველ რიგში სასჯელის მნიშვნელობას მის სამაგალითო ხასიათთან აიგივებდნენ და საჯაროდ დასჯის აუცილებლობას კი, სამომავლო დანაშაულის თავიდან აცილებასთან. სასჯელის მიზანი, სწორედ შემდგომი პრევენცია იყო. ასე აღწერენ იმდროინდელი ინგლისელი ლორდების მიწებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მათი აზრით ხალხი უნდა ყოფილიყო შიშის ქვეშ, თითოეული სასჯელის აღსრულება უნდა მომხდარიყო საჯაროდ, რათა სამომავლოდ აერიდებინათ მისი ჩადენა⁶⁹. შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის მიზნის მნიშვნელობა ერთობლივად მოიცავდა მხოლოდ ორ მთავარ ასპექტს. ეს იყო დამნაშავეს დასჯა და სამომავლოდ დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია).

მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისში, სასჯელის მიზანი აგრეთვე რიტუალური განწმენდაც იყო. სასჯელის აღსრულების ფორმის და შედეგის მხრივ ის, რა თქმა უნდა, პირდაპირ წააგავდა სამაგიეროს მიზლვას, თუმცა მაშინდელ პერიოდში რიტუალური განწმენდის დანიშვნა სასულიერო პირების მხრიდან ხდებოდა, სადაც სასჯელს სახელმწიფოსთან ერთად ეკლესიაც ნიშნავდა. შეიძლება ითქვას, რომ აღსრულება სრულად გადაბარებული ჰქონდა ეკლესიას, რადგან დამნაშავეს მოკვდინებასთან ერთად მისთვის საჯაროდ სულის „განწმენდაც“, ხდებოდა. ასეთი ტიპის სასჯელებს,

⁶⁸ Briggs J., Harrison CH.,, McINNES A., and Vincent D., Crime and Punishment In England, 1996, 61.

⁶⁹ Taylor D., crime, policing and punishment in England 1750-1914, 127.

ძირითადად ისეთი დანაშაულებისთვის უსჯიდნენ, რომლებიც მიმართული იყო საეკლესიო სიწმინდეების მიმართ უპატივცემულობით ანდა ემსახურებოდა „ზნელი ძალებით“ შეპყრობილი ადამიანების განწმენდას⁷⁰.

სასულიერო პირების ჩართულობა, სასჯელის დანიშვნის და მისი აღსრულების პროცესში დიდი იყო. უშუალოდ სახჩობელაზე, სიკვდილმისჯილის საჯაროდ დასჯისას, სასულიერო პირის იქ ყოფნა მისი მხრიდან დანაშაულის შესახებ საუბარი და შემდეგ ჩამოხრჩობა ემსახურებოდა, საზოგადოების გაფრთხილებას და ამით სამომავლოდ დანაშაულის თავიდან აცილებას. შესაბამისად, უპირველესი მიზანი იყო დამნაშავის დასჯა. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ სასულიერო პირების ჩართულობა და მათი როლი აიხსნებოდა იმით, რომ დანაშაულზე რეაგირება მომდინარეობდა ღვთაებრივი კანონის გავლენით.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის ადვოკატები: მანასეი დევისი, ჰენრი დაგი, ვილიამ ედენი, ვილიან ბლეესტოუნი და კაპელ ლოფტი აშკარად ემიჯნებოდნენ სიკვდილით დასჯის ინსტიტუტის არსებობას და მიიჩნევდნენ, რომ სასჯელის მიზნად ყველა იმ მნიშვნელოვანი ასპექტის შენარჩუნება როგორებიცაა: დამნაშავის დასჯა, დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის გამოსწორება, მათი მიღწევა სიკვდილით დასჯის გარეშეც შეიძლებოდა⁷¹.

სამართლიანობის სამართალი მოქმედებს კონკრეტულ პირთა მიმართ, ასე აღწერს რენე დავიდი კანცლერის მოქმედებებს ინგლისში, მოპასუხე რომელსაც განესაზღვრებოდა სასჯელი დაარღვევდა კანცლერის მითითებებს მას უფრო მძიმე სასჯელს მიუსჯიდნენ და დააპატიმრებდნენ, სადაც ის შეძლებდა დაფიქრებას.⁷²

კანცლერი (თავდაპირველად რელიგიური პირი), მისი მოქმედებები ეფუძნებოდა მორალისა და სინდისის პრინციპებს. ის მეფის მიერ სამართლის პირობების გაუმჯობესების მიზნით იღებდა მონაწილეობას სასამართლო პროცესებში, ის დამხმარე ფუნქციის განმახორციელებელი იყო და ამიტომ მისი ჩარევა სასჯელის დანიშვნის დროს

⁷⁰Briggs J., Harrison CH., McINNES A., and Vincent D., Crime and Punishment In England, 1996, 71..

⁷¹Journal of Modern History, Randal McGowen, University of Oregon, The body of Punishment in Eighteenth – Century England 1987, P. 667

⁷²დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993,244.

ზემოქმედებას არ ახდენდა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ის მორალის და სინდისის ჭრილში აქცევდა მას, რათა სასჯელის სახეს არ უგულვებელყო ისინი.⁷³

დამნაშავის დასჯის მიზნით გამოყენელი სასტიკი სასჯელის სახეები მსუბუქი სასჯელებით ჩანაცვლდა. ნორვეგიაში 1815 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც სასჯელის სახედ „დაღის დასმა“, „კიდურების მოჭრა“ 10 წლით თავისუფლების აღკვეთამ ჩანაცვლა⁷⁴. სწორედ ასეთი სასჯელები უზრუნველყოფდა დანაშაულის თავიდან აცილებას, და არა სასტიკი სასჯელების გამოყენება.

სამაგიეროს მიზღვა, მიუხედავად დიდი ისტორიული წარსულისა, მისი აღსრულების ფორმების გათვალისწინებით ძირითადად მოიცავდა პრევენციასაც. ალექსანდრე ვაჩიშვილი, იშველიებს ჩ. ბეკარიას ნაშრომს „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ სადაც მკვეთრად ემხრობა და ხაზს უსვამს სასჯელის პრევენციული ბუნების მნიშვნელობას. მის აუცილებლობას დანაშაულზე რეაგირების კუთხით, ისე რომ აღიკვეთოს მისი სამომავლოდ ჩადენა⁷⁵. ჰობსი თავის ნაშრომში უარყოფს სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის მნიშვნელობას, ის ხაზს უსვამს სასჯელის პრევენციული ხასიათის არსებობას, როგორც აუცილებელ მიზანს.

ცნობილი ინგლისელი ადვოკატი ზაქარი ბაბინგტონი წერს, „რჩევები ნაფიც მსაჯულებს“ : სასჯელის მიზანი, წარმოადგენს მაგალითს და სამომავლო დაშინებას⁷⁶, სამომავლო დაშინებისა და სამაგალითო დასჯის კუთხით ის მოიაზრებს პრევენციას, რომელიც შესაძლოა მიმართული ყოფილიყო მხოლოდ საზოგადოებისთვის და არა უშუალოდ დამნაშავის მიმართ, რადგან სიკვდილით დასჯის დროს დამნაშავის მიმართ კერძო პრევენციის ელემენტი არ გვაქვს წარმოდგენილი. თუმცა, ეს მიდგომა სასჯელის

⁷³ დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993,242 .

⁷⁴ კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, უმანგი ბახტაძე (მთარგ.), 2017,17.

⁷⁵ ვაჩიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თბ., 1960, 33.

⁷⁶ Signy Thora Gutnick Allen, „Thomas Hobbes’s Theory of Crime and Punishment“.School of History, Queen Mary University of London 2016, 154.

მიზნის კუთხით წარმოადგენდა პრევენციას - დანაშაულის თავიდან აცილებას მე-17 - მე-18 საუკუნის ინგლისში.

მოცემულ პერიოდში ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებ, რომ სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის არსებობამ დაკარგა იმ მიზნის შესრულებაზე გავლენა, რასაც ემსახურებოდა სარიტუალო დასჯა (საზოგადოების გაფრთხილებას და დაშინებას), მეტიც აღნიშნული პრაქტიკა იყო მცდარი და ის აუცილებლად უნდა შეცვლილიყო⁷⁷.

თომას ჰობსი სასჯელის მიზნების განხილვისას აქტიურად მიუთითებს სასჯელის მიზნად სამომავლო დაშინებას, რომელიც გაიგივებულია დანაშაულის თავიდან აცილებასთან (პრევენციასთან). მისი ეს მოსაზრება ჩ. ბეკარიას მსგავსად წარმოგვიდგენს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მე-17 საუკუნის ინგლისში დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით დანიშნულ სასჯელებს, მიუხედავად მათი სასტიკი ბუნებისა (სიკვდილით დასჯის სხვადასხვა ფორმისა).

ბეკარიას აზრით სასჯელის მთავარი მიზანი არ არის პიროვნების დასჯა, არამედ მიზანი არის დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის აღზრდა. სწორედ ამიტომ ბეკარია სასჯელის მიზნად აღიარებს საერთო და სპეციალურ პრევენციას. სასჯელის შინაარსმა გავლენა უნდა მოახდინოს არამხოლოდ დამნაშავეზე, არამედ საზოგადოებაზეც, რომ სამომავლოდ დანაშაულის ჩადენა აცილებულ იქნას⁷⁸.

სწორედ დანაშაულის თავიდან აცილების მნიშვნელობაზე, საუბრისას ბენტამის შეხედულებასთან აქვს საერთო, რომელიც დამნაშავის „გრძნობადობაზე ზემოქმედებას გულისხმობს“, როგორც მას ალექსანდრე ვაჩეიშვილი იხსენიებს⁷⁹. მიუხედავად იმისა, რომ ბენტამის თეორია აღიარებს ნაწილობრივ სამაგიეროს მიზღვასაც ის ემხრობა სამომავლოდ დანაშაულის თავიდან აცილებას.

მონტესკიე კანონთა გონში მე-17 საუკუნის საფრანგეთის რეალობის მიხედვით გამოყოფს და განაზოგადებს, იმ პერიოდის მიდგომებს. იგი დადებით და უარყოფით კონტექსტში იხილავს სასჯელის ფორმებს და შესაბამისი ანალიზით უსადაგებს მათ

⁷⁷ib. Journal of Modern History, Randal McGowen, University of Oregon, The body of Punishment in Eighteenth – Century Eng., 1987, 672.

⁷⁸ ვაჩეიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თბ., 1960, 35.

⁷⁹ იქვე, 36 გვ.

სასჯელის მიზნებს. მისი აზრით, სასჯელი უნდა იყოს „მსუბუქი ფორმით კანონმდებლისგან დადგენილი, რათა ის არ გაცდეს მომავალში, რადგან ხალხი შეეჩვევა სასჯელის მკაცრ ბუნებას, ხოლო კანონმდებელს არ ექნება ბერკეტი მოცემულობის აღსაკვეთად“⁸⁰.

შესაბამისად მონტესკიე კანონთა გონის მიხედვით, განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს სასჯელის მსუბუქ ფორმას, რომელსაც შეუძლია მოიცვას ყველა ის მიზანი, რომელიც არსებობს ისტორიულ წყაროებში. მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სასჯელის ფორმა, რაზეც ავტორი საუბრობს, რომ სასჯელი უნდა იყოს მსუბუქი⁸¹. ნათელია, რომ სიკდილით დასჯას მონტესკიე არ ემხრობა.

გროლმანი და ფოიერბახი შუა საუკუნეების პერიოდის ევროპის სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებით სასჯელის განსხვავებულ მიზნებს აღიარებენ. ფოიერბახი აქტიურად უთითებს, სასჯელს პრევენციულ ხასიათზე, სასჯელით მუქარას აღიქვამს დამაფუძნებელ მიზნად, ხოლო დანარჩენ მიზნებს მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. სასჯელით მუქარა მოუსპობდა სურვილს, არ მისცემდა სტიმულს, რომ დანაშაული ჩაედინათ, ხოლო ამით ის საზოგადოების დაცვასაც მოიაზრებს, სასჯელის დამაშინებელი მიზნის თანმდევ მიზნად⁸².

რაც შეეხებოდა გროლმანის მოსაზრებას, სასჯელის დანიშვნის მიზნის მხრივ, ის ავითარებდა და სასჯელის მიზნად განიხილავდა სასჯელის დამაშინებელ ეფექტთან ერთად, ზოგად და კერძო პრევენციულ მიზნებს. ის ემხრობა არამხოლოდ საზოგადოების მხრიდან დანაშაულის თავიდან აცილებას, არამედ კერძო პრევენციული ბუნებით აგრძელებს მსჯელობას და დამნაშავის გამოსწორების მიზანსაც იშველიებს⁸³, რომელიც დროთა განმავლობაში ცალკე ძირითად მიზნად ჩამოყალიბდა და დამნაშავის გამოსწორების ფუნქცია შეიძინა.

გერმანულ ლიტერატურაში რიჩარდ შმიტი, ავითარებდა აზრს სამაგიეროს მიზლის და საერთო პრევენციის შინაარსის ერთობლივად მოქმედი ბუნების შესახებ⁸⁴.

⁸⁰მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, ლაბუჩიძე დ. (მთარგ.), თბ., 1994, თავი XII

⁸¹ იქვე, 114 გვ.

⁸² ვაჩეიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები თბ., 1960, 47.

⁸³ იქვე, 47 გვ.

⁸⁴ იქვე, 61 გვ.

თავის მსჯელობას შმიტი აფუძნებდა იმ მიმართულებით, თუ როგორ შეეძლო საერთო რეპრესიული ხასიათის ღონისძიებას გამოეწვია შემდგომი პრევენცია. დანაშაულის აცილების მნიშვნელოვან საშუალებად ის სამაგიეროს მიზღვას მიიჩნევდა. მისი აზრით მოცემულ მიზანზე გასვლა შესაძლებელი იყო ორი გზით:

პირველი გზა, რაც წარმოდგენილი იყო სამაგიეროს მიზღვით და დამნაშავის პიროვნების მოსპობით, ამით გამოიწვევდა საზოგადოებაში სასჯელისადმი შიშს და მოსახლეობის მიმართ ექნებოდა გამაფრთხილებელი ეფექტი სამომავლოდ დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად, მეორე გზა კი ვლინდება მოსახლეობაზე ზემოქმედებაში, რომლის მთავარი მიზანი დანაშაულის თავიდან აცილება(პრევენცია) იყო. სასჯელის დანიშვნა არამხოლოდ საზოგადოებაზე იყო გათვლილი, არამედ მისი ფორმის გათვალისწინებით ის ზეგავლენას ახდენდა თავად დამნაშავეზეც, რათა საერთო პრევენციისთვის მიეღწია ხელისუფალს სასჯელის დანიშვნით.

შესაბამისად ასეთი მოქმედებით და სასჯელის პრევენციული მიზნის განხილვით, როგორც კერძო ასევე ზოგადი პრევენცია იყო მნიშვნელოვანი. პრევენცია კი თავის მხრივ აყალიბებს სასჯელის ახალ მიზანს, რომელიც დამნაშავის გამოსწორებას უზრუნველყოფს, რაც ერთის მხრივ ვლინდებოდა დამნაშავის მიმართ გამოყენებული სასჯელის ბუნებით და ზოგადი პრევენციის მიხედვით კი, ამ სასჯელის საჯაროდ აღსრულებით.

ნილს კრისტი ბურჟუაზიაზე საუბრისას ხაზს უსვამს სასჯელის წინასწარ განჭვრეტადობასა და განსაზღვრულობას, რევილუციის შემდეგ არსებული ვითარებით ცხადი გახდა, რომ ხელისუფალი არ მოითმენდა არათანასწორ დამოკიდებულებას არსებითად ერთი უფლების მქონდე პირთა შორის. მაგალითად: წარჩინებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელის სახედ მხოლოდ ჯარიმის დანიშვნით შემოიფარგლებოდნენ, ხოლო დანარჩენი საზოგადოების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პატიმრობას გამოიყენებდნენ.⁸⁵

⁸⁵ კრისტი ნ., ტკვილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, 54.

სამართლიანობაზე საუბრისას არისტოტელე აყალიბებს მოსაზრებას თუ რა შეიძლება იყოს უსამართლო და რა სამართლიანი. სამართლიან მიდგომას არისტოტელე თანასწორობის და არსებითად არათანასწორთა მიმართ დამოკიდებულებაში განიხილავს. უსამართლობის გამოვლინებაა, როგორც თანასწორთა მიმართ არათანასწორი, ასევე არათანასწორთა მიმართ თანასწორი მოპყრობა.⁸⁶ თანასწორი და არათანასწორი მიმართება ჩვენს შემთხვევაში სასჯელის დანიშვნის კუთხით უნდა განვიხილოთ და განმსაზღვრელ ობიექტად დანაშაული უნდა მივიჩნიოთ. ჩადენილმა დანაშაულმა უნდა აქციოს თანასწორებად ადამიანები სასჯელის სახის განსაზღვრის დროს და არა იმ სოციალურმა მდგომარეობამ რაც დროის კონკრეტულ მომენტში მათ აქვთ, სწორედ ამ მიმართულებით მსჯელობს ნილს კრისტი, როდესაც ბურჟუაზიის პერიოდზე საუბრობს.

მსუბუქი სასჯელის დანიშვნა დამნაშავის გამოსწორების შესაძლებლობას იმაზე მეტად უზრუნველყოფს, ვიდრე მძიმე და სასტიკი სასჯელი, ამ შინაარსს ავითარებდა მონტესკიე თავის ნაშრომში და აღნიშნავდა, რომ სასჯელი პირველ რიგში დამნაშავის გამოწორებაზე უნდა იყოს გათვლილი.⁸⁷

სწორედ დამნაშავის გამოსწორება, სიკვდილით დასჯის ნაცვლად კი, გადასახლების აქტიურად გამოყენება არის დასტური იმისა, რომ მოცემულ მიზანს სასჯელის დანიშვნის დროს ექცეოდა ყურადღება. მე-18 საუკუნის მესამე-მეოთხე დეკადის პერიოდის ინგლისში, გადასახლებას სასჯელის სახედ აქტიურად გამოიყენებოდა⁸⁸. აღნიშნულ სასჯელს ჰქონდა შემდგომი დანაშაულის აცილების მიზანი, რომელიც თავის მხრივ მოქმედებდა საზოგადოებაზე და დამნაშავეზე, უზრუნველყოფდა მის სამომავლოდ გამოსწორებას.

შრომის სიმძიმე და ხანგრძლივობა უზრუნველყოფდა დამნაშავის დაფიქრებას და უყალიბებდა დამნაშავეს შრომისადმი პატივისცემას. მე-18 საუკუნეში სასჯელის სახედ შრომა გასწორებით კოლონიებში (Transportation Act 1718) დამნაშავეთა გაგზავნა

⁸⁶ იხ. არისტოტელე, პოლიტიკა ნაწილი პირველი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ, თბ. 1995, 78.

⁸⁷ მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, ლაბუჩიძე დ. (მთარგ.), თბ., 1994, თავი XII

⁸⁸ Taylor D., crime, policing and punishment in Eng., 1750-1914, 143.

აქტიურად ხორციელდებოდა, ამასთან ამ კოლონიებში გასატარებელი წლების რაოდენობის შემცირება მოხდა, რაც გამოწვეული იყო ერთის მხრივ კოლონიების გადატვირთვით, მაგრამ მთავარ მიზეზად სასჯელის მსუბუქი ხასიათის აუცილებლობა იყო, რათა შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნება შეძლებოდათ პატიმრებს იმგვარად, რომ შრუმისუნარიანები ყოფილიყვნენ. 1787-1867 წლებში დაახლოებით 160 000 ადამიანი იქნა გადასახლებული, ხოლო განსაკუთრებულ პიკს კი ყოველწლიურად გადასახლებულთა რაოდენობამ 1830 წელს მიაღწია⁸⁹.

მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაწყებული გადასახლებასთან ერთად გამოიყენებოდა პატიმრობის შეფარდება, როგორც დევიდ ტეილორი აღწერს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, საპატიმრო სასჯელის შეფარდება ემსახურებოდა დამნაშავის დასჯას, დანაშაულის თავიდან აცილებას, დამნაშავის საზოგადოებისგან გარიდებას და მის აღზრდა-გამოსწორებას.

დამნაშავის აღზრდა-გამოსწორება მოიცავდა მისი პატიმრობის პირობებში ძველი ღირებულებების უარყოფას და დავიწყებას, ახალი და საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების პატივისცემის დანერგვას, რაც უზრუნველყოფდა მისი როგორც საზოგადოების ღირსეული წევრის, სათანადო ინტეგრაციას და დადებით როლს ითამაშებდა მის განვითარებაში პატიმრობის დასრულების შემდგომ⁹⁰.

მე-19 საუკუნეში და უფრო ზუსტად 1814 წლის შემდეგ პატიმრების რაოდენობის ზრდა ნორვეგიის სასჯელადსრულების დაწესებულებაში გასაკვირი არ არის, რადგან აღნიშნული გამოწვეულია სიკვდილით დასჯის გაუქმებით.⁹¹ სხვადასხვა სასტიკი სასჯელები თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა. 1815 წლის 15 ოქტომბრის აქტში აღწერილია, როგორ შეიცვალა კიდურის მოკვეთა 10 წლიანი პატიმრობით ან სხეულზე დაღის დასმა 2 წლიანი პატიმრობით. ნილს კრისტი აღნიშნულს აღწერს და შესაბამისად სასჯელის დანიშვნის მიზანი მხოლოდ დასჯას და მისგან გამოწვეულ პრევენციას აღარ წარმოადგენდა.

⁸⁹Taylor D., crime, policing and punishment in Eng., 1750-1914, 143.

⁹⁰იქვე. 147 გვ.

⁹¹ კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ბურდული ნ. (მთარგ.), 2017,60.

მე-19 საუკუნის ბოლოს მე-20 საუკუნის დასაწყისში, პატიმრობას უკიდურესი სასჯელის ფორმის სახით გამოიყენებდნენ, ჯარიმასთან ერთად ან მის გარეშე. აღსანიშნავია, რომ პატიმრობის გამოყენებით ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოკვეთილია სასჯელის დანიშვნის მიზანი რომელიც ემსახურებოდა სამ ფაქტორს დამნაშავეს დასჯას, პრევენციას და დამნაშავეს გამოსწორებას. დამნაშავეს გამოსწორების მიზნის არსებობა აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა, რადგან სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდებული გამოსწორებული უნდა დაბრუნებოდა იმ საზოგადოებას, რომლისგანაც ის იძულებით განარიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელს მხოლოდ საზოგადოების დროებითი დაცვისა და დამნაშავეს დასჯის მიზანი ექნებოდა⁹².

მე-20 საუკუნეში ნილს კრისტი აყალიბებს, შემდეგ მოსაზრებას: „ადამიანის ქცევის გასაკონტროლებლად რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა უნდა ყოფილიყო სახეზე. სასჯელი არ უნდა ყოფილიყო იმაზე მეტი ვიდრე ეს აუცილებელი იქნებოდა ქმედების განმეორებით ჩადენის პრევენციისთვის, როგორც ინდივიდუალურ ისე საზოგადოების დონეზე.“⁹³. აღნიშნულს აღწერს იმ დროის ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის მიდგომას სასჯელების მიმართ.

სკანდინავიის ქვეყნებში დიდი ყურადღება მიექცა გენერალური პრევენციის იდეას და მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სრულად ჩამოყალიბდა სასჯელის დანიშვნის მთავარ მიზნად. იოჰანეს ანდენაესი მიჩნევდა, რომ დამნაშავეს მკურნალობა, რომელიც მიმართულია დამნაშავეს გამოსწორებისკენ არ წარმოადგენდა სასჯელის უმთავრეს მიზანს. ის ემხრებოდა გენერალურ პრევენციას და მას სასჯელის ძირითად მიზნად განიხილავდა. სასჯელის აღნიშნულმა მიზანმა მოიცვა სკანდინავიის ქვეყნები⁹⁴.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დამნაშავეს გამოსწორებასა და გენერალურ პრევენციას ბევრი საერთო აქვთ. თუ დამნაშავეს გამოსწორების მიზნით დანიშნული სასჯელის ემსახურება „მის მკურნალობას“, ასეთ დროს ცნობილია დამნაშავე და მის მიმართ ხორციელდება ისეთი სასჯელის დანიშვნა

⁹²Taylor D., crime, policing and punishment in Eng., 1750-1914, 164-166.

⁹³ კრისტი ნ., ტკვილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, 53.

⁹⁴ იქვე, 40-41 გვ.

რომელიც ინდივიდუალურობის პრინციპს ეყრდნობა(გათვალისწინებულია დამნაშავის პიროვნება, მის მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ფორმა). გენერალური პრევენცია მიმართული იყო საზოგადოებისკენ და მათ გაფრთხილებას უზრუნველყოფდა და ამით დანაშაულის აცილება ხდებოდა, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სასჯელის დანიშვნის დროს გენერალური პრევენციის მიზნის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია იმ საზოგადოების კვლევა სადაც მოხდა დანაშაული⁹⁵.

თუმცა მე-20 საუკუნეში ისააკ ელრიხის აზრით იმის შესახებ, რომ სიკვდილით დასჯას შეეძლო 7-8 სიცოცხლის გადარჩენა, ამით ის სასჯელის მიზნად დასჯის აუცილებლობაზე და მის დამაშინებელ ეფექტზე ახდენდა კონცენტრირებას. მაგრამ თუმცა ოდნავ მოგვინებით ტორსენ სელინი სრულად ეწინააღმდეგებოდა სიკვდილით დასჯის შემოღებას, რადგან მიიჩნევდა, რომ არანაირი დადებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო დანაშაულის თავიდან აცილების კუთხით და ემსახურებოდა მხოლოდ დამნაშავის დასჯას.⁹⁶

საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლის მიხედვით: „მოსამართლემ ყველა თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები ექვს თვემდე ხანგრძლივობით უნდა შეცვალოს ფულადი სასჯელით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს, რისკი პატიმრობის მიუსჯელობის შემთხვევაში ახალი დანაშაულის ჩადენისა“⁹⁷. „სასჯელის დანიშვნის მთავარ წესად ნილს კრისტი აყალიბებს შემდეგს: მიაყენე რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი. ეძიეთ სასჯელის ალტერნატივები და არა მხოლოდ ალტერნატიული სასჯელები.“⁹⁸. სწორედ ეს ჩანაწერი არის ნათელი მაგალითი იმასა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სასჯელის მიზნად დანაშაულის აცილებას.

⁹⁵ კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, 42.

⁹⁶ იქვე, 42 გვ.

⁹⁷ პრადელი ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი, ეკატერინე სუმბათაშვილი (მთარგ.), თბ., 1999, 444.

⁹⁸ კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, 20.

1980 წლის კანონით იტალიაში ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩართული პირების დასასჯელად მკაცრ სასჯელებს გამოიყენებდნენ. თუმცა, სასჯელს უნახევრებდნენ იმ პირებს, რომლებიც განუდგნენ ასეთ ორგანიზაციებს და დაეხმარნენ საპოლიციო ძალებს დანაშაულის აცილებაში.⁹⁹ ასეთ მიდგომას ავითარებს ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 1984 წლის რედაქცია, თუმცა განსხვავებით იტალიისგან ამ შემთხვევაში კანონი უფრო ლმობიერი აღმოჩნდა და საპოლიციო ძალებთან თანამშრომლობით თუ დანაშაული აცილებულ იქნება, ამავდროულად ორგანიზაციის წევრები დაკავებულ იქნებიან ასეთი პირი სრულად თავისუფლდება სასჯელისგან.¹⁰⁰ ამ მეთოდით პირველ, რიგში ხდებოდა დანაშაულის აცილება და ამავდროულად ტერორისტული საქმიანობის განმარხორციელებელი სუბიექტების თავისუფლების აღმკვეთი სასჯელის მძიმე სახით დაშინება, რაც უზრუნველყოფდა სამომავლოდ ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და მათში გაწევრიანების აღკვეთას.

განვითარებული მსჯელობის მიხედვით აშკარაა, რომ ევროპის ქვეყნების სისხლის სამართალში სასჯელის მიზნის ისტორიული მიმოხილვის დროს ვაწყდებით სხვადასხვა მიზანს, რომელთა არსებობა განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით. დაწყებული მხოლოდ დამნაშავის დასჯით, დამთავრებული მის გამოსწორებაზე ზრუნვით. სწორედ სასჯელის მიზნის ამგვარი განვითარება, განსაკუთრებულად დამნაშავის მიმართ ამგვარი მოპყრობა, მიუთითებს საზოგადოების თანდათანობით განვითარებაზე, რადგან სიკვდილით დასჯის რაოდენობის შემცირება და მისი ჩანაცვლება თავისუფლების აღკვეთით წარმოადგენს ადამიანზე ზრუნვას და მასთან ერთად იმ საზოგადოებრივ წესრიგზე ზრუნვას, რომელსაც ის უნდა დაუბრუნდეს პატიმრობის ვადის ამოწურვისთანავე.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ სასჯელის მიზნები ევროპის სისხლის სამართალში საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და სახეცვლილი სახით მკვიდრდებოდა თითოეულ ეპოქაში. მე-18 საუკუნის დასაწყისში მეორე ნახევრამდე, მაინც ხდებოდა სიკვდილით დასჯა, რაც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით

⁹⁹ პრადელი ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი, ეკატერინე სუმბათაშვილი (მთარგ.), თბ., 1999, 445.

¹⁰⁰ იქვე, 445 გვ.

დამნაშავის დასჯის და სამომავლო პრევენციის მიზნის მატარებელი იყო. სიკვდილით დასჯის გამოყენებასთან ერთად გადასახლებასაც გამოიყენებდნენ, თუმცა თავისუფლების აღკვეთის აქტიურად გამოყენებამ ჩანაცვლა გადასახლების გამოყენება, ხოლო მე-19 საუკუნიდან, მთელ რიგ დანაშაულებზე სასჯელები რამდენიმე მიზნის გათვალისწინებით ინიშნებოდა. დამნაშავის გამოსწორების მიზნით დანიშნულმა სასჯელმა გამორიცხა სიკვდილით დასჯის გამოყენება. სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ემსახურებოდა სასჯელის რამდენიმე მიზანს ერთობლივად: დამნაშავის დასჯას, დანაშაულის პრევენციას, დამნაშავის გამოსწორებას და საზოგადოების დაცვას(დამნაშავის გარიდებით). მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გენერალური პრევენციის მიზნით დანიშნულმა მოიცვა სკანდინავიის ქვეყნები, რაც გახდა დასჯის მიზნის გაქრობის საფუძველი სასჯელის მიზნებში. სწორედ სასჯელის მიზნების ერთობლივად გამოყენებამ განაპირობა სიკვდილით დასჯის ჩანაცვლება თავისუფლების აღკვეთით, რომელიც ძირითადად გამოიყენება დღემდე.

1.4. სასჯელის მიზნები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის მიღებამდე, სანამ ის ინგლისის ერთ-ერთ კოლონიას წარმოადგენდა მათზე ვრცელდებოდა მონარქის მიერ მიღებული სასჯელის სახეები, რომელიც გათვალისწინებული იყო ინგლისის კოლონიებში. სიკვდილით დასჯას სხვადასხვა ფორმით აღასრულებდნენ, თუმცა ძირითად ფორმას საჯაროდ ჩამოხრჩობა წარმოადგენდა. სასჯელის ძირითადი მიზანი მისი რეპრესიული ბუნება და პრევენციული ხასიათი იყო.

სასჯელის რეპრესიული ბუნება გამოიხატებოდა, დამნაშავის დასჯით, რომელსაც სამაგიეროს მიზღვის ტოლფასი შინაარსი ჰქონდა. სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულება, ემსახურებოდა პრევენციულ მიზანს, რაც იყო საზოგადოების დაშინება და ამით ხდებოდა შემდგომი დანაშაულის თავიდან აცილება¹⁰¹.

¹⁰¹ Miller W., - The Social History of Crime and Punishment in America , Los Angeles 2012, 203.

აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯა საჯაროდ ხდებოდა და სასჯელის მიზანი, რომ შესრულებულიყო აუცილებელი იყო ისეთ ადგილზე უნდა შესრულებულიყო ეს პროცედურა სადაც ხალხი იყრიდა თავს, ხოლო ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები თავად იკრიბებოდნენ, მეტიც ნაწილს მცირეწლოვანი ბავშვებიც მიყავდა, რათა მათ პატარა ასაკიდანვე შეეცნოთ დანაშაულზე რეაგირების ფორმა¹⁰².

ძირითად შემთხვევაში, ისინი ვინც კოლონიაში მსახურობდნენ მათ მიმართ ნაკლებად გამოიყენებოდა სასჯელის ფორმად სიკვდილით დასჯა, მიზეზი კი აშკარა იყო, მსახურთა რაოდენობის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯას მიმართავდნენ და ამას ჩამოხრჩობის გზით საჯაროდ აკეთებდნენ, რათა ერთის მხრივ დამნაშავე დაესაჯათ და აგრეთვე, სამაგალითო სახალხო დასჯით სამომავლო დანაშაულის ჩადენა თავიდან აერიდებინათ. თუმცა აქტიურად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დამნაშავეებს უსჯიდნენ ჯარიმის გადახდას ანდა ჯარიმასთან ერთად ან მის გარეშე საჯაროდ შერცხვენას და დასჯას ამჯობინებდნენ¹⁰³. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენდა გამათრახება, ხოლო საჯაროდ შერცხვენისთვის გაკოჭავდნენ და მყარად დააფიქსირებდნენ დამნაშავეს(ლიტერატურაში ამ „მოწყობილობას“ Pillory-ს უწოდებენ-სირცხვილის ბოძს), რათა ქალაქის მოსახლეობას ათასგვარი ნივთის სროლის შესაძლებლობა ჰქონოდათ, ამ წესით სასჯელის მიზანი დამნაშავეს დასჯასთან ერთად, საჯარო შერცხვენაცყო. რაც თავის მხრივ დამნაშავეს შემდგომ გამოსწორებას გულისხმობდა, ხოლო სახალხოდ ამ მოქმედების განხორციელება კი უზრუნველყოფდა დანაშაულის თავიდან აცილებას¹⁰⁴. ამ მეთოდით სასჯელის განსაზღვრისას უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ დროს არსებული სასტიკი სასჯელისა, კოლონიებიდან იმდენად დიდ სარგებელს იღებდა ინგლისი, რომ იძულებულები იყვნენ ყველა გადაცდომისთვის სიკვდილით დასჯა არ გამოეყენებინათ.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის აქტის მიღების პროცესში (1776 წელს). ბენჯამენ რაში (პენსილვანიის სასჯელადსრულების სისტემის დამფუძნებელი), ბენჯამინ ფრანკლინი და გენერალი ვილიამ ბრატფორდი მიიჩნევდნენ,

¹⁰²Miller W., - The Social History of Crime and Punishment in America , Los Angeles 2012,203 .

¹⁰³იქვე, 758 გვ.

¹⁰⁴Colvin M.. Penitentiaries Reformatories and Chain Gangs, New York St. Martin's press, 33, 50.

რომ სიკვდილით დასჯა არ წარმოადგენდა დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს მთელი რიგი დანაშაულებისთვის, ის პირიქით იწვევდა საზოგადოების აღშფოთებას სასჯელის ფორმის მიმართ. პენსილვანიის შტატი იყო პირველი, რომელმაც მხოლოდ პირველი ხარისხის დანაშაულებისთვის დატოვა სიკვდილით დასჯა¹⁰⁵, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება პენსილვანიის შტატში და იმ შტატებში, რომლებმაც ეს სასჯელი მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისთვის დატოვეს სასჯელის მიზნად დამნაშავის დასჯას და დანაშაულის პრევენცია სურდათ.

მე-18 საუკუნის ბოლოს მე-19 საუკუნის დასაწყისში სიკვდილით დასჯა საჯაროდ აღარ ხდებოდა და მათი აღსრულება ციხის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ჩეზარე ბეკარია მიიჩნევდა, რომ სასჯელის ასეთი ფორმა არ შეეფერებოდა არც ერთ სახელმწიფოს, ის თვლიდა რომ სასჯელი თავისი ბუნებით არ უნდა იყოს დასჯა ჩადენილისთვის, არამედ მას უნდა ჰქონდეს სხვა უფრო ჰუმანური მიზანი და მისი აღსრულების ფორმა არ უნდა იყოს დამთრგუნველი. სწორედ ამ შინაარსით ხელმძღვანელობდნენ „დამფუძნებელი მამები“. დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორის კი ბევრი იყო ისეთი, რომლებიც არ ემხრობოდნენ სიკვდილით დასჯის ფორმას და მიიჩნევდნენ რომ სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი წაართვას ადამიანს სიცოცხლე და ამტკიცებდნენ, რომ სასჯელის ამ მეთოდს ნაკლებად შეეძლო შეესრულებინა პრევენციის ფუნქცია და ამით შემდგომი დანაშაულის ჩადენისგან დაეცვათ საზოგადოება, მეტიც მისი სასტიკი ხასიათი დამღუპველი იყო საზოგადოებისთვის¹⁰⁶.

ნიუ-იორკის მაგალითის მიხედვით, მე-18 საუკუნის მიწურულს, როდესაც დამოუკიდებლობა უკვე მოპოვებული ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, სახელმწიფო მეთაურებმა ზუსტად იცოდნენ რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება დანაშაულის პრევენციას არ ემსახურებოდა და ის მხოლოდ დამნაშავის დასჯისკენ იყო მიმართული. აუცილებელი იყო სასჯელის მიზანი ყოფილიყო დანაშაულის თავიდან

¹⁰⁵Colvin M., Penitentiaries Reformatories and Chain Gangs, New York St. Martin's press, 38 .

¹⁰⁶Miller W., - The Social History of Crime and Punishment in America , Los Angeles 2012, 204.

აცილება და ასევე სასჯელის ფორმა უნდა ყოფილიყო ამ მიზნის მიღწევის საშუალება. 1796 წელს თომას ედის ზედამხედველობით ჩამოყალიბდა პენიტენციური სამსახური, რომელიც ჰუდსონის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელი გრინვიჩის მიმდებარედ დაარსდა. ის მიიჩნევდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება დამნაშავეს და შესაბამისად სასჯელის ფორმად პატიმრობის განსაზღვრა ემსახურებოდა დანაშაულის თავიდან აცილებას, ხოლო სიკვდილით დასჯა კი მხოლოდ დამნაშავეს დასჯისკენ იყო მიმართული¹⁰⁷.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დროის თანმიმდევრულად სასჯელის ფორმის სისასტიკე იცვლებოდა და თავად სასჯელი კი არა, რადგან დასახული მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებად მძიმე დანაშაულებებზე რეაგირებისთვის კვლავ სიკვდილით დასჯა მიაჩნდათ მართებულად. აღნიშნულს მოწმობს, საჯარო ადგილების ნაცვლად ციხის კედლებში აღსრულებული სიკვდილით დასჯები. თუმცა დროთა განმავლობაში სიკვდილით დასჯისთვის სახჩობელების გამოყენება შეწყვიტეს და 1930-იანი წლების მიწურულს ნევადის შტატთან ერთად თერთმეტმა შტატმა შემოიღო სიკვდილით დასჯის წესი, რომელიც ლეტალური გაზის გამოყენებით ხდებოდა, რადგან მიიჩნევდნენ რომ ჩამოხჩობის დროს ძლიერ ტკივილს განიცდიდა დამნაშავე და ამით არა თავად სასჯელით დამდგარი შედეგი გახდა ჰუმანური, არამედ დასჯის მეთოდი¹⁰⁸.

1890 წელს ნიუ-იორკის შტატი იყო პირველი სადაც ელექტრო სკამის გამოყენებით ახორციელებდა სიკვდილით დასჯას. სასჯელის მეთოდის ამგვარი ფორმირებით, დამნაშავეს დასჯის მიზანი ისევ აქტუალური დარჩა, თუმცა სიკვდილით დასჯის საჯაროობის მოსპობით მისი ის პრევენციული მიზანი რაც სასჯელის ამ ფორმის გამოყენებას წლების განმავლობაში ამართლებდა უბრალოდ გაქრა.

ამერიკაში მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი Michael J. Reed, სასჯელის მიზნებზე საუბრისას გამოყოფს სასჯელის გამოყენებას დაშინებით(პრევენცია). ის აღნიშნავდა ამ თეორიის განხილვისას, რომ თანდათანობით სასჯელის მიზნების გამოკვეთა მოხდა, რაც მოიცავს იმ ფაქტს, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება მხოლოდ

¹⁰⁷Miller W., - The Social History of Crime and Punishment in America , Los Angeles 2012, 57

¹⁰⁸იქვე, 57-58 გვ.

განსაკუთრებით მძიმე სასჯელების მიმართ ხდებოდა. სხვა ჰუმანური სასჯელის გამოყენება (პატიმრობის შეფარდება) პრევენციის შინაარსს ორი მიმართულებით ავითარებდა: კერძო და საჯარო პრევენცია. მისი მოსაზრება ეფუძნებოდა ჩეზარე ბეკარიას და ბენტამის მოსაზრებებს. პატიმრობის გამოყენებით, კერძო პრევენცია მიემართებოდა თავად დამნაშავეს, რომ შემდგომ არ ჩაედინა დანაშაული, ხოლო ზოგადი პრევენცია კი საზოგადოებისკენ იყო მიმართული რათა, მათი მხრიდან არ მომხდარიყო დანაშაულის ჩადენა მომავალში¹⁰⁹.

მე-18 საუკუნის მიწურულს მე-19 საუკუნის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არაერთმა შტატმა აკრძალა სიკვდილით დასჯა და მის ნაცვლად პატიმრობის გამოყენება დაიწყო. მიზეზი კი იყო სასჯელის ისეთი მიზნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, რომელიც ემსახურებოდა დანაშაულის თავიდან აცილებას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის აღსრულების ფორმების შეფასებით, მოიცავდა ორ ძირითად მიმართულებას, რომელიც სრულად ფარავდა დანაშაულის პრევენციის შინაარსს, დამნაშავეს გამოსწორებაზე ზრუნვა და მისი საზოგადოებიდან დისტანცირება, რაც აშკარა ილუსტრირებაა კერძო და საჯარო პრევენციის¹¹⁰. როგორც აღწერს Ashley T. Rubin კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, სასჯელის სახით პატიმრობის შეფარდებით სიკვდილით დასჯის ჩანაცვლება დამნაშავეს დასჯის და ამავდროულად მასზე ზრუნვის ნათელ მაგალითს გვიჩვენებს, რადგან პატიმრობის პერიოდში მათთვის შეთავაზებული იყო კოლექტიური სამუშაო და ხდებოდა მათი საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციაზე ზრუნვა¹¹¹.

ფრანგი ფილოსოფოსი დევიდ ემილი დიურჟემი, რომელიც მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდის ამერიკა, რომელსაც ისტორიულად რიტუალური სიკვდილით დასჯიდან, სრულფასოვნად გადავიდა დამნაშავეს მიმართ უფრო ჰუმანური სასჯელის შეფარდებისკენ, რითაც უზრუნველყო სამომავლოდ დანაშაულის აცილება. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დამნაშავეთა მოთავსება,

¹⁰⁹Miller W., - The Social History of Crime and Punishment in America , Los Angeles 2012, 457.

¹¹⁰ Rothblatt H. B., Criminal Law of New York- The Revised Penal Law, Rochester-New York press, 1971,424.

¹¹¹იქვე, 424 გვ.

შემდგომ მათი ადგილზე წესრიგის უზრუნველყოფის და მათი გამოზრდა/წვრთნის მიზნით სამართლო საკნების არსებობა, განაპირობებდა დანაშაულის აცილებასთან ერთად დამნაშავის გამოსწორებაზე ზრუნვას¹¹².

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარირების საწყის ეტაპზე, მიუხედავად დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი პირების უმრავლესობის ერთიანი პოზიციისა, რომ დანაშაულზე რეაგირებისთვის სასჯელის ფორმა არ უნდა ყოფილიყო სასტიკი და მისი მთავარი მიზანი მხოლოდ დამნაშავის დასჯა არ უნდა ყოფილიყო (ბენჟამინ რაში, ბენჟამინ ფრანკლინი), ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ასეთი სასჯელების არსებობას მაინც ვხვდებით, სწორედ ამ ფაქტს მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-8 შესწორება, რომლის მიხედვითაც: „Excessive bail shall not be required, nor excessive fines imposed, nor cruel and unusual punishments inflicted.“- დანაშაულზე რეაგირებისთვის არ არის საჭირო გადაჭარბებული ჯარიმის ან სასტიკი და უჩვეულო სასჯელის დაკისრება. სწორედ ეს შესწორება გახდა იმის საფუძველი, რომ თანდათანობით სიკვდილით დასჯა გაუქმდა, რამდენიმე შტატში, თუმცა თუ სრულად მაინც არ გაუქმდა სასჯელის ეს ფორმა, დიდწილად არ გამოიყენებდნენ, რადგან ადამიანს და მის უფლებებს, მის სამომავლო გამოსწორებას და საზოგადოებაზე ზრუნვას უფრო პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ¹¹³.

აღნიშნულთან დაკავშირებით ნორვეგიელი კრიმინოლოგი, პროფესორი ნილს კრისტი განიხილავს და აყალიბებს, მოსაზრებას სასჯელის წინასწარ განსაზღვრულობას და განჭვრეტადობის შესახებ. რომლის მიხედვითაც სასჯელი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული უმართლობის წინააღმდეგ, აღნიშნული უზრუნველყოფს საზოგადოების გაფრთხილებას და დანაშაულის თავიდან აცილების მხრივ თამაშობს გადამწყვეტ როლს.¹¹⁴

¹¹² Colvin M., Penitentiaries Reformatories and Chain Gangs, New York St. Martin's press, 1997, 110.

¹¹³ http://hrlibrary.umn.edu/education/all_amendments_usconst.htm, U.S Constitution Amendment VIII, და დასახ. ნაშრომი.

¹¹⁴ კრისტი ნ., ტკვილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, 53.

ამერიკელი კრიმინოლოგი, პროფესორი მაიკლ ტონრი მიიჩნევს, რომ სასჯელის ძირითადი ფუნქცია მაინც პრევენციაა, რადგან სასჯელის დანიშვნა დანაშაულზე რეაგირების გამო ხდება იმიტომ რომ არ განმეორდეს დანაშაულის ჩადენა, თუ შევადარებთ დამნაშავის დასჯის მიზნით დეტერმინირებულ სასჯელებს, გამოჩნდება, რომ მაინც სასჯელის მთავარი მიზანი არის პრევენცია, ხოლო მსუბუქი სასჯელის ფორმა უზრუნველყოფს დამნაშავის გამოსწორებასაც¹¹⁵. პრევენციის არსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სასჯელი იქნეს დანიშნული, სწორედ ამ შინაარსის მატარებელია ამერიკის კონსტიტუციის მე-8 შესწორება¹¹⁶.

ავტორი გამოყოფს ორ მიზანს სასჯელის დანიშვნის დროს, შესაბამისი სასჯელის დანიშვნით, ერთის მხრივ ხდება დანაშაულის თავიდან აცილება, ხოლო მეორეს მხრივ დამნაშავის დაშინება, მისი დასჯა. თუმცა ჩადენილ დანაშაულთან სასჯელის ფორმის შესაბამისობას დამნაშავის გამოსწორებისკენ მივყავართ, რადგან განსაკუთრებით მკაცრი სასჯელი მასზე დამთრგუნველად მოქმედებს და იწვევს ადამიანის ღირსების და პატივის შელახვას, რაც ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზანს, პირიქით დანაშაულზე ამგვარი რეაგირებით ხდება ახალი დანაშაულის პროვოცირება, რაც გამოწვეული იქნება წინააღმდეგობრივი მოძრაობით, როგორც საზოგადოების მხრიდან ისე თავად დამნაშავის მხრიდან¹¹⁷.

1970 წლიდან, უტილიტარული იდეა პრევენციისა, გადიოდა დამნაშავის დაპატიმრებასა და მის რეაბილიტაციაზე. თუმცა დამნაშავის დასჯის მიზანი არ იყო დაკარგული, მის შესრულებას სასჯელის მსუბუქი ფორმა უზრუნველყოფდა¹¹⁸. სასჯელით დამნაშავის რეაბილიტაციის მიზანი გარკვეულწილად აქტიურად გამოიყენება ორი ათწლეულის შემდეგ, როდესაც სასჯელი და მისი აღსრულების ფორმები დამნაშავის გამოსწორებისკენ, მისი საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ იყო მიმართული.

¹¹⁵Tonry M., Crime and Justice, Purposes and Functions of Sentencing. The University of Chicago Press 2006, 8. (<https://www.jstor.org/stable/10.1086/503374>)

¹¹⁶იქვე, 8 გვ.

¹¹⁷Tonry M., Crime and Justice, Purposes and Functions of Sentencing. The University of Chicago Press 2006, 11-12. (<https://www.jstor.org/stable/10.1086/503374>)

¹¹⁸იქვე, 8 გვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1980 წელს ყოველი 1000 დაპატიმრებულიდან 196 მიესაჯა პატიმრობა, ხოლო 1990 წელს კი მათი რიცხვი 332-ს შეადგენდა. მაუერი, აცხადებს რომ პატიმრების რაოდენობის ზრდა მიზეზია არა დანაშაულის რაოდენობის ზრდის, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების.¹¹⁹

სწორედ მე-20 საუკუნის მიწურულს სასჯელის მთავარ მიზანს დამნაშავის დასჯასთან ერთად შემდგომი პრევენცია წარმოადგენდა. იმ რეფორმების ფარგლებში, რომლებიც გატარდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მან წარმოშვა ამ ორი მიზნის არსებობა. ამასთან დამატებით, თავის მხრივ პრევენციულმა მიზანმა დამნაშავის პიროვნებაზე ზრუნვის მიზანი წარმოშვა სასჯელის დანიშვნის დროს¹²⁰.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სასჯელის მიზნების ისტორიული განვითარება ამერიკის შეერთებული შტატებში იყო თანმიმდევრული. საწყის ეტაპზე, დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან სასჯელები ნაკლებად იყო ჰუმანური და მრავალფეროვანი. გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა საჯაროდ ჩამოხრჩობის ფორმით და ამით ხდებოდა როგორც დამნაშავის დასჯა, აგრეთვე პრევენციული ხასიათის მატარებელი იყო მთელი საზოგადოებისთვის, რათა შემდგომი დანაშაულის ჩადენა აცილებულიყო, მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც სიკვდილით დასჯა არ ხდებოდა საჯაროდ და მისი აღსრულება ციხის კედლებში ხორციელდებოდა, ამ შემთხვევაში პრევენციის მიზანი იმ შინაარსით რასაც დასჯის საჯაროობა ითვალისწინებდა სრულად დაიკარგა და მხოლოდ დამნაშავის დასჯის მიზანს მოიცავდა. თანდათანობით მე-19 საუკუნის მესამე ათწლეულის ბოლოდან სასჯელის ფორმად პატიმრობა გამოიყენებოდა, რაც ემსახურებოდა დამნაშავის დასჯას, გარკვეულწილად პრევენციასაც, თუმცა სასჯელის ამ ფორმით დამკვიდრდა დამნაშავის გამოსწორების მიზანი, რომელმაც თანდათანობითი განვითარება განიცადა და დღემდე განიცდის. ამერიკის კონსტიტუციის მე-8 შესწორება აღმოჩნდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, რომ სასჯელის სახით ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სასჯელი უნდა გამოყენებულიყო დამნაშავეების მიმართ, აგრეთვე ეს შესწორება მიუთითებდა,

¹¹⁹ კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ბურდული ნ. (მთარგ.), 2017,142.

¹²⁰Boerner D., and Lieb R., Sentencing Reform in the Other Washington, 28 CRIME & JUST. N71 2001, 54. <https://digitalcommons.law.seattleu.edu/faculty/634>

რომ სასტიკი და უჩვეულო სასჯელის გამოყენება დაუშვებელი იყო. სასტიკი სასჯელების აკრძალვამ საწყის ეტაპზე არა სასჯელით დამდგარი შედეგი, არამედ სასჯელის ფორმა შეცვალა (ჩამოხრჩობა- ელექტრო სკამის ან ლეტალური სამედიცინო წამლით დაძინებით ჩანაცვლდა), შედეგი დამნაშავის მოკვდინება იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასჯელის მიზანი მე-20 საუკუნის ნახევრიდან დამნაშავის გამოსწორებისკენ, მისი საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ იყო მიმართული. დამნაშავის მიმართ ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი სასჯელის გამოყენება ამ სასჯელის ფორმა და სასჯელის პროცესში (პატიმრობის პროცესში) მის მიმართ გამოყენებული აღმზრდელობითი მოქმედებები უზრუნველყოფს ამ მიზნებთან ერთად საზოგადოებაზე ზრუნვას, რადგან საწყის ეტაპზე დამნაშავის მათგან დისტანცირება და სასჯელის მოხდის შემდეგ მისი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის დაბრუნება აშკარა გამოვლინებაა სასჯელის ამ მიზნების ერთობლივად არსებობის.

სასჯელის დანიშვნის დროს განმსაზღვრელი მიზნის არსებობას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. უმკაცრესი სასჯელის დანიშვნის პრაქტიკიდან დაწყებული ნებისმიერი მსუბუქი სასჯელის დანიშვნით დამთავრებული, ყოველთვის არსებობდა ის ერთი მიზანი მაინც, რასაც ეფუძნებოდა სასჯელის დანიშვნა. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე სისხლის სამართლებრივი დანაშაულებებზე რეაგირების მიზნით დანიშნული სასჯელის მიზანს სამაგიეროს მიზლვა წარმოადგენდა. თანდათანობით სასჯელის მიზნები შეიცვალა, შეიცვალა აგრეთვე სასჯელის სახეებიც, ეს უკანასკნელი კი პირველ რიგში სასჯელის მიზნების ცვლილებით იყო განპირობებული. სასჯელის მიზნების ისტორიის კვლევის პროცესში შეინიშნება სასჯელის ძირითად მიზნად არა დამნაშავის დასჯა, არამედ დამნაშავეზე და საზოგადოებაზე ზრუნვის მოტივი. აღნიშნულის დასტურია ქართული ისტორიული წყაროები, კერძოდ, XI-XII საუკუნის პერიოდი, როდესაც სასჯელის დანიშვნით არამხოლოდ დამნაშავის დასჯას, არამედ მის გამოსწორებასაც ცდილობდნენ. აგრეთვე აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა სასტიკი სასჯელის სახეებს, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქციის 22-ე მუხლი სასჯელის

მთავარ პოსტულატად არამხოლოდ დასჯას, არამედ დამნაშავეს გამოსწორებას, მის ხელახლა აღზრდას შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით და საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებას აღიარებდა.¹²¹

ამასთან, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ინგლისში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დამნაშავეებს სიკვდილით ნაკლებად სჯიდნენ და ძირითადად თავისუფლების აღკვეთას გამოიყენებნენ სასჯელის სახედ.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე მუშაობისას, „დამფუძნებელი მამები“ არ ემხრობოდნენ სიკვდილით დასჯის ფორმით სასჯელის არსებობას, თუმცა საწყის ეტაპზე ძირითად სასჯელს მაინც სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მათი ძალისხმევით და თანდათანობით საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სიკვდილით დასჯა ძირითადად საპატიმრო სასჯელებმა ჩაანაცვლა.

სასჯელის მიზნების ერთობლივად გათვალისწინებამ უზრუნველყო მსუბუქი სასჯელების დამკვიდრება. მსუბუქმა სასჯელებმა თავისთავად განაპირობა დამნაშავესადმი არა ძალმომრეობითი ხასიათის მოქმედებების გამოყენება, არამედ ჰუმანურ მოპყრობას ჩაუყარა საფუძველი. პატიმრობის პერიოდში დამნაშავე დისტანცირებულია საზოგადოებიდან, თუმცა ეს დისტანცირება მიმართული უნდა იყოს საზოგადოების დაცვისკენ და დამნაშავეს აღზრდისკენ. ხოლო საზოგადოების დაცვის მიზანი შესრულებულად, რომ ჩაითვალოს მნიშვნელოვანია სასჯელის მოხდის პროცესში და აგრეთვე მისი დასრულების შემდეგ, პატიმარზე სათანადო ზრუნვა და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება მისი პიროვნების გათვალისწინებით განხორციელდეს, რაც ვლინდება თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გარესამყაროსთან კავშირის არსებობით, თანამედროვე საშუალებებით სარგებლობით, რათა პატიმრობის ვადის ამოწურვის ნებისმიერ დროს მას შეეძლოს საზოგადოებასთან თანაცხოვრება, როგორც მის ერთ-ერთ სრულფასოვან წევრს. ამასთან ერთად, პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელ მოქმედებებთან

¹²¹ იხ.საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1960 წლის რედაქცია.

ურთიერთკავშირში ამგვარი მიდგომა აყალიბებს სასჯელის უმთავრეს მიზნად დამნაშავეს რესოციალიზაციას.

ზემოაღნიშნული თავის დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულ სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები დროსა და სივრცეში ფორმირებას განიცდიდა. აღნიშნულზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოების განვითარების ეტაპი. თუ საწყის ეტაპზე, სისხლის სამართალში აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო სამართლის პოსტულატები, დროთა განმავლობაში მისი გამიჯვნა მოხდა საერო სამართლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე მოიპოვება საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლები, სადაც სასჯელის დანიშვნის მიზნები განსხვავდება, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართლის გავლენა მაინც ეტყობა დანიშნული სასჯელების სახეებს.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ საერო სამართლის ძეგლებში XI-XII საუკუნის პერიოდი გამოდგა გარდამტეხი, როდესაც სასჯელები გახდა მეტად უფრო ჰუმანური და სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული იყო დამნაშავეს პიროვნება, მიზანი დასჯასთან ერთად მის გამოსწორებასაც წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიაში სასჯელის სახეების და მიზნების ხშირი ფორმირება დამოკიდებული იყო საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტზე. დამპყრობელი სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის გავლენა მაინც შეინიშნებოდა სასჯელების კუთხით. ძირითადად ეს გამოიხატებოდა მკაცრი სასჯელების შემოღებით და დამნაშავეთა საჯაროდ დასჯით, რაც უზრუნველყოფდა დამნაშავეს დასჯას, ახალი დანაშაულის თავიდან არიდებას და საზოგადოების დამინებას. სწორედ ამიტომ, სასჯელის მიზნების განვითარებას საქართველოს ისტორიის მხოლოდ იმ პერიოდში ვხვდებით, როდესაც ქვეყანა იყო დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი.

როგორც ზემოაღნიშნულ თავში იქნა განხილული, საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელის ძირითად მიზნებად აღირებდა სოციალურ სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავეს გამოსწორებას და გაფრთხილებას ახალი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ, ხშირ შემთხვევაში სასჯელის სახედ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა. სასჯელის მიზანი კი ასეთ დროს, მხოლოდ დამნაშავეს დასჯა და საზოგადოების დამინება იყო.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქციის 22-ე მუხლის ჰუმანური ბუნებისა ეს კოდექსი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯასაც. შესაბამისად ნიშანდობლივია, რომ აღინიშნოს, მიუხედავად საბჭოთა სისხლის სამართლის სასჯელის მიზნად დამნაშავეს აღზრდისა და შემდგომი გამოსწორებისა, მის საპირწონედ ხშირად გამოიყენებოდა სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა, როგორც დამნაშავეს დასჯის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

სასჯელის მიზნები ევროპის ქვეყნებში და ძირითადად კი ინგლისში თანდათან ვითარდებოდა. თუ მე-16 საუკუნის ინგლისში სასჯელის ძირითადი მიზანი სიკვდილით დასჯის განხორციელებით დამნაშავეს დასჯა და მისი სულიერი განწმენდა იყო, მე-18 საუკუნეში მხოლოდ დამნაშავეს დასჯა და შემდგომი დანაშაულის თავიდან არიდება მოიაზრებოდა ძირითად მიზნად. სასჯელის მიზნების განვითარებაზე საუბრისას იგულისხმება, როგორც სასჯელის მკაცრიდან ჰუმანურ ბუნებამდე გადასვლა, აგრეთვე სასჯელის დანიშვნით სხვა მიზნების გათვალისწინება. მაგალითად მე-19 საუკუნის დასაწყისში სასჯელის სახე „კიდურის მოკვეთა“ ჩანაცვლდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.¹²² ბეკარია განაზოგადებს სასჯელის მიზნებს და განმარტავს, რომ სასჯელის მიზანი არ უნდა იყოს პიროვნების დასჯა, არამედ ის დამნაშავეს აღზრდას და დანაშაულის თავიდან აცილებას ანიჭებს უპირატესობას.

შესაძლებელია ითქვას, რომ ევროპის ქვეყნებში მე-18 საუკუნეში სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა მაინც გამოიყენებოდა, რომლის მიზანსაც დამნაშავეს დასჯა და პრევენცია წარმოადგენდა. თუმცა, თანდათანობით ევროპის ქვეყნებში სიკვდილით დასჯას ანაცვლებს სხვადასხვა სასჯელები, რომლებიც ყურადღებას უთმობენ დამნაშავეს გამოსწორებას, მის აღზრდას, სამართლიანობის აღდგენას და დანაშაულის თავიდან არიდებას, როგორც დამნაშავეს ისე საზოგადოების მხრიდან. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სასჯელის დანიშვნის დროს, რამდენიმე მიზნის ერთობლივად გათვალისწინებამ გამორიცხა სიკვდილით დასჯის გამოყენება. ეს პროცესი თანდათანობით ვითარდებოდა და დღემდე ვითარდება მსუბუქი სასჯელების

¹²² კრისტი ნ., ტკვილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, უმანგი ბახტაძე (მთარგ.), 2017,17

გამოყენებით, რომლებიც ერთდროულად მოიცავს ყველა ამ მიზანს, რაც გამორიცხავს განსაკუთრებით მკაცრი სასჯელების გამოყენებას.

ამერიკის შეერთებული შტატებში სანამ ის ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა ვრცელდებოდა ინგლისის მონარქის მიერ მიღებული კანონმდებლობა, რომელიც იყო განსაკუთრებით მკაცრი. სიკვდილით დასჯის საჯაროდ ორგანიზება, მიზნად ისახავდა დამნაშავის დასჯას და საზოგადოების დამინებას. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სასჯელის მიზნების განვითარების მიუხედავად სიკვდილით დასჯა სასჯელის სახედ მაინც რჩებოდა. თუმცა სასჯელის მიზნად დამნაშავის გამოსწორების გათვალისწინებამ უზრუნველყო სიკვდილით დასჯის გამოყენების შეჩერება. სწორედ მე-20 საუკუნის მიწურულს სასჯელის მთავარ მიზანს დამნაშავის დასჯასთან ერთად შემდგომი პრევენცია წარმოადგენდა. ნაშრომში მიმოხილულ შემთხვევები კარგად ჩანს, რომ აღნიშნული განპირობებული იყო სიკვდილით დასჯის გაუქმებით, რომელიც რამდენიმე შტატმა გაიზიარა. ძველი წესრიგის უარყოფის გარეშე ახალზე გადასვლა შეუძლებელია. შესაბამისად მე-20 საუკუნიდან სასჯელის მთავარ მიზნად განიხილავდნენ მსჯავრდებულის გამოსწორებას, მის აღზრდას და რეაბილიტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მიზნების ისტორიის შესწავლამ და განზოგადებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სასჯელის მიზნები საზოგადოების განვითარების პარალელურად ვითარდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე და ეტაპობრივად აქცენტირება კეთდებოდა სასჯელის უმთავრეს მიზანთან, კერძოდ დამნაშავის რესოციალიზაციასთან.

თავი II. დამნაშავეს რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

2.1. რესოციალიზაციის ცნება

პირველი დანაშაული, რომელიც ადამიანმა ჩაიდინა, ეს იყო აკრძალული ხის, ცნობისა კეთილისა და ბოროტისა, ნაყოფის ზიარება, აღნიშნული ქმედებისათვის უფლის სასჯელით განდევნილ იქნა ადამიანი სამოთხიდან, თუმცა ადამიანს ასევე უფლის განაჩენით შეუძლია სამოთხეში კვლავ დაბრუნება, თუკი იგი მის ცნებებს დაიცავს, წუთისოფელში ცხოვრების პერიოდში. თანამედროვე სამყაროში, ვფიქრობ ჩვენც, სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართებას, კერძოდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ დანაშაულის ჩადენით არ სრულდება ყველაფერი და კანონმდებელი უტოვებს შანსს ნებისმიერ დამნაშავეს, რათა მოინანიოს ჩადენილი დანაშაული და გამოსწორებული სახით დაუბრუნდეს საზოგადოებას, ისევე როგორც ადამიანი - სამოთხეს.

ცხადია განვლილი გზისა და საერთო ცნობიერების საფუძველზე საზოგადოება განსაზღვრავს მისთვის მისაღებ ნორმებსა და ქცევის წესებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება. ამერიკელი სოციოლოგის, ჰივარდ ბეკერის, მოსაზრების თანახმად, „ქმედებები თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიატობა¹²³ სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები.“¹²⁴ დანაშაული წარმოადგენს დელიქვენტურ ანუ ნორმიდან გადახრით ქცევას. დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ყველა სტადიაზე არსებობდა და მომავალშიც იარსებებს, შესაბამის სასჯელებთან ერთად.

¹²³ „დევიატობა იმ ქცევის აღნიშვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს...[თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედებაფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიატური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს დევიატის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას, ეკოდუა და სხვა(სარედ.ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი 2004, გვ.54.

¹²⁴ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, თბ., 2011,47.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომლებიც დგას მის წინაშე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო, თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია.

პროფ. მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რომ რესოციალიზაციის „მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი დაეკარგება და იგი სამაგიეროს მიზლის სახესხვაობად გადაიქცევა.“¹²⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლი სასჯელის მიზნების ჩამონათვალში პირველ ადგილზე სამართლიანობის აღდგენას აყენებს, არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა სასჯელის უმთავრესი მიზანია.

ვერ დავეთანხმები პროფ. ი. დვალის მოსაზრებას, რომ სასჯელის უპირველესი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა. იგი წერს: „თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, განა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა? ბუნებრივია, არა, რადგან ეს სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე ძირს გამოუთხრის“¹²⁶ და შესაბამისად მიმაჩნია, რომ დამნაშავეის რესოციალიზაცია არის სასჯელის უმთავრესი მიზანი.

საინტერესო ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას. იგი, ზოგადად, სასჯელის მიზნის განხორციელების საკითხს შეეხება, 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი

¹²⁵ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბ., 2014, 23.

¹²⁶ დვალის ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 25.

განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.” თუმცადა, ცოტა ბუნდოვანია კანონის აღნიშნული დეფინიცია, თანაც გაურკვეველია ვის მოიაზრებს კანონმდებელი მითითებულ მუხლში მოხსენიებულ „სხვა პირში.” ვინაიდან სისხლის სამართალი იცნობს მხოლოდ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ცნებებს. შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა თუ ვის მოიაზრებს კანონმდებელი სსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგ სიტყვებში „სხვა პირი“?!

სსკ-ის 39-ე მუხლი კიდევ ერთ უზუსტობას შეიცავს, კერძოდ ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით,” რაც რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან პატიმრობის კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლებში საუბარია, მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიმართ გასატარებელ რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებსა და სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებზე.

ამ შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული იმ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის განხორციელებისა და ამ პროცესზე კონტროლის რა საშუალებებს იყენებს სახელმწიფო, რომელთაც არასაპატიმრო სასჯელი შეეფარდათ.

მ.ლევკვიშვილიც მსგავს მოსაზრებას ავითარებს და დასძენს, რომ: „პატიმრობის კოდექსში საუბარია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებზე და არაფერია ნათქვამი იმ პირებზე, რომელთაც არასაპატიმრო სასჯელი შეეფარდათ. მაგ: პირობითი მსჯავრი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და სხვა. მსჯავრდებულთა ეს ჯგუფი რეალურად არ არიან თავისუფლებააღკვეთილები და ამიტომ როგორ უნდა მოხდეს მათ მიმართ რესოციალიზაციის მიზნის განხორციელება გაუგებარი რჩება.”¹²⁷

სსკ-ის 39-ე მუხლთან მიმართებაში, მსურს ასევე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ტერმინ „დამნაშავის“ ცნებაზე. პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს, რომ ტერმინი დამნაშავე არაიურიდიული ტერმინია. დანაშაულის ცნება სისხლის

¹²⁷ ლევკვიშვილი მ., სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა ავტორთა კოლექტივი, თბ., 2018, გვ.483-484

სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა, მაგარამ ამ ცნებიდან ტერმინი „დამნაშავის ლოგიკური გამოყვანა სულ მცირე ორი შეცდომაა. პირველი შეცდომა აქ ისაა, რომ „დანაშაული“ გაგებულია არაიურიდიულად, სოციოლოგიურად, როდესაც გაიგივებულია ქმედების ფაქტობრივად ჩადენა და მისი იურიდიული კვალიფიკაცია დანაშაულად. ვიდრე სასამართლო ქმედებას საბოლოოდ არ დააკვალიფიცირებს დანაშაულად, მანამდე დანაშაული იურიდიულად არ არსებობს. მეორე შეცდომა ისაა, რომ ტერმინი დამნაშავე გამოხატავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სისხლის სამართალი კი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს სისხლის სამართლის პროცესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის სამართლებრივი სტატუსია: ბრალდებული და მსჯავრდებული. აქედან გამომდინარე ტერმინი დამნაშავე არაიურიდიული ტერმინია, იგი სოციოლოგიური მნიშვნელობისაა. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში უნდა იყოს „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“ და არა „დამნაშავის რესოციალიზაცია“.¹²⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა საჭიროებს დახვეწას და მასში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრას. გარდა ამისა სასურველად მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი იძლეოდეს ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას.

სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას იძლევა პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ: „მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.“ ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.“

¹²⁸ ნაჭყებია მ., სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, 157-158.

„რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავეს გამოსასწორებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი.“¹²⁹

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოო ჯამში, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს.¹³⁰

ტერმინი რესოციალიზაცია ორი სიტყვის „რე“_ს და „სოციალიზაციის“ შერწყმის შედეგადაა მიღებული. „რე“ არის თავსართი, ხოლო „სოციალიზაცია“ კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: 1) ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას, რომელსაც შეისწავლის რიგი მეცნიერებები (პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ეთნოგრაფია და ა.შ.); 2) ადამიანის, ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების სრულფასოვან წევრად იქცეს; მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას (აღზრდა), ასევე სტიქიურ, სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე.¹³¹

რესოციალიზაციის ზუსტი დეფინიციისათვის აუცილებლად უნდა განვიხილოთ თუ რა არის სოციალიზაცია.

სოციალიზაცია არის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდს უყალიბდება მისი კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევები, სტანდარტები, ღირებულებები.¹³²

¹²⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014., 81

¹³⁰ შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბ., ფრაიბ., სტრას., 2016, 162.

¹³¹ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007, 748.

¹³² ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რედ. ქიტიაშვილი ა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ. 2010.

სოციალიზაცია არის ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების შეთვისების პროცესი.¹³³

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოციალიზაცია არის მთელი ცხოვრების პროცესი, რომელიც სხვადასხვა ფაზებად იყოფა. პირველი სოციალიზაციის ფაზა იწყება დაბადების შემდეგ და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განვითარებისათვის. აქ საუბარია პირველად სოციალიზაციაზე, რომელიც განსაკუთრებით ყალიბდება ოჯახში. მეორე ფაზაში (საშუალო სოციალიზაცია) (საბავშვო ბაღში, სკოლაში) – საკუთარი სექსუალობა, იდენტობის აღმოჩენა და ცხოვრების პერსპექტივის განვითარება არის წინა პლანზე. მესამე ფაზა (უმაღლესი სოციალიზაცია) გვხვდება პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მესამე ფაზაში ინდივიდმა ზუსტად ის უნდა განახორციელოს, რაც ზემოაღნიშნულ ფაზებში ისწავლა. ბოლო ფაზა (მეოთხეული სოციალიზაცია) ეხება ასაკის სტადიას.¹³⁴

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ, რომ რესოციალიზაცია არის სოციალიზაციის პროცესის ნაწილი. „რე“, როგორც თავსართი მიუთითებს ადამიანის საზოგადოებაში დაბრუნებას.¹³⁵

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მჭიდრო კავშირშია მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან. ხშირად რესოციალიზაციას პირველად ან შემცველ სოციალიზაციასაც ეძახიან. აღნიშნულით ყურადღება მახვილდება ადამიანის სოციალიზაციის პრობემების პრობლემებზე, არასაკმარის სოციალიზაციაზე, რომელმაც შესაძლოა განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება.¹³⁶

¹³³მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, (შემდგენელი ურიდია სამ. და სხვ., რედ. გურგენიძე ვ.), თბ., 2004, 483.

¹³⁴Freudenthal S., Licht C., Zur Effektivität von Resozialisierungsmaßnahmen: Stimmt die These des „nothing works“? Norderstedt Germany, 2006,13.

¹³⁵ Schneck C., Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 5.

¹³⁶ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ.,2014, 75.

მიმაჩნია, რომ სოციალიზაციასა და რესოციალიზაციას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალიზაციის ნაკლებობა საჭიროებს რესოციალიზაციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რესოციალიზაცია სჭირდება იმ ადამიანებს, რომელთა სოციალიზაციაც შეჩერებულია.

რუსი კრიმინალისტი მ. რიბაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ასევე სოციალიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ამასთან, იგი მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია ძირითადად მათი გამოსწორების გზით ხორციელდება.¹³⁷

პროფ. მზია ლეკვეიშვილი მართებულად მიუთითებს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული რესოციალიზაციის ცნება სრულად და დამაჯერებლად ვერ ასახავს სასჯელის ამ მიზანს. ფაქტობრივად არ არის განმარტებული რესოციალიზაციის არსი. ცხადია, რომ რესოციალიზაციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების წევრთა შორის თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს საბოლოო შედეგია. უპირველეს ყოვლისა, ამ შედეგის მისაღწევად სავალდებულოა მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებით.¹³⁸

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მიუთითებს მსჯავრდებულ პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზე. ვფიქრობ, ამ მიმართებით, პატიმრობის კოდექსი ადგენს მაღალ სტანდარტს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ სასჯელის მიზანი - მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მართალია მსჯავრდებული არღვევს ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის ფაქტები არ ფიქსირდება. ამ მხრივ მართებულია პროფ. გ. ტყეშელიაძის მსჯელობა, სადაც იგი მიუთითებს, რომ მთავარია მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის

¹³⁷ Рыбак М., Ресоциализация осужденных к лишению свободы, Саратов, 2002, 17-18.

¹³⁸ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 54.

რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია.¹³⁹

ამავე საკითხზე მართებულად მსჯელობს ასევე პროფ. გ. ნაჭყებიაც : „სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების კანონიერი ფორმა, ზნეობრივად ვერ შეფასდება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი, როგორც ზნეობრივი მიზანი, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს სახელმწიფო იძულების იმ უკიდურესი ზომით, როგორცაა სასჯელი. მსჯავრდებულის „მორალური“ გამოსწორების მიზნის საშუალებად სასჯელი ვერ ჩაითვლება. სასჯელი „მორალური“ გამოსწორების მიზნის მიღწევის საშუალებად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ სასჯელს „მორალური“ გამოსწორების მიზანს დავუსახავთ, ხოლო ეს მიზანი სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში ვერ ხორციელდება, მაშინ სასჯელი არაეფექტიანად უნდა ჩაითვალოს.“¹⁴⁰

პროფ. მ. შალიკაშვილი ასე განმარტავს რესოციალიზაციის ცნებას: „რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 36-ე მუხლის მეორე პუნქტით) მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავეს გამოსასწორებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი“.¹⁴¹

დამნაშავეს რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება გულისხმობს დამნაშავეს პიროვნების ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ არღვევს სისხლის სამართლის კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს.¹⁴²

აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორცაა გამოსწორება, აღზრდა, ინტეგრაცია, მკურნალობა და

¹³⁹ ტყემელიაძე გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 409.

¹⁴⁰ ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, სამართალი, თბ. 1995, #3-4, გვ. 42-43.

¹⁴¹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 8.

¹⁴² არსოშვილი გ., დამნაშავეს რესოციალიზაცია, თბ., 2009, 6.

რეაბილიტაცია და შესაბამისად მართებულად მიმაჩნია ყურადღება გავამახვილოთ თითოეული მათგანის განმარტებაზე, კერძოდ:

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოსწორება და რესოციალიზაცია ხშირად გაიგივებულია და სინონიმებად გამოიყენება. ამასთან, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ, რომ სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს მოქალაქის, მისი ნების საწინააღმდეგოდ გამოსწორება, რის გამოც გამოსწორება აღარ გამოიყენება.¹⁴³

ბოლო პერიოდში ტერმინი გამოსწორება რესოციალიზაციასთან მიმართებით აღარ გამოიყენება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სსკ-ის 22-ე მუხლი სასჯელის მიზნად მიიჩნევდა მსჯავრდებულთა გამოსწორებას და მათ ხელახლა აღზრდას. თავისთავად დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მსჯავრდებულთა გამოსწორებას და აღზრდას აღარ ითვალისწინებს და სასჯელის მიზნად რესოციალიზაციას მიიჩნევს.

დამნაშავის გამოსწორებაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როცა მის შეგნებაში, სასჯელის ზეგავლენით ხდება ცვლილებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მართალია დამნაშავე არ იქცევა ჩვენი საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ წევრად, მაგრამ უკვე საზოგადოებისთვის უსაფრთხოა.¹⁴⁴

ი. ნოის აზრით, „გამოსწორება“ – ეს მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის არჩადენაა, არა სასჯელის შიშიდან გამომდინარე, არამედ იმის გამო, რომ ეს ეწინააღმდეგება მის ახალ შეხედულებებსა და მრწამსს. მ. შარგოროდსკი თვლიდა, რომ გამოსწორების მიზანი სასჯელისათვის ნიშანდობლივი არ არის, მაგრამ ამასთანავე მიაჩნდა, რომ „გამოსწორების“ მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, თუკი სამართალდამრღვევი, რომელმაც სასჯელი მოიხადა, აღარ ჩაიდენს დანაშაულს.¹⁴⁵

მ. რიბაკს მიაჩნია, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოსწორება. რესოციალიზაცია თავისთავად გულისხმობს დამნაშავის მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, დესოციალიზებული პიროვნების

¹⁴³ Scholz M., Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, 6-7.

¹⁴⁴ ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, #3, თბ., 2004, 55.

¹⁴⁵ იქვე, 56 გვ.

ხელახალ სოციალიზაციას, მისი შემდგომო თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადებას. სასჯელის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა, გარდა გამოსწორებისა, სხვა გზებითაც ხდება. მაგ: გარკვეული პირობების შექმნა სოციალური სამყაროსთან ნეგატიური კავშირების გადასაწყვეტად; მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი საქმიანობა; ამ პირების სოციალური ადაპტაცია და სხვა. ესე იგი მსჯავრდებულის გამოსწორება სასჯელის დამოუკიდებელი მიზანი კი არ არის, არამედ სასჯელის მიზნის (დამნაშავის რესოციალიზაციის) მიღწევის პენიტენციური საშუალებაა. აქედან გამომდინარე, მართებულია კანონმდებლის ზემოხსენებული პოზიცია, რითაც მან სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის გამოსწორების ნაცვლად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია აღიარა.¹⁴⁶

პროფ. მ. ლეკვიშვილი მიუთითებს, რომ ტერმინების სხვაობის და მიუხედავად, რესოციალიზაციაც თავის თავში დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს. აღზრდის შემდეგ ეტაპად კი უნდა ჩავთვალოთ უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება.¹⁴⁷

რაც შეეხება ტერმინ აღზრდას, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ აღზრდა არის პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი, ყოფაქცევის ჩვევათა გადაცემა.¹⁴⁸

თავისთავად კანონმდებელმა სავსებით სწორად თქვა უარი 1960 წლის კოდექსში ნახსენებ სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორცაა მსჯავრდებულის „ხელახალი აღზრდა“, რადგან იგი, ერთი მხრივ, მოიაზრება კიდევ მსჯავრდებულის გამოსწორებაში, ხოლო მეორე მხრივ, აშკარად არარეალურია სისხლის სამართლისათვის. სასჯელის მიზანი, გამოსწორის დამნაშავე, მიღწეულად ჩაითვლება უკვე მაშინ, როცა დამნაშავე პირი აღარ

¹⁴⁶ ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, #3, თბ., 2004, 56 .

¹⁴⁷ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 55.

¹⁴⁸ უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, (3 ტომად), შემდგ. ელერდაშვილი ა., თბ., 2006.

ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც მის მიმართ სასჯელის შესაძლო გამოყენების შიშით, ანუ მიეჩვევა კანონის პატივისცემას, როგორც იტყვიან იურიდიულად გამოსწორდება.¹⁴⁹

რადბრუხი აღზრდას მიიჩნევდა გამოსწორების ალტერნატიულ ცნებად. ამავდროულად იგი აღნიშნავდა, რომ ამ ტერმინთან დაკავშირებით არსებობს დიდი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ აღზრდა ზოგადად ძალიან საკამათოა და არ არსებობს საბოლოო ახსნა აღზრდისა და გამოსწორების გასამიჯნათ, აღზრდა ზრდასრულთა სისხლის სამართალში არის შეუსაბამო, ხოლო არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში კი აღიარებულია. რადბრუხის აზრით, ზრდასრულებმა შეიძლება შემდგომი განათლება მიიღონ, მაგრამ არა აღიზარდონ.¹⁵⁰

აღზრდა სრულწლოვანთა სისხლის სამართალში შეუსაბამოა, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კი აღიარებულია. ზრდასრულებმა შეიძლება შემდგომი განათლება მიიღონ, მაგრამ არა აღიზარდონ.¹⁵¹

გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს, თუ იგი არასრულწლოვანია, ხოლო თუ იგი ზრდასრულია - რესოციალიზაციაზე. „ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ აღზრდას გულისხმობს“¹⁵²

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოციალიზაცია არის ბავშვის ან მოზარდის პიროვნების განვითარების პროცესი. სოციალიზაციას მნიშვნელოვანი როლი აქვს სანქციათა სისტემის სფეროში. აქვს დასჯილ ადამიანს სოციალიზაციის პროცესი გავლილი? ეს იქნებოდა საფუძველი, რათა ვისაუბროთ რესოციალიზაციაზე. შოხი გამოდის იქედან, რომ ბევრ დამნაშავეს ეს პროცესი ჯერ არ აქვს ან მხოლოდ მიზერულად აქვს გავლილი. ამ შემთხვევაში, მისი აზრით ეს იქნება არა საზოგადოებაში ინტეგრაცია, არამედ ახალი ინტეგრაცია. ჰილბრანდი მხარს უჭერს შოხს. იგი ამბობს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც დანაშაულს მხოლოდ იმიტომ ჩადიან, რომ ისინი საზოგადოებაში ვერ მკვიდრდებიან.

¹⁴⁹გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბ., 2001,10.

¹⁵⁰Schneck C., Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, 6.

¹⁵¹ ვარძელაშვილი ი. ., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 91.

¹⁵² შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 78.

მისი წინადადებაა, სოციალიზაციის ცნება გამოვიყენოთ, ვინაიდან იგი რესოციალიზაციის ცნებას მოიცავს.¹⁵³

მიუხედავად გარკვეული ურთიერთკავშირისა, რესოციალიზაციასთან მიმართებაში ცნება მკურნალობის გამოყენება მიუღებელია, ვინაიდან „პატიმრობის კოდექსის“ თანახმად, მასში მოიაზრება ჯანმრთელობის მკურნალობა. რესოციალიზაცია ორიენტირებულია ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის მენტალობის, შეხედულებების ცვლილებაზე, ხოლო მკურნალობისას ჯანმრთელობაზე ხდება ზემოქმედება.

მკურნალობის ცნებას იყენებს საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, რომლის თანახმადაც, მკურნალობაში იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მკურნალობა და დახმარების გაწევა.

მკურნალობა მოიცავს ყველა იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა რესოციალიზაციის მისაღწევად. ამ ორ ცნებას შორის არსებობს ურთიერთკავშირი, ვინაიდან, რესოციალიზაცია მკურნალობის მეშვეობით მიიღწევა.¹⁵⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაციასა და მკურნალობას შორის ძირითადი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ რესოციალიზაცია გულისხმობს ჯანმრთელი ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციას, ხოლო მკურნალობაში მოიაზრება კომპლექსური სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მიზანია მსჯავრდებულთა გამოჯანმრთელება, რის შემდეგაც უნდა მოხდეს კვლავ მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

რესოციალიზაციასთან მიმართებაში ასევე ხშირია ინტეგრაციის ცნების გამოყენებაც. ინტეგრაცია არის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანია ცალკეულ ჯგუფთა თვითიდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქცევა.¹⁵⁵

ინტეგრაცია გულისხმობს, რომ სოციალური მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება, სოციალური უთანასწორობა შემცირდება, ასევე მოიცავს

¹⁵³Schneck C., Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, 6-7.

¹⁵⁴ იქვე, 7-8 გვ.

¹⁵⁵ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების საქართველოსთვის, თბ., 2004.

შესაძლებლობების უკეთეს განაწილებას და სოციალური უსაფრთხოების გაძლიერებას. ინტეგრაციის ცნება დაკავშირებულია რესოციალიზაციის ცნებასთან უმეტესწილად პატიმრობისგან გათავისუფლების კუთხით.¹⁵⁶

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ ინტეგრაცია გულისხმობს სოციალური მომსახურეობის ყველასათვის ხელმისაწვდომობას, განათლების მიღებას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას, ასევე შესაძლებლობების უკეთეს განაწილებას და სოციალური უსაფრთხოების გაძლიერებას.¹⁵⁷

ინტეგრაციის ცნება დაკავშირებულია რესოციალიზაციის ცნებასთან უმეტესწილად პატიმრობისგან გათავისუფლებასთან მიმართებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროებში გამოიყენება. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში, ფსიქიკურ ავადმყოფებში, ახალგაზრდების მუშაობაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეს ცნება საკმაოდ დადებითად არის შეფასებული.¹⁵⁸

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით სოციალური ინტეგრაციის ცნებას. სოციალური ინტეგრაცია არის პროცესი, დინამიური ურთიერთქმედების მეშვეობით ინდივიდუალური პროცესებს, სოციალურ ფაქტორებსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის.¹⁵⁹

„სოციალური ინტეგრაციის ცნება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეს უმეტესი პრობლემები ექმნება საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებობის მეშვეობით, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს დამნაშავესა და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას.¹⁶⁰

¹⁵⁶ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 93

¹⁵⁷ Weber K., Strafe und Ausgrenzung statt Hilfe und Integration? Möglichkeiten, Grenzen und Perspektiven der Sozialen Arbeit in der Resozialisierung. Utopie kreativ, H. 160 (Februar 2004), 106

¹⁵⁸ Mayr F., Integration von Haftentlassenen. Möglichkeiten und Grenzen im Rahmen betreuter Wohnformen, 2003, 10.

¹⁵⁹ Gautschi J., Rügger C., Vom Strafvollzug in die Freiheit. Risikoorientierung und Übergangsmanagement: aktuelle Entwicklungen in Bewährungshilfe und Sanktionenvollzug, Sozialaktuell, NR. 12_ Dezember, 2009, 22.

¹⁶⁰ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 94

ინტეგრაციის ცნება სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხშირად რესოციალიზაციის ალტერნატივად არის შემოთავაზებული. სოციალური ინტეგრაცია აჩვენებს, რომ პირველ ადგილზეა საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა. სოციალურ ინტეგრაციასა და რესოციალიზაციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და მსგავსი მიზნები აქვთ.¹⁶¹

აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციის კონტექსტში ასევე ხშირად გამოყენებულია რეაბილიტაციის ცნება.

რეაბილიტაცია ძირითადად სამედიცინო სფეროს ტერმინს წარმოადგენს. გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება განკურნებას, ძალის აღდგენასა და ინტეგრაციას.¹⁶²

რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას, მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია, ხოლო რესოციალიზაცია შეიძლება უფრო ზოგადი იყოს, მაგალითად, საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია.¹⁶³

რეაბილიტაცია არის იმ პირთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა, რომელთაც გადატანილ დაავადებათა ან ტრავმების შედეგად შეზღუდული აქვს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები.¹⁶⁴

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ცნებები მეტად ახლოს დგას ერთმანეთთან. ამ ორი ცნების განსხვავება არის მათი მიზანი, რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას (ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია), როცა რესოციალიზაცია უფრო ზოგადი შეიძლება იყოს (საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია).¹⁶⁵

¹⁶¹ Scholz M., Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003, 8.

¹⁶² ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 95

¹⁶³ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 79

¹⁶⁴ ხარებავა მ., ესებუა ლ., გალუაშვილი მ., ეს შენი უფლებაა, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა. თბ., 2009, 84.

¹⁶⁵ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 79.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაციასთან ასოცირებული ცნებების ანალიზის გათვალისწინებით, სისხლის სამართალში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მის გარდაქმნას, კანონმორჩილ (სისხლისსამართლებრივად) მოქალაქედ ქცევასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

2.2. სახელმწიფოს ვალდებულება რესოციალიზაციაზე

სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავში მოიაზრებს თვითშეზღუდვას ხელისუფლების მხრიდან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა, ინდივიდთა თავისუფლება და თანასწორობა.

„სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მატერიალური განსაზღვრების თანახმად, მისი უმთავრესი მიზანი და ამოცანა საზოგადოებისა და ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფაა.“¹⁶⁶ სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად ელემენტებად განიხილება სამართლის უზენაესობის, კონსტიტუციის უზენაესობის, კანონის უპირატესობის, კანონის დათქმის, თანაზომიერებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპები.¹⁶⁷ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია კანონმდებლობით და სამართლებრივი პრინციპებით და მის მიერ გარკვეულ სფეროებში ჩარევა უნდა მოხდეს კანონით დაშვებულ საზღვრებში და კანონითვე გათვალისწინებულ შემთხვევებში. „სამართლებრივი სახელმწიფო სწორედ ცალკეულ ადამიანს იცავს საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან.“¹⁶⁸

ხშირად სამართლებრივ სახელმწიფოს იდეალურ სახელმწიფოსთანაც აიგევენ, მაგრამ იდეალური სახელმწიფოს იდეა სრულიად უტოპიურია. სამართლებრივი სახელმწიფო გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, როგორცაა ხელისუფლების დანაწილება და ბალანსი, მათი ავტონომიურობა, ამასთანავე ეფექტური

¹⁶⁶ იხ. კობახიძე ი. , სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, 309; ციტირებულია: Sommermann K.-P., Art. 20, in: v. Mangoldt H.

¹⁶⁷ იქვე, 310 გვ.

¹⁶⁸ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, 323.

ურთიერთკონტროლი, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების წყარო უნდა იყოს ხალხი, რაც გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, კანონის ეფექტურობა, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, აგრეთვე ხალხის სამართლებრივი თვითშეგნება. „მისაღები და პრაქტიკული ჩანს სახელმწიფოზე კანონის ბატონობა, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება.“¹⁶⁹

საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელობაზე. „სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალდამრღვევთა დევნისა და პასუხისგებაში მიცემის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს. სახელმწიფოს დისკრეციის და, იმავდროულად, პასუხისმგებლობის სფეროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო შეთანხმების საგნად ქცეული სავალდებულო ქცევის წესების დარღვევის გამოვლენა, დამრღვევ პირთა სწორად იდენტიფიცირება და ინდივიდუალურ მიდგომაზე დაყრდნობით პროპორციული, ამასთან, საკმარისი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება. შესაბამისად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, პირმა პასუხი უნდა აგოს თუ არა კანონის წინაშე ან/და რა ფორმით უნდა აგოს პასუხი, უნდა მიიღონ ამისათვის შექმნილმა ლეგიტიმურმა სახელმწიფო ორგანოებმა. მაშასადამე, ბრალმდებლის ფუნქცია უნდა იტვირთოს სახელმწიფომ, საამისოდ შექმნილი შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია, კვალიფიკაცია და მოქმედებენ საზოგადოების სახელით, კერძო ინტერესის გარეშე.

სახელმწიფო, როგორც, ერთი მხრივ, ემოციურად არდაკავშირებული მსხვერპლის/დაზარალებულის განცდასთან, ტკივილთან, სტრესთან და, მეორე მხრივ, როგორც უპირველესი ვალდებულების მქონე – დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება და საზოგადოებრივი წესრიგი, შეთანხმებული საზოგადოების წევრებს შორის, არის/უნდა იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც ობიექტურად ხელს შეუწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას, როგორც უსამართლოდ ვინმეს ბრალდების/მსჯავრდების თავიდან აცილებას, ისე კონკრეტული ადამიანებისა და საზოგადოებისათვის

¹⁶⁹ნაჭყეაბია გ., საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 67

გამოწვევადი საფრთხეების პრევენციას, ამასთან დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის/მსხვერპლის ინტერესების სათანადოდ დაცვას, მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას.¹⁷⁰

კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლება დანაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. „სამართლებრივი სახელმწიფოს წინაპირობად კანტი¹⁷¹ მიიჩნევს არსებული ხელისუფლების სამი შტოს ურთიერთკოორდინაციას, როცა ერთი ავსებს მეორეს და იმავდროულად თითოეული ექვემდებარება ერთმანეთს.“¹⁷² ასეთი სისტემის მეშვეობით ხელისუფლებამ უნდა გაიმტკიცოს მდგომარეობა, აილოს პასუხისმგებლობა და შეასრულოს დასახული მიზნები და ამოცანები.¹⁷³

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაწილია სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ძირითად უფლებებთან. მისი წარმოჩენა და მიზნების მიღწევა სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ხდება, მიზანი კი კონსტიტუციური გარანტიებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა და დაცვაა.¹⁷⁴

სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი.¹⁷⁵

სამართლებრივი სახელმწიფო მოიაზრებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ბრალდებულს უნდა მიუსაჯოს სამართლიანი სასჯელი, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

¹⁷⁰ [საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/8/594, 30 სექტემბერი, 2016](#)

¹⁷¹ კანტი ი., გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი

¹⁷² მაჭარაშვილი ზ., სამართლებრივი სახელმწიფოს იდეური მეტამორფოზები, სახელმწიფო სამართალი (III), თბ., 2001, 69-70

¹⁷³ კობახიძე ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, 311.

¹⁷⁴ ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი №1, თბ., 2014, 44

¹⁷⁵ ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი №1, თბ., 2014 48.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსამართლე აღნიშნავს: „სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიან სასჯელში, უპირობოდ არ იგულისხმება სასამართლოს მიერ მსუბუქი სასჯელის გამოყენება, არამედ სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური და უნდა ემსახურებოდეს მისი მიზნების რეალურ და არა ფორმალურ შესრულებას.“¹⁷⁶ სწორედ, ამავე მიზნებს ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის სახესხვაობა საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ მე-18, მე-40 და 42-ე მუხლები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და დარგის ფუნდამენტურ ღირებულებებს წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სახელმწიფო სამართლებრივობის პრინციპს ახორციელებს სასჯელის მეშვეობით. სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს. იგი არის სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი რეაქცია სამართლებრივი უწონასწორობის აღმოსაფხვრელად.¹⁷⁷

„სასჯელი არის სახელმწიფოს პასუხი პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებაზე. მაშინ როდესაც არსებობს საამისო საფუძველი, სახელმწიფომ უნდა შეძლოს საფრთხეების პრევენციის გზით მოქალაქეთა დაცვა. სასჯელის ფუნქციები (სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის რესოციალიზაცია, დანაშაულის პრევენცია) ძალიან მკაფიოდ მიუთითებს მათ საჯარო მიზნებზე, რომელთა მიღწევის ვალდებულება ექსკლუზიურად სახელმწიფოს კომპეტენცია და უშუალო პასუხისმგებლობაა.“¹⁷⁸

რადგან „დანაშაულებრივი ქმედება არა მარტო მართლსაწინააღმდეგოა, არამედ უმართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, „დანაშაულის“ ჭეშმარიტი უსამართლობა არსებითადაა დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ- ეკონომიკურ და პოლიტიკურ

¹⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე N2კ-367აპ-17 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება

¹⁷⁷ ვარძელაშვილი ი. , სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, 23

„სასჯელი არის სახელმწიფოს პასუხი პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებაზე. მაშინ როდესაც არსებობს საამისო საფუძველი, სახელმწიფომ უნდა შეძლოს საფრთხეების პრევენციის გზით მოქალაქეთა დაცვა. სასჯელის ფუნქციები (სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის რესოციალიზაცია, დანაშაულის პრევენცია) ძალიან მკაფიოდ მიუთითებს მათ საჯარო მიზნებზე, რომელთა მიღწევის ვალდებულება ექსკლუზიურად სახელმწიფოს კომპეტენცია და უშუალო პასუხისმგებლობაა.“

¹⁷⁸ [საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/8/594, 30 სექტემბერი, 2016](#)

წყობაზე. ... სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი.¹⁷⁹

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამართლებრივი სახელმწიფოსა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის სადარაჯოზე. ეფექტურად და მოქნილად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელის ზომები და ფორმები შეიძლება იყოს გარანტი კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმებისა და პირობების შესრულებისა. მსჯავრდებული სასჯელს მოიხდის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საპირწონედ. აგრეთვე სასჯელაღსრულების სისტემა მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელებისათვის. „მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელაღსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ პირიქით, სურს მისი დახმარება(გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისაღწევი იქნება.“¹⁸⁰

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას სიძნელები გამოიხატება საზოგადოების მისწრაფებაში მატერიალური სარგებლისაკენ, რის ნაცვლადაც სხვა ღირებულებების გაძლიერება ხელს შეუწყობს მის ჩამოყალიბებასა და სწორ ფუნქციონირებას.¹⁸¹

სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის მიზნების მუხლში აგრეთვე გვეუბნება, რომ სასჯელის დანიშვნა ხორციელდება, რათა მსჯავრდებული მართლწესრიგს მოერგოს და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მოემატოს. სასჯელის მიზნების ეს ფორმულირება სრულიად მოიცავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მთავარ იდეას. მის განხორციელებას ასევე დიდად უწყობს ხელს სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია. სასჯელი არ არის მხოლოდ დასჯისათვის, სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს სასჯელის გამოყენებით

¹⁷⁹ ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი. თბ., 2016, 65.

¹⁸⁰ შალიკაშვილი მ., სასჯელაღსრულების სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში, შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ხასია მ, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 22.

¹⁸¹ გაბუნია მ., კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბ., 2016, 233

სასჯელის მიზნების განხორციელებაში, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და რაც ყველაზე მთავარია, დამნაშავის რესოციალიზაცია.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, ციხეში პირის რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშვებათ, მათი ბრალის მიუხედავად.¹⁸²

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად ქმნის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფოს მიერ აღიარებისა და მათი დაცვის კონსტიტუციურ სამართლებრივ ფუნდამენტს და სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას მოქალაქეები ყოველგვარი უთანასწორობისაგან. აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ იმ ღირებულებათა ნაწილს, რომლებსაც თანამედროვე სახელმწიფოები ემყარება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე და სხვა.¹⁸³ როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს მიზნები და ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება საქართველოს, როგორც სოციალურ სახელმწიფოს. სოციალური სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის ობიექტი სოციალურად სუსტი, გაჭირვებული ფენები და მათი განვითარებისთვის აუცილებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა. შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სოციალურ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ წონასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას. „თუმცა ეს არ გულისხმობს სახელმწიფოს მეურვის როლში ჩაყენებას.“¹⁸⁴

¹⁸² შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. 315

¹⁸³ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი

¹⁸⁴ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, რედ. გეგენავა დ., თბ., 2019, 22.

„სოციალური სახელმწიფო, ან, როგორც ხშირად უწოდებენ, კეთილდღეობის სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობს შესაძლებლობების თანასწორობას, სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილებისა და სოციალური რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფას.”¹⁸⁵ განაწილებითი სამართლიანობა ეხება საზოგადოებაში სიმდიდრის უთანასწორო განაწილების პრობლემას და მოითხოვს სახელმწიფოსაგან სიკეთეთა გადანაწილებას, როგორც სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან საკითხს.¹⁸⁶ სწორედ განაწილებითი სამართლიანობა გულისხმობს უკიდურეს სიღატაკესა და უკიდურეს სიმდიდრეს შორის იყოს ბალანსის, წონასწორობის დამკვიდრების საყრდენი. სწორედ სოციალური სახელმწიფოს ვალია აღკვეთოს სიღატაკე, უმუშევრობა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც ადამიანთა თანაცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, განვითარებად ქვეყნებში.

„სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისაგან დაცვა. ეს ნიშნავს, რომ მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული უმუშევრობის, ავადმყოფობის, გარდაცვალებისა და სხვა რისკების გამო შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული სოციალური დისბალანსი. ამ მიზნის მისაღწევად თითოეული ადამიანს პრევენციის სათანადო შესაძლებლობა უნდა მიეცეს.”¹⁸⁷ „ბევრი კრიმინოლოგი და ზემოლოგი¹⁸⁸

¹⁸⁵ ცხადაძე თ., კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ნაცვლიშვილი ვ., ზედელაშვილი დ., თბ., 2016, 195.

¹⁸⁶ ლომთათიძე ე., საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ნაცვლიშვილი ვ., ზედელაშვილი დ., თბ., 2016, 189.

¹⁸⁷ ზაალიშვილი თ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1, 2012, 270

¹⁸⁸ ზემოლოგია შეისწავლის სოციალური ზიანის საკითხებს, მისი როგორც სწავლების ჩამოყალიბება უკავშირდება ნეო-მარქსისტებსა და ფემინისტებს, რომელთაც სურდათ შეექმნათ დამოუკიდებელი მეცნიერება რომელიც კრიმინოლოგიისაგან გამოყოფილია და აკრიტიკებს მას და დანაშაულის ცნებას. ტერმინი ზემოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „zemia,” ანუ ზიანი.

სისხლის სამართლის დანაშაულით მიყენებულ ზიანს შედარებით ნაკლებ ზიანად მიიჩნევს, ვიდრე სხვა ძირითადი ფორმებით გამოწვეულ ზიანს. სისხლის სამართალი უარყოფს ისეთ მნიშვნელოვან ზიანის სახეებს და ფორმებს, რომლებითაც ადამიანები იტანჯებიან, როგორებიცაა: სიღატაკე, შეუსაბამო საცხოვრებელი პირობები, მწირი საკვები რაციონი, გაუნათლებლობა, შეუსაბამო ჯანდაცვა, უმუშევრობა, მძიმე სამუშაო პირობები და სხვა.”¹⁸⁹

„სოციალურ უსამართლობაზე ტიპური საპასუხო რეაქციაა, რომ სახელმწიფომ დაიცვას ადამიანები სხვადასხვა ტიპის ტანჯვისაგან, მათ შორის იმ ტანჯვისაგანაც, რომელიც ადამიანებს საკუთარი ავტონომიური გადაწყვეტილებების შედეგად მიადგათ.”¹⁹⁰

ყველასათვის ცხადია, რომ „სიღარიბე დედაა დანაშაულის, სწორედ სიღარიბე აიძულებს ადამიანს ჩაიდნოს დანაშაული, რათა დაიკმაყოფილოს ყოველდღიური მოთხოვნილებები და მოიპოვოს პური არსობისა. აღსანიშნავია, რომ თანაფარდობა, მათ მიერ დანაშაულით მიღებულ სარგებელსა და დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში მათი ქმედების შედეგს შორის უპირატესობა აშკარად პირველის მიმართ იხრება. თუმცაღა საკითხავია, რომ თუ მხოლოდ სიღარიბე იწვევს დანაშაულს მაშინ რატომ ჩადიან მდიდრებიც დანაშაულს?! - იმიტომ, რომ დაიკმაყოფილონ საკუთარი სიხარბე.”¹⁹¹

„უმუშევრობასა და დანაშაულს შორის არსებობს მიმართება, რომელიც გულისხმობს, რომ უმუშევრობის მატება და ხალხის დაუსაქმებლობა პირდაპირ პროპორციულია დანაშაულის ჩადენასთან და უკუპროპორციულია ეკონომიკურ ზრდასთან და სამუშაო ადგილების გაჩენასთან მიმართებით. თუმცაღა, გარკვეული პრობლემებისა, დადებითი ასპექტი აქაც იკვეთება და უმუშევრობამ შესაძლოა პირიქით ხელი შეუწყოს დანაშაულის შემცირებას ვინაიდან უმუშევარი მშობლები მეტ დროს დაუთმობენ შვილების აღზრდას.”¹⁹² ეკონომისტთა და სოციოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით,

¹⁸⁹ Case S., Jhonson P., Maniow D., Smith R., williams K., Criminology, Oxford University Press, 2017, 74.

¹⁹⁰ ლომთათიძე ე., საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბ., 2016, გვ.175-176

¹⁹¹ Hale C., Hayward K., Wahidin A., Wincup E., Criminology, Third Ed. Oxford University Press 2013, 289.

¹⁹² Larry J.siegel, Criminology, Theories, Patterns, and Typologies, Twelfth edition, 2016, გვ.47

დღეისათვის პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, შეუძლია თუ არა პატიმრობას დამნაშავეს ხელახალი აღზრდა ან, პირიქით ხელს უწყობს თუ არა, უფრო მეტი ადამიანის ჩართვას დანაშაულებრივ სფეროში.

„პრობლემა იმაშია, რომ განისაზღვროს თუ რა პირობებში ახდენს სასჯელი დამნაშავეობაზე შემაკავებელ ეფექტს და რა პირობებში - უწყობს ხელს მის ზრდას.“¹⁹³

„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მეცნიერებასა და პრაქტიკაში სოციალური სახელმწიფოს ქვაკუთხედის - საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის - განვითარებასა და მოდერნიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის პროცესში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა წარმოადგენს.“¹⁹⁴

სასჯელის მეშვეობით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევა საეჭვო იქნება საამისოდ შესაბამისი პირობების გარანტირების გარეშე. პირიქით, შესაძლოა საწინააღმდეგო შედეგიც კი მივიღოთ და პატიმრობის შედეგად მსჯავრდებული საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების წესისა და უნარისაგან კიდევ უფრო მეტად დისტანცირდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევაში საკმაოდ დიდია და მას ეკისრება პასუხისმგებლობის დიდი ტვირთი.¹⁹⁵ რასაკვირველია, „სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია ციხის პირობები მოაწყოს ისე, რომ მსჯავრდებულისათვის გამოსწორების მომტანი იყოს.“¹⁹⁶

„ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის რეკომენდაციით (Rec(2003)23) თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობები, შეძლებისდაგვარად ბევრ თავისუფლებაში არსებული ცხოვრების პირობებთან უნდა

¹⁹³ Opp Karl Dieter, The Economics of Crime and The Sociology of Deviant Behavior, A Theoretical Confrontation of Basic Propositions, Kyklos 1989, vol.42, P.420

¹⁹⁴ უსენაშვილი ჯ., სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, თბ., 2016, .147-148.

¹⁹⁵ შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016, 114-115.

¹⁹⁶ იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 39-ე, თბილისი 2013, გვ.484.

იყოს მიახლოებული, რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთის გამო მისი სოციალური გადაგვარება.”¹⁹⁷ გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული პირის ციხის პირობებში რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულის, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად გამოსწორებული დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ, იმის მიუხედავად მიუძღვის თუ არა პიროვნულად ბრალი შეუზღუდოს სოციალური განვითარება. ასეთი პიროვნების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.¹⁹⁸

სოციალური სახელმწიფოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით უნიშვნელოვანესი როლი აკისრია, როგორც უკვე აღვნიშნე, დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს უმუშევრობა და სიღარიბე წარმოადგენს. უმუშევრობა და სიღარიბე თანამედროვე სამყაროს უდიდესი პრობლემაა და მათ შორის, არც საქართველოა გამონაკლისი, ხოლო სახელმწიფოს მიერ, ადამიანთა სოციალური უფლებების დაცვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა ე.წ. „ძვირი უფლებებია.”¹⁹⁹ თუმცაღა, მიუხედავად სახელმწიფოს ბიუჯეტის სიმწირისა და უფლებათა დაცვის სიძვირისა სახელმწიფო ვალდებულია დაინახოს საკუთარი როლი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

რესოციალიზაცია სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჭრილში სახელმწიფო, ისევე როგორც სახელმწიფოს პოლიტიკა მეტად რთული და კომპლექსური ორგანიზმია. თავად პოლიტიკა, არსებითად საკამათო ცნებაა, რადგან მას შეიძლება ბევრი მნიშვნელობა მივანიჭოთ. როგორც ცნობილია, ტერმინი

¹⁹⁷ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასაჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 33.

¹⁹⁸ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235), თბ., 2011, გვ.315

¹⁹⁹ ერემაძე ე., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016, 109;

„პოლიტიკა” მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან „Polis”- ანუ ქალაქ-სახელმწიფო, ამ სიტყვის ფუძე „მოქალაქესა” და „ქალაქს” უკავშირდება, სადაც კლასიკური ბერძნული საზოგადოება ვითარდებოდა, Politeia- კონსტიტუცია, Politikos - პოლიტიკოსი და სხვა.

ზოგადი განმარტების თანახმად, პოლიტიკა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ქმნიან, ინარჩუნებენ და სრულყოფენ, ერთად ცხოვრების ნორმებს. თავად პოლიტიკა, კი დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა კონფლიქტი და კონსენსუსი. ერთის მხრივ, საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებული მოთხოვნილებები და ინტერესთა შეუსაბამობა, წარმოშობს უთანხმოებას საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმებზე. მეორეს მხრივ, ყველას გააზრებული აქვს, რომ აღნიშნული წესების შესაცვლელად, ან შესანარჩუნებლად აუცილებელია საზოგადოების თანხმობა. მარტივად, რომ ვთქვათ, პოლიტიკა, არის სახელმწიფოსა და ხალხის მართვა-გამგეობის ხელოვნება, რაშიც თავისთავად საზოგადოებაც მონაწილეობს. თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ პოლიტიკამ სხვა ადამიანებს გაუწიოს დახმარება. როგორც, ვ.ჰაველი ამბობდა, „ჩემთვის ნამდვილი პოლიტიკა... უბრალოდ, სხვა ადამიანებისათვის სამსახურის გაწევია.”²⁰⁰ ხოლო, ამერიკელი პოლიტოლოგის რ.დალის აზრით კი, „პოლიტიკა ადამიანურ ურთიერთობათა ისეთი წყობაა, რომელიც დიდწილად მოიცავს კონტროლს, ძალაუფლებას, გავლენასა და ავტორიტეტს.”²⁰¹

სახელმწიფოს პოლიტიკა, ვლინდება სისხლის სამართალშიც, რისი დასტურიცაა, სსსკ-ის პირველი მუხლის პირველი და მესამე ნაწილები,²⁰² რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელსაც. აგრეთვე კოდექსის მიზანს წარმოადგენს, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა, რაც ასევე სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს სისხლის სამართალში.

²⁰⁰ ჰაველი ვ., (1936-2011), ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი

²⁰¹ დალი რ.ა., (1915-2014), ამერიკელი პოლიტოლოგი.

²⁰² იხ.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი და 3-ე ნაწილები

„დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სამართალი ვლინდება კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში, რომლებშიც გამოხატულია არა მარტო სამართალი, ამ ტერმინის ვიწრო იურიდიული გაგებით, არამედ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკაც. (...) პოლიტიკა საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში იმაშიც იჩენს თავს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებას. ეს შეიძლება გამოიხატოს იმაშიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ იგი სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოხატვის საქმეში უმაღლესი იურიდიული ბაზაა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკისა და სისხლის სამართლის, როგორც დარგის ერთიანობას.”²⁰³

სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ისტორიის გააზრებაც, ვინაიდან მე-20 საუკუნის, 90-ინი წლებიდან მოყოლებული საქართველოში, მჭიდროდ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კრიმინალურ სუბკულტურას,²⁰⁴ რომელიც გარკვეული კუთხით, კვაზი სასამართლო ფუნქციასაც კი ასულებდა და კრიმინალური ავტორიტეტები გვევლინებოდნენ მოსამართლის როლში.

აღნიშნულის მიზეზი კი, უპირველეს ყოვლისა, გახლდათ საზოგადოების უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, სწორედ მათში გამეფებული კორუფციიდან გამომდინარე. სწორედ მაღალი კორუფციული ფონი იწვევდა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფუნქციობას, რასაც მოსდევდა კრიმინალური სუბკულტურის მიერ სახელმწიფოს ხელისუფლების ეტაპობრივი უზურპაცია, მათი უფლებამოსილებების თანდათანობით შეთავსებისა და ხალხში ე.წ. სამართლიანი ორგანიზაციის დამკვიდრების გზით.

²⁰³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი (რედ. გ.ნაჭყებია, ი.დვალიძე), თბ., 2007, 38-41.

²⁰⁴ კრიმინალურ სუბკულტურაზე დაწვრილებით შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017.

სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების არ არსებობის გამო იყო კრიმინალი თითოეული ადამიანის ცხოვრებაში და ყოველდღიურად ხდებოდა ძალადობრივი დანაშაულები. აღნიშნულს ემატებოდა, ყველაზე გავრცელებული და დამლუპველი ნარკოტიკული დანაშაულები, განსაკუთრებით კი მათი მოხმარება. ამ პერიოდში აქტიურად მოქმედებდა ქურდული კანონები და არასრულწლოვანთა უმრავლესობას სურდა გამხდარიყო ქურდული სამყაროს წევრი. ქურდული სამყაროს, როგორც კრიმინალური ორგანიზაციის, შესუსტების პროცესი აქტიურად დაიწყო 2000 იანი წლების შემდგომ, როდესაც 21-ე საუკუნის დასაწყისში ხელისუფლება შეიცვალა და ამ უკანასკნელმა აქტიური ბრძოლა გამოუცხადა დანაშაულებრიობას, საქმე იქამდეც კი მივიდა, რო მან ე.წ. „ნულოვან ტოლერანტობა“ გამოაცხადა ყველა სახის დანაშაულთან მიმართებით.

სახელმწიფო ინსტიტუტები კი - „ყველა ციხეში“-ს პრინციპით მოქმედებდნენ. რასაკვირველია, სახელმწიფოს აღნიშნული პოლიტიკა გაუმართლებელი და სამომავლო შედეგზე ნაკლებ ორიენტირებული იყო, მაგრამ აღნიშნულმა პოლიტიკამ, გარკვეული თვალსაზრისით შედეგი გამოიღო, ვინაიდან რამდენიმე წელში დანაშაულის ჩადენამაც საგრძნობლად იკლო. ზემოაღნიშნულის პარალელურად კი, თითქმის ყოველ მეორე ოჯახში იყო ნასამართლევნი ან მსჯავრდებული პირი, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახა საზოგადოებასა და თვით სახელმწიფოზეც.

პატიმართა სიმრავლის გამო, პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ზრუნვა, არადა „სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა უნდა გამოაღვიძოს.“²⁰⁵ აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობით, სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა გაცილებით ლიბერალურია და აქტიურად ცდილობს მსჯავრდებულის მიმართ, ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა-განხორციელებას, რაც მის რესოციალიზაციას ემსახურება.

²⁰⁵ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადო აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2013, 112.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, რომელიც ცალკე თავად გამოყოფს სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგიას, რაც სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთი დასტურია საკითხის მაღალ პრიორიტეტულობის. ²⁰⁶

მნიშველოვანია ასე რესოციალიზაციის საკითხი განხილვა სამართლის ეკონომიკურ ქრილში, ვინაიდან დღევანდელ რეალობაში, უნიშვნელოვანეს როლს ფინანსები და მათი ეფექტური განკარგვა წარმოადგენს. ვფიქრობ სწორედ სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ გამოყენებას უნდა ემასხურებოდეს კანონშმოქმედება და სამართალგამოყენება.

„რატომ უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტიანობა მართლწესრიგის ფუნდამენტალური პრინციპი? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია სამართლის ეკონომიკური ანალიზის ნორმატიული ლეგიტიმაციისათვის.“²⁰⁷ აღნიშნული მეტად პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა. მოგეხსენებათ საქართველო, დიდი ეკონომიკური სტაბილურობითა ძვირი უჯდება,²⁰⁸ რაც თავის მხრივ, კიდევ აუარესებს, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ „თანამედროვე პერიოდში, სამართლის ეკონომიკური ანალიზი განსაკუთრებით პოპულარულია ჩრდილოეთ ამერიკაში. სამართლის ეკონომიკური ანალიზი არ არის შემოფარგლული სამართლის რომელიმე კონკრეტული დარგით, იგი მოიცავს, როგორც საჯარო ასევე კერძო სამართალს. სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოიცავს, როგორც კანონშემოქმედებას, აგრეთვე სამართლის შეფარდების პროცესსაც. კანონმდებელმა უნდა შეიმუშაოს ეკონომიკურად ეფექტიანი კანონები. სამართლის

²⁰⁶ <https://justice.gov.ge/?m=articles&sm=new&id=MoCvnLsGzz>

²⁰⁷ ქირია ა., სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები, ბურდული ი., რედ. საკორპორაციო სამართლის კრებული II, თბ., 2014, 17.

²⁰⁸ გამყრელიძე ი., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მესამე, თბ., 2013, 111.

შემფარდებელმა, მათ შორის მოსამართლემ, უნდა უზრუნველყოს ნორმათა ეკონომიკურად ეფექტიანი აღსრულება.”²⁰⁹

სისხლისსამართლებრივი „სანქცია უნდა იყოს ისეთი სახის, რომ მისი გამოყენებით, სახელმწიფომ დახარჯოს მცირე რესურსი და მიიღოს, რაც შეიძლება კარგი შედეგი, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.”²¹⁰

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება სისხლის სამართლის გამოყენება და აღსრულება. სახელმწიფო იხდის სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, როგორებიცაა: სასამართლო, პროკურატურა და სხვა. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო აშენებს ციხეებს და ქირაობს შესაბამის პერსონალს, რათა აღასრულოს სამართლის შემფარდებელი ორგანოების გადაწყვეტილება და უზრუნველყოს თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება, რაც აგრეთვე, გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, „რომელსაც გადასახადის გადამხდელი აფინანსებს. შესაბამისად, აქტუალურია იმის გარკვევა თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ იურიდიული სანქციის მიზნები განვახორციელოთ მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით.”²¹¹ „სამართალდამცავი ორგანოების ამოცანათა შესახებ სტანდარტული მოსაზრებების თანახმად, მათი მიზანია, დანაშაულობის ლიკვიდირება საზოგადოებაში. მაგრამ თუ შევხედავთ ამ პრობლემას სარგებლიანობა-დანახარჯების თვალსაზრისით, შეიძლება, გაჩნდეს კითხვა - რა უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას: დანაშაულობა თუ მასთან ბრძოლა?”²¹²

„სასჯელის ეკონომიის პრინციპის თანახმად, მკაცრი სასჯელები ძვირადღირებულია, ხშირად დამნაშავის ფიზიკური და ფსიქოლოგიური

²⁰⁹ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2015, 133.

²¹⁰ შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017,208.

²¹¹ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2015,134.

²¹² ბალარჯიშვილი ი., დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბ., 2010, 40

მდგომარეობისათვის მავნეა, ხოლო მისი გამოყენების შედეგი (სარგებელი) საკმაოდ საეჭვო.”²¹³

უნდა განისაზღვროს პოლიციის საქმიანობის ისეთი ფარგლები, რომ „იუსტიციის მთელი სისტემის ზღვრული სოციალური ხარჯები ტოლი იყოს თავიდან აცილებული სამართალდარღვევათა ზღვრული სოციალური სარგებლიანობისა.”²¹⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სახელმწიფო და საზოგადოება კარგავს ადამიანურ რესურსს, მსჯავრდებული პირის სახით, აგრეთვე იხარჯება, როგორც მატერიალურ- ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი, რომელიც ტვირთად ისევ საზოგადოებას და სახელმწიფოს ბიუჯეტს აწვება.

პროფ. ო.გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობებით აღჭურვას. ამავე დროს, ციხეებს ესაჭიროებათ მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომლის შენახვა ცოტა როდი უჯდება ქვეყანას. ამ მომსახურეთა შენახვა მით უფრო ძვირი ჯდება, რაც უფრო ხანგრძლივია თავისუფლების აღკვეთის ვადა, რასაკვირველია თუ პატიმართა რიცხვიც დიდია.”²¹⁵ ხოლო, „სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოითხოვს რომ ნორმათა შეფარდება ემსახურებოდეს შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას. ის არკვევს, თუ რამდენად ოპტიმალურია ეს ხარჯები. სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების აღსრულებაზე გაწეული დანახარჯებიც.”²¹⁶ კრიმინალის მიმართ პოლიტიკის განხორციელების ნებისმიერი ეტაპი, იქნება ეს დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გახსნა თუ დამნაშავის დასჯა, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ფინანსური თვალსაზრისით დამნაშავის დასჯა ანტიდოვლათს წარმოადგენს, ვინაიდან

²¹³ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, თბ., 2011, 35.

²¹⁴ Anderson W.R., The Economics of Crime, The Macmillan Press LTD 1976, Ch.2, The Social Optimal Level of Offence, 54.

²¹⁵ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მესამე, 111

²¹⁶ ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2015, 133-134 .

თავისუფლება აღკვეთილ პირს არ შეუძლია რაიმე ღირებული დოვლათის შექმნა, შესაბამისად დასჯა იწვევს დოვლათიანობის შემცირებას.²¹⁷

აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება აგრეთვე პროფ. მ.შალიკაშვილი და აღნიშნავს: „სამართლის ეკონომიკური ანალიზით ნათელი ხდება, რომ თავისუფლების აღკვეთა დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეწინააღმდეგება სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით აღსრულების (განხორციელების) პრინციპს. სხვა მდგომარეობა იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები ციხის პირობებში დასაქმდებოდნენ და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა, როგორც თავად მსჯავრდებულს, ასევე დადებითად აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზე.“²¹⁸

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ „სახელმწიფომ გაანალიზოს, თუ რომელი სახის სასჯელის გამოყენებაა მისთვის ეკონომიკურად და სასჯელის მიზნების შედეგობრივად უფრო მისაღები.“²¹⁹

აღსანიშნავია, რომ სასჯელებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელის სახეების აქტიური გამოყენება, აგრეთვე ისეთი სახის სასჯელის დანიშვნა, რომელიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული და ამავე დროს ეკონომიკური თვალსაზრისითაც გამართლებული. სამართლის ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ეკონომიკურად მომგებიანად უნდა მივიჩნიოთ, ისეთი საპროცესო შეთანხმება, რომელიც არ ითვალისწინებს პირის თავისუფლების აღკვეთას, ვინაიდან დაიზოგება სახელმწიფოს, როგორც ფინანსური, აგრეთვე ადამიანური რესურსი.²²⁰ მარტივად, რომ ვთქვათ, სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს თუ რა ღირს კანონი.²²¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჰონდეს, ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა სამართალშემოქმედებისას და

²¹⁷ ბალარჯიშვილი ი. , დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბილისი 2010,61.

²¹⁸ შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 158.

²¹⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 35

²²⁰ აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011,203-209.

²²¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2015,134.

სამართალშეფარდების პროცესში. აგრეთვე, სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზით მიღებული დასკვნა, უნდა შეესაბამებოდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ სოციალურ სამართლიანობას, შესაბამისად სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და სამართლიან გადანაწილებას.²²²

კონსტიტუციურ პრინციპებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან კავშირში, მნიშვნელოვანია ასევე მსჯავრდებულის კრიმინოლოგიური შეფასება. რათა, მსჯავრდებულის სრულყოფილი რესოციალიზაცია განხორციელდეს, ამავე დროს აუცილებელია იმ გარემო პირობებისა და ფაქტორების შესწავლა-გამოკვლევა, რომლებიც დანაშაულის ჩადენას უწყობენ ხელს. აღნიშნული კი, დაეხმარება სახელმწიფოს დანაშაულებრიობასთან ეფექტური ბრძოლის პროცესში.

პირველი დონის პრევენცია(იგივე, სოციალური, უნივერსალური) მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე და გულისხმობს, მოსახლეობაში სამართლისა და საზოგადოებრივ ღირებულებათა პატივისცემის გრძნობის ამაღლებასა და ამასთან, ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც დანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორებს აღმოფხვრავს.²²³ როგორც პროფ. მ.შალიკაშვილი აღნიშნავს: „დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზანია სასკოლო, საოჯახო, სოციალური და მასმედიის პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ საოჯახო და სასკოლო აღზრდით, სამუშაო ადგილების შექმნით, საცხოვრებელი ადგილების მოწყობით და სოციალური დაცვის პროგრამებით, თავიდან იქნეს დანაშაული აცილებული.“²²⁴

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, აბსოლუტურად ვეთანხმები, ვინაიდან ვთვლი, რომ ადამიანის დამნაშავედ ჩამოყალიბებას პიროვნების სოციალიზაცია და ის გარემო-ფაქტორები უწყობს ხელს, რომელშიც იგი ცხოვრობს. შესაბამისად, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა აღზარდონ პიროვნება და

²²²ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ.კორკელიას რედ. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012,113.

²²³ჩიხლაძე დ., დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016,33

²²⁴შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შეესებულებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017,182.

ჩამოყალიბონ სამართლისა და საზოგადოებრივი ღირებულებების პატივისცემის უნარი. ასევე, ვთვლი, რომ საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა სამართალსა და დამნაშავეობის შესახებ. რაც, თავის მხრივ, განუმტკიცებს საზოგადოებას კანონის პატივისცემას.

მიუხედავად პირველი დონის პრევენციის ზოგადი ხასიათისა, ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „აღმოფხვრას დანაშაული ფესვებში.“²²⁵ შესაძლოა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრაში მისი როლი სუსტად მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დასაწყისშივე თუ მყარი საძირკველი არ მოვამზადეთ, ისე მდგრად სახლს ვერ ავაშენებთ.

შესაბამისად პირველადი დონის პრევენცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია, დანაშაულის გამომწვევ მიზეზს დასაწყისშივე მოვულოთ ბოლო, რათა სამომავლოდ არ დაგვჭირდეს დამატებითი ღონისძიებების გატარება.

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია მიმართულია, სავარაუდო რისკ ჯგუფებისაკენ. როგორებიცაა: სავარაუდო დამნაშავეები და პოტენციური მსხვერპლები. მისი მიზანია იმ შესაძლო სიტუაციებისათვის ხელის შეშლა, როდესაც პირს შეეძლება დანაშაულის ჩადენა ან ვინმე გახდეს დანაშაულის მსხვერპლი.

„დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, ერთის მხრივ, მიმართულია დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის დაცვაზე, მაგ: მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ, დანაშაულის ჩასადენად მზადმყოფი პირების დაშინებაზე. დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა წინასწარ გატარებული ღონისძიებებით ან საერთოდ უნდა გამოირიცხოს ან მაქსიმალურად უნდა შეეშალოს ხელი მის ჩადენას.“²²⁶

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, გულისხმობს გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით ასეთ დროს ძლიერდება სოციალური და პოლიციური კონტროლი, პოტენციური მსხვერპლი სწავლობს, როგორ არ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი და სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ადგილები

²²⁵შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017,182.

²²⁶იქვე, 183 გვ.

ადიჭურვება ტექნიკური საშუალებებით. იგი პრობლემას ხედავს, დანაშაულის საფრთხის წინასწარ დადგენასა და მასობრივ კონტროლთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ მასობრივი კონტროლი და დანაშაულის საფრთხის წინასწარ დადგენა გარკვეულწილად იწვევს ადამიანის საყოველთაოდა აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას. აღნიშნული, კი ტოტალური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი.²²⁷ რაც რასაკვირველია პრობლემური სახკითხია.

დ.ჩიხლაძის აზრით, მეორე დონის პრევენცია, პირველისაგან განსხვავებით აკონკრეტებს პირთა წრეს, თუმცა ჩარევის მაღალი ხარისხის გამო ამ პირთა სტიგმატიზაციის პრობლემას ხედავს.²²⁸

მეორე დონის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ერთის მხრივ, გაზარდოს სამართალდამცავთა პრევენტაბელურობა, ხელი შეუწყოს, საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ, კი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე გააკეთოს აქცენტი, გააძლიეროს საზოგადოებაში სოციალური კონტროლის მექანიზმი და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ აქტივობებში პოლიციის მაქსიმალურ ჩართულობას, პრევენციული ზომების ეფექტურად მიღებისა და სოციუმთან უფრო მჭიდრო, ლიბერალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით. აღნიშნულით მიიღწევა ორი სასარგებლო შედეგი: პირველი, პრევენციული ზომების გატარება შეამცირებს ყოველდღიურად იმ ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენის რიცხვს, რომლებსაც დანაშაულში გადაზრდის ტენდენცია გააჩნიათ და მეორე, საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის ჩამოყალიბება გამოიწვევს მათთან აქტიურად თანამშრომლობის სურვილს, რაც, ბევრად უფრო გაამარტივებს დანაშაულობასთან ეფექტურად ბრძოლის პროცესს.

რაც შეეხება მესამე დონის პრევენციას, განსხვავებით პირველი და მეორე დონის პრევენციებისაგან, იგი გამოიყენება დანაშაულის ჩადენის შემდეგომ პერიოდში. ანუ მას შემდეგ რაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა და პირმა ჩაიდინა

²²⁷შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შეესებულებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017,183-184 .

²²⁸ ჩიხლაძე დ., დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016,35.

დანაშაული. ასეთ შემთხვევაში პირზე ვრცელდება სისხლის სამართალი და მისი გამოსწორებაზე პენიტენციალური დაწესებულება ან შესაბამისი სამსახურები ზრუნავენ. რათა, პირი გამოსწორდეს და სამომავლოდ დანაშაული აღარ ჩაიდინოს.

„მესამე დონის პრევენცია, ინდივიდუალური პრევენციაა, ვინაიდან იგი დამნაშავის მიმართ ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას გეგმავს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალური პრევენცისაგან გამიჯვნა.“²²⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების გატარება სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ფარგლებში, უპირობოდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რათა სახელმწიფო იყოს გარანტი, ერთის მხრივ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის პრევენციის, რაც ნებისმიერი საზოგადოების მოთხოვნაა და მეორეს მხრივ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის და საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნების.

2.3. სასჯელის დანიშვნა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

სასჯელის არსის სწორი გაგება უკავშირდება სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის პრობლემას, რემელიც სისხლის სამართლის არსებობის გამართლებას, სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის სხვადასვა ფორმით განხორციელებას, მის ეფექტურობასა და გამართლებას მოიცავს.²³⁰

სამართლებრივი სიკეთის ხელმოყოფთა მიმართ სახელმწიფოს გააჩნია საპასუხო რეაქციის ფორმა, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონში. სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის საპასუხო სამართლებრივ შედეგს.²³¹

²²⁹ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2017, 185.

²³⁰ ქირია ა., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, ი.დვალიძე, თბ., 2013, 11.

²³¹ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ზ.მჟავანძე, ო.მინდაძე, ქუთ., 2005, 292.

სასჯელის პრაქტიკა გავლენას ახდენს მოსახლეობის ინდივიდუალურ ცნობიერებაზე და ამტკიცებს საერთო საზოგადოებრივი თანაცხოვრების მიღებულ წესებს (ნორმებს).²³²

სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს²³³

სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე. აუცილებელია, რომ დანაშაულებრივ ქცევას გარდაუვლად და ამასთან დროულად, მოჰყვეს სასჯელის დანიშვნა. არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მართალია, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დამნაშავის დასჯისათვის ყველაფერია გაკეთებული. რაც უფრო სრულად იქნება ეს საკითხები მოგვარებული, მით უფრო დიდი პრევენციული ძალა ექნება სასჯელს.²³⁴

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ადგენს სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომას.

სასამართლო უნდა იყოს გარანტი სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს შესაბამისი ჩადენილი ქმედების, დამნაშავის პიროვნების და რესოციალიზაციის მიზნისათვის. „სასჯელის შეფარდება არ უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტიულ იდეას; იგი რაციონალური უნდა იყოს,

²³²მაჭარაშვილი ო., დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), აღმანახი, #12, 1999,54.

²³³ ტურავა მ., სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოცემა), თბილისი, 2013, 353.

²³⁴კორძაძე ზ., სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი, #8, 1998.

და რაც მთავრია, სასამართლომ რეალურად უნდა უზრუნველყოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარება.²³⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი ეხება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით.

სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით, სადაც კონკრეტული დანაშაული და სასჯელია მოცემული, არამედ ზოგადი ნაწილითაც, შესაბამისად სასამართლო სასჯელის დანიშვნისას იყენებს სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს კუმულაციურად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ნაკლებად მკაცრი სასჯელის დანიშვნაზე და უარს ამბობს მკაცრ სასჯელებზე, ხოლო, გამონაკლისის სახით შესაძლებელია დანიშნული იქნეს მკაცრი სასჯელი, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელით ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზნები – სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და მსჯელობა, საქმეზე N54აპ-16, კერძოდ:

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლოს განაჩენით ბრალდებულებს ხ.დ-ეს, ი.ო-სა და ლ. ლ-ს მსჯავრი დაედოთ ხულიგნობაში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ხ.დ-ს საბოლოო სასჯელის სახედ განესაზღვრა 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით 4000 ლარის გადახდა. გათვალისწინებულ იქნა და სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში

²³⁵ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბ., 2016,77.

ყოფნის დრო 2015 წლის 18 თებერვლიდან 2015 წლის 18 ივნისის ჩათვლით პერიოდი და გათავისუფლებულ იქნა სასამართლო დარბაზიდან. ი. ო-ს საბოლოო სასჯელის სახედ განესაზღვრა 4000 ლარის გადახდა. 2015 წლის 10 მარტიდან ამავე წლის 18 ივნისამდე პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით ჯარიმა შეუმცირდა 1000 ლარით და საბოლოოდ სასჯელის სახედ განესაზღვრა 3000 ლარის გადახდა. ლ.დ-ს საბოლოო სასჯელის სახედ განესაზღვრა 4000 ლარის გადახდა. 2015 წლის 10 მარტიდან ამავე წლის 18 ივნისამდე პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით ჯარიმა შეუმცირდა 1000 ლარით და საბოლოოდ სასჯელის სახედ განესაზღვრა 3000 ლარის გადახდა.

სააპელაციო წესით პროკურორმა გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ხ.დ-ს მიმართ საუარესო გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, გააუქმა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დანაშაულის სიმძიმის მოტივით და სასჯელის სახედ ხ.დ-ს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხ.დ-ს ინტერესების დამცველმა საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენი და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სამოტივაციო ნაწილში კი აქცენტი გააკეთა სსკ-ის 39 მუხლის მნიშვნელობაზე. სასჯელის მიზნის მნიშვნელობაზე საუბრისას ხაზი გაუსვა სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავის გამოსწორებას და მის შემდგომ რესოციალიზაციას. სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რესოციალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს. მთავარი არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე, სასჯელი დანიშნული უნდა იყოს დამნაშავის პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, როგორც შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს სასჯელის უმკაცრეს ზომას. თუ სასჯელის მსუბუქი ზომა უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას, მსჯავრდებულისგან მომავალში

მომდინარე საფრთხეების არიდებას და აგრეთვე უზრუნველყოფს მის შემდგომ რესოციალიზაციას სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელის შემსუბუქება სამართლიანია.

შესაბამისად, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ხ.დ-ს სასჯელის სახედ განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანიშნული ჯარიმა 4000 ლარი შეუმსუბუქდა 500 ლარით და დაეკისრა 3500 ლარის გადახდა.

მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული პენოლოგიური მრავალფეროვნებისა, რაც ტრადიციული სასჯელების (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის, ჯარიმის) გვერდით მრავალ ალტერნატიულ სახეს (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა) ითვალისწინებს, სასჯელის დანიშვნისას საკანონმდებლო დირექტივის სახით დადგენილია სამართლიანობის, კანონის წინაშე თანასწორობის, სასჯელის გარდაუვალობის და დამნაშავის პიროვნების ზედმიწევნით ცოდნის პრინციპები.²³⁶

სწორედ სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად სწორად არის გამოყენებული პირის უფლების შემზღვეველი ღონისძიება და ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.²³⁷ სასჯელის დანიშვნა სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც ადეკვატური იქნება დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა.

ადეკვატურობა არ არის უბრალოდ შესაბამისობა, ადეკვატურობა თავის თავში ატარებს „შესატყვისობის სისწორის“ იდეას, სასჯელთა ადეკვატურობა დანაშაულთან მიმართებაში არის სასჯელის სწორედ ისეთი შესატყვისობა დანაშაულთან, რომლის

²³⁶სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი.), თბ., 2007, 367-368.

²³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დროსაც შესატყვისობის კრიტერიუმი პასუხობს თანაზომადობისა და თანაზომიერების მოთხოვნებს“.²³⁸

სასჯელთა მრავალფეროვნებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება „კარგი სასჯელის“ ან უკეთ, რომ ვთქვათ, ნაკლებად არასასურველის შერჩევა. ამიტომ, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში შეინიშნება ორმაგი ფენომენი: სასჯელთა რიცხვის ზრდასთან ერთად დადგინდა შემდეგი წესი – მოსამართლე სასჯელის გამოტანამდე ვალდებულია გაეცნოს ბრალდებულის პირად საქმეს, მის ოჯახურ და სოციალურ ისტორიას, ხასიათს, ოჯახურ წრეს, განათლებას და პროფესიას, ფიზიკურ და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას.²³⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

ვფიქრობ, სისხლის სამართლის კოდექსში შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამოუთვლელია მეტ თავისუფლებას ანიჭებს მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოსამართლემ მშრალად მიუთითოს მხოლოდ და არ დაასაბუთოს რაში გამოიხატება შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების არსებობა.

სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავეს პასუხისმგებლობის ყველა ის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს

²³⁸ თუმანიშვილი გ., სასჯელთა ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟ. „სამართალი“ N 1-2, თბ., 2003, გვ. 127.

²³⁹ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი ეკატერინე სუმბათაშვილი (მთარგ.), 1999, 441.

სასჯელის სახესა და ზომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა კანონის მოთხოვნა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის თაობაზე.²⁴⁰

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და სამართლიანი სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით, დაუშვებელია სასამართლოს მიერ შაბლონურად მოხდეს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინება, ზემოაღნიშნულის ნათელი დასტურია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის განაჩენი, რომლის საფუძველზეც, გ.ბ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და საბოლოოდ გ.ბ-ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2019 წლის 3 აპრილს, საღამოს საათებში ქ.თბილისში მდებარე ლ.ძ. საცხოვრებელ ბინა N.-ში, უკანონოდ შეაღწია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ორჯერ ნასამართლევმა გ.ბ-მ და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ლ.ძ-ს კუთვნილ ხელჩანთას მასში არსებულ 20 ლარად ღირებულ საფულეს და პლასტიკურ ბარათს.

ბარათის გამოყენებით მან შპს ... სუპერმარკეტში შეიძინა 10.75 ლარად ღირებული პროდუქცია. გ.ბ-მ ასევე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ლ.ძ-ს ჩანთას.

შემდგომში სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 1 მარტის განაჩენით გ.ბ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში შევიდა ცვლილება კერძოდ სსკ-ის 177 -ე მუხლი გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 360-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2021 წელი 26 ნოემბერის გადაწყვეტილებაში (N457აპ-21) საკასაციო პალატა მსჯელობას ავითარების ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ასევე მხედველობაში იღებს ზიანის ოდენობას და ამ ზიანის წარმოშობის და მასში ბრალდებულის როლის მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს. დამატებით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საქმის განხილვისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს სამართლის ზოგად და

²⁴⁰ გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბ., 2001,37.

ფუნდამენტურ პრინციპებს, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და ქურდობის ფაქტს არ განიხილავს, საქმეში წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დაადასტურა გ.ბ-ს ბრალეულობა. მან კი მიისაკუთრა სხვისი ქონება პლასტიკური ბარათი, საიდანაც მაღაზიაში შეიძინა 10,75 ლარად ღირებული პროდუქტი, დაეუფლა ხელჩანთას და 20 ლარის ღირებულების საფულეს, მაგრამ ქურდობის ფაქტის არსებობისთვის აუცილებელია სხვისი ნივთის ფარული დაუფლება და მისაკუთრება იყოს სახეზე.

როგორც უზენაესი სასამართლო თავის განაჩენში აღწერს, გ.ბ-მ აღნიშნული ნაპოვნი ქონების შესახებ არ განაცხადა პოლიციაში, და აღნიშნული ქონება თავის ქონებად, ნაპოვარ ქონებად დაიგულა (ტერმინი გამოყენებულია საკასაციო სასამართლოს განაჩენში სამოტივაციო ნაწილში 4-დან მომდევნო აბზაცებში). სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო თვითნებობის შემადგენლობას და ამიტომ გადააკვალიფიცირა სასჯელი, თუმცა 360-ე მუხლის მიხედვით თვითნებობასთან ერთად კუმულაციურად სახეზე მნიშვნელოვანი ზიანიც უნდა იყოს. თუმცა მისაკუთრებული თანხის ოდენობა მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა არ არის. ზიანს შეადგენს პლასტიკური ბარათიდან 11 ლარამდე თანხის დაუფლება და 20 ლარამდე ღირებულების საფულის დაუფლება.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ავითარებს მსჯელობას, რომ პლასტიკური ბარათის დაკარგვით გამოწვეული ზიანი ვერ შეზღუდავდა მესაკუთრეს მასზე არსებული თანხის განკარგვაში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბარათი იყო სახელფასო ბარათი, მასზე არსებული თანხის განკარგვა ბარათისგან დამოუკიდებლად შესაძლებელი იყო და ბარათის აღდგენის ხარჯები იმდენად მინიმალურია, რომ აღდგენისათვის საჭირო ქმედებებისთვის გაღებული რესურსი ვერ შეავსებდა მის ზიანს მნიშვნელოვან ზიანამდე. ამასთან, მესაკუთრის მითითებით თანხა ბარათზე 15 ლარს შეადგენდა. შესაბამისად ყოველივე ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, გამოირიცხა სსკ-ის 360-ე მუხლის შემადგენლობა და გ.ბ ცნობილ იქნა უდანაშაულოდ.²⁴¹

²⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წელი 26 ნოემბერის განაჩენი საქმე N457აპ-21, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

სამწუხაროდ არც ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არ მსჯელობს, ბრალდებულის შემდგომი რესოციალიზაციის შესახებ.

კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, აგრეთვე, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების თაობაზე, წარმოადგენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას.²⁴²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, პირის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის. ნასამართლობის მითითება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დაუშვებელია, ვინაიდან არაერთგზისობა დანაშაულის ნიშანია.

თუ მოსამართლემ ქმედების შემადგენლობის ნიშანი ქმედების კვალიფიკაციის და ასევე სასჯელის დანიშვნის დროსაც (ორჯერ) გაითვალისწინა, ადგილი ექნება დამნაშავის არათანაზომიერ დასჯას, ვინაიდან ერთი ნიშნის ორჯერ შეფასება აუცილებლად მოახდენს გავლენას სასჯელის ზომაზე.²⁴³

სასამართლომ სასჯელი უნდა დანიშნოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, უტყუარი და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების სრულად უგულებელყოფის დასტურად თვალსაჩინო მაგალითია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო

²⁴²მახარაძე ა., სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, მართლმსაჯულება და კანონი, #1, 2011, 114.

²⁴³ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 622.

გადაწყვეტილებები, რომელიც საბედნიეროდ საკასაციო ინსტანციამ აღმოფხვრა, კერძოდ:

მოქალაქე ჰ.კ.-ს, რომელიც გადაადგილდებოდა ქალაქ ფოთში, პოლიციელების მხრიდან ღამის საათებში გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა რომ პოლიეთილენის პაკეტით გადაჰქონდა საბრძოლოდ ვარგისი კალაშნიკოვის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალური ცილინდრის ფორმის ხმის დამხშობი.

ბრალდებულის ჩვენებით აღნიშნული პოლიეთილენის პარკი მისი არ იყო. როგორც ბრალდებული სასამართლოში მიცემულ ჩვენაში ამბობს, მას ჰქონდა უთანხმოება ფოთის ერთ-ერთ დეპუტატთან და ამის გამო მას პოლიციამ იარაღი და საბრძოლო მასალა „ჩაუდო“, კერძოდ, მან ქუჩაში სეირნობის დროს ფეხი წამოკრა ამ პაკეტს და წაიქცა, რა დროსაც პოლიციელებმა მიიღებინეს და ხელბორკილი გაუკეთეს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განაჩენით, საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა, შენახვა და ტარებისათვის, ბრალდებული ჰ.კ ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თვისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების მომენტიდან, კერძოდ 2020 წლის 12 ივლისიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით უცვლელად დატოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო 2021 წლის 15 დეკემბერის გადაწყვეტილებაში (N524აპ-21) აღნიშნავს, რომ მტკიცებულება გარდა დაკავებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებისა საქმეში არ დევს, მაშინ როდესაც დაკავების ოქმის შედგენასა და მასზე ხელმომწერ პირებად სწორედ ეს პოლიციელები არიან. საქმის მასალებიდან ასევე, არ ირკვევა ჩატარდა თუ არა რაიმე ტიპის დამატებითი ექსპერტიზა (დაქტილოსკოპიური ან ბიოლოგიური ექსპერტიზა) რაც დაადასტურებდა ან გამოავლენდა ხელის კვლების ან დნმ-ის არსებობას იარაღზე ან მის შემადგენელ ნაწილზე. აღნიშნული მტკიცებულება იქნებოდა პირდაპირი, რაც დაადასტურებდა ბრალდებულსა და ამოღებულ საგნებს შორის კონტაქტს.

პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის გამო საკასაციო სასამართლომ გამართლა ბრალდებული მისდამი წარდგენილ ბრალდებაში და ცნო უდანაშაულოდ.

მიუხედავად გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებისა, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ ავითარებს მსჯელობას, რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე, მაშინ როდესაც პირი დაკავების დღიდან საკასაციო გადაწყვეტილების გამოტანამდე იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში.²⁴⁴

სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ უნდა იყოს არც ძალიან მკაცრი, არც ძალიან მსუბუქი, რათა სამართლიანობის პრინციპი არ იქნას დარღვეული.

მიმაჩნია, რომ სასჯელის დანიშნისას პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს დამნაშავის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხოლო შემდგომ დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესები. თუ დამნაშავე სამართლიანად დაისჯება, ამით დაკმაყოფილდება დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესებიც.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დანერგილი ახალი სტანდარტი, რომელიც სასამართლოსათვის არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენაში გამოიხატება, რაც თავის მხრივ, უპირობოდ ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში უთითებს შემდეგს - „სასჯელის დანიშნისას პალატამ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენისას ზ.ყ. იყო არასრულწლოვანი - 16 წლის, რომელიც ნაქირავებ ბინაში დედასთან ერთად ცხოვრობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზ. ყ. მოტივირებული ახალგაზრდაა, ასევე მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა,

²⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 დეკემბრის განაჩენი საქმე N 524აპ-21 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მას სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება და ემზადება ინგლისურში.²⁴⁵

როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან და გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დახასიათება ხშირად ამოიწურებოდა მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული მოკლე დახასიათებით, რაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არ ხდებოდა მოზარდის სრული პიროვნული შეფასება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს წარმოადგენს დასანიშნი სასჯელის პიროვნებაზე ზუსტი მორგება, როგორც მისი მომავლის საფუძველი, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევის შესაძლებლობის აღიარება. ამდენად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება სასჯელის შერჩევისას დამნაშავე პირის ყოველმხრივ შესწავლას ეფუძნება, სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად კი მოსამართლე უნდა ფლობდეს მოზარდის უამრავ მახასიათებლებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს.²⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რომ სრულწლოვანების მიმართ ანალოგიური ტიპის ინდივიდუალური ანგარიშის მომზადება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რათა მომსამართლემ მაქსიმალურად გამოავლინოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სასჯელის დანიშვნისას.

მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით, იგი ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავეს პიროვნებას.²⁴⁷

²⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ზ- 165-16, (26.03.16)

²⁴⁶ ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 196-197.

²⁴⁷ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010, 286.

სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მთელი რიგი გარემოებები უნდა გაითვალისწინოს. სასჯელი ინდივიდუალურია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად უნდა გადაწყდეს. მაგალითად, სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს და ა.შ. მიმაჩნია, რომ, იმისათვის რათა აღდგეს სამართლიანობა, სასამართლომ ძირითადად ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ესენია: 1. მსჯავრდებულის პიროვნება და 2. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში (სასჯელის დანიშვნისას) პირდაპირ არ არის მითითება დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლში მითითებულია დამნაშავის წარსულ ცხოვრების გათვალისწინებაზე, რაც მოიცავს დამნაშავის პიროვნებასაც.

პროფ. ი. დვალის მოსაზრებით, დამნაშავის წარსული ცხოვრების შეფასებისას, მთლიანი აქცენტი დამნაშავის პიროვნებაზეა გადატანილი, ანუ შეფასების ობიექტი ხდება დამნაშავის პიროვნება.²⁴⁸

მიმაჩნია, რომ მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება და შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

მართალია სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის დანიშვნისას პირველ ადგილზეა ჩადენილი ქმედება. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ხომ ძირითადად დამნაშავის პიროვნებაზეა მორგებული. შესაძლებელია ჩადენილი იყოს ერთი და იგივე სიმძიმის დანაშაული, მაგრამ მასში ან მის განხორციელებაში მონაწილეობდეს რამდენიმე დამნაშავე. შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ინდივიდუალური მიდგომა.

ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნაც. კერძოდ, სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად,

²⁴⁸დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 97-98.

სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა სასჯელის დანიშვნისას პირველ ადგილზე აყენებს დამნაშავის პიროვნებას და შემდეგ დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის შეფარდებისას, უმართლობის და ბრალის გარდა, მოსამართლემ დამნაშავის პიროვნება, მასთან დაკავშირებული გარემოებები და მისი წარსული ცხოვრებაც უნდა მიიღოს სათვალავში. დამნაშავის პიროვნება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ქმედების კვალიფიკაციისას, ვინაიდან სისხლის სამართალი, უპირატესად, ქმედების სამართალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ კარგავს თავის მნიშვნელობას.²⁴⁹

სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინა პირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას.²⁵⁰

სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს მსჯავრდებულის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, ოჯახური მდგომარეობა, ეკონომიკური პირობები, ურთიერთობა დაზარალებულთან და ა.შ. მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

პროფ. მ. ლეკვეიშვილი მიუთითებს, რომ მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით; არამედ, როგორც ცოცხალი ადამიანი ინდივიდუალური ნიშნებით. შესაძლოა,

²⁴⁹ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 524.

²⁵⁰საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2133>>

45-ე პუნქტი.

რომ სხვადასხვა პირს ერთი და იგივე ხასიათის დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ ეს განპირობებული იყოს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.²⁵¹

რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: მაგალითად, ბრალდებული ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ჰყავს მოხუცი მშობლები, არასრულწლოვანი შვილები და ა. შ; ან ბრალდებული სისტემატიურად ლოთობს, სცემს ოჯახის წევრებს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე, არ მუშაობს და ფლანგავს ოჯახის ქონებას და ა. შ.²⁵²

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნისას დამნაშავეს პიროვნულ თვისებებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სასჯელის შეფარდებისას, მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს დამნაშავეს ფსიქიკას და ხასიათს.²⁵³

სასჯელის დანიშვნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დამნაშავეს ქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ, დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე.

პროფ. ი. დვალაძე მიუთითებს, რომ ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ნიშნები კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა სამართლიანი სასჯელის შეფარდების, სპეციალური პრევენციისა და დამნაშავეს რესოციალიზაციის ეფექტური განხორციელებისათვის.²⁵⁴

მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლის შემდეგ, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. არ შეიძლება ვინმე დაისაჯოს იმაზე მეტად, ვიდრე ამას უტილიტარული მიზნები ან ქმედების სიმძიმის ხარისხი მოითხოვს. კაცმა არ უნდა მიიღოს მეტი სასჯელი, ვიდრე იმსახურებს, რა სარგებლიანადაც არ უნდა მოგვეჩვენოს.²⁵⁵

²⁵¹ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4(43),14 გვ. 28.

²⁵² Курс уголовного права, том 2, Общая часть, учение о наказании, Москва, 2002, 91.

²⁵³ Czupryniak R., Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S. 310

²⁵⁴დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 98.

²⁵⁵ წიქარიშვილი კ., სასჯელი, აღმანახი, #8, 1998.

სასჯელის სიმკაცრე დანაშაულის სიმძიმეს უნდა გაუტოლდეს და ერთნაირი სიმძიმის დანაშაულთა ჩამდენებს ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი სასჯელები უნდა შეეფარდოს.²⁵⁶

სამართლიანობის აღდგენის მიზანი დაკავშირებულია ქმედებისა და სასჯელის პროპორციულობასთან. პირმა უნდა მიიღოს ის, რაც მან კანონით აკრძალული ქმედების განხორციელების შედეგად დაიმსახურა. სასამართლომ პირს სასჯელი უნდა შეუფარდოს ჩადენილი ქმედების პროპორციულად.²⁵⁷

არაპროპორციული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენას, ხოლო შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. მაგალითად, თუ სასამართლომ მეტისმეტად მკაცრი სასჯელი დანიშნა, სასჯელის მიზნების მიღწევა გაჭირდება.

ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე სასამართლო პრაქტიკიდან. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის განაჩენით ჯ.ა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (კერძოდ: ჯ. ა-ი იყო რა ორჯერ ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის, 2014 წლის 15 ნოემბერს, 08:50 საათზე, თბილისში, მ. ნ-ს ქუჩაზე არსებულ აგრარულ ბაზარში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ჯ. პ-ს ქურთუკის მარჯვენა, გარეთა ჯიბიდან მის კუთვნილ ფულს - 3 ლარსა და 25 თეთრს. ჯ. ა-ს ქმედებით ჯ. პ-ს მიადგა 3 ლარისა და 25 თეთრის ოდენობის ქონებრივი ზიანი.) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მიიჩნია, რომ დანიშნული სასჯელი იყო მეტისმეტად მკაცრი და 4 წლით შეამცირა დანიშნული

²⁵⁶ წიქარიშვილი კ., სასჯელი, აღმანახი, #8, 1998.

²⁵⁷ მინდაძე ო., მინდაძე გ., სასჯელადსრულებითი სამართალი, ქუთ., 2008, 106.

სასჯელი და საბოლოოდ მსჯავრდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.²⁵⁸

სასჯელის პროპორციულობის მნიშვნელობაზე საინტერესოა ასისტენტ-პროფესორი თ. ცქიტიშვილის მოსაზრება: „სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისათვის ისეთი სასჯელის შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რასაც სასჯელი ისახავს. სასჯელის მიზნების მიღწევის საშუალება მხოლოდ პროპორციული სასჯელია.“²⁵⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სწორად არის მითითებული, თუ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით არაპროპორციულია და არ აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, თუ არ არის შესაბამისი ახალი დანაშაულის ასაცილებლად და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, მაშინ მისი აღსრულებით გამოწვეული ტანჯვა თავისთავად იქნება დამატებითი, გაუმართლებელი დასჯა და შედეგად, ადამიანის ღირსების ხელყოფა, რადგან სასჯელი და ზოგადად პასუხისმგებლობა ასცდება მათსავე მიზნებს და გადაიქცევა პოტენციური შურისძიების იარაღად.²⁶⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი არაპროპორციული სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მაშინ, როდესაც ამისთვის საფუძველი არ არსებობს საერთოდ, ან როდესაც პასუხისმგებლობის ზომა დისპროპორციაშია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან, არღვევს პირის თავისუფლების უფლებას.²⁶¹

²⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2016, #651აპ.-15 .

²⁵⁹ ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 524.

²⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2133>> 56-ე პუნქტი.

²⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2133>> 104-ე პუნქტი.

სასჯელებით სწორად მსჯელობს პროფესორი მზია ლეკვეიშვილი სასჯელის დანიშვნის საკითხებზე. იგი მიუთითებს, რომ სასჯელის ზომა, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ ქმედებას და სწორედ ამ აზრით ქმედება წარმოადგენს მთავარ (თუმცა არა ერთადერთ) საფუძველს სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ეს დასკვნა, ლოგიკური დასაბუთების გარდა, შეესაბამება სასჯელის სამართლიანობას, საზოგადოებრივ სამართალშეგნებას, რომლის ნაწილიც მოსამართლის მართლშეგნებაა.²⁶²

სასჯელის მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის ინდივიდუალიზაციასთან. სასჯელის მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სისხლის სამართალში.

რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნის ძირითად და გადაწყვეტ პრინციპს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი წარმოადგენს.²⁶³

პროფ. მ.ლეკვეიშვილი მიუთითებს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების ზედმიწევნითი შესწავლისა და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიების განსაზღვრას. სასჯელის ინდივიდუალიზაცია არა მხოლოდ სამართლიანი სასჯელის დადგენის პრინციპია, არამედ კანონისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნის შესრულების ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. ამიტომაც, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი.²⁶⁴

²⁶²არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 52.

²⁶³ Применение наказания по советскому уголовному праву, М. 1958, с. 27.

²⁶⁴ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4(43),14 გვ. 27.

რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასჯელის ინდივიდუალიზაციას კანონში და სასჯელის ინდივიდუალიზაციას სასამართლოში. სასჯელის ინდივიდუალიზაცია კანონში - ეს არის სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმებში გამოხატული დებულებები, რომლებიც აბსტრაქტულ ფორმაში ავალდებულებენ სასამართლოს გაითვალისწინოს ეს დებულებები დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ხოლო, სასჯელის ინდივიდუალიზაცია სასამართლოში - ეს არის ზოგადი და განსაკუთრებულ ნაწილის დებულებების გამოყენება კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, დამნაშავის პიროვნების თავისებურებების და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას.²⁶⁵

პროფ. გ.ნაჭყებია მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, თუ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში არ გაითვალისწინებდა პასუხისმგებლობის დიფერენცირებულ ზომებს. ამდენად, პასუხისმგებლობის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია არსებითად ერთი პრინციპია, რომელიც მიმართულია კანონმდებელზე, ხოლო სასჯელის დანიშვნა, როგორც პრაქტიკული პროცესი, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად განხორციელდება.²⁶⁶

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის პიროვნების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით მკაცრად ინდივიდუალიზებული სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.²⁶⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში კანონმდებელმა კონკრეტული დანაშაულისათვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი სასჯელი,

²⁶⁵ Карпец И.И., индивидуализация наказания, в советском уголовном праве, Москва, 1961, с.12.

²⁶⁶ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბ., 1998,139.

²⁶⁷ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016,210.

ხოლო შემდგომ, სასამართლომ კონკრეტული დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით დანიშნოს ადეკვატური სასჯელი.

გ. კრიგერი მიუთითებს, რომ სასჯელის დანიშვნისას აუცილებელია, სასამართლომ განსაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და ხარისხს, აგრეთვე გაითვალისწინოს დამნაშავეს პიროვნება.²⁶⁸

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს.

„სასჯელის ინდივიდუალიზაცია განმსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღზრდის პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.“²⁶⁹

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს განსასჯელისათვის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების შესაბამისი სამართლიანი სასჯელის დანიშვნას, ამასთან ისეთი სასჯელის დანიშვნას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.²⁷⁰

სასჯელის დანიშვნის დროს ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი დამნაშავეს პიროვნება. სასჯელის დანიშვნის დროს პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებაზე მართებულად მსჯელობს პროფ. ირაკლი დვალიძე.

სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, ბრალზე აგებული სისხლის სამართლის ფარგლებში, აუცილებელ წინაპირობად გულისხმობს დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის დეტალურ ანალიზს, რომელიც იძლევა პიროვნების შინაგანი სამყაროს შესახებ

²⁶⁸ Кригер Г.А., наказание и его применение, Москва, 1962,27.

²⁶⁹ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ.თოდუა), თბ., 2016, 64.

²⁷⁰ დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2002,402.

საერთო სურათს ანუ მის ღირებულებით ორიენტაციებს, მიდრეკილებებს, ტემპერამენტს, ინტერესებს და მოტივაციის სხვა სუბიექტურ ფაქტორებს ნათელი ეფინება.²⁷¹

თუკი დანაშაულის ჩადენამდე ადამიანი ყოყმანობდა, ეს შეიძლება მიუთითებდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში მის სუსტ ნებისყოფაზე, რაც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის არც ისე უმნიშვნელოა საზოგადოების ზნეობრივი და სამართლებრივი ღირებულებანი. ამიტომ სასჯელიც შედარებით ღმობიერი უნდა დაინიშნოს.²⁷²

სასჯელის კონკრეტული ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ, კანონიერების პრინციპთან ერთად, უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით. სასამართლოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ კანონის მოთხოვნას სასჯელის დანიშნვისადმი მკაცრად ინდივიდუალური მიდგომის შესახებ, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის პიროვნებას. სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს დამნაშავის პიროვნება, მისი ინდივიდუალური თვისებები და თავისებურებანი, მორალური სახე, წარსული საქმიანობა.²⁷³

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, თითოეული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, დიფერენცირებულია სასჯელი. სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც წესი, თავიდანაა აცილებული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ხოლო, მთელ რიგ შემთხვევებში დაწესებულია სასჯელის მაქსიმუმი ამავე დანაშაულისათვის იქვე სასჯელის მინიმალური ზომის განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული სასამართლოს

²⁷¹დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, 132.

²⁷²დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 136.

²⁷³ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, რედ. თ. წერეთელი, გ. ტყემელიაძე, თბ., 1976, 211-213.

საშუალებას აძლევს შეარჩიოს არა მარტო სასჯელის ყველაზე ოპტიმალური სახე, არამედ კანონის ფარგლებში სასჯელის მინიმალური ზღვარიც განსაზღვროს.²⁷⁴

მაგალითად, თუ რომელიმე კონკრეტული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხ წლამდე ვადით, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს სასჯელი ექვსი თვიდან ოთხ წლამდე. ამ შემთხვევაში, სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს სასჯელს, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელების საშუალებას იძლევა.

პროფ. ი. დვალიძე მართებულად მიუთითებს, რომ წარმოდგენელია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, თუ სისხლის სამართლის კანონი ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის მოსამართლეს საშუალებას არ მისცემს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სასჯელი. ბუნებრივია, აქ კანონმდებლის ნებას, ანუ მის მიერ დადგენილ ფარგლებს სასჯელის დანიშვნის საკითხში საბაზისო მნიშვნელობა ენიჭება.²⁷⁵

საინტერესოა ვიდალის შეხედულება დანაშაულისა და სასჯელის პროპორციის შესახებ. „სასჯელისა და დამნაშავის პასუხისმგებლობის პროპორციის დადგენის საქმე კანონმდებელმა, რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს დამნაშავის ხასიათი და პიროვნება, უნდა გადასცეს მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულად შეაფასოს დასჯადობის აღნიშნული საწყისები. მამასადამე, აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ნება დართოს მოსამართლეს შეცვალოს სასჯელი ცალკეული დანაშაულისათვის. ამ მიზნით არის დაწესებული სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი, რომლის ფარგლებში მოსამართლეს შეუძლია იმოძრაოს და შეუფარდოს სასჯელი მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებურების შესაბამისად.“²⁷⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული

²⁷⁴ ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011,99-100.

²⁷⁵ დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013,72.

²⁷⁶ ვაჩიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, 92.

სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. თუ მხარეებს შორის არ არის დადებული საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს არა აქვს უფლება დანიშნოს მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი. ვფიქრობ, რომ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა შესაძლებელი არ უნდა იყოს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების დროს. აღნიშნული საკითხი, სასამართლომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

პროფ. მ. ტურავას აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ასუსტებს მოსამართლის პროცესუალურ-სამართლებრივ მდგომარეობას სასჯელის დანიშვნის დროს და აძლიერებს პროკურორის პოზიციას სისხლის სამართლის პროცესში.²⁷⁷

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის შეფარდებისას მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ არამხოლოდ კითხვა დაუსვას მსჯავრდებულს ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმებაში არსებულ პირობებს, არამედ ბრალდებულს უნდა განემარტოს დანიშნული სასჯელის არსი სრულყოფილად. მოსამართლე უნდა დაინტერესდეს იცის თუ არა ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის შინაარსი და მისი მოხდისგან თავის არიდების შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, საქართველოს სსსკდის 209-ე მუხლის თანახმად ბრალდებული თანახმა უნდა იყოს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებულ სასჯელზე, თანხმობამდე საჭიროა, რომ მან მიიღოს ინფორმაცია სასჯელის თაობაზე ადვოკატისგან და პროკურორისგან, ხოლო მოსამართლე საქართველოს სსსკდის 212-ე მუხლის თანახმად ვალდებულია შეამოწმოს ბრალდებული აცნობიერებს თუ არა სასჯელს, რომელიც გათვალისწინებულია საპროცესო შეთანხმებაში და სწორედ ამის შემდეგ დაამტკიცოს მან ის. მოსამართლემ ამ დროს მაკონტოლებელი ფუნქცია უნდა შეიძინოს. მაშინ როდესაც პროკურორი საპროცესო შეთანხმების დადების დროს ურიგდება ბრალდებულს სასჯელის თაობაზე ეს არაფერია

²⁷⁷ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010, 295.

სხვა თუ არა ვაჭრობა სასაჯელოზე და ასეთ დროს საპროცესო შეთანხმება ზეწოლის განმახორციელებელი საშუალებაა.²⁷⁸ ხოლო ბრალდებულმა იმის შიშით რომ თავიდან აიცილოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრა, თანახმაა ნებისმიერ სასაჯელოზე. „პროკურორის უფლებამოსილება თავად შესთავაზოს სასაჯელის ნებისმიერი ზომა ბრალდებულს, აძლევს მას იმის შესაძლებლობას, იმოქმედოს ბრალდებულზე და მიიღოს მისგან აღიარებითი ჩვენება.“²⁷⁹ მოსამართლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბრალდებულის ნების ნამდვილობას, და ეს არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი თანხმობის ფორმალური მოსმენით.²⁸⁰ ზემოაღნიშნულის ნათელი დასტურია, ის რომ პრობაციის ბიუროში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილთა უმეტესობა სასაჯელის ამ სახეზე ინფორმაციას სწორედ პრობაციის ბიუროში იღებს.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები (ზოგიერთი გამონაკლისების გარდა, რაც შესწორებას მოითხოვს). უმრავლეს ნორმებში მოცემულია სასაჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასაჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურ განხორციელებას. მაგალითად, ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა სხვადასხვა სახის სასაჯელი დანიშნოს.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სასაჯელის მიზნები, მოსამართლეს უნდა მიეცეს ფართო არჩევანი სასაჯელის დანიშვნის დროს. სასაჯელის დანიშვნის დროს გამოიყენება შემდეგი პრინციპები: ინდივიდუალიზაციის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის პრინციპები და ა.შ სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სასაჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი. სასაჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ხორციელდება პირველ რიგში კანონმდებლობაში პასუხისმგებლობის დიფერენციაციის გზით, ხოლო შემდეგ სასამართლოს მიერ სასაჯელის დანიშვნის პროცესში.

²⁷⁸ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) ფრ., სტრ., თბ., 2016, 77

²⁷⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) ფრ., სტრ., თბ., 2016, 77 .

²⁸⁰ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეე განაჩენის ფორმის მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015, 63

სასჯელის ინდივიდუალიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის არსი განსაზღვრულია თვით სასჯელის მიზნებით. თუ სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზლვა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაშინ, გასაგებია, რომ სასჯელისაგან უნდა მივიღოთ პრაქტიკული სარგებლიანობის მაქსიმუმი – აღვადგინოთ დარღვეული სამართლიანობა, მივალწიოთ დანაშაულთა თავიდან აცილებას როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ, გამოვადვილოთ ან აღვზარდოთ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული აღსდგეს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში და სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში.²⁸¹

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი მართლაც, რომ უმნიშვნელოვანესი პრინციპია სისხლის სამართალში. სასამართლომ სასჯელი უნდა დანიშნოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი არ იქნება სამართლიანი და სასჯელის მიზნებიც მიულწეველი დარჩება.

სასჯელის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. რესოციალიზაციის პროცესი იწყება სასჯელის დანიშვნის მომენტიდან და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც.

რესოციალიზაცია გარკვეულად უკავშირდება სასჯელის ისეთ მიზანს, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა. სამართლიანობის აღდგენის მიზნის განხილვისას აღინიშნა, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ სასჯელი სამართლიანი ვერ იქნება, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სასჯელის სპეციალური პრევენცია, რაც შემდგომში ხელს შეუშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს და პირიქით გააბოროტებს მას.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს უფლება აქვს პირს სასჯელის სახით დაუნიშნოს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სახის სასჯელი.

²⁸¹ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011,100-101.

მიმაჩნია, რომ მოსამართლემ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა დანიშნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოსამართლემ უპირატესობა ალტერნატიულ სასჯელებს უნდა მიანიჭოს, ვინაიდან მკაცრმა სასჯელმა შესაძლოა მსჯავრდებული კი არ გამოასწოროს, არამედ პირიქით, გაბოროტებული დააბრუნოს საზოგადოებაში.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მომტანი არ არის. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, განვითარებული ევროპული სახელმწიფოების კრიმინოლოგია აღიარებს, რომ მსუბუქი ხასიათის სასჯელს უფრო შეუძლია პიროვნების ქცევის გაუმჯობესება, ვიდრე მკაცრი სახის სასჯელებს, ვინაიდან გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, მსჯავრდებულში ფრუსტრაციის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინოს, რაც ხელს უშლის მის (საზოგადოებაში) რესოციალიზაციას.²⁸²

ფსიქოლოგების აზრით კი „თუ ადამიანს აქვს განცდა, რომ მას არაადეკვატური სასჯელი შეეფარდა, მასთან ფსიქოლოგიური მუშაობა და რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელება ძნელდება“.²⁸³

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თავისუფლების აღკვეთა ძვირადღირებულ სასჯელს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს პროფ. ოთარ გამყრელიძე. იგი მიუთითებს: სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ძვირი ჯდება, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე და საკმაოდ გავრცელებული სასჯელია. თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელადსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობით აღჭურვას. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია კანონმდებელზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საკითხზე სასამართლომაც უნდა იფიქროს, როცა სასჯელის ზომას განსაზღვრავს განაჩენით.²⁸⁴

²⁸² შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბ./ბერლ., 2013, 66.

²⁸³ მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011 წელი, ნოემბერი-დეკემბერი, 49.

²⁸⁴ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, 111.

სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს ისეთი სახის სასჯელები, როგორცაა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, გამასწორებელი სამუშაო და ა.შ. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა დანაშაულისათვის გამოყენებული იქნეს ალტერნატიული სასჯელები. მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის გამოყენება თავისთავად მიზანშეუწონელია.

ალტერნატიული სასჯელის გამოყენება უნდა აიწონ-დაიწონოს და თუ ბრალდებულისადმი ლმობიერების გამოჩენა ზედმეტია, აუცილებელია პატიმრობის მისჯა. კანონმდებლობა გამორიცხავს ალტერნატიული სასჯელის გამოყენებას ზოგიერთი კატეგორიის დამნაშავეთა მიმართ. ისეთი მძიმე დანაშაულების შემსრულებელთათვის, რომელთა დაპატიმრება აუცილებელია (კორუფცია, ცრუმოწმობა), ასევე რეციდივისტების მიმართ.²⁸⁵

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი გარემოებები. მაგალითად, ჯარიმის დანიშვნის დროს მოსამართლემ სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობა.

ხშირ შემთხვევებში ჯარიმა მოცემულია ყოველთვის სასჯელის ალტერნატიული სახით, ძირითადი სასჯელის ზომასთან ერთად. შტატები ასხვავებენ ერთი და იგივე სახის დანაშაულისათვის სხვადასხვა რაოდენობის ჯარიმებს. ასე მაგალითად ოჰაიოში ჯარიმის უმაღლესი ზომაა 10 000 დოლარი, ნიუ-იორკში 5 ათასი დოლარი.²⁸⁶

ვფიქრობ, სასჯელის მიზნების მისაღწევად ძალზედ მნიშვნელოვანია სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთის საუკეთესო ალტერნატივაა, რადგან თავიდან იქნება აცილებული თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური შედეგები და სახელმწიფოს საპატიმრო სასჯელთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები უჯდება.²⁸⁷

²⁸⁵ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი სუმბათაშვილი ე. (მთარგ.) 1999, 443-444.

²⁸⁶ მაჰარაშტრის ო., დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), ალმანახი, #12, 1999, 58.

²⁸⁷ მკედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 693-694

მოსამართლემ ალტერნატიული სასჯელებიდან უნდა შეარჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მსჯავრდებულის ჯეროვნად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.²⁸⁸

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიაჩნიათ, რომ თავისუფლების აღკვეთა აღვივებს და უნარჩუნებს დამნაშავეს აგრესიულ ინსტიქტებს. საზოგადოებისაგან მუდმივი იზოლაცია, არავითარ შემთხვევაში, არავის ხდის უკეთესს.²⁸⁹

როგორც ვხედავთ ძალზედ მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელების როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით.

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულების პრობლემა. სასამართლომ შეიძლება დანიშნოს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სახის სასჯელი. რესოციალიზაციასთან მიმართებით შედარებით პრობლემურია თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების აღსრულების თავისებურებანი.

პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად. პირველ რიგში აქ იგულისხმება, სასჯელის მოხდა განხორციელდეს ეროვნული, თუ საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. სასჯელის აღსრულებისას ზედმიწევნით უნდა შესრულდეს კანონმდებლობის მოთხოვნები, რათა განხორციელდეს სასჯელის უმთავრესი მიზანი – მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. უპირველეს ყოვლისა, დაცული უნდა იქნეს მსჯავრდებულთა უფლებები, რაც მათ კანონმდებლობით გააჩნიათ.

²⁸⁸ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი სუმბათაშვილი ე. (მთარგ.) 1999,443.

²⁸⁹ მაჭარაშვილი ო., დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), აღმანახი, #12, 1999,59.

მიტუმეტეს, სასჯელის აღსრულების პროცესში არ უნდა იქნას დაშვებული შეცდომები. იმისათვის, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული დაუბრუნდეს საზოგადოებას და მოხდეს მისი ხელახალი ჩართვა საზოგადოებაში, საჭიროა სასჯელის აღსრულება მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სასჯელის აღსრულება ნიშნავს არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასა და ადამიანის ჩამწყვდევის საპყრობილეში თუ სხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ასევე ის შეიძლება გამოიხატოს ზედამხედველობაში, მსჯავრდებულის მეთვალყურეობაში, მის კონსულტირებაში და მისდამი მოპყრობაში.²⁹⁰

სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია მსჯავრდებულებთან არაკუმანური და სასტიკი მოპყრობა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება.~ როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრძალავს ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას და მისი ღირსების დამცირებას. ფიზიკური სასჯელები საქართველოში აკრძალულია.

არანაირ ვითარებაში და არასოდეს შეიძლება გამართლდეს წამება, სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. აქ არ შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი.²⁹¹

პროფ. გურამ ნაჭყებია მართებულად მიუთითებს, რომ მართალია, სასჯელი მსჯავრდებულში იწვევს მორალურ_ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რაც სასჯელის ობიექტური ნიშანია და არა მისი მიზანი. დაუშვებელია დანაშაულის ჩამდენი პირის ღირსების დამცირება. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი,

²⁹⁰ფარტენაძე ო., თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათ., 2009, გვ. 61.

²⁹¹ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, 36.

ამორალური აქტიცაა და, მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირის მორალური ღირსება იმდენად შელახულია, რომ მას ზედ დაემატოს მისი ღირსების შემლახველი ქმედებანი. მართალია პრაქტიკაში იშვიათი არ არის უბოროტესი დანაშაული, რომელიც ყველა ნორმალური ადამიანის უკიდურეს აღშფოთებას იწვევდეს, რის გამოც ძნელია თავის შეკავება და ამგვარი პირებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების შენარჩუნება. მაგრამ, როგორც თ. დოსტოევსკი იტყოდა, ადამიანურ მოპყრობას შეუძლია შემოაბრუნოს ღვთის პირიდან გადავარდნილიც კი. ამ თვალსაზრისით ისიც შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს გამოსწორებელი „დამნაშავე“, ყოველთვის უნდა დავიტოვოთ იმის იმედი, რომ მსჯავრდებული გამოსწორდება.²⁹²

ამდენად, სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია ადამიანის ღირსების დამცირება და არაადამიანური მოპყრობა. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზნები და პრაქტიკაში რეალიზებულ იქნეს, ამისათვის სასჯელის აღსრულების პროცესში დაუშვებელია მსჯავრდებულის მიმართ არაჰუმანური მეთოდების გამოყენება.

სასჯელის მიზნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის ეფექტურობის საკითხი. სასჯელის ეფექტურობა ნიშნავს სასჯელის მიზნების რეალურ განხორციელებას.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ასპექტი არსებობს. ასე მაგალითად, პროფესორი იაკოვლევ ვერდა სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობის შესახებ. შარგოროდსკი, სასჯელის გამოყენების ეფექტურობის შესახებ, ხოლო ნატაშევი და სტრუჩკოვი სწავლობდნენ დანაშაულთან ბრძოლაში, სისხლისსამართლებრივი ზომების გამოყენების ეფექტურობის პრობლემებს.²⁹³

პროფ. შოთა ფაფიაშვილი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობასა და სასჯელის ეფექტურობას. გავეროვის აზრით: „სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობა - უფრო ფართო გაგებას გულისხმობს, ვიდრე სასჯელის ეფექტურობა.“

²⁹²სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი.,) თბილისი, 2007, გვ. 36.

²⁹³ფარტენაძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათ., 1998,59.

მეცნიერთა ნაწილის - იაკოვლევის, შმაროვის, ნატაშევის და სხვათა აზრით, სასჯელის ეფექტურობაში იგულისხმება საზოგადოების უსაფრთხოების რეალური უზრუნველყოფის ხარისხი, სასჯელის მიზნების რეალური განხორციელება. შარგოროდსკის აზრით, სასჯელის ეფექტურობა პირველ რიგში უნდა განისაზღვროს კანონმდებლობისა და საზოგადოების პროგრესული განვითარების ობიექტურ კანონზომიერებების შესაბამისობით და ერთადერთ რეალურ კრიტერიუმს სასჯელის ეფექტურობის შესაფასებლად წარმოადგენს დანაშაულის დინამიკა.²⁹⁴

სასჯელის ეფექტიანობის ცნება ნიშნავს მისი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტს, რომელიც გამომდინარეობს, კანონით გათვალისწინებული, სასჯელის მიზნების მიღწევის საერთო კოეფიციენტიდან.²⁹⁵

სასჯელის ეფექტურობა, პირველ რიგში, გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მისი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მომავალში დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას.²⁹⁶

პროფ. შოთა ფაფიაშვილი მიუთითებს, რომ სასჯელის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, მის პრაქტიკულ გამოყენებაში, მისი მიზნების მიღწევაში უნდა ვეძიოთ. კანონით დადგენილი სასჯელის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალურ, პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს იგი და როგორია მისი შედეგები დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ამასთან, სადაო არაა, რომ კანონით დადგენილი ერთი და იგივე სასჯელი ერთი და იმავე სახის დანაშაულისათვის ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ იგი პრაქტიკაში სწორად, ობიექტურად გამოიყენება და შეესაბამება საზოგადოების პროგრესულ, კანონზომიერ განვითარებას. მეორე შემთხვევაში კი მან შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოახდინოს, როგორც თვით მსჯავრდებულის აღზრდაზე, ისე საზოგადოების დანარჩენ წევრებზე, თუკი სასამართლო დამნაშავე პირს არასწორად და დაუსაბუთებლად უზომოდ მკაცრად ან

²⁹⁴ Папиашвили Ш., наказания за должностные преступления и их эффективность, Тбилиси, 1983, с-27-28.

²⁹⁵ ფარტენაძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათ., 1998,60

²⁹⁶ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., 2016, გვ. 456.

მეტად ლმობიერად დასჯის და არ დაიცავს სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.²⁹⁷

სასჯელის ეფექტურობაზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები: 1. სისხლის სამართლებრივი აკრძალვის შესაბამისობა იმ ობიექტურ კანონზომიერებებთან, რომლებიც საზოგადოებაში მოქმედებს; 2. სისხლისსამართლებრივი პრინციპის დაცვა; 3. სასჯელის გარდაუვალობა, რომელიც დანაშაულთა გახსნის ხარისხით, დანაშაულის ჩადენასა და სასჯელის დანიშვნას შორის უმოკლესი ვადის უზრუნველყოფით განისაზღვრება; 4. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სტაბილურობით, რაც, როგორც სისხლის სამართლებრივი კანონის, ასევე სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობაში მდგომარეობს; 5. სასამართლო პრაქტიკის საზოგადოებრივ აზრთან შესაბამისობა, რაც, პირველ რიგში, განაჩენის სამართლიანობაზე, საზოგადოებრივი აზრის განაჩენის შესახებ ინფორმირებულობაზეა დამოკიდებული.²⁹⁸

სასჯელის ეფექტურობის განსაზღვრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია რეციდივის რისკის შეფასება. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ არ ფიქსირდება ყოფილი მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევები, სასჯელი ეფექტიანად უნდა ჩაითვალოს.

რეციდიულ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემებით შესაძლებელია გაკეთდეს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ სასჯელმა ვერ აარიდა, ვერ შეაკავა პიროვნება, რომელმაც ადრე მოიხადა სასჯელი, ახალი დანაშაულის ჩადენისაგან. დღესდღეობით ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასჯელის გამოყენება იყო არაეფექტური, რადგანაც კანონით განსაზღვრული სასჯელის ზოგიერთი მიზანი მიღწეულია. ასე მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის მოხდის დროს მიიღწევა, კანონმორჩილ პირებისადმი, სასჯელის დამაშინებელი ზემოქმედების მიზანი და ამით მტკიცდება მისი გარდაუვალობის პრინციპი. საზოგადოების უშიშროება

²⁹⁷ ფაფიაშვილი შ., სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, სამართალი, 1995, #3-4, გვ. 48.

²⁹⁸ კორძაძე ზ., სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი, #8, 1998

უზრუნველყოფილია იმ დროით მაინც, რა დროითაც დამნაშავე იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ე.ი. იზოლირებულია საზოგადოებისაგან.²⁹⁹

საკითხის ირგვლივ, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის ფარგლებში, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ტიპის განაჩენები, სადაც მოსამართლე არა თუ საფუძვლიანად, არამედ საერთოდ მსჯელობდეს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კომპონენტზე, როგორც სასჯელის უმთავრეს მიზანზე (ძირითადად განაჩენებში შაბლონურად ხდება სსკ-ის 39-ე მუხლზე მითითება).

ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი ნათელი დასტურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის (N 541აპ - 19) განაჩენი, რომლის საფუძველზეც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და სასამართლო სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 9 წლის ვადით თავისუფლება აღკვეთილი გ.თ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის პარალელურად სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არანაირ მსჯელობას არ ავითარებს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირის შემდგომი რესოციალიზაციის თაობაზე.³⁰⁰

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მსჯავრდებულის რესოციალიზაცია იწყება სასჯელის დანიშვნის მომენტიდან, მნიშვნელოვანია რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას დეტალურად შეისწავლოს ბრალდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა, განვლილი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, საქმეში არსებული უტყუარი და პირდაპირი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს განაჩენი საქართველოს სახელით, რომლის სამართლიანობასა და პროპორციულობაში პირველ რიგში მსჯავრდებული უნდა დარწმუნდეს.

²⁹⁹ფარტენაძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათ., 1998, 60-61.

³⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმე N 541აპ - 19 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

2.4. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები

(მსჯავრდებულის დასაქმება, პროფესიული და უმაღლესი განათლება, პროფესიული მომზადება)

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია საპატიმრო დაწესებულებაში განთავსების დღიდან იწყება და მის საბოლოო რეაბილიტაციამდე გრძელდება, შესაბამისად რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა საკმაოდ რთული, კომპლექსური პროცესია და იგი სხვადასხვა ქმედებათა ერთობლიობით მიიღწევა. პატიმრობის კოდექსით მსჯავრდებულისათვის მინიჭებული უფლებები რესოციალიზაციის უპირობო საფუძველია და შესაბამისად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლების ეფექტური რეალიზება.

თანამედროვე სასჯელაღსრულების რეჟიმის მიზანია მოახდინოს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, ამიტომ თავისთავად ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება უშუალოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, საქართველოს შემთხვევაში, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური მუშაობა პენიტენციურ და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემებში, აგრეთვე ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის გზით განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით და ასევე დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირთა ჯგუფებთან. სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სოციალური მუშაკების მონაწილეობით ზრუნავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შესაბამისი ინიციატივების შემუშავებაზე. კანონის თანახმად პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკი:

- ა) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვას;
- ბ) კონსულტაციას უწევს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს;
- გ) ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ადვოკატირებას;
- დ) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციური სტრესის შემცირებას;

- ე) მონაწილეობს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასებაში/გადაფასებაში;
- ვ) ახდენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზიანის რისკის შეფასებას/გადაფასებას;
- ზ) რეციდივის ალბათობის დასადგენად ახდენს მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებას/გადაფასებას;
- თ) გამოვლენილი რისკებისა და საჭიროებების საფუძველზე, მსჯავრდებულის მონაწილეობით შეიმუშავებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას;
- ი) ავლენს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოწყვლად ჯგუფებს მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, ზრუნავს დადგენილი სტანდარტების დაცვაზე;
- კ) ხელს უწყობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას და ამ პროგრამების განხორციელებას;
- ლ) ხელს უწყობს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების პროგრამებში მონაწილეობას და ამ პროგრამების განხორციელებას;
- მ) განსაზღვრავს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და თერაპიის მიმართულებებს, ხელს უწყობს მათ განხორციელებას და მათ უწევს ფასილიტაციას;
- ნ) ხელს უწყობს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა შრომას/დასაქმებას;
- ო) ხელს უწყობს ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დამხმარე პროგრამების, კერძოდ, კულტურული, სპორტული, რელიგიური, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;
- პ) ხელს უწყობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციისთვის მომზადებას;
- ჟ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს მუშაობას მოშიშნულ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან;
- რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.³⁰¹

³⁰¹იხ. სოციალური მუშაობის შესახებ 52 მუხლი

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ფუნქციით აღჭურვილია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- კომპეტენციის ფარგლებში, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით პენიტენციურ დაწესებულებათა (შემდგომში – დაწესებულება) განვითარების პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობა; მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით დაწესებულებათა საჭიროებების განსაზღვრასა და დაგეგმვაში მონაწილეობა; დაწესებულებებში ფსიქოსოციალური მიმართულების განვითარების ხელშეწყობა;
- მსჯავრდებულთა შეფასება/გადაფასება და ამის საფუძველზე შემთხვევის მართვის ან კოორდინაციის განხორციელება;
- მსჯავრდებულთათვის, მათივე ჩართულობით, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა და პროცესის მონიტორინგის განხორციელება; მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის პრაქტიკის დანერგვა;
- მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, ასევე გათავისუფლებისთვის მზადების პერიოდში, ოჯახთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა და კოორდინაცია; მსჯავრდებულების გათავისუფლების მომზადების პროცესში, მათი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან – არასაკაპიტმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობა, გარდამავალი მენეჯმენტის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა, დეპარტამენტში შემოსული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და მოქალაქეთა

განცხადებების, მოთხოვნებისა და საჩივრების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება; გარე სამყაროსთან კომუნიკაციაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხარდაჭერა;

- „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელ შემთხვევებზე 24-საათიანი რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების პროცესში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, მოშიშმილე ბრალდებულის/მსჯავრდებულის საქმისწარმოება, მოშიშმილესთან შეხვედრა, შიმშილობის მიზეზების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება;
- კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების და მათი ახლო ნათესავებისთვის კონსულტაციის გაწევა;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ დაწესებულების დროებით დატოვებასა და დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლასთან დაკავშირებით საქმისწარმოება;
- პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან, სასჯელის შემსუბუქებასა და შეწყალებასთან დაკავშირებული საქმისწარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რისკგუფების გამოვლენა თვითდაზიანებისა და სხვებისთვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით; კრიზისული სიტუაციების მართვაში მხარდაჭერა; მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა, მათთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით ზრუნვის სტანდარტების შექმნა და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- მსჯავრდებულთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე საგანმანათლებლო, პროფესიული, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური აქტივობებისა და დასაქმების პროგრამების დაგეგმვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

- არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანობაზე მუდმივი ზრუნვა და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი კვლევის ინიცირება, განხორციელება და მხარდაჭერა;
- დეპარტამენტის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროებების განსაზღვრა ან/და განსაზღვრაში მონაწილეობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დეპარტამენტის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადების მიზნით, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;
- შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საგანმანათლებლო და შრომით საქმიანობაში ჩასართავად, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით; საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;³⁰²

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის #418 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების მე-11 მუხლის საფუძველზე დეპარტამენტი სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მეშვეობით.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სოციალური მუშაკი არის პირი - რომელიც სოციალურ მუშაობას (პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სპეციალობით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის

³⁰²იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის #418 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულება

გამლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას) ატარებს ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფთან და რომელსაც მიღებული აქვს ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან სხვა განათლება.

სოციალურ მუშაობას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობის პრინციპები, ადამიანის უფლებების და განსხვავებულობის პატივისცემა და ინდივიდუალური/გუნდური/ პასუხისმგებლობა.

სოციალური მუშაობის თეორიაზე, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნაზე, ადგილობრივი სპეციფიკის ცოდნასა და გააზრებაზე დაყრდნობით, სოციალური მუშაობა ითვალისწინებს ადამიანებსა და სხვადასხვა სტრუქტურებთან მუშაობას ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც საერთაშორისო პრაქტიკაში, ქართულ რეალობაშიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კონკრეტული საშუალებები ვლინდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, ხოლო ძირითადი საშუალებები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობით.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც უნდა დაეხმაროს პატიმრებს უსაფრთხო გათავისუფლებასა და მათი საკანში ყოფნის დროს პატიმრობის დროის საუკეთესოდ გამოყენებაში. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს სასჯელის შესრულების პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის ღონისძიებებს და მათი განხორციელების გეგმას.³⁰³

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი კი განსაზღვრავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის საჭირო პროგრამებს, ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ;

³⁰³ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის #418 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულება

მსჯავრდებულთა დასაქმება; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება; საზოგადოებასთან ურთიერთობა.

პატიმრობის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა, რომლის მიზანია:

ა) მსჯავრდებულში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;

ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა;

გ) მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება;

დ) მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის;

ე) სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას.

სარეაბილიტაციო პროგრამების მნიშვნელობასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ 1980-იან და 1990-იან წლებში ჩატარდა უამრავი მეტაანალიზი. მიღებული შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების გამოყენებით განმეორებითი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების რისკი შესაძლებელია შემცირდეს 0-12%-მდე.³⁰⁴

პატიმრობის კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დღის განრიგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის დროს, თუმცა აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა ხდება მსჯავრდებულის თანხმობით.

³⁰⁴ ხასია მ., პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბ., 2008,182.

რესოციალიზაციის პროცესი ფაქტობრივად წარმოდგენილია მსჯავრდებულისათვის კანონით გათვალისწინებული ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების გარეშე, ვინაიდან განათლება არის რესოციალიზაციის პროგრამის ნაწილი და ამასთან აქვს მკაცრი აღმზრდელობითი ხასიათი. როგორც ენდროუ კოილი აღწერს, ციხეში მყოფი პირების უმეტესობას აქვს განათლების დაბალი დონე, ამიტომ სავარაუდოდ განათლების დაბალმა დონემ გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ციხეში მოსვლამდე და შეიძლება მათ მიერ დანაშაულის ჩადენაშიც დიდი როლი ითამაშა. შესაბამისად, განათლების მიღება აუცილებელია, რათა მსჯავრდებულს ჰქონდეს რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა, რომ განთავსიფულების შემდგომ ექნება განათლება/პროფესია, რაც დაეხმარება სამსახურის მოძიებასა და შემოსავლის მიღებაში.³⁰⁵

განათლების უფლება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუყოფელი ნაწილია. „არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება!“³⁰⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განათლების უფლებას განიხილავს, როგორც ყველასათვის თანაბარ უფლებას და განმარტავს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება, განურჩევლად მდგომარეობისა და სტატუსისა, ასევე დეკლარაცია განმარტავს თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს განათლების პროცესი, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ.³⁰⁷ „აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მაღალმოთხოვნად საჭიროებად უნდა განვიხილოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებაში, რათა მათ განუვითარდეთ პატივისცემა საზოგადოებისადმი და ორიენტაცია აიღონ მათ პიროვნულ განვითარებაზე.“³⁰⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ

³⁰⁵ ხასია მ., პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბ., 2008, 182.

³⁰⁶ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი 1952 წლის 20 მარტი

³⁰⁷ იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26-ე

³⁰⁸ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასაჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ.192

პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის, ამავე დროს - განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას.”³⁰⁹

ამიტომ, როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლების მიღება ერთ-ერთი საფუძველია რომ მსჯავრდებულმა შეძლოს საზოგადოებაში ინტეგრაცია იმ მიღებული ცოდნისგან, რაც მან სასჯელის მოხდის პერიოდში შეიძინა.

პატიმრობის კოდექსის მე-18 თავი განსაზღვრავს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განათლების ძირითად პრინციპებს, კერძოდ კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას პირობები, რათა ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება. ასევე სავალდებულოა ყველა დაწესებულებაში მოწყობილი იყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის გასაგებ ენაზე თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც საერთაშორისო პრაქტიკაში, კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო იმ მსჯავრდებულს რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, უნდა შეექმნას პირობები მის დასაუფლებლად.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიწოდება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ

³⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჯამკოციანი და სომხეთის მოქალაქე მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”

დამტკიცებული პროგრამით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.

პენიტენციურ სისტემაში ზოგადი განათლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილისაგან განსხვავებული წესით.

პატიმრობის კოდექსის 115-ე მუხლით, სავალდებულოა პენიტენციურ დაწესებულებაში შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები. აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების დროს უპირატესობა ენიჭება იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი.

პატიმრობის კოდექსის 115¹ მუხლის საფუძველზე, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, დაბალი რისკის მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განათლების მიღების უფლებით, ხოლო არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით.

პატიმრობის კოდექსის 47-ე მუხლის 2² ნაწილით (სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მსჯავრდებულს, რომელმაც პენიტენციურ დაწესებულებაში მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა ქცევა, დამოკიდებულება ან/და რომლის იმავე პენიტენციურ დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია, დროებით, მაგრამ არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, გადაიყვანოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში რისკის გადასაფასებლად. აღნიშნულ ვადაში გუნდი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რისკის გადასაფასებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.) ან 71⁸ მუხლის მე-2 ნაწილით (თუ მსჯავრდებული არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილ მოთხოვნას ან/და თუ მან ქცევა ამ დაწესებულებაში მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი სამსახურის გენერალურ დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე.) გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულს შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე ეზღუდება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება. მსჯავრდებულს სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება ასევე ეზღუდება დისციპლინური პატიმრობის მოხდისა და სამართლო საკანში მოთავსების პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს იუვენალური კანონმდებლობა განსაკუთრებულ მიდგომებს განსაზღვრავს არასრულწლოვანთა განათლების უფლების რეალიზების თვალსაზრისით, კერძოდ: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ზოგადი განათლების მიცემის და ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების/განვითარების, აგრეთვე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის პროფესიული განათლების მიცემის მიზნით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს.³¹⁰

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული განათლების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობს

³¹⁰ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 84-ე მუხლი.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდეგ მის დასაქმებას.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით, პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესით.

არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების მიზნით აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (დიპლომი, სერტიფიკატი, ატესტატი და სხვა) არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება.

ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის, რომელსაც აქვს შემეცნებასა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია, სპეციალური პროგრამები უნდა არსებობდეს და მისი სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უნდა მიმდინარეობდეს.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ციხის პირობებშიც და ციხიდან გათავისუფლების შემდგომაც იზრუნოს მსჯავრდებულთა უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯავრდებული ციხის პირობებში ვერ ისწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ყოფნას და მისი გამოსწორება შეუძლებელი იქნება, აგრეთვე უმუშევრობის შემთხვევაში მას სხვა გზა არ ექნება, გარდა დანაშაულის განმეორებით ჩადენისა, რაც გაცილებით ცუდი შედეგის მომტანია, როგორც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე, თვით ამ პირისათვის.

„სასჯელალსრულების ფარგლებში პატიმრის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტური საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსებში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის, მისთვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით, რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას,

რომელიც შესაძლოა მან განახორციელოს მომავალში - არადანაშაულებრივი და პატიოსანი ცხოვრებისას.”³¹¹

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობა ხორციელდება პატიმრობის კოდექსითა და საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის იძულება, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას.

პატიმრობის კოდექსის 110-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა. მსჯავრდებული შეიძლება დასაქმებულ იქნეს აგრეთვე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებაში.

იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია, განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით.

მსჯავრდებული შესრულებული სამუშაოსათვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. ხელფასის სრული განკარგვის უფლება ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეცემა გათავისუფლებისას. მას უფლება აქვს, ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუზღავნოს ახლო ნათესავებსა და სხვა პირებს.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსის საფუძველზე, მსჯავრდებულთა დასაქმების მიზნით, შესაძლებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შეიქმნას საწარმოები. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში, როგორც წესი, დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებული/მსჯავრდებული. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის შესაბამისი კვალიფიკაცია ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს, ან როდესაც ასეთი კვალიფიკაციის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოკლე დროში მომზადება

³¹¹შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, 214

შეუძლებელია, აგრეთვე როდესაც სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიიდან სისტემატური გასვლა, შესაძლებელია საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ იქნეს გარეშე პირი (არაბრალდებული/არამსჯავრდებული).³¹²

პენიტენციური დაწესებულება და დამსაქმებელი ვალდებული არიან, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის დაცვის, უსაფრთხოებისა და საწარმოს სანიტარიული წესები განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე მუშაობა უქმე დღეებში შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობით. ამასთანავე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.³¹³

მსჯავრდებულის დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მათ შორის, ჩარიცხვისა და ამორიცხვის საკითხებს) და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესს, აგრეთვე იმ სამუშაოთა ჩამონათვალს, რომელთა შესასრულებლად მსჯავრდებულის დასაქმება შესაძლებელია, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად პენიტენციურ სისტემაში სტაბილური დასაქმების შესაძლებლობა სამეურნეო სამუშაოებზეა გათვალისწინებული, რომელიც განსაზღვრულია პატიმრობის კოდექსის 112¹ მუხლის საფუძველზე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულება, სამწუხაროდ კვლავაც მკაცრი ეტიკეტირების და მასიდან გარიყვის საფუძველია.

მსჯავრდებულთა დასაქმების კონტექსტში, აღსანიშნავია 2016 წელს სისტემაში განხორციელებული ინოვაციური პროექტი, რომლის ფარგლებშიც მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს, საშუალება მიეცათ გამოეყენებინათ ელ. კომერციის ხერხი, საკუთარი ხელნაკეთი ნაწარმის რეალიზებისთვის. პროდუქციის ფასებს თავად

³¹² იხ. პატიმრობის კოდექსის 111 მუხლი

³¹³ იხ. პატიმრობის კოდექსის 112 მუხლი

პატიმრები განსაზღვრავდნენ და რეალიზების შემთხვევაში პირად საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდათ ნავაჭრი თანხა, რომლის გამოყენება თავისი შეხედულებით შეეძლოთ.³¹⁴

ვფიქრობ, კონტაქტი გარე სამყაროსთან სასჯელის აღსრულებისას რესოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. მნიშვნელოვანია შენარჩუნებულ იქნეს მსჯავრდებულის კონტაქტი გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან, რაც თავის თავში მოიაზრებს ხანგრძლივადიანი და ხანმოკლევადიანი პაემნის უფლებას, ვიდეოპაემნის უფლებას, სატელეფონო საუბრებსა და მიმოწერას, რომ მოხერხდეს ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრა და შესაძლებელი იყოს მუდმივი კონტაქტის დამყარება, ვინაიდან როგორც წესი დადებით ზეგავლენას და დამატებით მოტივაციას უჩენს მსჯავრდებულს ახლო სანათესაო წრესთან კომუნიკაცია, ხოლო ის მსჯავრდებულები. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს იმ მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის სირთულე ვინც მივიწყებას მიეცა ოჯახისგან და ახლო სანათესაო წრისგან.

რესოციალიზაციის პროცესში ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეალიზებულ იქნეს მსჯავრდებულის უფლება მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში, სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში, ყოველდღიურად იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით), რადგან ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვანი ფუნდამენტია რესოციალიზაციის მიზნის მიღწევის.

პენიტენციურ სისტემაში და მის გარეთ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს, რომლის უმთავრესი ამოცანები და ფუნქციებია:

მსჯავრდებულთა პროფესიული შესაძლებლობებისა და საჭიროებების დადგენა სწავლების/პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით;

³¹⁴ იხ. აღნიშნული ონლაინ მაღაზია <https://online.moc.gov.ge/katalogi>

- მსჯავრდებულთა სწავლების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელება და განხორციელებაზე კონტროლი;
- მსჯავრდებულთა სწავლების/პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და მის გარეთ, დასაქმების პროექტის ან ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;
- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების, მათი ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსებისა და მიზნობრივი ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარება;
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან თანამშრომლობით, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობა მსჯავრდებულთა დასაქმების მიზნით;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით;
- მსჯავრდებულთა სწავლების/პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების მიზნით თანამშრომლობა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან;
- საჭიროების შემთხვევაში, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობა;
- პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათი შევსება და განახლება.³¹⁵

³¹⁵იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის დებულება

სამწუხაროდ, ცენტრიდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია (2022 წლის 25 მარტის N01/144 წერილი) არ არის ნამდვილად შთამბეჭდავი და ცხადყოფს, რომ დაარსებიდან პირველი 2 წელი აშკარად მოსამზადებელი ხასიათის იყო ან კოვიდ პანდემიამ შეუშალა ხელი უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელებაში, ვინაიდან 2020 წელს ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა მხოლოდ 18 მსჯავრდებული, ხოლო 2021 წელს მხოლოდ 39 მსჯავრდებული და მსჯავრდებულთა დასაქმების აქტივობა მოიცავდა მხოლოდ 5 დაწესებულებას.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია ამ მხრივ გატარდეს აქტიური ღონისძიებები და გაიზარდოს დასაქმებულთა ხვედრითი წილი. ვფიქრობ შესაძლებელია კანონის მიღება კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გარკვეული შეღავათების გაწევაზე, მას შემდეგ, რაც ისინი განაცხადებენ თანხმობას სამუშაოზე მიიღონ მსჯავრდებული.

კანონმორჩილ მოქალაქეთა დასაქმების პრობლემის პარალელურად ხშირად ისმის კითხვა თუ რამდენად სამართლიანია სახელმწიფომ სამუშაო ადგილით უზრუნველყოს მსჯავრდებული, როცა კანონმორჩილი მოქალაქე უმუშევარია?

მიმაჩნია, რომ ამ ორ უფლებას შორის პრიორიტეტი მაინც მსჯავრდებულთა დასაქმებას უნდა მიენიჭოს საზოგადოების მომავალი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორც ჩანს, პენიტენციურ სისტემაში შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება გადამზადების მხრივ, ვინაიდან (2022 წლის 25 მარტის N01/144 წერილი, მოთხოვნის მიუხედავად ცენტრს არ მოუწოდებია ინფორმაცია 2020 წლის აქტივობებზე) 2021 წელს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების პროცესში ჩართული იყო 495 მსჯავრდებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონონის თანახმად წლიდან წლამდე იზრდება დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემების განვითარებისათვის, აგრეთვე, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისათვის გათავალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებები, რაც ერთმნიშვნელოვნად მისასაღმებელია და ცხადყოფს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო

დონეზე გაწერილი მაღალი სტანდარტებისა და ბიუჯეტირებისა, თავისუფლებააღკვეთილ პირთა რესოციალიზაციისა და გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა სერვისების მაქსიმალურად ჩქარ ტემპში დანერგვა, ხელმისაწვდომობა და მხარდაჭერა, არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ ასევე კერძო სექტორის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი მისი განთავისუფლების შემდგომაც ეფექტურად უნდა გაგრძელდეს და შესაბამისად ამ სტადიაზე განსაკუთრებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს როლი ვინაიდან „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სოციალური მუშაობის სფეროში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებია:

ა) ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოსოციალური მომსახურების დანერგვა, მოძიება და მიწოდება, მათი რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგი;

ბ) ბენეფიციართა ოჯახის წევრებთან ან უახლოეს წრესთან მუშაობის წარმართვა და პრობლემური შემთხვევების მართვა;

გ) ბენეფიციართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა;

დ) ბენეფიციართათვის საჭიროების შესაბამისი არაფორმალური განათლების მომსახურების მიწოდება, მათი პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;

ე) ბენეფიციართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით სპორტულ-კულტურული და რეკრეაციული ღონისძიებების დაგეგმვა ან მოძიება და მიწოდება;

ვ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა;

ზ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.³¹⁶

აღსანიშნავია ასევე, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე განსაზღვრავს ასევე დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვან პირთა ჯგუფებთან სოციალური მუშაობის სფეროში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებს, კერძოდ:

ა) დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ ბენეფიციართა ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური შეფასება, მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი, ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების დანერგვა ან მოძიება და მიწოდება;

ბ) ბენეფიციართა მიერ დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის კონსულტაციების გაწევა;

დ) ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა, აგრეთვე დღის ცენტრებისა და 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისათვის დანაშაულის მეორე დონის პრევენციისკენ მიმართული სერვისების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;

ე) დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის რთული ქცევის მართვასთან და დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ვ) ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელება;

³¹⁶ იხ. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 52 -ე მუხლი

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.³¹⁷

რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებების განხილვის პროცესში, ვერანაირად ვერ ავარიდებთ თავს სარაბილიატაციო პროგრამების შემაფერხებელ ძირითად პრობლემებზე და გამოწვევებზე საუბარს, ვინაიდან სამწუხაროდ დღემდე აქტუალურია კრიმინალური სუბკულტურისა და საზოგადოების მიერ ყოფილ მსჯავრდებულთა სტიგმატიზაციის საკითხი.

ისევე როგორც საერთაშორისო პრაქტიკაში, ხაზგასასმელია კრიმინალური სუბკულტურის გავლენის დამაპროვოცირებელი მნიშვნელობა მსჯავრდებულის რეაბილიტაციის პროცესში. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები, რომელიც პატიმარს უბიძგებს მოექცეს კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ქვეშ.

ნებისმიერი რეჟიმი და მათ შორის სასჯელაღსრულების რეჟიმის არსებობა ადამიანს ანდომებს პირადი ავტონომიის შექმნის შესაძლებლობას და ავტორიტეტის სტატუსის ფორმირებას. თავისი ავტორიტეტის და სხვა პატიმრებზე უპირატესობის მოსაპოვებლად მსჯავრდებული აღირებს სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს, რწმენას, ღირებულებათა სისტემას, როლის ირგვლივ გაერთიანებულნი არიან სხვა პირებიც.³¹⁸

კრიმინალური სუბკულტური მატარებელი პირებისთვის, რომლებიც ე.წ. ქურდული გაგებით“ ცხოვრობენ, მიუღებელია საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებში ჩართვა. აქედან გამომდინარე იმ დაწესებულებებში, სადაც დიდია კრიმინალური სუბკულტურის გავლენა ჭირს მსჯავრდებულთა ჩართვა განათლების და დასაქმების პროგრამებში.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს იმ ადამიანებზე ან ჯგუფებზე ზრუნვას, რომელთაც პიროვნული სისუსტის ან საკუთარი ბრალეულობის გამო, ხელი ეშლებათ პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ასეთ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ასევე მსჯავრდებულები.³¹⁹

³¹⁷ იხ. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 52 -ე მუხლი

³¹⁸ იხ. www.rivg.ge მარიკა ნათაძე.

³¹⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 32

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლისა და მასობრივი ამნისტიის შემდეგ სასჯელადსრულების დაწესებულება 14 000-მდე პატიმარმა დატოვა. ციხეებს სხვადასხვა მიზეზით პატიმრები ყოველდღიურადაც ტოვებენ. ცხოვრებას კი ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ. ეს ის სტიგმაა, რის გამოც მათ სოციალურ ურთიერთობებშიც და დასაქმებაშიც მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უარყოფა კი, ხშირ შემთხვევაში, ხელახალი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება. მიმაჩნია, რომ ნასამართლობა უმუშევრობას არ უნდა უდრიდეს და ამ ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია გაუმართლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთი სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური თეორია არსებობს: ე.წ. განტევების ვაცის თეორია, ეტიკეტირების თეორია და სხვა.³²⁰

რესოციალიზაციის პროცესში, სტიგმატიზაციის გამორიცხვის თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილება ე.წ. „ლებახის საქმეზე“³²¹, რომელიც შეეხებოდა სამი ახალგაზრდის მიერ ოთხი მძინარე ჯარისკაცის მკვლელობას, მათ გაიტაცეს ტყვია-წამალი და აპირებდნენ თავდასხმებს ქონების დაგროვების მიზნით, რათა სამხრეთის ზღვის სანაპიროზე უზრუნველად ეცხოვრათ, ისინი იყვნენ ახლო მეგობრები, რომელთაც ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. ორ მათგანს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მესამეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, თუმცა პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

მსჯავრდებულის გათავისუფლების დღეს ტელეკომპანია „ZDF“ გეგმავდა ეჩვენებინა ორსაათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჯარისკაცების მკვლელობა ლებახში“. რომელიც მაყურებელს უამბობდა დანაშაულის ჩადენის ქრონიკას მსჯავრდებულთა ინდენტიფიცირებით.

³²⁰ აღნიშნულ საკითხზე დამატებით იხ. შალიკაშვილი მ., კრიმინალური კარიერის ელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი(საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში)თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი 2010, გვ.197-203; აგრეთვე, ე.გიდენსი, სოციოლოგია, თბ., 2011, გვ.219-222, 254-255

³²¹ გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. 131

საკონსტიტუციო სასამართლომ ტელეკომპანია „ZDF“-ს აუკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განაცხადა: მსჯავრდებულს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ინტეგრირებულ იქნას საზოგადოებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო მოგვიანებით ინფორმაციის გავრცელება, თუ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა არსებითად ახალი ან დამატებითი ზიანის მიყენება მსჯავრდებულისთვის, რის გამოც საფრთხე ექმნებოდა მის რესოციალიზაციას. საფრთხეს კი წაარმოადგენდა ის, რომ ეთერში გავიდოდა მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული გადაცემა, რომლითაც შესაძლებელი იყო მისი იდენტიფიცირება.³²²

შესაბამისად მხოლოდ სახელმწიფო არ არის ვალდებული პირის რესოციალიზაციაზე, საზოგადოებამაც ხელი უნდ შეუწყოს მსჯავრდებულის ხელახლა ინტეგრაციას, რაც პირველ რიგში, ეტიკეტირების თავიდან აცილებაში გამოიხატება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში ეფექტურად ხორციელდებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული რესოციალიზაციის საშუალებები, უკლებლივ ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ, არამხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციის ჩართულობით, არამედ ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორის ჩართულობით.

2.5. დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით

დამნაშავის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ისინი გვევლინება, როგორც

³²² გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. 132

სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, ხოლო ხშირ შემთხვევაში კი იგი უმთავრესი მიზნის სახით ყალიბდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით სასჯელის მიზანი დამნაშვისთვის თავისუფლების აღკვეთასთან ერთად მისი შემდგომი რესოციალიზაციაა, სწორედ ამიტომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებში დამნაშავის რესოციალიზაცია დამკვიდრდა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი აუცილებელი მიზანი.

ქართული კანონმდებლობა იდეალურისაკენ ისწრაფვის. იგი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას მიეკუთვნება³²³ და შესაბამისად, უნდა მიბადოს ამ სამართლის ოჯახის უპირველეს სახელმწიფოს, როგორც კანონმდებლობით, ისე ძირეული რეფორმებით, რაც გატარდა ამ კანონმდებლობის იდეალურობის პიკისათვის მისაღწევად.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი რესოციალიზაციისა და გამოსწორების ზუსტ დეფინიციას არ იძლევა. ეს ცნებები გაბნეულია სხვადასხვა მუხლებში და ერთიანობაში ქმნის სასჯელის მიზნების განსაზღვრებას. ხოლო, გერმანული კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ³²⁴ უფრო კონკრეტულია ამ საკითხთან მიმართებით და განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს, აგრეთვე სასჯელის მიზნები, რომლებიც უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დროს. ამ კანონის მე-2 მუხლი ამბობს, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი მიზანია, გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა პატიმარმა შეძლოს იცხოვროს დანაშაულისაგან თავისუფალი და სოციალური პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრებით. აგრეთვე, პატიმრობის აღსრულება ემსახურება საზოგადოების დაცვას შემდგომი დანაშაულებისაგან.³²⁵

³²³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004

³²⁴ იხ. კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, Gesetz über den Vollzug der Freiheitsstrafe und der freiheitsentziehenden Maßregeln der Besserung und Sicherung, <https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html>

³²⁵ იხ. კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, Gesetz über den Vollzug der Freiheitsstrafe und der freiheitsentziehenden Maßregeln der Besserung und Sicherung, <https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html> მუხლი 2

შესაბამისად თითქმის იდენტური შინაარსისაა, როგორც საქართველოს პატიმრობის კოდექსის 1-ლი მუხლით გადმოცემულ სასჯელის მიზნები. ამავე კანონის მე-3 მუხლი ამბობს, რომ სასჯელის აღსრულების პირობებში პატიმრის ცხოვრება ზოგად ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან შეძლებისდაგვარად მიახლოებული და გათანაბრებული უნდა იყოს, თავისუფლების აღკვეთის საზიანო შედეგები დაძლეულ უნდა იქნას. საჭიროა, ცხოვრება ციხეში მაქსიმალურად გავდეს ცხოვრებას საზოგადოებაში (რასაც ზოგჯერ ნორმალიზაციის პრინციპს უწოდებენ) და ორგანიზებული იყოს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციას.³²⁶ აღნიშნული კანონით აგრეთვე დადგენილია თავისუფლების აღკვეთისა და პატიმრობის დროს სოციალური თერაპიის კურსების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პატიმრის სოციალურ რეაბილიტაციას და მისი აზროვნების „გამოჯანმრთელებას“.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დანაშაული არის დამნაშავის დასჯის საფუძველი. სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულია ის გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში ცხოვრებისა და რეინტეგრაციის დროს.

გამოსწორებისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომების მიღებისათვის, გერმანელი სამართალმცოდნეების აზრით, მნიშვნელოვანია რესოციალიზაციისა და პრევენციის ფუნქციებისა და მიზნების რეალურად განხორციელება. ამიტომ, გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა პირის რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით მიმართულია არასაპატიმრო სანქციების გამოყენებისაკენ, რადგან თავისუფლების აღკვეთა რესოციალიზაციისათვის მეტად ხელშემშლელია.³²⁷

³²⁶ იხ. კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, მუხლი 3

³²⁷ იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 79; ციტირებულია: Schöch, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992. ix. Spiess, Wenn nicht mehr, wenn nicht geringe Strafen, was denn? S.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის მიზნებზე, კერძოდ კი რესოციალიზაციაზე, საუბრობს ი. შვაბე, რომელიც განიხილავს ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. „რესოციალიზაციის კონსტიტუციურ-სამართლებივი პრინციპი ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას და ჩამოაყალიბოს რესოციალიზაციის ეფექტური კონცეფცია და მასზე ააგოს მართლმსაჯულება.“³²⁸ აგრეთვე ის აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო არჩევანი, მისთვის საჭირო სამეცნიერო თუ სოციოლოგიური დარგების მეშვეობით შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი რესოციალიზაციის პროცესის სრულყოფისათვის.³²⁹

გერმანული სისხლის სამართლის ლიტერატურა ემხრობა რესოციალიზაციის მიზანს.³³⁰ „სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის აღსრულება წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლისა და კონტროლის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია რესოციალიზაცია, რეციდივის თავიდან აცილება და საზოგადოების დაცვა.“³³¹ „სასჯელის აღსრულებამ, პირველ რიგში, დამნაშავეები უნდა გამოსწოროს. რაც ნიშნავს შრომისმოყვარეობის იძულებას, წესრიგისა და დისციპლინის დაცვას, რათა ისინი სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ.“³³² რითაც ის ემსგავსება ქართულ კანონმდებლობას.

გერმანიის სასჯელაღსრულების აქტის მიხედვით (German Prison Act “resozialisierung”) მნიშვნელოვანია, რომ გერმანიაში სასჯელის მიზნად რესოციალიზაციის მნიშვნელობა არ შეცვლილა 1973 წლის შემდეგ, როდესაც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში რესოციალიზაცია აღიარა კონსტიტუციით დაცულ უფლებად და ამით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა³³³

http://www.unikonstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf;

³²⁸ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 215

³²⁹ იქვე. 215-216 გვ.

³³⁰ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 182

³³¹ იქვე, 182 გვ.

³³² ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 182.

³³³ Bundesverfassungsgericht (First Division) 5 June 1973 BVerfGE 35, 202 <https://germanlawarchive.iuscomp.org/?p=62>

სწორედ ამ გადაწყვეტილების მიხედვით რესოციალიზაციას ექცევა ძირითადი ყურადღება, რადგან სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე დაყრდნობით სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება იზრუნოს ისეთ მოქალაქეებზე, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისთვის იყვნენ გასამართლებულები ან იხდიან სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში ან დანიშნული აქვთ სხვა ალტერნატიული სასჯელები. სწორედ სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის სტანდარტი უზრუნველყოფს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. „დამნაშავეს რესოციალიზაცია ემსახურება, საზოგადოების დაცვას და უზრუნველყოფს რომ დამნაშავემ მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული...“³³⁴

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილების მიხედვით, რესოციალიზაცია არის განუყოფელი ნაწილი ადამიანის იმ უფლებებისა, რომლებიც დაცულია კონსტიტუციით.³³⁵

რესოციალიზაციის უფლება გამომდინარეობს ადამიანის ღირსების უფლებიდან, ადამიანს აქვს ღირსების და თავისუფალი განვითარების უფლება (German basic Law მუხლი პირველი და მე-2).³³⁶

სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი თანდათან უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გერმანიის სამართლებრივ სივრცეში და სასჯელის დანიშვნის დროს აქცენტი სასჯელის ამ მიზანზე კეთდებოდა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფრო დეტალურად განმარტავდა რესოციალიზაციის შინაარსს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო იგი გაგებულ და აღსრულებულ. როგორც გრძელვადიანი აგრეთვე მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში რესოციალიზაციის მნიშვნელობა თანაზომიერად აღიქმება, მეტიც არამხოლოდ ვადიან არამედ უვადო თავისუფლება

³³⁴ Bundesverfassungsgericht (First Division) 5 June 1973 BVerfGE 35, 202 <https://germanlawarchive.iuscomp.org/?p=62> (აღწერილია ეს საკითხი: https://www.researchgate.net/publication/270672282_Judicial_Rehabilitation_in_Germany_-_The_Use_of_Criminal_Records_and_the_Removal_of_Recorded_Convictions გვ. 22)

³³⁵ Christine Morgenstern, Judicial rehabilitation in Germany – the use of criminal records of and the removal of recorded convictins, p. 20-22. http://www.ejprob.ro/uploads_ro/720/Judicial_rehabilitation_in_Germany.pdf

³³⁶ German Basic Law Art. 1 and 2. <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>

აღკვეთილ მსჯავრდებულების მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული რესოციალიზაციის მიზნით დანიშნული სასჯელი ისევ და ისევ „სოციალური სახელმწიფოს“ პრინციპიდან გამომდინარე, რადგან ნებისმიერ დროს შესაძლოა გათავისუფლებული იქნეს მსჯავრდებული.

„სახელმწიფომ არ უნდა წაართვას ინდივიდს თავისუფლება, ისე რომ მომავლში მას თავისუფლების აღდგენის შესაძლებლობა არ მიეცეს“, ამ სიტყვებით აღწერს და ასაბუთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებას.³³⁷

რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი ნიდერლანდების კანონმდებლობაში 1951 წლიდან დამკვიდრდა. ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად ყველა ის მოქმედება, რაც უზრუნველყოფს დამნაშავის რესოციალიზაციას შემოიფარგლება სასჯელის ხანგრძლივობით დამნაშავის გათავისუფლების მომენტამდე. ნიდერლანდებში პენიტენციური პრინციპების აქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (Penitentiary Principles Act) „საპატიმრო სასჯელი მიზნად ისახავს დამნაშავის მომზადებას საზოგადოებაში შემდგომი ინტეგრაციისთვის“.³³⁸

ნიდერლანდების სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოქმედებს პატიმრების რეაბილიტაციის პროგრამა (**Prevention of Recidivism Program**), რომელიც მიმართულია იმ პატიმრების მიმართ, რომლებსაც გათავისუფლებამდე დარჩენილი აქვთ 4 თვე. აქვე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ პროგრამაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და მასში ჩართულ პირებს აქვთ შესაძლებლობა სასჯელის ნაწილი ნიდერლანდების პრობაციის სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ მოიხადონ ციხის გარეთ. ამ შეთავაზებით ხდება მათი დამატებით მოტივაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩასართავად.³³⁹

³³⁷ War criminal case 72 BVerFGE 105 (1986)

³³⁸ Penitentiary Principles Act in Netherlands article 2(2): [https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl-at.nsf/0/4dcca5be395ff03ec12577060033c97d/\\$FILE/Prisons%20Act.pdf](https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl-at.nsf/0/4dcca5be395ff03ec12577060033c97d/$FILE/Prisons%20Act.pdf)

³³⁹ Journal of Developmental and Life-Course Criminology (2020) 6:95–12, p. 2, <https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s40865-020-00139-3.pdf>

იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლი ესპანეთის კონსტიტუციის მსგავსად წარმოაჩენს რესოციალიზაციის მნიშვნელობას : სასჯელის მიზანი უნდა იყოს დამნაშავეს აღზრდისკენ მიმართული.³⁴⁰

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია სასჯელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, „სასჯელი უნდა მოდიოდეს თანხვედრაში ადამიანის უფლებასთან და მისთვის დანიშნულმა სასჯელმა არ უნდა უგულვებელყოს ადამიანის უფლებები, რადგან საპატიმრო დაწესებულებაში უნდა მოხდეს მსჯავრდებულის მომზადება გათავისუფლებისთვის“ სწორედ ამ მიზნით დანიშნული სასჯელის აღსრულებას უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულება.³⁴¹

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის ზრუნვა იწყება მისი საპატიმრო დაწესებულებაში განთავსების დღიდან, რაც ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ინდივიდუალურად გათვლილი პროგრამის ორგანიზებით და ეს არ წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ შემუშავებულ შინაარსს, არამედ ეფუძნება რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის გათვლილ წინასწარ პრინციპებს.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დამნაშავეს რეაბილიტაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასჯელის დანიშვნის დროს. დამნაშავე, რომელიც სასჯელს იხდის იტალიის კანონმდებლობა უზრუნველყოფს და აძლევს მას საშუალებას შესაბამის შემთხვევებში, დატოვოს ციხე. რა დროსაც, სასჯელაღსრულების დაწესებულება, სრულად უზრუნველყოფს არამარტო დამნაშავეზე მონიტორინგს არამედ სრულად არის დაცული საზოგადოება დამნაშავეს მხრიდან ნებისმიერი კუთხით მომდინარე საფრთხისგან.³⁴²

აღსანიშნავია რომ პენიტენციურ სამსახურში მოთავსების დღიდან სისტემა უზრუნველყოფს მსჯავრდებულისათვის განათლების (re-education) მიცემის

³⁴⁰ იხ. იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლი „Punishments may not be inhuman and shall aim at re-educating the convicted“ https://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf

³⁴¹ Esposito M., “The Rehabilitation Role of Punishment in Prisons in Italy. Theoretical Development and Sociological Considerations”, Department of Human, Social and Health Sciences, University of Cassino and Lazio Meridionale, Cassino, Italy 2014, 188.

³⁴² <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>.

შესაძლებლობას, რაც ეხმარება მას საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ მოახდინოს სრულად შერწყმა საზოგადოებაში და დაიმკვიდროს თავი როგორც სრულფასოვანმა წევრმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპის სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიმართ მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში აშკარად კეთდება აქცენტი რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე, ხოლო განსაკუთრებით მისი განხორციელების ხერხებზე ხდება აქცენტის გაკეთება. კერძოდ, ამავე რეკომენდაციაში - წესი N89: დამნაშავეს რეაბილიტაციისთვის აუცილებელ ღონისძიებად მიჩნეულია კვირაში ერთი დღით მისი გათავისუფლება, რათა მან შეძლოს ეტაპობრივად ადაპტირდეს საზოგადოებაში, ხოლო გათავისუფლების მომენტისთვის მზად იყოს სრულყოფილად შეერწყას საზოგადოებას.³⁴³

სწორედ გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში სათანადო ინტეგრაციის მნიშვნელობაზე საუბრობს ამავე რეკომენდაციით წარმოდგენილი N 33.3 წესი.³⁴⁴

რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა ასევე ესპანეთში, ვინაიდან კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: თავისუფლების აღკვეთა მიმართული უნდა იყოს დამნაშავეს აღზრდისა და რესოციალიზაციისკენ.³⁴⁵

ხორვატიის მაგალითის განხილვისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასევე ამ ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ აღიარებს და მეტიც მოწინავე პოზიციაზე აყენებს სასჯელის მთავარ მიზნად რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას. ეს გამოვლინება მათი წარსული სამართლებრივი წესრიგისა, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირები პირადად საპატიმრო დაწესებულებაში იგზავნებოდნენ, ხოლო სასჯელის ძირითად მიზანს მათი დასჯა წარმოადგენდა. დანაშაულზე რეაგირების კუთხით ხორვატიის კანონმდებლობა სისხლის სამართლის კოდექსთან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან ერთად

³⁴³ <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>,

³⁴⁴ იქვე, 91 გვ.

³⁴⁵ იხ. ესპანეთის კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი „Prison sentences and security measures will be oriented towards reeducation and social reintegration...“
<https://app.congreso.es/consti/constitucion/indice/titulos/articulos.jsp?ini=25&tipo=2>

აქტიურად იყენებს პრობაციის აქტსა და სპეციალურ კანონს საპატიმრო დაწესებულებაში მოპყრობის შესახებ (Law on the Enforcement of the Prison Sanctions).³⁴⁶

რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი ხორვატიის კანონმდებლობაში მე-20 საუკუნის მიწურულს 21-ე საუკუნის დასაწყისში შეინიშნება, ხოლო მასთან ერთად ვითარდება პრობაციის ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებულია არამარტო მსჯავრდებულის მომზადებაზე, არამედ ალტერნატიული სასჯელების დანიშვნაზე. ყოველივე ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი ხორვატიის სასჯელ აღსრულების დაწესებულების გადატვირთულობა გახდა.³⁴⁷

ალტერნატიული სასჯელების მხრივ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ალტერნატიული სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას რომელსაც არეგულირებს Community Service Act of Croatia. პირებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური ცოდნა სხვადასხვა მიმართულებებით ეძლევათ საშუალება საპატიმრო სასჯელი შეეცვალოთ ალტერნატიული სასჯელით და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ჩაეთვალოთ სასჯელის ვადაში.³⁴⁸

ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს პრობაციის მიზანს დაიცვას საზოგადოება დამნაშავეს უკანონო მოქმედებებისგან. სწორედ ამიტომ სასჯელის მიზნად ყალიბდება რესოციალიზაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობის მიცემა მსჯავრდებულისა და ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ. მსჯავრდებულის ეფექტური რესოციალიზაცია დამოკიდებულია პრობაციის ოფიცერზე, სწორი მხარდაჭერით და საჭირო მოტივაციის მიცემით ხდება მისი მომზადება საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. რა თქმა უნდა თითოეულ შემთხვევაზე ხდება მსჯავრდებულზე გათვლილი ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ჩადენილი დანაშაულის ხასითისა, ფორმისა და პატიმრის პიროვნული თვისებების გათვალისწინებით სწორედ ამიტომ ასეთი პროგრამით გაწეული მომსახურება

³⁴⁶ სტატიათა კრებული :Prevention of Crime and treatment of Offenders 2020 N.111, article: RESOCIALIZATION AND REHABILITATION OF OFFENDERS IN THE COMMUNITY – THE CROATIAN PROBATION SERVICE - Jana Špero, p. 39.

³⁴⁷ იქვე, 41 გვ.

³⁴⁸ იქვე, 40 გვ.

უზრუნველყოფს არამარტო მსჯავრდებულის მომზადებას საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის არამედ ახდენს ასე შემდგომი დანაშაულის პრევენციას.³⁴⁹

აღსანიშნავია, რომ ასევე ნორვეგიაში სასჯელის მთავარ მიზნებად კომბინირებულად რეაბილიტაცია და რესოციალიზაციაა განსაზღვრული. პიროვნების აღზრდა განვითარებაზე, გათვლილი სისტემა უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების დღიდან მოხდეს პატიმრისთვის ისეთი პირობების შეთავაზება, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მან შეძლოს სათანადოდ შეუერთდეს საზოგადოებას და არ იყოს მისგან გარიყული. ყველაფერ ამაში მას ეხმარება საპატიმრო დაწესებულებაში არსებული პირობები, თანამშრომლების მომზადების დონე, რომლებსაც შეუძლიათ პატიმრების მოტივირება.

ნორვეგიის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსჯავრდებულზე განსახორციელებელ ზრუნვას, რომელიც მიმართულია მისი რეაბილიტაციისკენ სასჯელის მოხდის პროცესში. ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პატიმარი ერთ დღეს დაუბრუნდება საზოგადოებას, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ისეთი პირობები შეთავაზებული, რომ საზოგადოებაში დაბრუნებული პირი სრულად აღიქვამდეს თანამედროვეობაში არსებულ გამოწვევებს, შეძლოს წინააღმდეგობების გადალახვა და სასჯელის მოხდის პროცესში იყოს უზრუნველყოფილი (შეზღუდულად, მაგრამ მაინც) ყველა იმ უფლებებით, რომლითაც ისარგებლებდა იგი თავისუფლებაზე. მაგ: განათლების უფლება, ოჯახთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და ა.შ.³⁵⁰

სწორედ საგანმანათლებლო პროგრამებით მათი უზრუნველყოფა განაპირობებს მათი უნარების და შესაძლებლობების განვითარებას. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების მთავარი მიზნი მაინც დამნაშავეზე ზრუნვა

³⁴⁹სტატიათა კრებული :Prevention of Crime and treatment of Offenders 2020 N.111, article: RESOCIALIZATION AND REHABILITATION OF OFFENDERS IN THE COMMUNITY – THE CROATIAN PROBATION SERVICE - Jana Špero, p., 47.

³⁵⁰ Denny M. „Norway's Prison System: Inv s Prison System: Investigating Recidivism and estigating Recidivism and Reintegration“ Coastal Carolina University, 2016, p.25.

და მისი რესოციალიზაციაა, რადგან ყოველთვის შეიძლება მსჯავრდებული დაუბრუნდეს ყოველდღიურ ცხოვრებას.³⁵¹

ამ პროცესში ხდება არამხოლოდ მისი შემზადება საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის, არამედ მათი ერთგვარი „გარდასახვა“, ჩამოყალიბება ისეთ პიროვნებად რომლებიც სამომავლოდ არ ჩაიდენენ დანაშაულს. სწორედ ასეთი შესაძლებლობების შეთავაზება არის ის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არის რეციდივის პროცენტულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.³⁵²

ის, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში ძირითადი აქცენტი პიროვნების ინტერესსა და რესოციალიზაციაზეა გადატანილი, ადასტურებს ნორვეგიის ქალაქ ჰალდენში არსებული ციხე, რომელიც მიიჩნევა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ და ჰუმანურ სასჯელადსრულებით დაწესებულებად. ვინაიდან აღნიშნული ციხე განკუთვნილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულებისათვის, რომელთათვის შესაბამისად გამოყენებულია სასჯელის მკაცრი ზომა, ციხე არის კეთილმოწყობილი. რაც გამოიხატება იმაში, რომ გარშემორტყმულია 30 ჰ. ტყით, სადაც მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ისეირნონ ზედამხედველობის გარეშე. ხოლო საკანში ყოფნა მსჯავრდებულს ევალება საღამოს 8:30-დან დილის 7:00-მდე. დანარჩენ დრო კი შეუძლია მუშაობას დაუთმოს და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. ციხეში არის ყოველგვარი პირობა შექმნილი, რომ მსჯავრდებულებმა თავად მოამზადონ საკვები. მსჯავრდებულს ასევე ეძლევა კვირაში სამი სატელეფონო საუბრის უფლება და რაც მთავარია, ძალიან იშვიათია პატიმრებსა თუ პატიმრებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის კონფლიქტის ფაქტები.³⁵³

ასევე ფინეთში, რესოციალიზაცია წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ მთავარ მიზანს. მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებაში განთავსების დღიდან ხდება მისი ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში და ამაში მონაწილეობას იღებენ ციხის თანამშრომლები, რომლებიც არიან სპეციალიზებული ამ მიმართულებით. ხშირ

³⁵¹ Denny M. „Norway's Prison System: Investigating Recidivism and Reintegration“ Coastal Carolina University, 2016, p. 24-25.

³⁵² Denny M. „Norway's Prison System: Investigating Recidivism and Reintegration“ Coastal Carolina University, 2016, p. 25.

³⁵³ https://en.wikipedia.org/wiki/Halden_Prison

შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული განთავსებულია დახურული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში ციხის ადმინისტრაცია მიმართავს საგანმანათლებლო სამსახურს (უწყებებს შორის კოორდინაციის გზით) და ხდება სპეციალური გარემოს მოწყობა პატიმრისთვის. არის შემთხვევები, როდესაც განათლების მიმღები პირები აბარებენ გამოცდებს ექმნებათ საშუალება გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. ხშირ შემთხვევაში (საკითხის განხილვა ხდება ინდივიდუალურად) პატიმარს აქვს სააუდიტორო გარემოში დასწრების შესაძლებლობა.³⁵⁴

სწავლასთან ერთად მსჯავრდებულებს, აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება, ასევე დაეუფლონ მეორად პროფესიებს, რომლებიც მათ გათავისუფლების შემდეგ დაეხმარება შემოსავლის მიღებაში. შრომის სპეციფიკა მოიცავს სხვადასხვა სახის სამუშაოებს, როგორებიცაა სასოფლო სამეურნეო, მეტალურგია, სამშენებლო და სხვა. ყოველივე ამისთვის კანონით გათვალისწინებული კვირაში 40 საათის სრულად ათვისება შეუძლიათ მსჯავრდებულებს.³⁵⁵

ვინაიდან რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მნიშვნელობა ძალზედ დიდია, საჭიროა აღნიშნული ცნება განხილულ იქნეს როგორც კონტინენტური ევროპის, ისე პრეცედენტული სამართლის სტილისათვის დამახასიათებელი კანონმდებლობა, რაც მასთან კავშირში იქნება და უფრო ნათელს მოჰფენს იმ მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც შეიძლება ან არ ვერ იქნეს გათვალისწინებული რომანულ-გერმანული სამართლის სისტემით. მათ მსჯავრდებულის გამოსწორების შესატყვისი ტერმინად აქვთ რეაბილიტაცია, რომელიც სასჯელის მიზნებშიც გათვალისწინებულია.

სასჯელის მიზნებად, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა, განისაზღვრება ხუთი ასპექტი, რომელთაგანაც უპირველეს ადგილას დგას დამნაშავის რეაბილიტაცია, რომლის მიხედვითაც სასჯელის მოხდისას ხდება მსჯავრდებულის აზროვნებისა და შეხედულებების ცვლილება, რომ აღარ განახორციელოს დანაშაულებრივი ქმედება. სასჯელი მიზნად ისახავს დამნაშავის ქმედებების ნორმალურ

³⁵⁴Timofeeva E.A., Foreign Prison Experience Resocialization of Prisoners, 2018, p.2, https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2019/03/shsconf_pedtp2018_12004.pdf

³⁵⁵ Timofeeva E.A., Foreign Prison Experience Resocialization of Prisoners, 2018, p.2, https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2019/03/shsconf_pedtp2018_12004.pdf, 2.

და საზოგადოებრივად მისაღებად ჩამოყალიბებას, აგრეთვე დამნაშვის მიერ მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას. რეაბილიტაციის მიზანი მიმართულია დანაშაულის რეციდივის თავიდან ასაცილებლად.³⁵⁶ მსჯავრდებულის აზროვნებაში ცვლილებების განხორციელება არის მიზანი, რომელიც ხორციელდება სასჯელის შედეგად, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას. რეაბილიტაციის განხორციელებისას უნდა მოხდეს სასჯელის მორგება დამნაშვის პიროვნებაზე და არა დანაშაულზე. საზოგადოების როლი დიდია მისი მიღწევისათვის, რომელმაც უნდა მოახდინოს დამნაშვის გამოსწორებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. დანაშაული არის სოციალური დაავადება, რომელიც ექვემდებარება მკურნალობას.³⁵⁷

რეაბილიტაცია ხელს უშლის მომავალი დანაშაულის ჩადენას მსჯავრდებულის ქცევის შეცვლის გზით. რეაბილიტაციის შესანიშნავი საშუალებებია საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები, აგრეთვე სხვადასხვა დამხმარე ცენტრები და ორგანიზაციები. მოსამართლე, რომელიც იყენებს არასაპატიმრო სასჯელს, რაც ერთმნიშვნელოვნად ამცირებს ციხეების გადავსების და გადატვირთვის საშიშროებას, ავალდებულებს მსჯავრდებულს მონაწილეობა მიიღოს სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, რითაც, სტატისტიკურად, ხდება რეციდივის დონის მკვეთრად შემცირება.³⁵⁸

ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებულის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება არის სასჯელი. ინგლისელ სამართალმცოდნეებსა და იურისტებში მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელობა ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა და ინგლისური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბევრი ცვლილების საფუძველი გახდა.

ინგლისელი სამართლის მკვლევარების აზრით, სასჯელი არ უნდა იყოს გამოყენებული მთელი სიმკაცრით, არამედ ის უნდა იყოს დანიშნული დამნაშვის პიროვნებისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით. რესოციალიზაციის უპირატესობა მდგომარეობს არა სასჯელის სიმკაცრეში, არამედ

³⁵⁶ <http://stage6.pbworks.com/f/Purposes+of+Punishment.pdf>

³⁵⁷ Banks C, The Purpose of Criminal Punishment, Criminal justice ethics : theory and practice, 2004, 116

³⁵⁸ იხ. <http://open.lib.umn.edu/criminallaw/chapter/1-5-the-purposes-of-punishment/>

მედარებით მსუბუქი და ნაკლებად „ძვირი“ სასჯელის სახის გამოყენებაში. ისინი მიიჩნევენ, რომ სასჯელის გამოყენება არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სამაგიეროს მიზლვასა და დაშინებას, არამედ, რაც მთავარია, რესოციალიზაციას.³⁵⁹

რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მნიშვნელობა მეტად პოპულარული ხდება ამერიკულ სამეცნიერო წრეებში, რომლებიც დანაშაულს ბიოლოგიურ ფაქტორებს უკავშირებენ და დამნაშვის რესოციალიზაციისა და გამოსწორების შესაძლებლობას ხედავენ ყველა პირში, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საშიშროებისა.³⁶⁰

რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მიღწევის საშუალებებად ამერიკულ ლიტერატურაში მოყვანილია ისეთი საშუალებები, როგორცაა პრობაციის სამსახური, პენიტენციური დაწესებულებები, სამსახურები, რომლებიც მიზნად ისახავს მსჯავრდებულების გამოსწორებას, ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლებამოსილების მქონე ორგანოები. აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაძლიერდა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პოლიტიკა, რაც გამოსწორებას უზრუნველყოფს. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია გახდა მთავარი მიზანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.³⁶¹

სასჯელის უმთვრეს მიზნად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიიჩნეოდა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რომელიც გულისხმობდა დამნაშვის გამოსწორებას და გარდაქმნას კანონმორჩილ და პროდუქტიულ საზოგადოების წევრად. ეს არის იდეალისტური ცნება, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე შინაგანად არის კარგი და ყველა დამნაშავეს შეუძლია შეიცვალოს უკეთესობისაკენ.³⁶²

ამის დასტურად, ამერიკელი სამართალმცოდნეები აღნიშნავენ, რომ რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს მიერ

³⁵⁹ Крылова Н., Серебренникова А. Уголовное право зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии), 1997, 144.

³⁶⁰ იქვე. 145 გვ.

³⁶¹ იბ. Correctional and the Criminal Justice System, გვ. 28-30

³⁶² Lippman M, Contemporary Criminal Law; concepts, cases, and controversies, second edition. Washington D.C., 2010, 56

სასჯელის დანიშვნის უმთავრეს მიზანს, ვიდრე მორალური პასუხისმგებლობისა და სასჯელის მკაცრი ზომის გამოყენება.³⁶³

რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია საბოლოოდ გულისხმობს დამნაშავეს მიერ იმ პრობლემების გაცნობიერებას და აღქმას, რომლის გამოც ის წავიდა კანონის წინააღმდეგ და ჩაიდინა დანაშაული. ეს მიდგომა მიზნად ისახავს დამნაშავეს მომავალი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები აღკვეთოს იმ გამოსასწორებელი პროგრამებით, რომლებიც არსებობს პატიმრობისა თუ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების დროს.³⁶⁴

რესოციალიზაცია არის მომავლისკენ მიმართული მიზანი. მაგრამ მისი განხორციელების დროს ზოგიერთი მკვლევარი ხედავს პრობლემებს. პირველი, თავად დამნაშავეს, მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სურვილი გამოსწორების და მეორე, ეს ეხება მისი გამოყენების სერიოზულობის საკითხს. მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, იქნება ეს საპატიმრო თუ სარეაბილიტაციო დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამები.³⁶⁵

რეაბილიტაცია, ერთ-ერთი ამერიკელი სამართალმცოდნის აზრით, არის ნათელი გზა მართლმსაჯულების პროცესში, რათა აცილებულ იქნეს მომავალი დანაშაული.³⁶⁶

საზოგადოებრივი განათლების მნიშვნელობას აღნიშნავს კიდევ ერთი ამერიკელი ავტორი, რომელიც აღნიშნავს, რომ რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია არ იქნება განხორციელებული, სანამ არ მოხდება აღნიშნული სასჯელის მიზნის საჭიროებისამებრ გამოყენება, რეციდივის თავიდან აცილება არ იქნება განხორციელებული.³⁶⁷

ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმრო დაწესებულებებში მსჯავრდებულებს აქვთ შესაძლებლობა და მათდამი მოპყრობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი

³⁶³ Lippman M, Contemporary Criminal Law; concepts, cases, and controversies, second edition. Washington D.C., 2010, 296 გვ.

³⁶⁴ Frase R.S, Punishment Purposes, Standford University, 2005, 70

³⁶⁵ Materni Mike C., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, 2013, 292

³⁶⁶ Alschuler A., The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Last Century and Some Thoughts about the Next, University of Chicago Law School, 2003, 9

³⁶⁷ ob. J. Skelly Wright, The Need for Education in the Law of Criminal Corrections, Valparaiso University Law Review, 1967, გვ. 8

უზრუნველყოფილი იყვნენ შესაძლებლობებით ჰქონდეთ განათლებაზე წვდომა, ჰქონდეთ კომუნიკაცია ოჯახთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის სპორტულ დაწესებულებებთან, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა მიუხედავად მათი განთავსების ადგილისა არ ჩამორჩენ საზოგადოების განვითარებას და ციხიდან გათავისუფლების შემდეგ შეძლონ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.³⁶⁸

რეაბილიტაციის შესაძლებლობა როგორც პატიმრებისთვის ისე ყოფილი პატიმრებისთვის წარმოადგენს თანამედროვეობის ძირითად გამოწვევას, ხოლო მისი აღსრულების და მიღწევის შესაძლებლობა არის სხვადასხვა გვარად. ერთის მხრივ მსჯავრდებულს საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების პირველივე დღიდან სთავაზობენ ისეთ პირობებს, როდესაც მას აქვს შესაძლებლობა სრულად გათავისუფლდეს წარსული ჩვევებისგან და ამაში ხელს უწყობს სასჯელის ფორმაც, დროცდა დაწესებულების ის თანამშრომლები რომლებიც არის სპეციალიზებული ამ მიმართულებით.³⁶⁹

საპატიმრო დაწესებულებაში სათანადოდ მოპყრობა, როგორც ამას აღწერს როტმანი, მიმართულია მსჯავრდებულზე ზრუნვისკენ. რეაბილიტაცია მიმართულია მსჯავრდებულის სრული გამოწორებისკენ მისი ჩამოყალიბებისკენ, აგრეთვე ეს მოიაზრებს იმასაც რომ მსჯავრდებული დამნაშავეთა გარემოცვაში არ გახდეს მიდრეკილი დანაშაულის ჩადენისკენ და ამით არ დაბრკოლდეს ის მიზანი რაც არის მისი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.³⁷⁰ რესოციალიზაციის პროცესი დაწყებული პატიმრობის პირველივე დღიდან მის დასრულებამდე და ხშირ შემთხვევაში კი პატიმრობის დასრულების შემდეგაც გრძელდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძირითად შემთხვევებში საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობები და სამეცნიერო წრეები თანხმდებიან რესოციალიზაციის, რეაბილიტაციის და გამოსწორების უპირატეს მნიშვნელობაზე, რომლის

³⁶⁸ Phelps Michelle S., Rehabilitation in the Punitive Era: The Gap Between Rhetoric and Reality in U.S. Prison Programs 2011,35

³⁶⁹ იქვე, 63 გვ.

³⁷⁰ Rotman Ed., „Do Criminal Offenders Have a Constitutional Right to Rehabilitation?“ 1986,1027.

განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტებად გვევლინება ინდივიდუალურ მიდგომებზე დაფუძნებული სხვადასხვა აქტივობები, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულის დასაქმებას, განათლებას და გათავისუფლებისათვის მომზადებას.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ქართულ რეალობაში სახელმწიფომ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულთა ინტერესებზე მორგებული ზოგად საგანმანათლებლო და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული სასწავლო პროგრამების დანერგვას, ასევე თავისთავად დასაქმების აქტივობებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება თუ კი განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც დაწესდება საგადასახადო შეღავათები იმ საწარმოებზე, რომლებიც დაასაქმებენ მსჯავრდებულებს ან ყოფილ მსჯავრდებულებს.

თავი III. ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობა დამნაშავეის რესოციალიზაციისთვის

ალტერნატიული სასჯელების სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტიტუტია დამნაშავეის რესოციალიზაციისათვის. მრავალფეროვანი ალტერნატიული სასჯელები, პირდაპირი გამოძახილია სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანური და ლიბერალური პრინციპების, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე თუ რამდენად ხშირად ხდება სასამართლოს მიერ მათი პრაქტიკაში გამოყენება.

სამწუხაროდ ხშირად ალტერნატიული სასჯელები მხოლოდ ფორმალურადაა ასახული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და მათი გამოყენება იშვიათად ხდება, რაც ყოვლად გაუმართლებელია და შესაბამისად მიმაჩნია, რომ პირიქით პირველი რიგის პრიორიტეტად მიჩნეული უნდა იყოს ალტერნატიული სასჯელის გამოყენება. თუ კი ალტერნატიული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სასჯელის სახით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოში გაცილებით აქტიურად ხდება ალტერნატიული სასჯელების გამოყენება, რაც უდაოდ მისასალმებელია.

პროფ. მზია ლეკვეიშვილი მიუთითებს, რომ კაცობრიობას ჯერ არ ძალუძს უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე, როგორც სასჯელის ღონისძიებაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური თვისებები. ჩვენს სინამდვილეში სასჯელის ინსტიტუტში რეალიზებულია ისეთი იდეები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევამციროთ მკაცრი სასჯელების გამოყენება. სასამართლომ უნდა გამოიყენოს გონივრული ალტერნატივა და შესაძლებლობის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს სხვა არასაპატიმრო სასჯელით.³⁷¹

³⁷¹ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, N4(43), 14, 32.

პროფ. მაია ივანიძის აზრით ალტერნატიული სასჯელები წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენის მიმართ მოპყრობის „სხვა გზას“. იგი საშუალებას იძლევა დაკისრებული სასჯელი აღსრულდეს ციხის გარეთ. ამგვარი სასჯელის სახე ხელს უწყობს თავისუფლების აღკვეთის კოეფიციენტის შემცირებას და ხელს უწყობს დამნაშავის საზოგადოებაში რეაბილიტაციას.³⁷²

„ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისას, მისი სწორად შერჩევის დასაბუთება მრავალმხრივი დატვირთვის მქონეა. ერთი რომ თავად დამნაშავეს უჩნდება სამართლიანობის განცდა და გრძნობს, რომ ეს სასჯელი ნამდვილად გამომდინარეობს მისი პიროვნული მახასიათებლებისგან და ჩადენილი ქმედების ხასიათიდან. მეორე - მისი პრევენციული ხასიათი. ე.ი. საზოგადოების სხვა წევრებსაც უნდა გაუჩნდეს სამართლიანობის შეგრძნება.“³⁷³

მოსამართლეები ფიქრობენ, რომ მსჯავრდებულისათვის ალტერნატიულ სასჯელს შემაკავებელი ხასიათი აქვს. ის აგრძელებს ცხოვრებას და საქმიანობას საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. შესაბამისად ალტერნატიული სასჯელის გამოყენება სასიკეთოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისათვის.³⁷⁴

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ალტერნატიული სანქციები სასჯელის ჰუმანურ სახეს წარმოადგენს. იგი დანაშაულის პრევენციაში მთავარ როლს ასრულებს.³⁷⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ თავში ინდივიდუალურად განვიხილავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ალტერნატიული სასჯელების (ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, შინაპატიმრობა) ეფექტურობას დამნაშავის რესოციალიზაციის ჭრილში.

³⁷²ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი- 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014,38.

³⁷³ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ.242.

³⁷⁴შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი -85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, 96

³⁷⁵ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი- 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014,23.

3.1. დამნაშავის რესოციალიზაციის საკითხი საზოგადოებისათვის სასარგებლო

შრომის დანიშვნის დროს

არასაპატიმრო სასჯელებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას უკავია.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. პრინციპი შემდეგია: ბრალდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს. ამ სასჯელს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს: დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.³⁷⁶

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული - „ევროპული წესები საზოგადოების სანქციებისა და ზომების შესახებ“ - მიიჩნევს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ეს არის გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ. თერაპიული სანქცია.

„სასამართლო ვერ დანიშნავს პრობაციას, თუ სათანადო მომსახურების ინფრასტრუქტურა არ არსებობს. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა არის ზარალის ანაზღაურების ფორმა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის, ვიდრე დაზარალებულისთვის და სამუშაოს ფორმით გამოიმუშავებს სასარგებლო შედეგს.“³⁷⁷

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლითაა გათვალისწინებული და ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიური. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება 40 დან 800 საათამდე ვადით. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს მას, ის შეიძლება შეიკვალოს ჯარიმით, შინაპატიმრობითა ან თავისუფლების აღკვეთით. საზოგადოებისათვის სასარგებლო

³⁷⁶პრადელი ჟ., შედარებით სისხლის სამართალი სუმბათაშვილი ე. (მთარგ.) 1999,436

³⁷⁷ United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, P. 28. http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf , ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 336.

შრომის ვადა გამოიანგარიშება საათებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უფრო ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა, კერძოდ ზემოაღნიშნულ კანონში 71-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანს აღნიშნული სასჯელი ენიშნება 40 დან 300 საათამდე ვადით, ყოველდღიურად კი ასეთი შრომა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. მისმა აღსრულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებად საქმიანობას ან სწავლების პროცესს.

სასარგებლო შრომა არ გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას იწვევს ან ღირსების შემლახველია. იგი შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ.³⁷⁸

რაც შეეხება საკითხს, შრომის რა სახე უნდა იყოს გამოყენებული, რეკომენდებულია იგი არ იყოს დაკავშირებული მსჯავრდებულის ძირითად საქმიანობასთან, რითაც ეს სარგებელს იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებეფექტური იქნება.³⁷⁹

როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, მაგრამ ისევე როგორც, ყველა სხვა სასჯელის დანიშვნისას, ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვა, რაც პრაქტიკაში ბრალდებულის პიროვნების სრულყოფილ შესწავლაში უნდა გამოიხატოს.

„მიჩნეულია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებთან მიმართებით სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორც არის მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი

³⁷⁸ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, 497

³⁷⁹ დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 49

პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე, სასჯელის ეკონომიის პრინციპის თვალთახედვიდანაც.³⁸⁰

„ტაილანდის პრობაციის სამსახურმა სასამართლოებთან მჭიდრო თანამშრომლობით მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ წარამტებული კამპანია განახორციელა. აღნიშნული ინიციატივით, პირებს, რომლებსაც, როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ, ამის ნაცვლად დაენიშნათ პრობაცია იმ მოთხოვნით, რომ ისინი შეასრულებდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. ხელისუფლებამ შეარჩია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ისეთი სახე, რომელიც შექმნილი იყო იმისთვის, რომ მოეხდინა მთვრალ მძღოლებზე გარკვეული მგრძობელობითი ეფექტი, რაც მდგომარეობდა ავტოსაგზაო შემთხვევების დაზარალებულებისათვის დახმარებაში, საავადმყოფოებში მუშაობასა და ავტოსაგზაო შემთხვევების საგანგებო სამაშველო ერთეულებში მოხალისედ წასვლაში.“³⁸¹

ნიდერლანდებში ავტონომიური სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა კანონმდებლობაში 1989 წლიდან აისახა, რომლის მაქსიმალურ სამუშაო დროდ 240 საათი განისაზღვრა. აღნიშნული სასჯელი პატიმრობის ალტერნატივას წარმოადგენს, იმ შემთხვევაში თუ მისი ვადა არ აჭარბებს 6 თვეს.³⁸²

სასამართლომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უნდა გამოიყენოს შედარებით მსუბუქ და ნაკლები ზიანის მომტან დანაშაულებების შემთხვევაში,³⁸³ რაც რესოციალიზაციის პროცესს ეფექტურს და უფრო სწავს გახდის, აქვე საუბარია მსჯავრდებულის შესაძლებლობაზე, „გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ალტერნატიულ სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება

³⁸⁰ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი №2, 2011,119

³⁸¹United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, P. 35-36. http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf, ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ.338.

³⁸²ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ.. 2016,,346.

³⁸³ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 122

მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკრეტულ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე.³⁸⁴

საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო სრულდება გარკვეულ საწარმოებში, სკვერებში, ბაღებში. საჯარო დაწესებულებებსა თუ კერძო ორგანიზაციებში.

არასრულწლოვნების შემთხვევაში განსხვავებული მიდგომაა საჭირო, კანონმდებლობის მიხედვით სამუშაომ ხელი არ უნდა შეუშალოს საგანმანათლებლო პროცესს ან ანაზღაურებად საქმიანობას.³⁸⁵

„საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მსჯავრდებულს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი. მან სასჯელის მოხდის შემდეგ უნდა შეძლოს საზოგადოებაში პატიოსანი ცხოვრება დანაშაულის ჩადენის გარეშე. რესოციალიზაცია ემსახურება თავად საზოგადოებასაც, რომელიც დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ განიცადოს რეციდივი.“³⁸⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი (კორესპონდენცია N3-361-22, 18.04.2022 წ) საერთო სასამართლოების სტატისტიკის მიხედვით, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2020-2021 წლებში ჯამურად გამოყენებული იქნა 1947 შემთხვევაში, კერძოდ: 917 შემთხვევა 2020 წელს და 1030 შემთხვევა 2021 წელს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი (წერილი N92957/01, 1.04.22) სტატისტიკის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება, დანიშნული საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევებში, საკმაოდ აქტიურად ხდება ადგილობრივი საბჭოების მიერ, კერძოდ:

2020 წელს ადგილობრივმა საბჭოებმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) შეცვლასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს 137 შუამდგომლობაზე, ხოლო 2021 წელს 120 შუამდგომლობაზე.

³⁸⁴ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 122.

³⁸⁵ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, 216

³⁸⁶ იქვე, 216 გვ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მისი დეფინიცია, გამოყენების პირობები გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხვადასხვა რეკომენდაციაში.

ქართული კანონმდებლობით კი მისი აღსრულებისა და გამოყენების პირობები დადგენილია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“³⁸⁷ საქართველოს კანონის მიხედვით.

სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, რომელიც ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

„მსჯავრდებულისათვის არ შეიძლება ისეთი სასჯელის დაკისრება, რომელიც მისთვის იქნება შესასრულებლად რთული და გამოიწვევს მის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე უარის თქმას.“³⁸⁸ აღნიშნული საკმაოდ შემაფერხებელი ბარიერი იქნება მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში. შესაძლოა მოხდეს მისი ეტიკეტირება და ვეღარ დაბრუნდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

ამ მხრივ საინტერესოა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 აგვისტოს განაჩენი (საქმე N: 1/130-20წ)³⁸⁹, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასამართლომ ი.ო-ს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, განაჩენთა ერთობლიობით

³⁸⁷ იხ. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610>. (იხ. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>)

³⁸⁸ იხ. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610>. (იხ. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>),

³⁸⁹ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 აგვისტოს განაჩენი (საქმე N: 1/130-20წ)

ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაუმატა წინა, 2018 წლი 9 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ი.ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით, ასევე ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 200 საათის ვადით.

განაჩენში ასახული სტანდარტული მსჯელობის მიუხედავად - „მთავარია არა ის, რომ დამნაშავე დასაჯო მკაცრად, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების შესაბამისი“, სასამართლოს სრულყოფილად არ შეუსწავლია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი ფიზიკური შესაძლებლობები.

აღნიშნული დადასტურდა შემდგომში, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს წარდგინებით, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 2022 წლის 18 თებერვლის განჩინებით (საქმე 6-22წ), მსჯავრდებულ ი.ო-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის დასკვნის საფუძველზე (რომელიც ადასტურებდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის პრობლემას და შრომის შეუძლებლობას), 2020 წლის 20 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელი - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 200 საათის ვადით, საათობრივი ოდენობის პროპორციულად შეცვალა 2500 ლარის ოდენობის ჯარიმით.

ასევე საინტერესოა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 11 სექტემბრის განაჩენი (საქმეზე №1/153-20წ.), რომლის საფუძველზეც სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ გ.ქ-ს მიმართ სასჯელის მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფს მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

შესაბამისად სასჯელის სახედ და ზომად სსკ-ის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით განუსაზღვრა 150 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით განუსაზღვრა 140 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე კი საერთო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 150 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

საქართველოს 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გ.ქ-ს პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით 20 საათით შეუმცირა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ვადა და სასჯელის სახით განუსაზღვრა 130 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

ამ შემთხვევაშიც სასამართლოს სრულყოფილად არ შეუსწავლია ბრალდებულის პიროვნება, ვინაიდან სულ მოკლე პერიოდში, კერძოდ 2020 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით (საქმე #21-20წ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულთა პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს წარდგინებით, მსჯავრდებულ გ.ქ.-ს მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საათობრივი ოდენობის პროპორციულად შეცვალა დანიშნული სასჯელი - 1625 ლარის ოდენობის ჯარიმით, ვინაიდან მტკიცებულების სახით სასამართლოში წარდგენილი იყო გ.ქ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც მას გამოკვეთილად აღენიშნებოდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესასრულებლად არასათანადო ჯანმრთელობის მდგომარეობას.

შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობას, მოცულობას აღრიცხავს დამსაქმებელი. აღნიშნულს კი ამოწმებს და შესაბამის ოქმს წერს პრობაციის ოფიცერი.³⁹⁰ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მსჯავრდებულს შესაძლო

³⁹⁰ იხ. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610>. (იხ. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>), მუხლი 32.

პასუხისმგებლობის შესახებ. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს აღნიშნულ სასჯელის სახეზე ან თავს არიდებს მას, პრობაციის ბიუროს უფროსი მიმართავს სასამართლოს სხვა სახის სასჯელის გამოყენების თაობაზე.³⁹¹

უპირატესობა, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას განასხვავებს სხვა სასჯელებიდან, არის რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა და სასჯელის ეკონომიის პრინციპი. „ციხეების გადატვირთულობის გამო „პიროვნებაზე დაწესებულმა მეთვალყურეობამ მას უნდა შეუქმნას თავისუფლების აღმკვეთი ილუზია“, ასე იქმნება ახალი პენოლოგია ზედამხედველობასა და დასჯას შორის, მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაა.“³⁹²

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ეს ფორმა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1999 წლიდან არის ასახული, ბოლო დროს უფრო აქტიურად გამოიყენება და განსაკუთრებით მისასალმებელია. არასაპატიმრო სასჯელის ეს სახე წარმოადგენს სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც საზოგადოებრივი სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

3.2. დანაშაულის რესოციალიზაციის საკითხი ჯარიმის დანიშვნის დროს

ჯარიმა არასაპატიმრო სასჯელებს შორის ყველაზე მსუბუქი სასჯელის ფორმაა, ვინაიდან მისი გამოყენების შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფოს მინიმალური სისხლის სამართლებრივი ზემოქმედება კანონდამრღვევ პირზე, რაც ერთი ორად მოწმობს, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა რესოციალიზაციის პროცესში. „ჯარიმა არის ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი ალტერნატიული სასჯელი, ვინაიდან მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან

³⁹¹ იხ. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 33. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>).

³⁹² ხერხეულიძე ი., საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა- არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დანაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ს სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი). მართლმსაჯულება და კანონი, #2 (29) 11, 119

იზოლირებასთან³⁹³ ჯარიმა აგრეთვე გათვალისწინებულია არასაკატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტულ მინიმალურ, ე.წ. „ტოკიოს წესებში“.³⁹⁴

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი და მისი მინიმალური ოდენობა 2000 ლარია, ხოლო თუ სისხლის სამართლის კოდექსის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ჯარიმის ოდენობის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული. ჯარიმას სასამართლო ადგენს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჯარიმა ინიშნება, როგორც ძირითად ისე, დამატებით სასჯელად. მოქმედი კანონმდებლობით ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, თუ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული არ არის, გარდა ოჯახში ძალადობისა. შესაბამისად აღნიშნული დათქმა ჯარიმის გამოყენების საზღვრებს მნიშვნელოვნად აფართოებს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვანის მიმართ ჯარიმის მინიმალური ოდენობა ნახევრდება და ასევე საგულისხმოა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი.

„ჯარიმა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სასჯელი, სახელმწიფოს მხრიდან პირის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფით შეფასებას გამოხატავს და დამნაშავეს ქონებრივი გადასახადის სახით ეკისრება.“³⁹⁵

³⁹³ ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ 23

³⁹⁴ პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული. თბ., 2010, გვ. 47

³⁹⁵ ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ.322.

ჯარიმა, როგორც ეფექტური სასჯელის სახე მთლიანად ეხმიანება სასჯელის გარდუვალობის პრინციპს, მსჯავრდებულს უნდა დაენიშნოს მისი ქმედების შესაბამისი, პროპორციული და სამართლიანი სასჯელი.³⁹⁶

სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნის დროს მოსამართლე უნდა იყოს დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით, რათა შეუსაბამო სასჯელის ფორმის გამოყენების დროს ვერ მოხდება სასჯელის ვერც ერთი მიზნის მიღწევა, განსაკუთრებით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია, რადგანაც არაპროპორციული სასჯელის დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს ხელახალი კრიმინალისაკენ მიდრეკილება, ბიძგი, რომ სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის რაოდენობის გადახდისთვის მსჯავრდებულმა ჩაიდინოს ახალი დანაშაული.³⁹⁷

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № №686აკ-22 და ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, ჯარიმის როგორც ალტერნატიული სასჯელის გამოყენების თაობაზე, კერძოდ:

2019 წლის 4 ივლისს ხ. ბ-სა და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ შორის დაიდო ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ხ.ბ-ს მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცა ზემოაღნიშნული შპს-ს სახელზე რიცხული, 12000 ლარად ღირებული ავტომანქანა -, „VOLKSWAGEN PASSAT“. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხ. ბ-ს დაეკისრა ვალდებულება, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისთვის“ დაებრუნებინა ლიზინგის საგანი. მიუხედავად აღნიშნულისა, ხ. ბ-მ მართლსაწინააღმდეგოდ მითვისა დასახელებული ავტომანქანა, რაც განკარგა პირადი შეხედულებისამებრ, რითაც შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ მიაყენა 12000 ლარის დიდი ოდენობით ზიანი, რისთვისაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით ხ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა

³⁹⁶სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.487

³⁹⁷დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 44-45

ჯარიმა - 60 000 ლარი, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა თანხების ან მატერიალური ნივთების შენახვაზე პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 მარტის განაჩენით ზუგდიდის რაიონული პროკურატურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რის საფუძველზეც ხ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლითა და 3 (სამი) თვით განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების თანახმად, თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლითა და 9 (ცხრა) თვით ჩაეთვალა პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ხ.ბ.-ს განესაზღვრა თანხების ან მატერიალური ნივთების შენახვაზე პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლით.

ზემოაღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ხ.ბ.-ს ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა (ვინაიდან სალიზინგო ხელშეკრულებით ავტომანქანა შეფასებული იყო 12000 ლარად. სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის მიმღებმა (ბრალდებულმა) პირველადი შენატანის სახით გადაიხადა 5900 ლარი, ხოლო სალიზინგო კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა 6225 ლარით. კომპანიას ლიზინგის მიმღებისგან უნდა მიეღო 9342,16 ლარი. მართალია ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა 12000 ლარს, თუმცა, ლიზინგის მიმღებს იმის გამო რომ თანხა 5900 ლარი გადახდილი ჰქონდა და მიუღებელი შემოსავალი კი 9342,16 ლარს შეადგენდა ზიანიც სწორედ ეს ოდენობაა და არა 12000 ლარი) და ნაცვლად სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი გამოიყენა, რადგან მნიშვნელოვანი ზიანი საქართველოს სსკ-ის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 10000 ლარს.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

სასამართლომ განსაზღვრა, რომ სასჯელის სახედ - ჯარიმის გამოყენება უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას, ხოლო ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის ეკონომიკურ პირობებს, მიყენებული ზიანის ოდენობას, მისი ანაზღაურების ფაქტს და მიაჩნია, რომ 25000 ლარის ოდენობით ჯარიმა იქნება პროპორციული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი ღონისძიება. ამასთან, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის გარემოებები უკავშირდებოდა ხ.ბ-სთვის მართლზომიერად მიბარებული საკუთრების ხელყოფას და მინიჭებული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობას, მიზანშეწონილად ჩათვალა მისთვის დამატებითი სასჯელის სახით თანხების ან მატერიალური ნივთების შენახვაზე პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების - 1 წლის ვადით ჩამორთმევა.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, სასამართლომ მსჯავრდებულს შეუმსუბუქა სასჯელი და განუსაზღვრა ჯარიმა - 10000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული მაგალითი ნათლად ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიყენებული ზიანის სწორ შეფასებას ქმედების კვალიფიკაციისათვის და ასევე რაოდენ მნიშვნელოვანია პირადი ეკონომიკური პირობების შეფასება ჯარიმის გონივრული ოდენობის განსაზღვრისათვის.

მიმაჩნია, რომ სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას, მსჯავრდებულის ფინანსური მდგომარეობის შესწავლას არსებითი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან ზემოაღნიშნული ფაქტორი პირდაპირ კავშირშია არამხოლოდ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესთან, არამედ ასევე ახალი დანაშაულის თავიდან

აცილებასთან. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაგონივრული ჯარიმის დანიშვნა, როგორც წესი ართულებს სასჯელის აღსრულების პროცესს და შესაძლოა ახალი დანაშაულის გამომწვევ მიზეზადაც მოგვევლინოს.³⁹⁸

მონტესკიე ფულად სასჯელებზე მსჯელობისას მიუთითებდა, რომ „გერმანები მხოლოდ ფულად სასჯელებს უშვებდნენ, ხოლო იაპონელები პირიქით, სასჯელის ამ ფორმას იმ მოტივით უარყოფდნენ, რომ მდიდრები თავს დააღწევდნენ სასჯელს. განა ფულადი სასჯელი არ შეიძლება ქონების პროპორციული იყოს?“³⁹⁹

ამ მხრივ ასევე საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Griffhorst v. France*, სადაც მომჩივანმა საფრანგეთიდან ანდორაში გადასვლისას საბაჟოს თანამშრომლების მოთხოვნით არ წარმოადგინა თანხა, რომელიც თან ჰქონდა (EUR 233,056). ის დამნაშავედ იქნა ცნობილი საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და ამავე კოდექსის საფუძველზე ჩამოერთვა თანხა, რომელიც არ წარადგინა საბაჟოზე. ასევე, დაევალა ჩამორთმეული თანხის ოდენობის ნახევრის ჯარიმის სახით გადახდა და შეეფარდა პატიმრობა. მომჩივანი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი. სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვა არაერთ გადაწყვეტილებაში დამკვიდრებულ სტანდარტზე, რომ უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და მისაღწევ მიზანს შორის. ასევე ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო სარგებლობს თავისუფალი შეფასების არით, თავად განსაზღვროს ჯარიმის სახეობა და გადაწყვიტოს, თუ რამდენად ემსახურება აღნიშნული საჯარო ინტერესების დაცვას, კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯარიმა გათვალისწინებული იყო კანონით, რომელიც აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს. თუმცა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სანქციების

³⁹⁸ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

³⁹⁹ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, 491

პროპორციულობაზე და მიიჩნია, რომ არ იყო დაცული სამართლიანი ბალანსი - ვინაიდან დაკისრებული ჯარიმა და სხვა სანქციები, იყო ჩადენილი ქმედების არაპროპორციული. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა.⁴⁰⁰

სწორედ ამიტომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და პირველ რიგში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი.

თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, იგი შეიცვლება სხვა უფრო მკაცრი სახის სასჯელით, მათ შორის შესაძლოა თავისუფლების აღკვეთითაც კი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი (კორესპონდენცია Nპ-361-22, 18.04.2022 წ) საერთო სასამართლოების სტატისტიკის მიხედვით, სასჯელის სახით ჯარიმა 2020-2021 წლებში ჯამურად გამოყენებული იქნა 4680 შემთხვევაში, კერძოდ: 2151 შემთხვევა 2020 წელს და 2529 შემთხვევა 2021 წელს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით კი ჯარიმა, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად ინიშნება სხვადასხვა ზომით, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც სასამართლო ხელისუფლების ლიბერალურ მიდგომაზე მეტყველებს. აღნიშნული არის მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ გადადგმული უმთავრესი ნაბიჯი.⁴⁰¹

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება და მსჯელობა საქმეზე N157აპ-17, კერძოდ:

ფოთის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 29 აგვისტოს განაჩენით გ.ქ-ს მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, კერძოდ, 2016 წლის 23 ივლისს მოქალაქე გ.ქ-ს რომელიც უხეშად არღვევდა საჯარო წესრიგს, მოუწოდეს ქმედების შეწყვეტისკენ. გ.ქ არ დაემორჩილა პოლიციის მითითებას და ერთ-ერთ პოლიციელს მიაყენა ფიზიკური

⁴⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Griffhorst v. France*, განაცხადი: N28336/02.

⁴⁰¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Griffhorst v. France*, განაცხადი: N28336/02,

შეურაცხყოფა და ხელის დარტყმით დაზიანება მიაყენა მარჯვენა თვალებუდის არეში, ასევე წინააღმდეგობის გაწევის დროს შემოახია პოლიციელებს სამსახურებრივი ტანსაცმელი. ფოთის საქალაქო სასამართლომ სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელი და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები პოლიციელებზე ძალადობის შესახებ დადასტურებულად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლომ განიხილა გ.ქ-ს საჩივარი და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მტკიცებულებების ნაწილში სრულად იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მისი აზრით საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებული, ამაკარი და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურების გ.ქ-ს ბრალეულობას.

„რაც შეეხება სასჯელის სამართლიანობას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და იმას, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. ქ-ას მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ალტერნატიული სანქციებიდან გ. ქ-ას მიმართ შეფარდებული უფრო მკაცრი სასჯელის სახე - თავისუფლების აღკვეთა, უნდა შეიცვალოს ნაკლებად მკაცრი სასჯელით - ჯარიმით.“

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მსუბუქი სისხლისსამართლებრივი სანქცია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში და სრულად დავეთანხმები ი. დვალიძის შეფასებებს მისი ეფექტურობის თაობაზე, კერძოდ: ჯარიმა ეფექტურია რამდენიმე

გარემოების გამო: 1. არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაცია. 2. არ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსჯავრდებულის შენახვის ხარჯები, 3. სახელმწიფო იღებს მატერიალურ სარგებელს, 4. ჯარიმა გარკვეულწილად ეკონომიკურად ასუსტებს მსჯავრდებულის, რაც პრევენციულადაც მოქმედებს მასზე.⁴⁰²

3.3. დამნაშავეს რესოციალიზაციის საკითხი შინაპატიმრობის დანიშვნის დროს

შინაპატიმრობა სისხლის სამართალში თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება და მისი მნიშვნელობა კანონის ლიბერალიზაციის თვალთახედვით უაღრესად დიდია. შინაპატიმრობა არასაპატიმრო სასჯელებს განეკუთვნება, რომელიც მოაზრებულია, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა.

შინაპატიმრობის წარმოშობა თავდაპირველად განპირობებული იყო იმით, რომ მსჯავრდებულთა დიდ რაოდენობას ვეღარ იტევდა პენიტენციური დაწესებულებები. „მისი მიზანი გადატვირთული ციხეების განტვირთვა იყო.“⁴⁰³

შესაბამისად დღის წესრიგში იდგა საკითხი, რომელიც სასჯელის მოხდას ციხის ტერიტორიის გარეთ მოახდენდა, განსაზღვრული სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირების შემთხვევაში, რომელთა მიმართ, ერთგვარი ნდობა, შედარებით მაღალი იყო.

შინაპატიმრობა, როგორც განსაზღვრული სასჯელი ისტორიულ წარსულშიც გამოიყენებოდა, რომლითაც 1600 წელს დასაჯეს გალილეო გალილეი. მისი აქტიური გამოყენება კი კავშირშია თანამედროვეობისა და შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარებასთან, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში განხორციელდა.⁴⁰⁴

თავდაპირველად ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობის შექმნის იდეა მოტივირებული იყო, რომ შეეცვალა საპატიმრო სასჯელი. ამ მექანიზმის გამოგონება

⁴⁰²დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 42-43 გვ.

⁴⁰³მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016, 700.

⁴⁰⁴მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ., 2017. 63.

უკავშირდება ჰარვარდის ფსიქოლოგ რალფ შვიტცგებელს. მან 1960 წელს მიიღო მოწყობილობის მუშა ვარიანტი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუდამ იცვლებოდა, რათა მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო. ეს პროგრამა თავიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში გაიცნეს, როგორც ზედმეტად მკაცრი ზედამხედველობის საშუალება და გამოიყენებოდა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის. ასევე, იმ საექვო პირების მიმართ, რომლებიც პოტენციურ დამნაშავეებს წარმოადგენდნენ.⁴⁰⁵

ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ კანონი მიღებული იქნა 1968 წელს. რაც შეეხება იდეას, პირველად ის 1979 წელს ნიუ-მექსიკოში განხორციელდა. თუმცა, მისი ცუდი შედეგების გამო იმ პერიოდისთვის პოპულარობა დაკარგა.⁴⁰⁶

„ელექტრონული მონიტორინგი აშშ-ის მოქნილმა სამართლის სისტემამ ადრეულ ეტაპზე აითვისა. ელექტრონული მონიტორინგი პირველად 1983 წელს გამოიყენეს, როდესაც ჯეკ ლოვმა, ნიუ მექსიკოს შტატის, ქალაქ ალბუკერკეს საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კომპიუტერული ტექნოლოგიის დილერი დაარწმუნა შეემუშავებინა სისტემა 5 მსჯავრდებულზე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით. თავდაპირველად სისტემა მხოლოდ სახლში გამოიყენებოდა, ვინაიდან მას ფიქსირებული სატელეფონო ხაზები სჭირდებოდა. მოგვიანებით, 1990-იან წლებში მობილურმა მოწყობილობებმა და ინტერნეტ კავშირმა შესაძლებელი გახადა ზედამხედველობა განხორციელებულიყო არა მხოლოდ სახლში, არამედ ნებისმიერ ადგილას, სადაც მსჯავრდებული გადაადგილდებოდა.“⁴⁰⁷

ცალკე ისტორია აქვს შინაპატიმრობის არასრულწლოვნის მიმართ დანიშვნას. „მოსაზრება ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის გამოყენების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში 1971 წელს გამოითქვა. შინაპატიმრობის ამ სახის განვითარებას გასული საუკუნის 80 იანი წლებში

⁴⁰⁵მახარობლიძე თ., ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მათა ივანიძე - 50 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ., 2017, 20.

⁴⁰⁶გორგოძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი. მართლმსაჯულება და კანონი, 2018 N1, გვ 48.

⁴⁰⁷არსოშვილი ა., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბ., 2015, 153.

ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა განსაკუთრებულმა კრიმინოგენულმა მდგომარეობამ.

რაც შეეხება ევროპას, აქ სასჯელის ამ სახემ ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით მოგვიანებით მოიკიდა ფეხი. ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში 1989 წელს დაინერგა დიდ ბრიტანეთში.⁴⁰⁸

2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვა, სასჯელის სახით ჩაანაცვლა შინაპატიმრობამ.

სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე, შინაპატიმრობა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით.

„შინაპატიმრობა არის საკუთარ სახლში დაპატიმრებას, სახლიდან გაუსვლელობის ვალდებულებას ასახავს. სახლიდან გაუსვლელობა პირს განსაზღვრული დროის განმავლობაში ეკისრება. იგი ვალდებულია ან კონკრეტულ (ღამის) საათებში არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი, ანდა თავისუფალი დღეები ან განსაზღვრული ოდენობის დღე-ღამე სახლში გაატაროს.“⁴⁰⁹ მართალია შინაპატიმრობა არასაპატიმრო სასჯელთა სახეს წარმოადგენს, მაგრამ ის გარკვეულ წილად თავისუფლების შეზღუდვას ემსგავსება, საკითხების განსხვავებით.

შინაპატიმრობის დანიშვნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ განსაზღვროს მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის გონივრული პერიოდი, თუმცა სამწუხაროდ ფრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც არაგონივრულადაა განსაზღვრული ზემოაღნიშნული პერიოდი, რის გამოც დანიშნული სასჯელი ვერანაირად ვერ პასუხობს მის მიზნებს, კერძოდ:

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით, ლ. ჯ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის

⁴⁰⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. , შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ.,2017 63..

⁴⁰⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 695

პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 8 (რვა) თვის ვადით.

ზემოაღნიშნული განაჩენიდან ირკვევა, რომ მოსამართლემ ლ. ჯ-ს საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება დაუწესა ღამის 3 საათიდან დილის 8 საათამდე. მართალია, შინაპატიმრობის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ მიუთითებს კონკრეტულ დროს (ზოგადად მიუთითებს დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდზე), რა პერიოდშიც, მსჯავრდებული უნდა იმყოფებოდეს სახლში, მაგრამ ღამის 3 საათიდან საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაწესება არაგონივრული პერიოდია შემდეგ გარემოებათა გამო: 1) შინაპატიმრობის მიზანია მსჯავრდებული იმყოფებოდეს სახლში დროის განსაზღვრულ პერიოდში და ჰქონდეს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, ხოლო მისი ღამის 3 საათიდან დანიშვნის შემთხვევაში ეს მიზანი მიუღწეველი დარჩება; 2) საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღამის საათებში დანაშაულის ჩადენის რისკი მატულობს, რის გამოც შინაპატიმრობის დანიშვნისას ღამის 3 საათიდან საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრება მიზანშეუწონელია; 3) ღამის 3 საათამდე მსჯავრდებულს შეუძლია თავისუფლად იმყოფებოდეს ქუჩაში და ჰქონდეს ურთიერთობა კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პირებთან, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს დანაშაულის განმეორებით ჩადენას (მითუმეტეს ლ. ჯ დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაპატიმრობის დანიშვნისას ღამის 3 საათიდან საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრება მიზანშეუწონელია.⁴¹⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ,⁴¹¹ ნათლად არის გამოხატული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის პრიორიტეტები და

⁴¹⁰ ვარძელაშვილი ი. სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2020 წ., გვ. 28

⁴¹¹ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე

რეკომენდაციები შინაპატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასჯელის ეს სახე, რომელიც გამომდინარეობს სასჯელის ეკონომიურობიდან და ციხის გადატვირთულობის გამოსწორებას უწყობს ხელს, აგრეთვე არის შესანიშნავი საშუალება, რომ მსჯავრდებული მოარიდოს არასათანადო გარემოს, მიაჩვიოს ჯანსაღ სოციალურ კავშირს, კონტროლის მეშვეობით მოარიდოს არასასურველ პირებთან ურთიერთობას, უზრუნველყოს ოჯახთან კავშირების გამყარება.

შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით. მისი აღსრულების მექანიზმი არის ელექტრონული ზედამხედველობა, რომლის გამოყენება ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №178 „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.“⁴¹²

ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს.⁴¹³

სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს, ნასამართლობის არმქონე პირს, 6 თვიდან 2 წლამდე ვადით. ზემოაღნიშნული სასჯელი არ შეიძლება დაენიშნოს გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს. შინაპატიმრობის დროს მსჯავრდებულს ეკრძალება ქვეყნის საზღვრების დატოვება.

ქართული კანონმდებლობა შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს 2018 წლამდე მხოლოდ იუვენალურ კანონმდებლობაში იცნობდა. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი

⁴¹²იხ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №178, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308>

⁴¹³ იხ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №178, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308>

ითვალისწინებს შინაპატიმრობას, რომელიც ინიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით და იგი შეიძლება დაინიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სასჯელის ამ სახემ ხელი არ უნდა შეუშალოს არასრულწლოვანის ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ არის თანმიმდევრული, ვინაიდან სრულწლოვანის შემთხვევაში თუ შესაძლებელია შინაპატიმრობის დანიშვნა ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, არასრულწლოვანთა შემთხვევაში შინაპატიმრობის დანიშვნა გათვალისწინებულია მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. ამ ხარვეზის საპირწონედ, სრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში კანონმდებელმა ნასამართლობის არ ქონა დაასახელა ერთ-ერთ ნიშნად, რათა დაინიშნოს შინაპატიმრობა, რაც არ გვხვდება არასრულწლოვნების შემთხვევაში.

აღნიშნული მისასაღმებელია და თანხვედრაშია სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებთან. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მოიცავს იმას, რომ სასჯელის მიზანი იყოს არა მისი დასჯა, არამედ გამოსწორება.

შინაპატიმრობის გამოყენებისას არ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის თანხმობა, არასრულწლოვნის შემთხვევაში კი ასევე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.⁴¹⁴

დამნაშავის რესოციალიზაციის კონტექსტში, მიუღებლად მიმაჩნია „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44⁸ მუხლით განსაზღვრული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის შეიძლება დაწესდეს ფინანსური რეგულაციები.

დღეის მდგომარეობით, სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებულია ყოველთვიური საფასური 100 ლარის ოდენობით (საფასურის გადახდისაგან

⁴¹⁴ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 75, ნაწილი 3

თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება) და ასევე მსჯავრდებულს უწევს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საბანკო ანგარიშზე, დანიშნული სასჯელის ვადის სრულად ამოწურვამდე 5000 ლარის ოდენობით სადეპოზიტო თანხის განთავსება.⁴¹⁵

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კონტექსტში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობა ბევრად ეფექტური იქნება თუ ზემოაღნიშნული სასჯელის გამოყენება არ იქნება დამოკიდებული მსჯავრდებულის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუნდაც არასრულწლოვნებთან და ხანდაზმულებთან მიმართებაში.

სასამართლო პრაქტიკიდან, ზემოაღნიშნულის დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში თვალსაჩინოებისათვის მსურს ყურადღება გავამახვილო ერთ-ერთ საქმეზე, კერძოდ:

2022 წლის 28 ივნისის განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს მოქალაქე - მ.ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე 2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 1 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც დაეკისრა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება 23:00 საათიდან 06:00 საათამდე.

შემდგომში როგორც გაირკვა, ზემოაღნიშნულ საქმეში მოსამართლეს სრულყოფილად არ ქონდა შესწავლილი მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობა და არც მსჯავრდებულისათვის განუმარტავს სასჯელის აღსრულების სპეციფიკა, რის გამოც 2022 წლის 16 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარდგინებით მიმართა ქ. თბილისის პრობაციის ბიურომ და მოითხოვა მსჯავრდებულ მ.ე-ს მიმართ დანიშნული სასჯელის, სხვა სახის სასჯელით შეცვლა.

⁴¹⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება 2017 წლის 28 დეკემბერი №146

ზემოაღნიშნული შუამდგომლობა განპირობებული იყო მსჯავრდებულის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რამე თუ მსჯავრდებულს არანაირი შესაძლებლობა არ ქონდა გადაეხადა შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებული ყოველთვიური საფასური და მითუმეტეს სადეპოზიტო თანხა.

ისევე როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგადად სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნული მოტივით დაყენებული შუამდგომლობები ძირითადად არ კმაყოფილდება და სასამართლო პრობაციის ბიუროს ავალებს მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის თაობაზე და დანიშნული სასჯელის აღსრულება და მსჯავრდებულის კონტროლი განხორციელდეს „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44^ბ მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, კერძოდ: მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ.

თვის განმავლობაში მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტები, ვფიქრობ, რომ არ არის ეფექტური მექანიზმი სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის აღსასრულებლად და თავისთავად არც სასჯელის მიზნების მისაღწევად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის დანიშვნამდე სასამართლომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მსჯავრდებულის ფინანსური შესაძლებლობების შესწავლა და სასჯელის აღსრულების მექანიზმის დეტალური განმარტება, რათა შემდგომში გამოირიცხოს შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შეფერხება.

ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია დაინიცირდეს ნორმატიული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც გაუქმდება შინაპატიმრობის აღსასრულებლად დაწესებული ფინანსური ვალდებულებები და სახელმწიფო სრულად დაფარავას სასჯელის სახით

დანიშნული შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების ხარჯებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი (კორესპონდენცია N3-361-22, 18.04.2022 წ) საერთო სასამართლოების სტატისტიკის მიხედვით, სასჯელის სახით შინაპატიმრობა ქართულ მართლმსაჯულებაში ამოქმედებიდან, 2016 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში, გამოყენებული იქნა ჯამურად 146 შემთხვევაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი სტატისტიკის მიხედვით (წერილი N92957/01, 1.04.22), მისასაღმებელია, რომ შინაპატიმრობის გამოყენება, ასევე აქტიურად ხდება დანიშნული საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცლის შემთხვევებშიც, კერძოდ:

2020 წელს ადგილობრივმა საბჭოებმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა) შეცვლასთან დაკავშირებით დააკმაყოფილეს 408 შუამდგომლობა, ხოლო 2021 წელს 320 შუამდგომლობა.

იურიდიულ წრეებში კვლავაც აქტუალურია მსჯელობა შინაპატიმრობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების თაობაზე, მაგრამ ჩემი აზრით, როდესაც დადებითი მხარეების რაოდენობა აღემატება უარყოფით ასპექტებს, საკითხი წარმატებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

შინაპატიმრობის დანიშნვისას მსჯავრდებულის გარკვეული დონის სტიგმატიზაცია და ელექტრონული სამაჯურის ტარებით გამოწვეული შინაგანი სტრესი ძირითად უარყოფით მხარეს წარმოადგენს, ხოლო კრიმინალური დასნებოვნების და პატიმრის „იარლიყის მიკერებით“ გამოწვეული სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, სასჯელის ეკონომიურობა, პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვა, სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ოჯახთან/მეგობრებთან ურთიერთობა და შესაბამისად რესოციალიზაციის მაღალი ხარისხი შინაპატიმრობის უპირობო მხარდამჭერი არგუმენტებია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ შინაპატიმრობის მნიშვნელობა კანონის ლიბერალიზაციის თვალთახედვით უაღრესად დიდია. მიუხედავად ელ.მონიტორინგით გამოწვეული დისკომფორტისა, შინაპატიმრობა მსჯავრდებულს საშუალებას აძლევს

თავი აარიდოს ციხის კედლებს, შესაბამისად იმ უარყოფით გავლენებს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ადამიანს. განსაკუთრებით არასრულწლოვანს, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, უდაოა შინაპატიმრობის ეფექტურობა სასჯელის მიზნების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, აღსრულებისას.

3.4. დამნაშავის რესოციალიზაცია გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის დროს

ალტერნატიული სასჯელების ერთ-ერთ სახეობას მიეკუთვნება გამასწორებელი სამუშაო, რომელსაც საინტერესო როლი აქვს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში. ცხადია ეს სასჯელიც მსუბუქი ხასიათის სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების მატარებელია მსჯავრდებულზე, ვინაიდან ყველანაირი იზოლაციის გარეშე, სასჯელის მოხდა ხდება მსჯავრდებულის სამუშაო ადგილას.

სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არაუმეტეს ოცი პროცენტისა. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდელი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. თუ მსჯავრდებულის განზრახ თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

გამასწორებელი სამუშაო შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, არასრულწლოვანთა მიმართ გაუქმდა ზემოაღნიშნული სასჯელი.

გამასწორებელი სამუშაო თავისი ბუნებით კომპლექსური ხასიათისაა და იგი თავის თავში მოიცავს ჯარიმისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის თვისებებს.⁴¹⁶

ჯარიმასა და გამასწორებელ სამუშაოს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჯარიმის შემთხვევაში მსჯავრდებული უშუალოდ იხდის თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დროს დაქვითვა მისი ხელფასიდან ხდება.

მათ შორის მსგავსებას რაც შეეხება, ორივე შემთხვევაში მსჯავრდებული დასაქმებულია, განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ თუ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა უსასყიდლო შრომას გულისხმობს, გამასწორებელი სამუშაოს დროს მსჯავრდებულის შრომა ანაზღაურდება, თუმცა იგი უსასყიდლო შრომის ხასიათსაც ატარებს, იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებული სრულად ვერ იღებს ხელფასს და გარკვეული პროცენტით თანხა იქვითება.⁴¹⁷

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“⁴¹⁸ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულს, დამსაქმებლის ადმინისტრაციას, სადაც მსჯავრდებული მუშაობს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულის ხელფასიდან დასაქვითი თანხის შემცირების თაობაზე. აღნიშნული შესაძლებლობა მიუთითებს ჯანსაღ მიდგომაზე კანონმდებლის მხრიდან, რათა სასჯელის დანიშვნის შემდგომაც შესაძლებელი იყოს მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობის მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვროს პროპორციული სასჯელი, რაც დამნაშავის რესოციალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა.

თითოეული ალტერნატიული სასჯელის სახე მეტად ეფექტურია ვიდრე თავისუფლების აღკვეთა, ამასთან აუცილებელია რომ იგი ჩადენილი დანაშაულის

⁴¹⁶ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018,503.

⁴¹⁷ ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016,553

⁴¹⁸ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 38. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=35>

ადეკვატური, პროპორციული და თანაზომიერი იყოს, რათა საზოგადოების არცერთ წევრს უსამართლობის განცდა არ დარჩეს.⁴¹⁹

აღნიშნული სასჯელის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას მსჯავრდებულის სურვილიც ახდენს. „მისი შეგნებით დამამცირებელი არ უნდა იყოს საკუთარი შრომით და მიღებული შემოსავლით სასჯელის მოხდა.“⁴²⁰

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გამასწორებელი სამუშაო ბოლო 10 წლის განმავლობაში (2011-2021 წლები) მხოლოდ 2-ჯერ იყო გამოყენებული, კერძოდ ერთი შემთხვევა 2011 წელს და მეორე შემთხვევა 2018 წელს, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს.⁴²¹

სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში პრაქტიკულად სასჯელის ამ სახის გამოყენება არ ხდება, მაშინ როცა მასთან ახლოს მდგომი ალტერნატიული სასჯელი - ჯარიმის სახით აქტიურად გამოიყენება.

ზემოაღნიშნული განპირობებულება ერთის მხრივ იმით, რომ ჯარიმა თითქმის ყველა დანაშაულზე შეიძლება გამოიყენონ, ხოლო გამასწორებელი სამუშაო მხოლოდ სსკ-ის მუხლით გათვალისწინებულზე, ასევე გამასწორებელ სამუშაოს სავალდებულო განგრძობადი ხასიათი აქვს ჯარიმისგან განხვავებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯარიმის დაკისრება საზოგადოებისთვის შესაძლოა, ცნობილი არ იყოს და ამას მსჯავრდებულისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს გამოყენებისას ინფორმირებულია დამსაქმებელი ორგანიზაცია.

მიმაჩნია, რომ გამასწორებელ სამუშაოსთან ერთად დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ორივე მათგანი ფინანსური ხასიათისაა და შესაძლოა პირდაპირი კავშირიც დაიკარგოს სამართლიანობის აღდგენისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზანთან, მითუმეტეს მაშინ როდესაც მსჯავრდებული ფინანსურად შეძლებულია.

⁴¹⁹ ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 358-359.

⁴²⁰ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, 505

⁴²¹ იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-4.pdf>

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 23 თებერვლის განაჩენი (საქმე :№978აპ-19), რომლის მიხედვითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებული (სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით) ი.გ-ს საუარესო ცვლილება შევიდა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, დანიშნულ სასჯელს - გამასწორებელი სამუშაო 1 წლით (სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასის 5%-ის დაქვითვით), დამატებითი სასჯელის სახედ აგრეთვე 40 000 ლარის ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა.

განაჩენით ირკვევა, რომ საკასაციო პალატა სამართლიანი სასჯელის დანიშნისას ხელმძღვანელობდა ბრალდებულის პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობით, რომელსაც 10 თვის განმავლობაში სახელფასო სარგოს სახით მიღებული ქონდა 250 278.70 ლარი, რამაც საბოლოოდ 40 000 ლარის ოდენობით დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა განაპირობა, მაგრამ ლოგიკურად ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა რამდენად ეფექტურია დამატებითი ან თუნდაც ძირითადი სასჯელი და მითუმეტეს მიღწევადია თუ არა სასჯელის მიზნები.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ შემთხვევაში ჯარიმის ნაცვლად დამატებითი სასჯელის სახით, შინაპატიმრობის ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა გაცილებით უკეთ მოახდენდა სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დეფინიციის პრაქტიკულ რეალიზებას, ანუ მსჯავრდებულზე განხორციელდებოდა იმ ფორმის ზემოქმედება, რომელიც განმსჭვალავდა მას მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ იმისათვის რათა ეფექტურად იყოს მიღწეული სასჯელის მიზნები, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულის პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლით დგინდება მისი ძლიერი ფინანსური შესაძლებლობები, სასამართლომ აქცენტი უნდა გააკეთოს არაფინანსური ხასიათის, პატიმრობის ალტერნატიულ სასჯელებზე.⁴²²

⁴²² <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამსაწორებელი სამუშაო ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ალტერნატიული სასჯელია, რომელიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში უდაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ რეალობაში ამ სასჯელის აქტიური გამოყენება, რა თქმა უნდა დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე (დასაქმების პრობლემის გადაჭრის ჭრილში) და დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მკაცრად განსაზღვრული, ჯანსაღი შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, რაც გამორიცხავს მსჯავრდებულის სტიგმატიზაციას და სამსახურებრივ რეგრესს.

თავი IV. დამნაშავის რესოციალიზაცია თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას

4.1. დამნაშავის რესოციალიზაციის თავისებურებანი ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას

ადამიანის თავისუფლების უფლება კონსტიტუციით გარანტირებულ ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. თავისუფლების აღკვეთა კი, ამ უფლებაში ჩარევას გულისხმობს. ადამიანის თავისუფლების უფლება იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც ultima ratio. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა ექვემდებარება უმკაცრეს კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ჩარევის პროპორციულობის კუთხით. ამასთან, რაც უფრო განგრძობადი და ინტენსიურია ჩარევა, მით უფრო იზრდება შეფასების სიმკაცრე მისი კონსტიტუციურობის განხილვისას“.⁴²³

ადამიანის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რაც მასში ჩარევის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩარევა მოხდეს კონსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით. ადამიანის თავისუფლების ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების სიმკაცრის ხარისხი განსაკუთრებით დიდია, რაც იმით არის განპირობებული, რომ „ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმით - თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციას“.⁴²⁴

მიუხედავად მე-19 საუკუნის ბოლოს თავისუფლების აღმკვეთი სასჯელების წინააღმდეგ წარმოებული შეტევისა, დღემდე რჩება კოდექსებში ყველაზე ხშირად გათავალისწინებულ სასჯელად, რადგანაც მძიმე დანაშაულების შემთხვევაში მხოლოდ ის

⁴²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება, მე-15 პუნქტი.

⁴²⁴ იქვე, მე-6 პუნქტი.

უზრუნველყოფს ბოროტმოქმედთა მოცემულ მომენტში და ხანგრძლივად ნეიტრალიზებას.⁴²⁵

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

პროფ. გ. ნაჭყებია აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნულ დეფინიციამ შეცდომა დაშვებული, რომ მსჯავრდებულზე სასჯელის ზემოქმედება მსჯავრდებულს თითქოს პირველად მსჭვალავს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. სინამდვილეში სასჯელს მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება შეუძლია. სასჯელმა მსჯავრდებულში პასუხისმგებლობის გრძნობა კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ გამოაღვიძოს.⁴²⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძების ერთ-ერთი ყველაზე ხისტი და გავრცელებული ინსტრუმენტია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა.

თავისუფლების აღკვეთა ძვირადღირებულ სასჯელს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს პროფ. ოთარ გამყრელიძე. იგი მიუთითებს: სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ძვირი ჯდება, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე და საკმაოდ გავრცელებული სასჯელია. თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელადსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობით აღჭურვას. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია კანონმდებელზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საკითხზე სასამართლომაც უნდა იფიქროს, როცა სასჯელის ზომას განსაზღვრავს განაჩენით.⁴²⁷

⁴²⁵პრადელი ჟ., „შედარებითი სისხლის სამართალი, სუმბათაშვილი ე. (მთარგ.), რედაქტორი თ. ნინიძე, თბ., 1999, 423.

⁴²⁶ნაჭყებია გ., პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, 262

⁴²⁷გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, 111.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის პოზიციით, „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ღონისძიება და შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს“.⁴²⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ სახეობად განსაზღვრულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი სასჯელის სახეა. შინაარსობრივად გულისხმობს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას.

სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახით.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ორი საფუძველი არსებობს:

- ა) თუ ჩადენილი დანაშაულისათვის გამოიყენება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;
- ბ) თუ ჯარიმა, შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გამასწორებელი სამუშაო იცვლება თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა განსაზღვრულია ექვსი თვით, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომლის დროსაც შესაძლებელია ექვს თვეზე ნაკლები ვადით სასჯელის დანიშვნა.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემდეგი სახეები არსებობს: აბსოლუტურად განსაზღვრული და შედარებით განსაზღვრული. პროპორციული სასჯელის დანიშვნა შედარებით განსაზღვრული სანქციის ფარგლებშია შესაძლებელი. თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად განსაზღვრულია, მოსამართლე დამნაშავესთვის

⁴²⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99) 22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდის თაობაზე, 1-ლი პუნქტი. იხ. მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ.125.

პროპორციული სასჯელის დანიშვნას ვერ შეძლებს. ქართული სისხლის სამართლის კოდექსში უმეტესად სწორედ შედარებით განსაზღვრულ სანქციებს ვხვდებით, მაგრამ კოდექსში გვხვდება ისეთი მუხლიც, რომელშიც თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად განსაზღვრულია. მაგალითად, 238¹-ე მუხლი, რომელიც ცივი იარაღის ტარებისთვის ჯარიმის გარდა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ვადით. გარდა ამისა, 200²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით, შეძენა და გამოყენება ან სხვა პირებისათვის გადაცემა, 6 თვემდე ვადით ისჯება, მაგრამ აღნიშნული სასჯელის ქვედა ზღვარიც, ზოგადი წესისამებრ, 6 თვეა. გამოდის, რომ აღნიშნული სანქციაც აბსოლუტურად განსაზღვრულია, ვინაიდან დასახელებული დანაშაულის ჩამდენს მოსამართლე 6 თვეზე ვერც მეტი და ვერც ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას ვერ შეუფარდებს.

პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად მნიშვნელოვანია ის, რომ თავისუფლების აღკვეთის ვადა აბსოლუტურად არ იყო შესაბამის მუხლში განსაზღვრული და კანონმდებელი მიუთითებდეს სანქციის როგორც მინიმუმს, ისე მაქსიმუმს, მაგრამ არსებითია აგრეთვე კანონის განსაზღვრული ამპლიტუდა მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის და ის, თუ რამდენად შეესაბამება სანქციის საკანონმდებლო ფარგლები დასჯადი ქმედების სიმძიმეს. ამპლიტუდა არ უნდა იყოს მეტად მცირე, რომ აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას გაუტოლდეს და ასევე მიუღებელია არაგონივრულად დიდი ამპლიტუდის არსებობა. არაგონივრულად დიდ ამპლიტუდად შეიძლება მივიჩნიოთ სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის 8(რვა), 10(ათი) ან 12(თორმეტი)წლიანი სხვაობა. სსკ-ის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ომიანობის დროს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე. სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის რვა წლიანი სხვაობა გაუმართლებელია, მოსამართლის სუბიექტივიზმს ფართოდ უღებს კარს შეუძლებელს ხდის იმის განჭვრეტას, თუ რა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს. თორმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 314-ე მუხლის მე-2 ნაწილიც (ჯაშუშობა დამამძიმებელ გარემოებაში), ხოლო 318-ე მუხლის მე-3 ნაწილი (საბოტაჟი

დამამძიმებელ გარემოებებში) ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უვადო თავისუფლების აღკვეთას აწესებს.⁴²⁹

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არსებობს გრძელვადიანიც და მოკლე ვადიანიც. ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით მეცნიერებაში აზრი იყოფა. მის გამოყენებას ყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც. მოწინააღმდეგეთა აზრით, ხანმოკლე სასჯელი „არც ისე ხანგრძლივია მორალური ზემოქმედებისთვის და ძალზე დიდხანს გრძელდება პიროვნების წახდენისთვის“.⁴³⁰

მომხრეთა აზრით „ხანმოკლე სასჯელს ახასიათებს ციხისთვის ჩვეული ყველა უხერხულობა უპირატესობის გარეშე“, ნაწილი კი მოკლე სასჯელის გამომავლიზებული ეფექტის თაობაზეც მიუთითებს (sharp short shock). „ზოგი კანონმდებლობა კატეგორიულად გამორიცხავს ერთი თვით ან უფრო ნაკლები ვადით პატიმრობას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი, აბზაცი 2 და პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი). კოდექსების უმეტესობა არ გამორიცხავს ხანმოკლე სასჯელს.“⁴³¹

მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთისას მსჯავრდებულზე ციხის კრიმინალური ცხოვრების წესების ზეგავლენის ხარისხი დაბალია⁴³² და მისი რესოციალიზაცია უფრო ნაკლებ ძალისხმევას საჭიროებს.

გამომდინარე იქედან, რომ გრძელვადიანად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ხუთი და მეტი წლის ვადით,⁴³³ მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენს ხუთ წლამდე ვადით პატიმრობის შეფარდება. აღნიშნული სასჯელი კი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში გამოიყენება.

⁴²⁹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 562.

⁴³⁰ Saleiles R., „სასჯელთა ინდივიდუალიზაცია“, პარიზი, 1898, გვ.194. ციტირებულია: პრადელ ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, სუმბათაშვილი ე. (მთარგ.), რედაქტორი ნინიძე თ., თბ., 1999, 425.

⁴³¹ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, 425

⁴³² შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბ./ბერლ., 2013, .69-70

⁴³³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, (2003) 23 რეკომენდაციის დანართი, პირველი პუნქტი

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა 2017 წელს შეეფარდა 80%-ს, 2018 წელს 78,6%-ს, 2019 წელს 80,9%-ს, ხოლო 2020 წელს 80,3%-ს. თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას ყველაზე ხშირად სწორედ 1 წლამდე და 1-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება,⁴³⁴ ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა შორის რესოციალიზაცია შედარებით ნაკლები ძალისხმევით მიიღწევა, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დაიგეგმოს რესოციალიზაციის ღონისძიებები.

რაც შეეხება გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთის სპეციფიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის 23-ე რეკომენდაციით rec (2003) 23) გრძელვადიანი პატიმარი არის პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელიც მთლიანად შეადგენს ხუთ ან მეტ წელს.⁴³⁵

პრაქტიკაში გრძელვადიანი პატიმრის ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს, მთელ რიგ ციხეებში, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ნებისმიერი პირი, რომელიც სასჯელს იხდის 6 თვეზე მეტი ვადით, გრძელვადიან პატიმრად ითვლება. მეორე მხრივ, არსებობს სისტემები, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც გრძელვადიან პატიმრად ითვლებიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან 10 წელზე მეტი ვადით. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდებით შემთხვევებს, როდესაც პატიმრებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 100 წელზე მეტი ხნის ვადით, რაც მათი ცხოვრების ხანგრძლივობას აშკარად აღემატება.⁴³⁶

თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა თავისთავად არ არის არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, „თუ მსჯავრდებულისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ვადა აშკარად უსამართლო და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის

⁴³⁴ <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf>

⁴³⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, (2003) 23 რეკომენდაციის დანართი, პირველი პუნქტი

⁴³⁶ პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2007,145

დისპროპორციულია, ადგილი აქვს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც არღვევს მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის ღირსებას და სხვა უფლებებს.⁴³⁷

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულთა 19,95%-ის მიმართ, 2018 წელს - 21,32%-ის მიმართ, 2019 წელს 19,02%, ხოლო 2020 წელს 19,65%-ის მიმართ.⁴³⁸

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად მსჯავრდებულთა საშუალოდ 20%-ს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს მათი რესოციალიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რათა მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული.

პროფესორი შალიკაშვილი მიუთითებს იმ ექვს ძირითად პრობლემაზე, რომელსაც გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა იწვევს, ისინი პირდაპირ კავშირშია რესოციალიზაციასთან. ესენია: 1. უკულტურობის პროცესი, რაც გულისხმობს საზოგადოებისგან მოწყვეტასა და ნაცნობი ურთიერთობების დავიწყებას; 2. სოციალური კონტაქტების დაკარგვა; 3. კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება; 4. სოციალური გაუცხოება; 5. ჯანმრთელობის და ფსიქოსომატური პრობლემები; 6. ნაციხარის ეტიკეტირება და დისკრიმინაცია.⁴³⁹

რაც უფრო მაღალია თავისუფლების აღკვეთის ზომა მით უფრო დიდხანს არის მოწყვეტილი მსჯავრდებული რეალობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებს, როგორც აღინიშნა გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა იწვევს სოციალური კონტაქტების დაკარგვას, რაც რესოციალიზაციის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ციხის პერსონალს უჭირს იმ კატეგორიასთან ურთიერთობა, რომელსაც არ აკითხავენ. „ეს არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ დარჩნენ ოჯახის გარეშე, ან ჰყავთ ოჯახი, რომელიც მათ გათავისუფლების შემდეგ არ მიიღებს. ე.ი ისინი იძულებულნი არიან იფიქრონ ახალ

⁴³⁷ ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 107, 112

⁴³⁸ <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf> 72.

⁴³⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 470.

დანაშაულზე, რადგანაც ამ შემთხვევაში მუშაობს თვითგადარჩენის ინსტიქტი“.⁴⁴⁰ პირებში, რომელთაც აკითხავენ დადებითი პროცესები უფრო სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობს.

მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც იხდიან გრძელვადიან სასჯელს დამახასიათებელია თანამოქალაქეებისადმი დამოკიდებულების შეცვლა. სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში ისინი ხშირად ღიზიანდებიან, აგრესიულები ხდებიან, ურთიერთობებში შიშით ან გადამეტებული მგრძობელობით გამოირჩევიან, რაც ართულებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.⁴⁴¹

გრძელვადიანი პატიმრობა გავლენას ახდენს მსჯავრდებულის ფსიქიკაზეც. ერთ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ მამაკაც პატიმართა 2/3 ფსიქიკურად არაჯანმრთელი იყო და მკურნალობას საჭიროებდა.⁴⁴²

დამატებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ პატიმრობის პერიოდს გარკვეული აზრი დაემატოს; კერძოდ, ამგვარ პატიმართა დახმარების მნიშვნელოვანი ელემენტებია პატიმრობის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზება და სათანადო ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა მსჯავრდების პერიოდთან შესაგუებლად და როცა დრო მოვა, გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად,⁴⁴³ რათა თავიდან იქნეს აცილებული გრძელვადიანი პატიმრობის მავნე შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში არარესოციალიზებული პირი დაბრუნდება, რომელიც განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკის მატარებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ დამნაშავის რესოციალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლევადიანი და გრძელვადიანი თავისუფლებაალკვეთილი პირების განცალკევებით განთავსება, რაც

⁴⁴⁰ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბ., 2005,20

⁴⁴¹შალიკაშვილი მ. ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 472

⁴⁴² შალიკაშვილი მ. ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 47

⁴⁴³ ციხეში პატიმრობასთან დაკავშირებული კომიტეტის სტანდარტების განვითარება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), 2001, პუნქტი 33

თავისთავად სახელმწიფოსათვის ძვირადღირებული გადაწყვეტაა, მაგრამ დამნაშავის სრულყოფილი რესოციალიზაციის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ზემოაღნიშნული კლასიფიკატორი გათვალისწინებულ იქნას საქართველოს პატიმრობის კოდექსში, რომლის არსებული რედაქციის 50-ე მუხლის საფუძველზე ამჟამად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით ათავსებენ, მხოლოდ:

ა) ქალებს;

ბ) არასრულწლოვნებს;

გ) პირველად მსჯავრდებულებს;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით/მუხლებით (ტრეფიკინგი) გათვალისწინებულ დანაშაულზე/დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილ პირებს;

ე) პირებს, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;

ვ) განსაკუთრებით საშიშ პირებს, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

აღსანიშნავია ასევე, რომ პენიტენციური დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში განცალკევებით ათავსებენ არამართვადი ინფექციური სენით დაავადებულ პირებს.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა მოკლევადიან თუ გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთასთან გვაქვს საქმე, დამნაშავის რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურად შესწავლის მიზნით, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁴⁴⁴

პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე საქართველოში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით განსაზღვრულია 7 ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, კერძოდ:

ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე;

ბ) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე;

გ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე;

დ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი;

⁴⁴⁴ იხ. პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ე) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათზე მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია ასევე აუდიოსაშუალებებით მეთვალყურეობა და კონტროლი;

ვ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - არასრულწლოვანთა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 79-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად დაწესებულებაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და გადამზადებული პერსონალი (პედიატრი, ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი და სხვა). დაწესებულებაში არასრულწლოვნები, როგორც წესი განთავსებული არიან სპეციალურ საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.⁴⁴⁵

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგით დადგენილი წესით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად გადაადგილდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე.

ზ) ქალთა სპეციალური დაწესებულება - დაწესებულებაში განთავსებული არიან ქალი მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვნები. დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. აღსანიშნავია, რომ ქალთა სპეციალური დაწესებულება

⁴⁴⁵ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 79-ე მუხლი.

გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.⁴⁴⁶

ყველა ზემოთჩამოთვლილი დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.

მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულების განაწილება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გათვალისწინებულია ტერიტორიული პრინციპით, კერძოდ, როგორც წესი, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რაც მისასაღმებელია და ხელს უწყობს მსჯავრდებულის კომუნიკაციას ოჯახის წევრებთან და ახლო სანათესაო წრესთან.

განსაკუთრებულ შემთხვევებში მოიაზრება, სხვადასხვა გარემოებები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია რისკის შემცირებისა და სასჯელის ეფექტურად აღსასრულებლად. შესაბამისად სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გათვალისწინებით ან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად;
- ბ) პენიტენციური დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევისას;
- გ) მსჯავრდებულისა და სხვა პირთა უსაფრთხოების ან პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- დ) მსჯავრდებულის ავადმყოფობისას;
- ე) პენიტენციური დაწესებულების რეორგანიზაციისას;

⁴⁴⁶ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლი.

ვ) პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციისას;

ზ) პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობისას;

თ) პენიტენციურ დაწესებულებაში შემოღებული განსაკუთრებული პირობებისას (სტიქიური უბედურებისას, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას, სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიისას და მასობრივი არეულობისას, აგრეთვე თუ პენიტენციური დაწესებულება დაზიანდა ან აღარ გამოდგება კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის, პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული პირობები);

თ¹) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191

¹ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას (თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია განჩინებით დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება) თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება და ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის;

ი) მსჯავრდებულის თანხმობის არსებობისას;

კ) სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას.⁴⁴⁷

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსის 48-ე მუხლი, მსჯავრდებულის ინტერესების გათვალისწინებით იძლევა შესაძლებლობას, რომ მსჯავრდებულის, რომელსაც სასჯელის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდა განესაზღვრა,

⁴⁴⁷ იხ. პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლი.

მისივე წერილობითი თანხმობით, შეიძლება დატოვებულ იქნეს პატიმრობის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია იმ ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის, სადაც რისკების გათვალისწინებით განთავსდებოდა მსჯავრდებული და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია პატიმრობის დაწესებულებაში.⁴⁴⁸

სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის პატიმრობის დაწესებულებაში დატოვება ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

თავისთავად ყველა ტიპის დაწესებულებაში განსხვავებულია მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიღებისთანავე, მას დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი უფლებები და მის მიმართ დაწესებულების მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურობისათვის, გარდა სამართლებრივი და უფლებრივი რეგულაციებისა, თავისთავად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქონა ყველა დაწესებულებაში, რათა შეუფერხებლად წარიმართოს სარეაბილიტაციო აქტივობები.

ნებისმიერი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ სამართლებრივ მდგომარეობას და კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების რეალიზაციას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას. მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და

⁴⁴⁸ იხ. პატიმრობის კოდექსის 48-ე მუხლი 1-ლი ნაწილი.

შეთანხმებებით, პატიმრობის კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს:

ა.ა) საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით;

ა.ბ) სამედიცინო მომსახურებით;

ა.გ) ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით), დამცველთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის) შეხვედრით;

ა.დ) სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით;

ა.ე) ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით;

ა.ვ) უფასო იურიდიული დახმარებით და სამართლებრივი კონსულტაციებით;

ბ) მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება;

გ) მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში;

დ) მიიღოს ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ისარგებლოს მხატვრული და სხვა ლიტერატურით;

ე) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას, ჰქონდეს ამისთვის საჭირო ინვენტარი და პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით მოახდინოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაცია;

ვ) შეიტანოს მოთხოვნა, საჩივარი;

ზ) ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით);

თ) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს პენიტენციური დაწესებულება.⁴⁴⁹

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ქრილში კონკრეტული, გარანტირებული უფლებები პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილითაა გათვალისწინებული, კერძოდ:

ა) სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლება;

ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება;

გ) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განათლების მიღების უფლებით – გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში;

დ) პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლება.⁴⁵⁰

სულიერი მდგრადობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო პირებს, თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით.

მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგ: ქალთა მიმართ ძალადობისთვის ან/და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაზარალებულთან მიმოწერის უფლება ეზღუდება დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.)

აქვე აღსანიშნავია, რომ აკრძალულია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა.⁴⁵¹

⁴⁴⁹ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლი.

⁴⁵⁰ იქვე, მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁵¹ იქვე, მე-16 მუხლი.

როგორც წესი მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რომელიც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.⁴⁵²

ისევე როგორც, სხვა ქვეყნების პრაქტიკაში, საქართველოშიც პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, პროკურორი, სამსახურის ადგილობრივი საბჭო.

თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ზემოქმედების ინსტრუმენტი წარმოდგენილია პაემნის უფლებით, რომლის 4 სხვადასხვა სახეა გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ:

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი

⁴⁵² იხ. პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი.

შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბების დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება.⁴⁵³

აქვე აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, წახალისების ფორმით მსჯავრდებულს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში.

ხანმოკლე პაემანი ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით, რომელიც მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლის ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობით, მაგრამ მოსმენის გარეშე.

პაემანის კონტექსტში, ქალი მსჯავრდებულები ექსკლუზიური უფლებით სარგებლობენ, ვინაიდან მათ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეთ საოჯახო პაემნის უფლება, რაც გულისხმობს ახლო ნათესავებთან (საგამონაკლისო წესით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით ნებისმიერ პირთან) შეხვედრას თავისუფლების არკვეტის დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში.

პენიტენციურ სისტემაში ბოლო წლების ერთ-ერთ ინოვაციურ პროექტად, უპირობოდ უნდა მივიჩნიოთ ვიდეოპაემანის სერვისი, რომელიც მნიშვნელოვანი ხიდია მსჯავრდებულის სოციალური კავშირების შენარჩუნების კონტექსტში.

პატიმრობის კოდექსის 17¹ მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა და განსაკუთრებით საშიში მსჯავრდებულებისა (რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი,

⁴⁵³იხ. პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლი.

დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას) უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან, რომლის ერთჯერადი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ორგანიზებას მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება, ხოლო პენიტენციური დაწესებულების გარეთ – სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

მსჯავრდებულის ზემოაღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდში.⁴⁵⁴

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება, ცალსახად ხანგრძლივი პაემნის უფლებაა, რომელიც ჩემი აზრით ყველა ქვეყნის კანონმდებლობით უნდა იყოს გარანტირებული და აბსოლიტურად მიუღებელია საქართველოში წლების წინ არსებული პრაქტიკა, როდესაც შეზღუდული იყო ამ უფლებით სარგებლობა.

ხანგრძლივი პაემანი გულისხმობს მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან ერთად ცხოვრებას (რომელიც გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა), თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად.

⁴⁵⁴იხ. პატიმრობის კოდექსის მე-17¹ მუხლი.

როგორც წესი ხანგრძლივი პაემანის მოწყობა ფასიანი სერვისია, რომლის ხარჯსაც ფარავს ვიზიტორი, რაც ვფიქრობ მიუღებელი პრაქტიკაა და სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს სრულად ამ უფლების რეალიზაციას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა შეიძლება განხორციელდეს საფასურის გადაუხდელობადაც.

აქვე აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ საკარანტინო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულს და მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან მოთავსებულია სამარტოო საკანში.

ნებისმიერი ქვეყნის პრაქტიკაში განსაკუთრებით პრობლემურია უცხო ქვეყნის მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესი, ვინაიდან საწყის ეტაპზევე თავის იჩენს პროცესის დამაბრკოლებელი გარემოება ენის ბარიერის სახით, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს რესოციალიზაციის პროცესის შეფერხების საფუძველი.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია რომ, მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, გარანტირებული უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას.

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დაწესებულებებთან.

იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები არ აქვთ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დაწესებულებებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.⁴⁵⁵

⁴⁵⁵ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლი.

არამხოლოდ რესოციალიზაციის პროცესისათვის, არამედ ასევე მსჯავრდებულის სამართლებრივი მხარდაჭერისათვის, რა თქმა უნდა განსაკუთრებული და აბსოლიტური მნიშვნელობისაა დამცველთან და ადვოკატთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე მსჯავრდებულის შეხვედრის უფლება, რომელიც თავისთავად არ შედის განსაზღვრული პაემნების რაოდენობაში. ამ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს შეუძლია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დამცველთან შეხვედრას დააკვირდეს მხოლოდ ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.

თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კონტექსტში, მნიშვნელოვანია ასევე პატიმრობის კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული სატელეფონო საუბარის, ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლება და ასევე მე-20 მუხლით გათვალისწინებული პრესის გაცნობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებულს, გარდა იმ მსჯავრდებულისა, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან/და მოთავსებულია სამართლო საკანში, შეიძლება მიეცეს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება.⁴⁵⁶

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს ან მსჯავრდებულთა ჯგუფს დაწესებულების დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს ან მსჯავრდებულთა ჯგუფს უფლება აქვს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ

⁴⁵⁶ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლი.

მალაზიაში შეიძინოს პირადი რადიომიმღები ან/და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

მსჯავრდებულს ასევე შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა.⁴⁵⁷

ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასევე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არსებული თავისებურებანი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 90-ე მუხლის საფუძველზე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებული, ანუ 14 დან 18 წლამდე ასაკის პირი, სასჯელს იხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

18 წელს მიღწეული მსჯავრდებული, როგორც წესი სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოზარდის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, რომ 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადებით სასჯელის მოსახდელად იმავე დაწესებულებაში იქნეს დატოვებული არაუგვიანეს 21 წლის ასაკის მიღწევისა, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდა სასჯელს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.

21 წელს მიღწეული მსჯავრდებული, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნა დატოვებული და რომელმაც 21 წლის

⁴⁵⁷ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლი.

მიღწევამდე მიიღო ზოგადი განათლება და გაიარა პროფესიული მომზადება, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

არასრულწოვან მსჯავრდებულს სწავლისაგან თავისუფალ დროს აქვს ასევე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება, როგორც დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე მის გარეთ. ამასთანავე განსაზღვრულია, რომ სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას, თავისთავად დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.⁴⁵⁸

ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მსჯავრდებულთა ჩართულობა სპორტულ და რეკრეაციულ აქტივობებში, მნიშვნელოვანია, რომ ასევე წინა პლანზეა წარმოჩენილი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებით და სეირნობის უფლებით. ამ მიზნით მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობა და სივრცე.

⁴⁵⁸იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 85-ე მუხლი.

რესოციალიზაციის მიზნით, არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

- ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
- ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;
- გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;
- დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;
- ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები.
- ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;
- ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.⁴⁵⁹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს ასევე, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

ზემოაღნიშნული უფლება არასრულწლოვან მსჯავრდებულს ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

⁴⁵⁹ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 87-ე მუხლი.

- ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
- ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
- გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს იუვენალური კანონმდებლობა მაქსიმალურად ორიენტირებულია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე და მისასაღმებელია, რომ პრაქტიკაშიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების რეალიზაციისათვის, რაც ხელს უწყობს მათ რესოციალიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა გარანტირებული უფლებების ეფექტური რეალიზაცია, როგორც ხანმოკლე და ხანგრძლივ ვადიან მსჯავრდებულთა განცალკევებით განთავსების თვალსაზრისით, ასევე ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ინდივიდუალური მიდგომებისა და გათავისუფლებისათვის მომზადების სტანდარტის დანერგვით.

4.2. დამნაშავის რესოციალიზაციის თავისებურებანი უვალო თავისუფლების აღკვეთისას

სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთ სახეს უვალო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს, რომელიც სასჯელის უმკაცრესი ზომია. უვალო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და არ შეიძლება

დაენიშნოს არასრულწლოვან მსჯავრდებულს და იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი, როგორც წესი სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად (2022 წლის 1 აპრილის N92957/01 წერილი), 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, სისტემაში სულ განთავსებულია 71 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული (მათ შორის 2 ქალი).

თავისთავად უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უმთავრესი ფაქტორი და იმედი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობაა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, „უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს განთავისუფლების მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.“⁴⁶⁰

თუ მსჯავრდებულს აქვს იმედი, რომ როდესმე გათავისუფლდება, თუ ვერ ხედავს რაიმე აზრს მის პატიმრობაში, გარდა იმისა რომ ჩადენილ ქმედებაზე პასუხს აგებს, მაშინ მისთვის გამოსწორების მოტივაცია ძალიან დაბალია, რასაც ნულამდე დაჰყავს რესოციალიზაციის მაჩვენებელი.

ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „სამუდამო პატიმრები, შესაძლებელია ფსიქიკურად დაავადდნენ, რაც განპირობებულია სანქციის სიდიდით ან გათავისუფლების

⁴⁶⁰მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012, 134-135

დღის უცოდინრობით“.⁴⁶¹ ამას ადასტურებს 2004 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევა, რომელმაც ცხადჰყო, რომ ყოველ მეხუთე უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები სასჯელის მოხდის სხვადასხვა პერიოდში.⁴⁶² გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სამუდამო პატიმრებს, სავარაუდოდ, აქვთ ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები, რაც გამოიკვეთება სასჯელისგან განთავისუფლების შემდეგ.⁴⁶³

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გრძელვადიანი და დროში განუსაზღვრელი პატიმრობა ხშირად იწვევს უვადო მსჯავრდებულთა მიერ სუიციდს. ორგანიზაცია Prison Reform Trust მიერ ინგლისსა და უელსში ჩატარდა კვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ სუიციდის მაჩვენებელი მამაკაც პატიმრებს შორის ხუთჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში.⁴⁶⁴

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს უვადო პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გამოსაცდელი ვადით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ორიენტირს სასჯელის მიზანი წარმოადგენს, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად უნდა შენარჩუნდეს პირის გამოსწორებისა და საზოგადოებაში რეაბილიტაციის მიზნით.⁴⁶⁵

72-ე პრიმა მუხლი 2017 წლის 1 ივნისს შესული ცვლილებით დაემატა კოდექსს, მანამდე აღნიშნული საკითხი რეგულირდებოდა 72 -ე მუხლის მე -7 ნაწილით, სადაც

⁴⁶¹ ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ქენევა, 2005, 193

⁴⁶² შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 392

⁴⁶³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, 515

⁴⁶⁴ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 393

⁴⁶⁵ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, 514

მითითებული იყო, რომ მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა ფაქტობრივად მოხდილი ვადა 25 დან 20 წლამდე შეამცირა, რაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით მისასალმებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი, წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება.

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით.

პირობით ვადამდე გათავისუფლების ზღვარი გერმანიაში 15 წლამდეა დაყვანილი, ზოგ ქვეყანაში კი მსგავსი ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობს მაგალითად, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებით არ სარგებლობენ უვადო პატიმრები ლიტვაში, მალტაში, ნიდერლანდებში. ასეთი რეგულაციით უპირატესობა ენიჭება

სამართლიანობის აღდგენას და უგულბელყოფილია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.⁴⁶⁶ ამ შემთხვევაში რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი აზრს კარგავს.

„თუკი სასჯელის ყველა მიზანი მიღწეულია და სასჯელის მოქმედება უვადოდ, ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთა უსამართლობის დამკვიდრებას ემსახურება.“⁴⁶⁷

ესპანეთის სისხლის სამართლის დოქტრინა მიუთითებს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურია, რადგან სასჯელადსრულების დაწესებულებაა ვალდებული მსჯავრდებულის სოციალურად რეაბილიტირება დაუმტკიცოს საზოგადოებას, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთა ამ დებულების საწინააღმდეგოა.⁴⁶⁸

უვადო თავისუფლების აღკვეთისას პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი იძლევა რესოციალიზაციის შესაძლებლობას, ხოლო რამდენად მიიღწევა იგი ამ შესაძლებლობის ფარგლებში პიროვნების მზაობასა და სასჯელადსრულების პირობებზეა დამოკიდებული, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციხის ადმინისტრაცია. სასჯელადსრულების დაწესებულებებმა საზოგადოებასთან სამუდამო პატიმრობაში მყოფ პირთა ურთიერთობთა სპექტრი უნდა გააფართოონ, კერძოდ, ჩართონ საგანმანათლებლო პროგრამებში, საპატიმროს გარეთ მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობებში. სამედიცინო გამოკვლევის და განათლების მიღების მიზნით, ასევე ოჯახური და სოციალური მიზეზების გამო, მცირე დროით მისცენ ნება გავიდეს საპატიმროდან, ციხის გარეთ კი, ზედამხედველობის ქვეშ, პატიმრების ჩართონ სხვადასხვა საქმიანობასა და ტრენინგებში.⁴⁶⁹

⁴⁶⁶ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016,109

⁴⁶⁷ დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013,60

⁴⁶⁸ კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბ., 2007,146.

⁴⁶⁹ ადამიანის უფლებები და სასჯელადსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, 198

მნიშვნელოვანია მათი დასაქმება და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული რესურსებია ხელმისაწვდომი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის აქტივობებში მონაწილეობისთვის, მიზანშეწონილია პრიორიტეტი მიენიჭოს უვადო თავისუფლებააღკვეთილებს სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. რაც განპირობებულია მათი დიდი ხნით იზოლირებით საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახებისგან. შესაბამისად, ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას, ასეთ პირთა თავისუფლების აღკვეთის პროგრამებში მონაწილეობა ხელშემწყობია ციხის ცხოვრების ადაპტაციაში.⁴⁷⁰

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სარეზილიტაციო პროგრამებს და ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა.

პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.

პროგრამის ამოცანებია მსჯავრდებულთა შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების უზრუნველყოფა და სასამართლოსთვის წარსადგენად შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება.

პროგრამაში ერთვება ის მსჯავრდებული, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის არანაკლებ 12 წელი და წერილობით თანხმობას აცხადებს პროგრამაში მონაწილეობაზე. პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე და ის

⁴⁷⁰მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბ., 2008, 52.

მსჯავრდებულები, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას, პროგრამის დაწყებისთანავე ერთვებიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებში.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებით, არაუმეტეს 2 წლის ვადით.

პროგრამა შედგება 8 ეტაპისგან, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სასწავლო მოდულებსა და მხარდაჭერ აქტივობებს, კერძოდ:

ეტაპი I – მსჯავრდებულის შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა და დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიშის მომზადება;

ეტაპი II – კონსტრუქციული ურთიერთობების აგება;

ეტაპი III – ჯანსაღი ცხოვრება და პროფესია;

ეტაპი IV – ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა;

ეტაპი V – სამოქალაქო განათლება (საგანმანათლებლო მოდული);

ეტაპი VI – მაკრო სისტემები (საგანმანათლებლო მოდული);

ეტაპი VII – ადაპტაციის უნარების გაუმჯობესება (საგანმანათლებლო/უნარების განვითარების მოდული);

ეტაპი VIII – მომავლის კონსტრუქციული დაგეგმვა.⁴⁷¹

პროგრამა ხორციელდება ჯგუფურად მაგრამ შესაძლოა ასევე განხორციელდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული მსჯავრდებულის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ჯგუფურად განხორციელებისთვის არ იქნება მონაწილეთა საკმარისი რაოდენობა.

სწავლების დასრულების შემდგომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი ადგენს შემაჯამებელ ანგარიშს შემთხვევის მართვის ფარგლებში წარმოებული მონაცემებისა და პროგრამის ყველა ეტაპის შეფასების გათვალისწინებით.

სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, სსიპ დანაშაულის პრევენციის,

⁴⁷¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №682 ბრძანება „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ მე-7 მუხლი .

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების მართვა ხორციელდება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობების განსაზღვრისას გასათვალისწინებელ პრინციპთა ჩამონათვალი გათვალისწინებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003(23) რეკომენდაციით. გამოიყოფა ინდივიდუალიზაციის პრინციპი რაც გულისხმობს პატიმრობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების განსხვავებულობის გათვალისწინებით. ნორმალიზაციის პრინციპი გულისხმობს ციხის საცხოვრებელი პირობების მიახლოებას ციხის გარეთ არსებულთან და იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპი, კერძოდ, არ უნდა მოხდეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების იზოლაცია მხოლოდ მათი სასჯელის ტიპის გამო,⁴⁷² პროგრესის პრინციპი – „უვადო ან სხვა გრძელვადიანი პატიმრის ცხოვრების ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესულ სვლას ციხის სისტემის ფარგლებში“.⁴⁷³

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა კატეგორია მაღალ რისკ ჯგუფს განეკუთვნება, მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას და საზოგადოებრივ წესრიგს. მათი რესოციალიზაცია დიდ ძალისხმევასა და განსაკუთრებულად ფრთხილ, მიზანმიმართულ დაგეგმვას საჭიროებს. მიმაჩნია, რომ უვადო თავისუფლების დღეს მოქმედი რეგულირება იძლევა რესოციალიზაციის მიღწევის შესაძლებლობას ინდივიდუალური გეგმის შედგენისა და ღონისძიებათა ფრთხილი გამოყენების მეშვეობით.

⁴⁷² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ

⁴⁷³ შალიკაშვილი მ. ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014.,400

4.3. რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში

პირის მსჯავრდება და მისი საზოგადოებისაგან იზოლირება ორიენტირებულია ერთი მხრივ, ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებაზე, და მეორე მხრივ, დამნაშავის გამოსწორებაზე, რაც გულისხმობს სასჯელისა მოხდის შემდეგ საზოგადოებისთვის უსაფრთხო პიროვნებად დაბრუნებას.⁴⁷⁴

ჩრდილოეთ ამერიკული ციხის მაგალითზე, შრაგის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა მსჯავრდებულთა ოთხი ტიპი: პროსოციალური, ანტიპროსოციალური, ფსევდოსოციალური და ასოციალური. რომელთა რესოციალიზაციაც სხვადასხვა ღონისძიებებს საჭიროებს.⁴⁷⁵

პროსოციალური მსჯავრდებულები ორიენტირებულები არიან ლეგალურ ნორმებზე. მათ უფრო მეტი ურთიერთობა აქვთ სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ვიდრე სხვა მსჯავრდებულებთან, აღსანიშნავია, რომ ისინი თავს არ მიიჩნევენ კრიმინალებად და მათ მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან.

ანტიპროსოციალური მსჯავრდებულების ტიპი აღიარებს კრიმინალურ ნორმებს, მათ აქვთ მინიმალური კონტაქტი სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხოლო ხშირი კომუნიკაცია, ასოციალური მსჯავრდებულების გარდა, ყველა სხვა ტიპის მსჯავრდებულებთან. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებელი მათში ძალიან მაღალია.

ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების ტიპი ხშირად იცვლის ნორმებისადმი ორიენტაციას. მათ კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე მსჯავრდებულებთან.

ასოციალური მსჯავრდებულები, ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების მსგავსად, ლოიალურები არიან, როგორც მორალური, ასევე საკანონმდებლო ნორმების მიმართ. მათ არა აქვთ ხშირი კონტაქტი არც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, არც მსჯავრდებულებთან. უნდობლობით გამოირჩევიან და შიშით ეკიდებიან ნებისმიერი ხასიათის პერსონალურ ურთიერთობებს.

⁴⁷⁴კობერიძე კ., სასჯელადსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, #11-12, თბ., 2002, 86.

⁴⁷⁵ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 82-83.

წარმატებული რესოციალიზაცია შესაძლებელია პროსოციალური მსჯავრდებულებისთვის, ვინაიდან ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო-აღმზრდელობით პროგრამებში. პრობლემურია, გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთისას რესოციალიზაციის შედეგებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის თავიდან აცილება.⁴⁷⁶

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს: საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, სამედიცინო მომსახურებით, ახლო ნათესავებთან შეხვედრით, სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით, ზოგადი და პროფესიული განათლებით და ა.შ. მას უფლება აქვს მიიღოს განათლება, აღნიშნული ღონისძიებების რეალიზება ხელს შეუწყობს რესოციალიზაციას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მათი ურთერთობა ოჯახის წევრებთან, ციხის პერსონალთან. „პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგანაც იგი მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.“⁴⁷⁷

პატიმრობის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას მსჯავრდებულთა დასაქმება წარმოადგენს. ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

დამნაშავის გამოსწორება არ შეიძლება მხოლოდ გარე ზემოქმედებით. ამისთვის აუცილებელია მონანიება, აღიარება და თვითგანსჯა. გამოსწორება ნიშნავს მისი

⁴⁷⁶ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, 82-83.

⁴⁷⁷ იქვე, 169 გვ.

სინდისისა და სირცხვილის გრძნობის ჩართვას. ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენად მიიღწევა ციხეში გამოსწორება და რა ღონისძიებებს მიმართავენ ამისთვის.

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი გააჩნია და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ფორმალურია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რაც არასაკმარისი და შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პერსონალის პირობებში შეუძლებელს ხდის მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრას.⁴⁷⁸

პენიტენციურ სისტემაში რესოციალიზაციის პროცესის საფუძველი, უპირობოდ რისკის შეფასება (ანუ პროცესი, რომლის დახმარებითაც რისკისა და საჭიროებების დოკუმენტში ასახული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის განსაზღვრა, კრიმინოგენური ფაქტორების იდენტიფიცირება და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის დადგენა) და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენაა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის #502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.

საწყის ეტაპზე ბრძანებით გაწერილი სტანდარტი დაინერგა მიზნობრივ ჯგუფებთან, კერძოდ:

ა) №5 ქალთა სპეციალური დაწესებულების მსჯავრდებულებთან;

ბ) №16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულების მსჯავრდებულებთან;

გ) ყველა უვადო მსჯავრდებულთან.

⁴⁷⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, 55.

სრულად სისტემაში ბრძანებით გათვალისწინებული სტანდარტები ამოქმედებული უნდა იყოს, არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

ბრძანებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს სრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასებასთან, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადებასთან, განხორციელებასა და მონიტორინგთან (შემთხვევის მართვასთან) დაკავშირებულ პროცედურებსა და სამუშაო პროცესში გამოსაყენებელ ფორმებს, აგრეთვე, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

წესის მიზანია სისტემაში სრულწლოვან მსჯავრდებულთა მრავალმხრივი რისკების მართვა, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებითა და ჩართულობით.⁴⁷⁹

პენიტენციურ სისტემაში თითოეული მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი გაერთიანებულია შემთხვევის მართვის პროცესში, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სრულწლოვანი მსჯავრდებულის ჩართვა შემთხვევის მართვის პროცესში;
- ბ) დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის დონისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დადგენა, ასევე, კრიმინოგენური ფაქტორების შეფასება;
- გ) ინდივიდუალური გეგმის შედგენა ბენეფიციარის საჭიროებების შესაბამისად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით;
- დ) ინდივიდუალური გეგმის განხორციელება;
- ე) ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი;
- ვ) შემთხვევის მართვის საქმის გადახედვა/დახურვა.

⁴⁷⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“

მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასება ხორციელდება სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოიცავს:

ა) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგს (ნაწილი I);

ბ) რისკისა და საჭიროებების შეფასების:

ბ.ა) სტატკურ ფაქტორს (ნაწილი II);

ბ.ბ) დინამიკურ ფაქტორს (ნაწილი III);

გ) დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის საბოლოო შეჯამებას (ნაწილი IV).⁴⁸⁰

მნიშვნელოვანი ზიანის რისკი გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, სხვებისთვის ან/და საკუთარი თავისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის პროგნოზირებას, რომელიც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი დონის, რომელიც განისაზღვრება მსჯავრდებულის მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასების შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, ფასდება საინფორმაციო ველებისათვის მინიჭებული ქულების ჯამის მიხედვით.

მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონეები, ქულათა მიხედვით სამ ნაწილად იყოფა:

ა) დაბალი დონე: 0-დან 5 ქულა;

ბ) საშუალო დონე: 6-დან 39 ქულა;

გ) მაღალი დონე: 40 ქულა და მეტი.⁴⁸¹

დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის გამოთვლა ხდება რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის მეშვეობით. დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის დონე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი.

⁴⁸⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-5 და მე-7 მუხლები.

⁴⁸¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი..

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმა მოიცავს დაჯგუფებულ სტატიკურ და დინამიკურ ფაქტორებს, კერძოდ: სტატიკური ფაქტორებია: ზოგადი ინფორმაცია და წარსული დანაშაულებრივი ქცევა, ხოლო დინამიკური ფაქტორებია: საცხოვრებელი ადგილი, ურთიერთობა ოჯახსა და ახლობლებთან, განათლება, დასაქმება, ეკონომიკური მდგომარეობა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ალკოჰოლის ავადმობმარება, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმობმარება, დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ, ანტისოციალური ურთიერთობები, ცვლილებების მოტივაცია, აზროვნება და ქცევის კონტროლი, ფიზიკური ჯანმრთელობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის დონე განისაზღვრება სტატიკურ და დინამიკურ ფაქტორებზე დაყრდნობით.

სტატიკური ნაწილის დონეებია: დაბალი: 0-74 ქულა, საშუალო: 75-186 ქულა და მაღალი: 187-378 ქულა, ხოლო დინამიკური ნაწილის დონეებია: დაბალი: 0-49 ქულა, საშუალო: 50-124 ქულა და მაღალი: 125-252 ქულა.

დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის დონეებია: დაბალი: 0-124 ქულა, საშუალო: 125-310 ქულა და მაღალი: 311-630 ქულა.⁴⁸²

მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის განსაზღვრა ხდება შიდა კლასიფიკაციის საკნის დატოვებიდან რვა კვირის განმავლობაში.

მსჯავრდებულის შიდა კლასიფიკაციის საკნის დატოვებისთანავე იწყება რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ნაწილისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის შევსება.

მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის დოკუმენტს სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) ავსებს მსჯავრდებულის შიდა კლასიფიკაციის საკნის დატოვებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. ამ პროცესში სოციალური მუშაკი

⁴⁸² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი.

პენიტენციური დაწესებულების სუიციდის პრევენციის კოორდინატორისგან იღებს ინფორმაციას მსჯავრდებულის შესახებ.

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკურ ნაწილს მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში ავსებს დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომელი, ხოლო დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე მსჯავრდებულის შიდა კლასიფიკაციის საკნის დატოვებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში ავსებს მსჯავრდებულის ქცევის შეფასების ფორმას.⁴⁸³

საინტერესოა ინდივიდუალურად განვიხილოთ მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სხვადასხვა დონეების მართვის პროცესი, კერძოდ:

ა) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დაბალი დონის, ხოლო რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ფაქტორებიდან დაბალი ან საშუალო დონის გამოკვეთის შემთხვევაში, რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის დინამიკური ფაქტორები არ ივსება და შემთხვევის მართვის საქმე სასჯელის მოხდის კოორდინაციის მიზნით გადამისამართდება შემთხვევის ადმინისტრატორთან.

მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დაბალი დონის, ხოლო რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ფაქტორებიდან მაღალი დონის გამოკვეთის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი 4 კვირის განმავლობაში ავსებს მსჯავრდებულის დინამიკურ ფაქტორებს, რომლის გაანალიზების შემდგომ, სოციალური მუშაკი ასაბუთებს პოზიციას იმის შესახებ, შემთხვევის მართვის საქმე გადამისამართდება შემთხვევის ადმინისტრატორთან, შემთხვევა დარჩება სოციალურ მუშაკთან, თუ პროცესში დამატებით ჩაერთვება ფსიქოლოგი.

ბ) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასების შედეგად საშუალო დონის გამოკვეთის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ იწყებს შეფასებას რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის დინამიკური ფაქტორების მიხედვით.

⁴⁸³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი.

შემთხვევა სამართავად რჩება სოციალურ მუშაკთან, ხოლო დინამიკური ფაქტორების გაანალიზების შემდგომ სოციალური მუშაკი ასაბუთებს ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროების საკითხს.

გ) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასების შედეგად მაღალი დონის გამოკვეთის შემთხვევაში:

გ.ა) ფსიქოლოგი არ ელოდება რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სხვა მონაცემებს და დაუყოვნებლივ, ზიანის რისკის მაღალი დონის გამოკვეთიდან მეორე სამუშაო დღეს, იწყებს მსჯავრდებულის შეფასებას. ფსიქოლოგი ერთკვირიანი სამუშაოს ჩატარების შემდეგ ხვდება სოციალურ მუშაკს და ერთობლივად განიხილავენ შემთხვევის მნიშვნელოვანი ზიანის რისკის მართვის მოკლევადიან სტრატეგიას;

გ.ბ) სოციალური მუშაკი მსჯავრდებულს აფასებს რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის დინამიკური ფაქტორების მიხედვით და შემთხვევა რჩება სოციალურ მუშაკთან, სტატიკურ ნაწილში დაფიქსირებული რისკის დონის მიუხედავად.

თუ მსჯავრდებულის საქმე საჭიროებს დინამიკური ფაქტორების შეფასებას და საქმე სამართავად გადაეცემა სოციალურ მუშაკს (შემთხვევის მმართველს), შემთხვევის სამართავად საჭიროა მულტიდისციპლინური მუშაობა. ამ მიზნით პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით პენიტენციურ დაწესებულებაში იქმნება გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკი, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს სოციალური მუშაკის განსაკუთრებულ როლზე მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესზე.

მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში შედის პენიტენციური დაწესებულების სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი), შემთხვევის ადმინისტრატორი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე და საჭიროებისამებრ ფსიქოლოგი. აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში, გუნდში სამუშაოდ შესაძლებელია, მოწვეულ იქნენ სხვა სპეციალისტებიც.

შეფასების მე-7 კვირას, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის რისკის მაღალი დონის გამოკვეთის შემთხვევაში მე-6 კვირას, იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი (სხვადასხვა სპეციალისტისგან შემდგარი გუნდი), რომელიც განიხილავს

მსჯავრდებულის შეფასების შედეგებს და სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე, ადგენს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის სამუშაო ვერსიას, რომელსაც გუნდი მსჯავრდებულს აცნობს შეხვედრის ფარგლებში.⁴⁸⁴

თუ მსჯავრდებული უარს ამბობს შეფასებაში მონაწილეობაზე, აღნიშნული ინფორმაცია აისახება მსჯავრდებულის შესაბამის დახასიათებაში.

ზემოაღნიშნულ პროცესში საინტერესოა პენიტენციური დაწესებულებების სხვა სამსახურების ჩართულობაც, მაგალითად: მსჯავრდებულის შიდა კლასიფიკაციის საკნის დატოვებიდან არაუგვიანეს ოთხი კვირისა, პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ის მოსამსახურე, რომელიც მუშაობს იმ საცხოვრებელ კორპუსში/სექტორში, სადაც განთავსებულია მსჯავრდებული, დაკვირვების საფუძველზე ავსებს „მსჯავრდებულის ქცევაზე დაკვირვების კითხვარს“ რომელსაც აწვდის სოციალურ მუშაკს ან შემთხვევის ადმინისტრატორს (ანუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური მუშაკი, რომელიც კოორდინაციას უწევს მსჯავრდებულის შემთხვევის მართვის საქმეს, ეხმარება ბრალდებულს/მსჯავრდებულს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების (წერილობითი კომუნიკაცია, პაემნების ორგანიზება და სხვ.) განხორციელებაში და ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესს).⁴⁸⁵

შემთხვევის მართვის პროცესში, ცალსახად განსაკუთრებული როლი აქვს ფსიქოლოგიურ მომსახურებას, რაც მოიცავს კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქოდიაგნოსტიკურ შეფასებას, ფსიქოლოგიური მომსახურების გეგმის შემუშავებას, განხორციელებასა და ფსიქოლოგიური მომსახურების გეგმის შესრულების მონიტორინგს.

⁴⁸⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი.

⁴⁸⁵ იქვე, მე-3 მუხლი.

ფსიქოლოგიური მომსახურების გეგმას, როგორც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განუყოფელ ნაწილს, პენიტენციური დაწესებულების დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სოციალური მუშაკი.⁴⁸⁶

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის მართვის პროცესში ჩართული მსჯავრდებულისათვის ფსიქოლოგიური მომსახურება მყისიერად ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის ფარგლებში სახეზეა მაღალი რისკი ან/და თვითდაზიანების ან სუიციდის რისკი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ან/და ადიქტური ქცევა.

როგორც თავიდანვე ავლინებთ, რესოციალიზაციის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც გულისხმობს – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გაწერილ მომსახურებათა ერთობლიობას, რომელიც, კრიმინოგენური ფაქტორების გათვალისწინებით, მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შემცირებისკენ.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება პენიტენციური დაწესებულების დირექტორს შეფასების მე-8 კვირას და ხორციელდება არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში. გეგმას როგორც წესი ადგენს მულტიდისციპლინური გუნდი, გარდა - მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დაბალი დონის გამოკვეთისა რომელსაც მართავს შემთხვევის ადმინისტრატორი.

გეგმაში მითითებული ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგად გამოვლენილ რისკებსა და საჭიროებებს და თავისთავად გეგმის შედგენისას პრიორიტეტი ენიჭება იმ მომსახურებას, რომელიც პასუხობს დანაშაულის განმეორებით

⁴⁸⁶ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლი.

ჩადენის ალბათობის შემცირებისა და პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს.⁴⁸⁷

გეგმის შემუშავებისას მულტიდისციპლინური გუნდი განიხილავს წევრების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს ღონისძიებებში ჩართვასთან დაკავშირებით და ადგენს საჭირო მომსახურების ნუსხას.

გეგმის სამუშაო ვერსიას გუნდი იღებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი).

სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას, რომელსაც ხელს აწერენ სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) და მსჯავრდებული, სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) დასამტკიცებლად წარუდგენს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს. იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული არ ეთანხმება სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას, ამის შესახებ აღინიშნება ოქმში და ეცნობება პენიტენციური დაწესებულების დირექტორს, ხოლო თავის მხრივ გუნდის წევრები 3 თვის განმავლობაში მუშაობენ იმ მსჯავრდებულის მოტივაციის ამაღლებაზე, რომელიც უარს ამბობს სასჯელის მოხდის შეთავაზებულ ინდივიდუალურ გეგმაზე ან ამ გეგმით განსაზღვრულ ერთ-ერთ მომსახურებაზე.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განხორციელება ჩერდება, თუ:

ა) მსჯავრდებული გაყვანილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 6 თვემდე ვადით;

ბ) მსჯავრდებული გადაყვანილია საკნის ტიპის საცხოვრებელში, მოთავსებულია სამართლო საკანში ან შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა;

გ) არსებობს ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროება;

დ) არსებობს ექიმის შესაბამისი რეკომენდაცია;

ე) პენიტენციურ დაწესებულებაში შემოდებულია განსაკუთრებული პირობები;

⁴⁸⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, მე-14 მუხლი.

ვ) მსჯავრდებული გადაყვანილია იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არ არის ხელმისაწვდომი შემთხვევის მართვა ან/და ინდივიდუალურ გეგმაში მითითებული მომსახურებების განხორციელება.⁴⁸⁸

ზემოაღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განხორციელება განახლდება.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება გეგმის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში, „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგის“ ფორმის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს (შემთხვევის მმართველს), უფლება აქვს მონიტორინგი ან/და გადაფასება განახორციელოს ვადაზე ადრე.

რისკისა და საჭიროებების გადაფასება ხორციელდება, არსებული ბოლო შეფასების ფორმასა და მიმდინარე სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმაზე დაყრდნობით, არსებული ბოლო შეფასების/გადაფასების თარიღიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში. გადაფასებისას განახლდება არსებული ბოლო შეფასების ფორმაში შეტანილი ინფორმაცია და შედგება სასჯელის მოხდის ახალი ინდივიდუალური გეგმა.

თვალსაჩინო შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ შემთხვევის მართვის სრული ციკლი როგორც წესი, მოიცავს 8-თვიან პერიოდს, რომლიდანაც 6 კვირა ეთმობა შეფასებას, 2 კვირა – დაგეგმვას, 6 თვე – გეგმის განხორციელებას, ხოლო ერთი კვირა – შედეგების შეფასებას. შემთხვევის მართვის ციკლი უწყვეტად გრძელდება მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე.

ცხადია საკმაოდ რთული და სენსიტიური პროცესია, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა სამსახურების აქტიურ მუშაობაზე და იმედს ვიტოვებ, ყველა სამსახური ღირსეულად გაართმევს თავს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს, რათა გეგმაზომიერად მოხდეს მსჯავრდებულების რესოციალიზაცია და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნება.

⁴⁸⁸ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლი.

საბოლოოდ, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, მსჯავრდებულთა დასაქმება, ზოგადი, პროფესიული განათლების მიღება, საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს ეფექტური, ყველა ეს პირობა უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელი სამაგიეროს მიზლვას გაუტოლდება.

4.4. მსჯავრდებულთა მომზადება განთავისუფლებისთვის

მსჯავრდებულის განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის ფარგლებში. განთავისუფლებისთვის მომზადება, რესოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ პროცესის ეფექტურობის განსასაზღვრად მოვიხმობ ერთ-ერთი საინტერესო კვლევის ანგარიშს. კვლევის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესში ხელშემწყობი ფაქტორებია საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები. განთავისუფლებისთვის მომზადების ეტაპი მოიცავს სხვადასხვა პროგრამებს, რომელიც საჭიროებისამებრ მიეწოდებათ მსჯავრდებულებს. ეს პროგრამებია არტ-თერაპია, ბიბლიოთერაპია, კოგნიტური და სოციალური განვითარების პროგრამა, პენიტენციური სტრესის მართვის ტრენინგი, სხვადასხვა პროფესიული პროგრამების შესწავლა. ეს პროგრამები ეხმარება მსჯავრდებულებს ფსიქოლოგიური სტრესის მოხსნაში, რომელიც წინ უძღვის განთავისუფლების პროცესს. კვლევის შედეგადად გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები. მაგალითად ამ სერვისებს ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო ვერ იღებს ყველა მსჯავრდებული. ყველაზე მეტად სრული სარეაბილიტაციო სერვისებით სარგებლობის უფლება მხოლოდ N11, N5 და N16 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებს აქვთ. ამის ძირითადი მიზეზი არის, მსჯავრდებულთა რაოდენობის სიმცირე, ამ დაწესებულებების გამართული ინფრასტრუქტურა და ასევე ის, რომ არასრულწლოვნები, ქალი მსჯავრდებულები და დაბალი რისკის მსჯავრდებულები სახელმწიფოს მხრიდან

პრიორიტეტებად არიან მიჩნეულნი.⁴⁸⁹ სახელმწიფოს ეს მიდგომა კრიტიკას იმსახურებს, სარეაბილიტაციო პროგრამები ერთიანად მნიშვნელოვანია ყველა მსჯავრდებულისთვის. ამ მხრივ საჭიროა შესაბამისმა პასუხისმგებელმა დაწესებულებამ ყველაფერი იღონოს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ადამიანური რესურსების გასაზრდელად.

დეტალურად, რომ მივყვეთ მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან განთავისუფლების პროცესი დაგეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროგრამებში. რომლებიც დაეხმარება მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი გაიარონ უმტკივნეულოდ.⁴⁹⁰ ამისთვის გამოყენებული უნდა იყოს ყველა შესაძლებლობა: „რელიგია, ტრენინგი, სოციალური დაცვა, განათლება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განვითარება“ ამასთანავე გასათვალისწინებელია პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივა მისი განთავისუფლების შემდეგ.⁴⁹¹

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით საჭიროა განთავისუფლების პროცესი წარმატებისთვის ციხის ადმინისტრაციამ ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ეხმარებიან პატიმარს განთავისუფლების შემდეგ სამსახურის მოძიებაში და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაში.⁴⁹² აღნიშნული წესი ხაზს უსვამს ზემოხსენებული ორგანიზაციებისთვის შესაძლებლობის მინიჭებას შევიდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში და გაესაუბრონ მსჯავრდებულებს. ნელსონ მანდელას წესები ასევე ხაზს უსვამს განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების დავალებას, უზრუნველყონ ყოფილი მსჯავრდებული ციხი გარეთ,

⁴⁸⁹https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/bbb2f8ce40093986ca77997b56c77bd8.pdf?fbclid=IwAR0iN-vwHVJ6UIM_EEPCTdjm8F4_Zei3XHkUhYPMDnPpsbqM83TjjqNaMSQ 60-64.

⁴⁹⁰ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით. წესი 107.1

⁴⁹¹ გაეროს მინიმალური სტანდარტები და წესები, პატიმართან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) წესი 92. 1

⁴⁹² მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაა წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით წესი 107.4

შესაბამისი დოკუმენტაციით, საცხოვრებელით, სეზონური ტანსაცმელით და სხვა საჭიროებით.⁴⁹³

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, ვფიქრობ 2011 წლის 27 დეკემბერის საკანონმდებლო ცვლილებები, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი - თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც გულისხმობდა მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით.

რესოციალიზაციის მნიშვნელობის კონტექსტში, ისიც კი საკმარისია აღინიშნოს, რომ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, „არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44¹ და 44² მუხლების საფუძველზე, თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება ხორციელდებოდა დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის ინდივიდუალური გეგმის (პროგრესული გეგმის) მიხედვით, ხოლო თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პირობები გულისხმობდა სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამუშაო და უქმე დღეებისა, რაც იმ პერიოდისათვის ნამდვილად რევოლუციური და თამამი განაცხადი იყო.

2014 წლის 3 ივნისს, სსიპ - არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში, თავისუფლების შეზღუდვის პირველი დაწესებულება ოფიციალურად გაიხსნა ქ. თბილისში (ლიმიტი 100 თავისუფლებაშეზღუდული).

დაწესებულების ძირითად მიზანს მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისთვის მომზადება წარმოადგენდა.

⁴⁹³ გაეროს მინიმალური სტანდარტები და წესები, პატიმართან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) წესი 108.1

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში საწყის ეტაპზე განთავსდნენ მსჯავრდებულები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით შეეცვალათ, ხოლო შედარებით მოგვიანებით კი (იგეგმებოდა 2017 წლის 1 იანვრიდან) ამ დაწესებულებაში უნდა განთავსებულიყვნენ ასევე ის პირები, ვისაც სასჯელის სახით სასამართლო თავისუფლების შეზღუდვას შეუფარდებდა.

განსაკუთრებით სამწუხარო და მიუღებელია, რომ დაგროვილი დადებითი პრაქტიკის მიუხედავად, სულ რამოდენიმე წელში, კერძოდ 2018 წლის პირველი იანვრიდან, კანონმდებელმა გააუქმა თავისუფლების შეზღუდვა სასჯელის სახით და თავისთავად გაუქმდა სასჯელაღსრულების სისტემაში პირველი დაწესებულება დამცავი ღობის, მავთულხლართებისა და გისოსების გარეშე.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობ რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ვინაიდან შემდგომ წლებში მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია რესოციალიზაციის პროცესში ბევრად გაიოლდა თამამი გადაწყვეტილებების მიღება.

ფაქტია, იმ დროისათვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იყო საუკეთესო მაგალითი მსჯავრდებულთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომების დანერგვისა და მსუბუქი შეზღუდვების ფარგლებში, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების შესაძლებლობის.

ფაქტიურად თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საპირწონედ, თუმცა ბევრი განსხვავების გათვალისწინებით, 2017 წლის 1 ივნისს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ნუსხას დაემატა გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. დღეის მდგომარეობით პენიტენციურ სისტემაში მხოლოდ ერთი ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებს ქ. რუსთავში.

„გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, დამცავი ზღუდეებით

გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.“⁴⁹⁴

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში და შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე დადგენილი სარეჟიმო წესებით, ეს დაწესებულება მსჯავრდებულებში მაინც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ასოციაციას იწვევს და მიუხედავად ბევრი შინაარსობრივი მსგავსებისა, მაინც ვერ გავაიგივებთ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებასთან.

პატიმრობის კოდექსის მე-11¹ თავის საფუძველზე, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულები, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული სასჯელის შესაბამისი ვადა. აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მოთავსება.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები თავსდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით და მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.⁴⁹⁵

წერილობით თანხმობაში მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ თანახმაა, შეასრულოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. მისასალმებელია, რომ საწყის ეტაპზევე წინა პლანზე წამოწეულია სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობის მნიშვნელობა, რაც გარანტიაა გათავისუფლების მომზადების

⁴⁹⁴ იხ. პატიმრობის კოდექსის მე-10¹ მუხლის 1-ლი ნაწილი .

⁴⁹⁵ იქვე, 71⁵ -ე მუხლი.

პროცესის ეფექტურობის და მსჯავრდებულის გარემო პირობებში უმტკივნეულო ადაპტაციის.

გადაწყვეტილების მიღებისას სამსახურის დირექტორი ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, გაქცევის რისკს, აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელიც მსჯავრდებულმა შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.

სხვა მსჯავრდებულთაგან განსხვავებით გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ექსკლუზიური უფლება, დატოვოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით:

- ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სამუშაო ან/და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში;
- გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში არაუმეტეს 3 დღე-ღამისა.

ზემოაღნიშნული ჩანაწერი უდაოდ მისასაღმებელი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში, თუკი თავისთავად სისტემატიურია ამ უფლებამოსილების გამოყენება.

საბოლოოდ, როგორც გაეროს მინიმალური საპატიმრო სტანდარტებით და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებით იკვეთება, განთავისუფლების პროცესისთვის მომზადება ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია რესოციალიზაციის პროცესისა, რომელიც საბოლოოდ აჯამებს და კრავს, რესოციალიზაციის მრავალრგოლიან ციკლს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ სასჯელის უპირველესი მიზანი ეფექტურად აღსრულდეს.

თავი V. დამნაშავის რესოციალიზაციის საკითხი სისხლის სამართლის ზემოქმედების სხვადასხვა ზომების დროს

5.1. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება დამნაშავის რესოციალიზაციასთან კავშირში

დანიშნული სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებაა, რომელიც ასევე განსაკუთრებული ინსტრუმენტია დამნაშავის რესოციალიზაციის პროცესში.

ამ უფლების ეფექტური რეალიზაცია, გარდა იმისა რომ დაკავშირებულია მსჯავრდებულის ახალი ცხოვრების დასაწყისთან, ასევე უპირობოდ დაკავშირებულია დანაშაულის პრევენციასთან და პენიტენციური სისტემის გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრასთან.

პირობით გათავისუფლება 1847 წელს ფრანგი ა. ბონევილ დე მარსანჟის მიერ შემოტანილი ინსტიტუტია, რომელიც ნიშნავს პატიმრის გათავისუფლებას, სასჯელის მოხდის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ მისი ქცევა დამაკმაყოფილებელი იყო პატიმრობის პერიოდში. ამ ინსტიტუტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში კარგი ქცევა, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალებების შესრულებაში დახმარებას და ზედამხედველობას.⁴⁹⁶

პირობით ვადამდე გათავისუფლება „მიზნად ისახავს განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებას და აღიარებულია პატიმართათვის დაგეგმვის, დახმარებისა და ზედამხედველობის გზით საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად“.⁴⁹⁷

⁴⁹⁶სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბ., 2007, 412

⁴⁹⁷ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, პრეამბულა

ევროპული სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებს პირობით ვადამდე განთავისუფლების ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე, რაც აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და ხელშემწყობ ფაქტორად მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის.⁴⁹⁸

კვლევები აჩვენებს, რომ სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, პრევენცია და რესოციალიზაცია უფრო მიიღწევა, ვიდრე სასჯელის მოხდისას.⁴⁹⁹

პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი სახე არსებობს: დისკრეციული და სავალდებულო ანუ ავტომატური განთავისუფლების სისტემა. დისკრეციული გათავისუფლების სისტემა გულისხმობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით.⁵⁰⁰

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა, რაც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.⁵⁰¹

საქართველოც, არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, სწორედ ევროპული ქვეყნების ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში უნდა მოხდეს სასჯელის იმ პერიოდის განსაზღვრა, რომელიც მსჯავრდებულმა გათავისუფლების უფლების მოსაპოვებლად უნდა მოიხადოს. სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემაში მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები უნდა არსებობდეს გათავისუფლების გადასავადებლად. ამასთანავე, გათავისუფლების გადავადების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს პირობით ვადამდე

⁴⁹⁸ მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012, 139.

⁴⁹⁹ მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012, 139.

⁵⁰⁰ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პუნქტი 16

⁵⁰¹ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420

გათავისუფლების ახალი თარიღი. ინგლისმა, უელსმა, ფინეთმა, საბერძნეთმა, შვედეთმა და თურქეთმა პირობით ვადამდე გათავისუფლების სავალდებულო ფორმა დანერგეს პრაქტიკაში.⁵⁰²

ევროპის საბჭო უპირობოდ ემხრობა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის დანერგვას წევრ სახელმწიფოებში, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდის თაობაზე, რომლის პრემიულაც მიუთითებს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას დაწესებულების ადმინისტრაციისა და სისხლის სამართლის სისტემისათვის როგორც ადამიანის უფლებების, ისე სასჯელაღსრულების ინსტიტუტების ეფექტური მართვის თვალსაზრისით. ამასთანავე, რეკომენდაცია მიუთითებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და, შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს.“⁵⁰³

რეკომენდაცია ხაზგასმით აყალიბებს მნიშვნელოვან პოსტულატს, რომლის თანახმად „ხელი უნდა შეეწყოს იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს და რომლის დროსაც უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალიზებულ ზომებს, როგორცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მართვისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება).“⁵⁰⁴

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებულია, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისგან, ისე არასაპატიმრო სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები.

⁵⁰² N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420

⁵⁰³ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე, პუნქტი 1

⁵⁰⁴ იქვე, პუნქტი 23.

პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.

თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პირმა ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; ბ) მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.⁵⁰⁵ ასევე სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის ჯიუტად თავის არიდებისთვის, ან გაუფრთხილებელი ან განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის.

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისათვის სხვადასხვა ვადებია განსაზღვრული ევროპის ქვეყნებში, მაგალითად შვედეთში მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ხდება სასჯელის ვადის ორი მესამედის მოხდის შემდეგ, თუ არ არსებობს რიგი წინააღმდეგობრივი გარემოებებისა, ხოლო საფრანგეთში პირობით ვადამდე გათავისუფლება დასაშვებია დანიშნული სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდგომ, ხოლო რეციდივის შემთხვევაში დანიშნული სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისათვის მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლი კიდევ უფრო ლიბერალური და დამთმობია არასრულწლოვანი მსჯავრდებულების პირობით ვადაზე

⁵⁰⁵ იხ. სსკ 72.

ადრე გათავისუფლების მიმართ. არასრულწლოვანი, რომელსაც ფაქტობრივად მოხდილი აქვს დანიშნული სასჯელის არანაკლე 3 თვე, შეიძლება გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისგან, თუ ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.⁵⁰⁶

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანო იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. მაგალითად, ბელგიაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საქმეში, რომელშიც მსჯავრდებულს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი; ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასჯელის აღმასრულებელი სასამართლო, რომელიც სამი წევრისგან - მოსამართლისგან, სოციალური ინტეგრაციის ექსპერტისა და პენიტენციურ საკითხებში ექსპერტისგან შედგება. გერმანიაში ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი სასამართლო.

სკანდინავიურ ქვეყნებში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას რიგ შემთხვევებში იღებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, ხოლო რიგ შემთხვევებში - იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

ინგლისსა და უელსში ფუნქციონირებს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭო, რომელიც ბელგიის მსგავსად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან შედგება.

ამგვარი კომპეტენციით პირველი ინსტანციის სასამართლოები მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია აღჭურვილი (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საბერძნეთი და ლიტვა).

⁵⁰⁶იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

ყველასგან გამორჩეულ სისტემას გვთავაზობს ჰოლანდია, სადაც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პროკურორი.⁵⁰⁷

საქართველომ ბოლო პერიოდში პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა გამოსცადა. 2006 წლამდე მოქმედებდა სისტემა, რომლის მიხედვითაც თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულის საქმეს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე, ტერიტორიული პრინციპით, სასამართლოს წინაშე, დაწესებულების დირექტორი წარადგენდა.

დირექტორის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამორიცხვის, მავნე პრაქტიკის აღმოფხვრისა და კორუპციული რისკების შემცირების მიზნით, 2006 წლიდან ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვა და გადაეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა.

2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედა კომისიამ. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხს განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა – სასამართლო.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა და, გარკვეულწილად, იგი ინგლისსა და შოტლანდიაში მოქმედი სისტემის იდენტურად ჩამოაყალიბა. კერძოდ, შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც დაევალათ მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

⁵⁰⁷ N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 425 (მიქანაძე, არსოშვილი, შალიკაშვილი)

აღნიშნული სისტემის შემოღებით სასამართლოს საბოლოოდ ჩამოერთვა პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია. მართალია, მხარეს დარჩა უფლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გაასაჩივროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მიღებული გადაწყვეტილებისას არ იყო გათვალისწინებული ყველა გარემოება, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საბოლოო ვერდიქტზე, იგი უფლებამოსილია, მხოლოდ ადგილობრივ საბჭოს დაუბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

დღეის მდგომარეობით მსჯავრდებულის (გარდა საშიშროების რისკის მქონე და უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისა⁵⁰⁸) პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დაღნიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების, საფუძველზე ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით ფუნქციონირებს 6 ადგილობრივი საბჭო, მათ შორის არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისა და ქალი მსჯავრდებულების სპეციალიზირებული საბჭო.⁵⁰⁹ გარდა იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების წარმომადგენლებისა, საბჭოს შემადგენლობაში შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი და ასევე ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი წარმომადგენელი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მსჯავრდებულის ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

⁵⁰⁸ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართი, მუხლი 6

⁵⁰⁹ იქვე, მუხლი 6

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 განსაზღვრავს შესაბამისი ხელისუფლების მიერ საჭირო პროცედურების დაწყებას იმისთვის, რათა ხელი შეუწყოს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, როგორც კი პატიმარი მოიხდის მინიმალურ პერიოდს.⁵¹⁰ აღნიშნული სტანდარტი მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებაზე განახორციელოს ყველა ის აქტივობა, რაც უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულფასოვან განხილვას, დაწყებული საქმის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსათვის წარდგენიდან, დასრულებული დადებითი გადაწყვეტილების შეთხვევაში მსჯავრდებულის დაუყოვნებლად გათავისუფლებითა და შესაბამისი საზედამხედველო ორგანოსათვის მსჯავრდებულის საქმის გადაგზავნით. საქართველოში 2013 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობა არ მოდიოდა შესაბამისობაში აღნიშნულ სტანდარტთან, რადგან ადგილობრივი საბჭოს წინაშე პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე საქმის განსახილველად წარდგენა, ძირითადად, თავად მსჯავრდებულის, მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის ტვირთს წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის ივნისში საქართველოს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 2013 წლიდან ეს მანკიერი პრაქტიკა გაუქმდა და დაწესებულების ადმინისტრაციას დაევალა საქმის მომზადება და შესაბამისი ორგანოსთვის განსახილველად დროულად გადაგზავნა.⁵¹¹

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების, საფუძველზე, საბჭოს მიერ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, მსჯავრდებულის თანხმობით, მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

⁵¹⁰ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პუნქტი 17.

⁵¹¹ იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 42.1

საბჭოს მიერ მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა დასაშვებია პირველი განხილვიდან, 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი 2020-2021 წლების სტატისტიკის მიხედვით (კორესპონდენცია N92957/01, 01.04.22წ), 2020 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლდა 830 მსჯავრდებული (მათ შორის 785 კაცი, 39 ქალი და 6 არასრულწლოვანი), ხოლო 2021 წელს 829 მსჯავრდებული (მათ შორის 779 კაცი, 41 ქალი და 9 არასრულწლოვანი).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმი გათვალისწინებულია ასევე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში გვექნება არამარტო მაშინ როდესაც არ არსებობს მექანიზმი, რითაც სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული პერიოდის შემდგომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის გადახედვა, არამედ სასჯელის დანიშვნისას აღნიშნული უფლების, ასევე იმ საფუძვლების განუმარტებლობა, რის საფუძველზეც მსჯავრდებული მოიპოვებს გათავისუფლების უფლებას. აღნიშნული მე-3 მუხლის დარღვევა წარმოიშობა სასჯელის დანიშვნის მომენტიდან თუ მსგავსი დაცვის მექანიზმები სახელმწიფოში არ მოქმედებს.⁵¹²

საქმეში „ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრებამ, რომელიც გამორიცხავს სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, შეიძლება წამოჭრას კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხი.⁵¹³

საქმეში „კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე დადგა უვადო თავისუფლების აღკვეთით

⁵¹² https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf

⁵¹³ ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France), 16 ოქტომბერი 2001 წელი, 27-ე პუნქტი

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი, რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა. თუმცა, სასამართლომ თავი აარიდა საკითხს, განაცხადა რა, რომ საქმის ზოგიერთი ფაქტის ვიწრო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ კაფკარისს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა.⁵¹⁴

კაფკარისის საქმეში რამოდენიმე აშკარა მინიშნებაა იმის თაობაზე, რომ თუ სამომავლოდ სასამართლოს წინაშე დადგება შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხი, იგი აღნიშნულს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნევს. მტკიცებულების ნიშნად შეიძლება მოვიშველიოთ სასამართლოს განცხადება, რომლის თანახმად „მე-3 მუხლის მიზნებისთვის საკმარისია ის გარემოება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა de jure და de facto შემცირებადია“.⁵¹⁵

აღნიშნული პოზიცია კიდევ უფრო გამყარებულ იქნა მოსამართლე ბრატცას განსხვავებულ აზრში, როდესაც მან განაცხადა: „დადგა დრო, როდესაც სასამართლომ ღიად უნდა დაადასტუროს, რომ შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა, თუნდაც სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, პრინციპში ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს“.⁵¹⁶

თუკი სასჯელის ყველა მიზანი მიღწეულია და პატიმრობა მაინც გრძელდება უვადოდ, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთა უსამართლობის დამკვიდრებას ემსახურება.⁵¹⁷

აღსანიშნავია, რომ ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72¹-ე მუხლი, კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შესანიშნავ მაგალითს იძლევა და განსაზღვრავს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას ასევე უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართაც ითვალისწინებს, კერძოდ თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული

⁵¹⁴ D. van Zyl Smit and Sonja Snacken, *Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights*, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 331

⁵¹⁵ კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (*Kafkaris v. Cyprus*), 12 თებერვალი 2008 წელი, 98-ე პუნქტი

⁵¹⁶ იქვე, მოსამართლე ბრატცას განსხვავებული აზრი (შიდა პარაგრაფების გარეშე)

⁵¹⁷ დვალთე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, მერიდიანი, 2013, 60

აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ყველა კატეგორიის მსჯავრდებულს აძლევს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შანსს, რაც თავის მხრივ განსაკუთრებული სტიმულია მსჯავრდებულთა კარგი ყოფაქცევისა და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობის. უპირობოდ მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში მოიქცეს დადებითად, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებასა და კონტროლს, ზედამხედველობას.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სხვადასხვა მოდელი მოქმედებს ევროპულ ქვეყნებში, კერძოდ:

ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით პირობით გათავისუფლებამ სულ ცოტა ის პრევენციის ეფექტი უნდა მოახდინოს მსჯავრდებულზე, როგორც მოახდენდა პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის გაგრძელება.⁵¹⁸ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა შეადგენს - 15 წელს.⁵¹⁹

გერმანიაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის 15 წელი.⁵²⁰

საფრანგეთის კანონმდებლობით უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისათვის, ფაქტობრივად

⁵¹⁸ Padfield N., Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, P. 49

⁵¹⁹ იქვე, 55 გვ.

⁵²⁰ იქვე, 185 გვ.

მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა - 18 წელია, ხოლო რეციდივისტი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 22 წელი.⁵²¹

საბერძნეთი სამუდამო პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციულ უფლებას ითვალისწინებს თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 16 წელი, ხოლო თუ არ გაათავისუფლა შესაბამისმა ორგანომ, სავალდებულო გათავისუფლების სისტემა ამოქმედდება მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის 20 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ.⁵²²

ბელგია უვადოების შემთხვევაში მხოლოდ დისკრეციულ გათავისუფლების სისტემას იყენებს, განსხვავებით ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებას, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 10 წელი, მაგრამ რეციდივისტი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 16 წელი.⁵²³

მსჯავრდებულთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეს თუ როდის მოხდება მისი გათავისუფლება, აღნიშნული მათი პერსპექტივიდან გამომდინარე, იოლად გასაგებია, რადგან განთავისუფლება, თუნდაც პირობითი, თავისუფლების დაბრუნებას ნიშნავს, რაც ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს.⁵²⁴

რესოციალიზაციისთვის მხოლოდ პიროვნების სურვილი და მზაობა არ არის საკმარისი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მნიშვნელოვანია გატარდეს საზოგადოებაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელდეს განთავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობითა და ნაწილობრივ ან პირობით ვადამდე განთავისუფლებით.⁵²⁵

⁵²¹ იხ. Code of criminal procedure of France, Art. 729

⁵²² Padfield N., Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p. 225

⁵²³ იქვე, 73-74 გვ.

⁵²⁴ მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012, 138-139.

⁵²⁵ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, 107- წესი

პირობით ვადამდე განთავისუფლებისთვის მზადება ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს, იგი უნდა იძლეოდეს პატიმრებისთვის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებთან ურთიერთობების შენარჩუნების, განახლების შესაძლებლობას. ასევე მათ აქვთ უფლება კავშირი დაამყარონ იმ სამსახურებთან, ორგანიზაციებთან და მოხალისეთა ასოციაციებთან, რომელთაც შეუძლიათ ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებს დაეხმარონ საზოგადოებაში ცხოვრებასთან ადაპტაციაში.⁵²⁶

საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა დახასიათება. „სწორედ ეს დოკუმენტი უნდა იძლეოდეს იმის შეფასების საშუალებას, თუ როგორია მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, როგორია მისი ურთიერთობები გარშემომყოფებთან და რა არის მისი ძირითადი პიროვნული მახასიათებლები, ასევე, მიაღწია თუ არა სასჯელმა თავის ერთ-ერთ მიზანს, ანუ მოხდა თუ არა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“.⁵²⁷

პირობით ვადამდე განთავისუფლების ეფექტური სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე პირდაპირ მიუთითებს ევროპული სტანდარტები, იგი აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის ხელშემწყობ ფაქტორად.⁵²⁸

„სასჯელის მოხდისგან განთავისუფლება, სასჯელის შეცვლა, სასჯელის შემცირება, ან სასჯელის მოხდის გადავადება ემსახურება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანს, ხოლო თავისი არსით სისხლის სამართალში მოქმედი ჰუმანიზმის პრინციპსა და სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობას უკავშირდება.“⁵²⁹

⁵²⁶ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, .4.

⁵²⁷ იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, თბ., 2004,13.

⁵²⁸ მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება-ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიატა, კრებული, რედ. კ.კორკელია თბ.; 2012, 139

⁵²⁹ დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.172

ვადამდე გათავისუფლება პოპულარული მეთოდია, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელია გათავისუფლებულ პირთა ქცევის რეგულირება. ამ პირთა მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი საკმაოდ მაღალია. მეთოდის ძირითად შემადგენელ ნაწილს მკაცრი ზედამხედველობა წარმოადგენს. ოთხი ყველაზე ხშირი პრობლემა, რომლის გარშემოც ყოფილ პატიმრებს სჭირდებათ რჩევა არის: შესაფერისი საცხოვრებელი პირობები; შემოსავლის წყარო; პრობლემები ოჯახურ ურთიერთობებში და ყოფილ კრიმინალ მეგობრებთან კონტაქტის თავიდან აცილება.

მნიშვნელოვანია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებული ყველა მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების მომენტიდან სარგებლობდეს სათანადო მხარდაჭერით, რაც უზრუნველყოფს მათ ყოფაქცევასა და მიდგომებში განხორციელებული ცვლილებების მდგრადობას.⁵³⁰

ვადაზე ადრე გათავისუფლებული მსჯავრდებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა საჭირო პირობებით, უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან მისი მონიტორინგი, კონტროლი, რათა განხორციელდეს სხვა დანაშაულის თავიდან აცილება და რაც ყველაზე მთავარია, მისი რესოციალიზაცია.⁵³¹

პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების რისკებისა და ინდივიდუალური სასჯელის გეგმის განხორციელების პერიოდული შეფასება რესოციალიზაციის პროცესის უშუალო და ძირითადი კომპონენტია. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა მიერ დადგენილი პირობების დარღვევის ალბათობა მაღალი იქნება, რაც ავტომატურად გაზრდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შებრუნებულ მსჯავრდებულთა რიცხვს და უარყოფითად აისახება როგორც უშუალოდ მსჯავრდებულზე, ასევე სისტემის გადატვირთულობის განმუხტვის პოლიტიკაზე.

⁵³⁰იხ. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბ., 2015, 224; ციტირებულია: B. Weaver, C. Tata, M. Munro, M. Barry, The Failure of Recall to Prison: Early Release, Front-Door and Back-Door Sentencing and the Revolving Prison Door in Scotland, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012, 85-98, [www.ejprob.ro]; არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, 224.

⁵³¹მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელია, თბ. 2012, 139.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და კონსტრუქციული ზომა, რომელიც არა მარტო ამცირებს პატიმრობის ვადას, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში დამნაშავის დაგეგმილ დაბრუნებაში.⁵³²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავეთანხმები იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს გ. ნაჭყებიას მოსაზრებას, რომ ხანგრძლივმა პატიმრობამ შეიძლება გამოიწვიოს პოზიტიური პასუხისმგებლობის დაჩლუნგება და არა გამოღვიძება.⁵³³

შესაბამისად სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლების ქმედითი მექანიზმი, რაც განსაზღვრულია როგორც ეროვნული, ასევე ევროპული კანონმდებლობით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში, რაც აისახება როგორც მის დადებით ქცევაზე, ასევე მსოფლმხედველობაზე და საზოგადოებაში შემდგომ ინტეგრაციაზე.

5.2. შეწყალებისა და ამნისტიის როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის

სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმების მსგავსად, რესოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამნისტიასა და შეწყალებას.

ამნისტია და შეწყალება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატულ გულმოწყალებისა და ჰუმანურობის აქტებს, რომლებსაც, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარების გარდა, წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, ვინაიდან ორივე ღონისძევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების

⁵³² იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #R(99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პუნქტი 24

⁵³³ ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, #2(37), თბ. 2013,113

საფუძელია. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ ერთხელ მიეცეს შანსი ადამიანს თავად გაიაზროს და მოინანიოს წარსულის შეცდომები, საკუთარი ძალისხმევითა და მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება, პიროვნული ღირსებები და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.⁵³⁴

საქართველოს კანონმდებლობა, სხვა ქვეყნების მსგავსად, იცნობს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების სხვადასხვა სისტემებს. სასჯელის გათავისუფლების სისტემა შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: სავალდებულო და ფაკულტატური.⁵³⁵

სავალდებულო სისტემას მიეკუთვნება ამნისტია. „ამნისტია“ ბერძნული სიტყვაა და „პატიებას“⁵³⁶ ნიშნავს, რა დროსაც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისათვის მხოლოდ ფორმალური საფუძვლის არსებობაა საკმარისი, რა დროსაც პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის გამოცემის შემთხვევაში მოსამართლის მიერ ხდება მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმის შეფასება - ეხება თუ არა მიღებული ამნისტიის კანონი კონკრეტულ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური საფუძვლის არსებობისას მოსამართლის „ვალდებულება“ სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლება. რაც შეეხება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ფაკულტატურ სისტემას, ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შეწყალების სამართლებრივი ინსტიტუტები, რა დროსაც საჭიროა შეფასდეს არა მარტო ფორმალური საფუძველი (მსჯავრდებულის მიერ სასჯელის ფაქტობრივად მოხდის ვადა), არამედ კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმი (მატერიალური საფუძველი).

საკანონმდებლო კუთხით, ამნისტია და შეწყალება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ 77-ე მუხლის თანახმად, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი

⁵³⁴ ნანობაშვილი ზ., ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, აღმანახი, N13, 2000.

⁵³⁵ გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბ., 2001, 91.

⁵³⁶ იქვე, 106 გვ.

პასუხისმგებლობისგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდის ამინისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლეობა.⁵³⁷ იგი ეხება სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ პროცესულურ სტადიას, ასევე საქმეთა განუსაზღვრელ ოდენობას.

„ამინისტიას აქვს საერთო სამართლებრივი ხასიათი, როგორც სამართლებრივი ორგანოებისთვის, ასევე თვით ამინისტირებულთა მიმართ. ერთადერთი გამონაკლისი არის ის შემთხვევა, როდესაც პირი თავს დამნაშავედ არ სცნობს და მოითხოვს მისი საქმის სასამართლოს მიერ გადასინჯვას.⁵³⁸ მაშასადამე, პირი უნდა აცნობიერებდეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და აღიარებდეს მას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია რესოციალიზაციისთვის.

ამინისტიის გამოყენების, მოქმედების პირობებსა და გარანტიებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ამინისტიის შესახებ“.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, 1995 წლიდან 2022 წლამდე, ამინისტიის კანონი თვრამეტჯერ იქნა მიღებული, ხოლო ყველაზე ფართომასშტაბიანი ამინისტია საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონით გამოაცხადა, რომლის საფუძველზეც ამინისტია შეეხო 17 718 ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.⁵³⁹

ეს კი იყო გამოძახილი 2006 წლის 14 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კრიმინალის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპით ბრძოლისა, რასაც მოყვა ციხეების გადავსება, მსჯავრდებულთა პირობების გაუარესება და სხვა პრობლემები.⁵⁴⁰

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის საფუძველზე, შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის ექსკლუზიური კონსტიტუციური უფლებამოსილებაა, რომელიც გამოიყენება საგამონაკლისო წესით. შეწყალების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მსჯავრდებულს კიდევ ერთხელ მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფოს მეთაურის

⁵³⁷ იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77

⁵³⁸ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018, 633.

⁵³⁹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბ., 2014, 270.

⁵⁴⁰ შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ. 2013. 24-25

მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.⁵⁴¹

სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირთა წრის მიმართ.

შეწყალების პროცესის ინიცირებისათვის საჭიროა მსჯავრდებულის მიერ შეწყალების მოთხოვნა, ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა ჩადენილი დანაშაულის აღიარება და მონანიება.

შეწყალების წესთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები გაწერილია საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N566 ბრძანებულებაში „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“. წინა წლების პრაქტიკისაგან განსხვავებით, როდესაც მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხებს შეწყალების კომისია განიხილავდა, ზემოაღნიშნული ბრძანებულების მიხედვით საქართველოს პრეზიდენტისათვის მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს განსახილველად ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდეობის, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა სასამსახური უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს განსახილველად წარუდგინოს იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით, ასევე, რომელიც სასჯელს იხდის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით და სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობით მსჯავრად.

სამსახური უზრუნველყოფს, რომ შესული განცხადებები სწორად და საფუძვლიანად იქნეს განხილული და ნამდვილად გამოსწორების გზაზე დამდგარი, არამალადობრივი მიდრეკილების მქონე მსჯავრდებულების მიმართ მოხდეს შეწყალების უფლების გამოყენება.

სამსახური საქართველოს პრეზიდენტს განსახილველად წარუდგენს შეწყალების საქმეს ორ შემთხვევაში, კერძოდ:

⁵⁴¹ ავალიანი თ., ჩიტბე გ., შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ. 2016, 14.

ა) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს პრეზიდენტს არ წარედგინება იმ მსჯავრდებულის შეწყალების საქმე, რომელსაც არ გასვლია განონმდებლობით დადგენილი ვადა შეწყალების უფლების მოსაპოვებლად და ასევე იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული არ ითხოვს შეწყალებას.

სამსახურის მიერ საქართველოს პრეზიდენტისათვის განსახილველად წარდგენილი შეწყალების საქმეების საფუძველზე მსჯავრდებულის შეწყალებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება;

ბ) შეფარდებული სასჯელის შემცირება ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა;

გ) სასჯელმოხდილი პირისათვის ნასამართლობის მოხსნა.

შეწყალების საქმე საქართველოს პრეზიდენტს ხელახლა წარედგინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა შეწყალების ახალი თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

შეწყალების თაობაზე პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულება დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის სამსახურებს აღსასრულებლად.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი სტატისტიკის თანახმად (კორესპონდენცია N4064, 01.06.2022წ) 2016-2021 წლებში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეწყალებულია სულ 2516 პირი, მათგან 2345 მამაკაცი და 171 ქალი მსჯავრდებული. ამავე წლებში შეწყალებულთა შორის იყო მხოლოდ 25 არასრულწლოვანი და აღსანიშნავია, რომ 2020 - 2021 წლებში არცერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ შეწყალებულა.

აღსანიშნავია, რომ ამნისტიისგან განსხვავებით, შეწყალება მხოლოდ მსჯავრდებული პირის მიმართ ხორციელდება.

აღნიშნულ ინსტიტუტთა ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი მიზნების სწორი სამართლებრივი რეგლამენტაციას, პრაქტიკის დანერგვასა და მსჯავრდებულისთვის სათანადოდ მიწოდებაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არცერთი სამართლებრივი აქტი არ შეიცავს ინფორმაციას მათი მიზნების შესახებ, რაც ერთის მხრივ მსჯავრდებულებში იწვევს ცრუ მოლოდინებს და მეორე მხრივ, ბუნდოვანს ხდის მათ გამოყენებას.⁵⁴² მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემის მიზნები კონკრეტიზებულია, კერძოდ, ორიენტირებულია ოთხ მიზანზე. ესენია: სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინება და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილება; მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება; იმ პირის შეწყალება, რომელიც დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაზრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანსს ან მისი შეწყალება ნაკარნახევა კუმანიტარული მიზეზით; ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.⁵⁴³ აშშ-ს მსგავსად, ქართულ რეალობაში მიზნების სამართლებრივი რეგლამენტირება ამ ინსტიტუტთა გამოყენებას უფრო ეფექტურს გახდის.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ამნისტია და შეწყალება წახალისების ეფექტური ფორმებია, რომელთა დანიშნულებაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, საზოგადოებაში დროული ინტეგრაცია, პენიტენციური სისტემის გადატვირთულობის აღკვეთა და საბიუჯეტო რესურსების დაზოგვაა (ერთ თავისუფლებააღკვეთილ პირზე საშუალოდ წელიწადში იხარჯება 12 045 ლარი). მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ, ადამიანს მიეცეს დამატებითი შანსი ჩადენილის გააზრებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომისა.

⁵⁴² იხ. შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, კვლევა, თბ. 2016, 13.

⁵⁴³ იქვე, 13 გვ.

თავი VI. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი და მისი ურთიერთმიმართება დამნაშავეის რესოციალიზაციასთან

6.1. სამართლიანობის არსი

„სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება“ – ამ სიტყვებით იწყება რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული – Corpus Juris Civilis. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად უნდა იყოს გადაწყვეტილი.⁵⁴⁴

ბუნებითი სამართლის მიმდევარ *თომას აქვინელს* ეკუთვნის მტკიცება, რომ უსამართლო სამართალი არ არის სამართალი – *lex iniusta non est lex*.⁵⁴⁵ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი *დემოსთენე* მიიჩნევდა, რომ კანონებს უნდა დამორჩილებოდნენ იმიტომ, რომ ისინი გამომდინარეობდა მარადიული მორალური კოდექსიდან.⁵⁴⁶

მეცნიერებას მუდამ აინტერესებდა სამართლიანობის პრობლემა. „იურისპრუდენცია არის მეცნიერება სამართლიანისა და უსამართლოს შესახებ – აღნიშნავდა *ულპიანე*. სამართალი დასაბამს იღებს სამართლიანობისაგან, როგორც დედისაგან; მაშასადამე, სამართალს წინ უძღვის სამართლიანობა (დიგესტები). სამართლიანობა არის (პოზიტიური) სამართლის ღირებულებითი მასშტაბი.“⁵⁴⁷ სამართლიანობასთან დაკავშირებით ფილოსოფოსები სამ ძირითად ასპექტზე საუბრობენ:

- 1) სამართლიანობა ნიშნავს თანასწორობას და ზნეობრიობას;
- 2) სამართლიანობა არის ორმხრივობა, რომელიც დაკავშირებულია აკრძალვასთან – არავინ უნდა დააზიანო, ამრიგად: „ყველას კეთილდღეობა და არავის ტკივილი“;

⁵⁴⁴ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თოთლამე ლ. (მთარგ.), ტურავა მ. (რედ.), მე-10 გამოც., თბ., 2016, 11.

⁵⁴⁵ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია (ძალიან მოკლე შესავალი), ბაბუხაძია მ. (მთარგ.), ქურდოვანიძე ქ. (რედ.), 2012, 5.

⁵⁴⁶ Roscoe P., An Introduction to the Philosophy of Law: Revised ed., Chelsea, Michigan, 1982, 7.

⁵⁴⁷ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 83.

3) სამართლიანობა ასევე მოითხოვს სოციალურ სამართლიანობას.⁵⁴⁸

რთულია სამართლიანობის პოზიტიური ცნების ჩამოყალიბება, მისი კონცეპტუალიზაცია. უფრო მარტივია, იმის განსაზღვრა თუ რა არის უსამართლობა.⁵⁴⁹

ზოგადად სამართლიანობა არის შეფასებითი კატეგორია და იმავდროულად დაკავშირებულია სამართლებრივ სახელმწიფოსთან. „ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.“⁵⁵⁰

კვლევის მთავარი საგანიც ხომ ის გახლავთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი სამართლიანი გადაწყვეტილებით დამნაშავეს რესოციალიზაცია.

პროფესორ *ოთარ გამყრელიძის* მოსაზრებით, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი თვისებაა არა კანონის უზენაესობა, არამედ სამართლის, ე.ი. სამართლიანი კანონის უზენაესობა.⁵⁵¹

„დანაშაული იწვევს არამართო მატერიალურ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება სამართლიანობის აღდგენა, როგორც მატერიალური, ისე მორალურ-პოლიტიკური ასპექტით.“⁵⁵²

სამართლიანობა იმავდროულად ეთიკიდანაც მომდინარეობს. სამართლიანობას, როგორც ეთიკურ კატეგორიას ახასიათებს განსაზღვრული თანაფარდობა ადამიანთა შორის სიკეთისა და განაწილების თვალსაზრისით, ახასიათებს თანაფარდობა ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, მის ქმედებასა და სამაგიეროს მიზღვას შორის. ეს

⁵⁴⁸ Monterbruck A., Strafrechtsphilosophie (1195-2010), Vergeltung, Strafzeit, Südenbock, Menschenrechtsstrafe, Naturrecht, 2, Erweiterte Auflage, 2010, Freie Universität Berlin, 5, იხ. ციტირება: ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 55.

⁵⁴⁹ Materni M., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, British Journal of American Legal Studies, Vol. 2, Issue 1, 2013, 283.

⁵⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 3/1 /531 გადაწყვეტილება საქმეზე: ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი. ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=536>> [30.01.2021].

⁵⁵¹ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013, 52.

⁵⁵² მალანია თ., სასჯელის მიზნები, „სისხლის სამართლის ჟურნალი“, № 2, თბ., 2019, 86.

უკანასკნელი (სამაგიეროს მიზღვა) პროფესორ გიორგი ტყემელიაძის შეფასებით, კერძო შემთხვევაა დანაშაულსა და სასჯელს შორის თანაფარდობისა. ადამიანს, რომელიც საკუთარი მიზნებისთვის ზიანს აყენებს სხვას, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ასეთი საქციელი დაუსჯელი არ დარჩება.⁵⁵³

სამართლიანობის არსზე საუბრისას ყოველთვის ჩნდება მოსაზრება, იმის შესახებ არის თუ არა სამაგიეროს მიზღვა სამართლიანობის ნაწილი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში არსებობდა შემდეგი ჩანაწერი: „სასჯელი, როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი მიზნად ისახავს...“ შესაბამისად, აღიშნული კოდექსი სასჯელის მიზნად დასჯას – სამაგიეროს მიზღვასაც მოიაზრებდა. მეცნიერ დუიუნოვის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსით სამართლიანობის აღდგენის მიზნის აღიარება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვის ოფიციალურად გამოცხადებას. ამასთან აღნიშნული მეცნიერი გამოდის წინადადებით, რომ ტერმინი „სამართლიანობის აღდგენა“ შეიცვალოს ტერმინით – „მოქალაქეთა სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილება.“⁵⁵⁴

ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს თანამედროვე მიდგომები. კერძოდ, „საზოგადოების წევრები, მეცნიერები და პრაქტიკოსები აღიარებენ რეაბილიტაციის მნიშვნელობას დასჯასთან შედარებით, ისევე, როგორც აღიარებენ პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობას. მიზნები უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ აფასებდეს სამართლიანობისა და პროპორციულობის მთავარ პრინციპს.“⁵⁵⁵

სწორედ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებით ხდება შესაძლებელი დამნაშავის რესოციალიზაცია. აქ იკვეთება სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება.

⁵⁵³ ტყემელიაძე გ., სასჯელის ცნება და მიზნები, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 354.

⁵⁵⁴ Дуюнов В. К., Механизм Уголовно-правового Воздействия Теоретические Основы и Практика Реализации, Москва, 2001, 162.

⁵⁵⁵ Principles and Purposes of Sentencing, Scottish Sentencing Council, 2017, 16, <<https://www.advocates.org.uk/media/2601/principles-and-purposes-ofsentencing-consultation.pdf>> [04.02.2021].

სამართლიანობის არსისა და მნიშვნელობის კვლევა საინტერესოა სწორედ იმ კუთხით, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება ყოველმხრივ უნდა ემსახურებოდეს დამნაშავეს რესოციალიზაციას.

6.2. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსსკ) 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

სასჯელის მიზნების იერარქიაში პირველი ადგილი სამართლიანობის აღდგენის მიზანს უკავია. სამართლიანი სასჯელის შეფარდება ხომ სამართლიანობის აღდგენის საფუძველია.

კანონმდებელმა სამართლიანობის აღდგენას სხვა მიზნებთან მიმართებით საწყისი ადგილი მიუჩინა. სამართლიანი სასჯელის დანიშვნით შესაძლებელი უნდა გახდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამასთან, სასჯელის მიზანი უნდა განხორციელდეს მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით (სსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი).⁵⁵⁶

ამერიკული დოქტრინის მიხედვით, რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ზოგჯერ მათი გამიჯვნა და ცალკე ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია.⁵⁵⁷ სწორედ ამით ვლინდება სამართლიანობის აღდგენის, როგორც სასჯელის მიზნის, აქტიური როლი. მისი სათანადო განხორციელება ხომ სხვა მიზნების ეფექტიან განხორციელებასაც უწყობს ხელს.

⁵⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სამი მიზანი, რომლებიც იდეალურ შემთხვევაში ერთობლივად უნდა იქნეს მიღწეული, მოცემული სტატიის ფარგლებში წარმოჩენილი იქნება სასჯელის ორი მიზანი (სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაცია) და მათი ურთიერთკავშირი.

⁵⁵⁷ Никифоров Б. С., Решетников Ф. М., Современное Американское Уголовное Право, Москва, 1990, 47.

სამართლიანობის აღდგენა არა მარტო სასჯელის მიზანია, არამედ იგი პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაცვას ემსახურება.

„სისხლის სამართალში სამართლიანობის აღდგენა თანაბარ პირობებში დაბრუნებასაც, მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასაც ნიშნავს. ამას ისიც ადასტურებს, თუ სამართლიანი სასჯელი მართლწესრიგის აღდგენას ემსახურება.. უსამართლო სასჯელი მართლწესრიგს არღვევს.“⁵⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანიც ხომ დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვაა.

სამართლიანობის აღდგენის, როგორც სასჯელის მიზნის, მთავარი არსი იმით ვლინდება, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი.

პროფესორ *მზია ლეკვეიშვილის* მოსაზრებით, „სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.“⁵⁵⁹

სამართლიანობის აღდგენა ყველაზე მკაფიოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას ვლინდება. სამართლიანად შერჩეულმა სასჯელმა საბოლოოდ დამნაშავის რესოციალიზაციას უნდა შეუწყოს ხელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსსკ) 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს სსკ-ის 53-ე მუხლით.

სასჯელის დანიშვნისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის ოჯახური მდგომარეობა, მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება,

⁵⁵⁸ დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 28.

⁵⁵⁹ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (43), თბ., 2014, 18.

პირადი ურთიერთობები, მისი შემოსავალი და ა.შ. ბუნებრივია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნების მახასიათებლები ინდივიდუალურია.

სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას, პიროვნულ მახასიათებლებთან ერთად, მოსამართლემ პირის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა შეაფასოს.

მან ყურადღება უნდა გაამახვილოს მის მიერ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახეზე, ხერხზე, იმავდროულად დამდგარ შედეგზე. ეს ყოველივე მოსამართლემ სამართლიანად უნდა შეაჯეროს და დაასაბუთოს.

„სასჯელის დაწესებით სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ქმედებისათვის მის მიერ გამოწვევადი საფრთხეების, სიმძიმის გათვალისწინებით, ადეკვატური, შესაბამისი, თანაზომიერი სასჯელის დაკისრებას.“⁵⁶⁰ ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორ იმოქმედებს სამართლიანი გადაწყვეტილება შემდგომში დამნაშავეს რესოციალიზაციაზე. იმისთვის, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება მოხდეს, საჭიროა მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში მათი ჩართვით.

სამართლიანობის აღდგენის მიზანი – სამართლიანი სასჯელის სახისა და ზომის შერჩევასთან არის დაკავშირებული.

იმისთვის, რომ დარღვეული სამართლიანობა აღდგეს, მოსამართლე დამნაშავეს გარკვეული სახის სასჯელს უფარდებს, მაგრამ სამართლიანი სასჯელის დანიშვნა არ უნდა იყოს დაკავშირებული ტკივილის მიყენებასთან, სამაგიეროს მიზღვასთან. სასჯელის მიზანი ხომ არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება (სსკ-ის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

„ერთ–ერთი მთავარი წესი იქნება შემდეგი: ნუ მიაყენებ ტკივილს, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი წესი იქნება: მიაყენე რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი. ეძიეთ სასჯელის ალტერნატივები და არა მხოლოდ ალტერნატიული სასჯელები.“⁵⁶¹

⁵⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts/?legal=1043>> [23.01.2021].

⁵⁶¹ კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.) სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, თბ., 2017, 20.

ამდენად, სასჯელის სამართლიანობაში ნაგულისხმევ უნდა იქნეს სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა, საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა და ისეთი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დამნაშავის რესოციალიზაცია.

6.3. სისხლის სამართლის პოლიტიკის როლი სამართლიანი სასჯელის განსაზღვრისათვის

პოლიტიკისა და სამართლის, მათ შორის, სახელმწიფო პოლიტიკისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირისა და თანაფარდობის პრობლემები მეცნიერული კვლევის საგანს ოდითგანვე წარმოადგენდა.⁵⁶²

სისხლის სამართლის პოლიტიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სისხლის სამართლის პრინციპები, კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის საკითხები, სასჯელის სახეები, სასჯელის მიზნები, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებანი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

სისხლის სამართლის პოლიტიკა სისხლის სამართლის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, მაგრამ რამდენადაც კვლევის საგანი, სამართლიანობის აღდგენა და მისი დამნაშავის რესოციალიზაციასთან ურთიერთმიმართებაა, სისხლის სამართლის პოლიტიკა მხოლოდ სასჯელის ამ მიზნებთან კავშირში იქნება განხილული.

თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა ჰუმანური ხასიათისაა. ეს ვლინდება სსსკ-ით გათვალისწინებულ სასჯელის სახეებსა და სასჯელის მიზნებშიც. სასჯელის ჰუმანურობის მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს *ჩეზარე ბეკარია*ც, რომლის თვალსაზრისით, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისთვის მნიშვნელოვანია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობა.⁵⁶³

⁵⁶² ივანიძე მ., სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008, 55.

⁵⁶³ ბეკარია ჩ., დანაშაულისა და სასჯელისათვის, ხუცურაული ი. (მთარგ.), ლექსავა ე. (რედ.), თბ., 2003, 33.

სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია სისხლის სამართლის პრინციპები. სამართლიანი სასჯელის განსაზღვრისათვის ამოსავალი გახლავთ სამართლიანობის პრინციპი.

იგი ფართო ხასიათისაა და „არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის სამართლიანობით შემოიფარგლოს. სისხლის სამართლის კოდექსი ხომ ზემოქმედების სხვა ზომებსაც ითვალისწინებს. ეს გახლავთ მაგალითად, პირობითი სასჯელი, რომლის გამოყენება სამართლიანობის მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები.“⁵⁶⁴ სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ამნისტიისა და შეწყალების ინსტიტუტი.

სსსკ-ის მე-40 მუხლი სხვა სასჯელებთან ერთად ალტერნატიული სასჯელის სახეებსაც მოიცავს (საზოგადოებისათვის სასრგებლო შრომა, ჯარიმა, შინაპატიმრობა). საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ბოლო პერიოდში სასჯელთა ალტერნატიული სახეები ხშირად გამოიყენება და მათი სწორად შერჩევა სამართლიანობის აღდგენის მიზანს ემსახურება. სისხლის სამართლის პოლიტიკა მნიშვნელოვანია დამნაშავეს რესოციალიზაციის კუთხითაც. ამ მხრივ, სისხლის სამართლის პოლიტიკა სხვადასხვა რეაბილიტაციის პროგრამის გატარებასაც მოიაზრებს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *მური ნიდერლანდების წინააღმდეგ* განაცხადა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა უზრუნველყოს მსჯავრდებულის რეაბილიტაცია.⁵⁶⁵ მართალია, რეაბილიტაცია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად გამოცხადდა, მაგრამ რეაბილიტაციის შინაარსი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განსხვავდება და სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში (Margin of appreciation) შეუძლია განსაზღვროს მისი შინაარსი.

ამასთან, ევროპის ქვეყნების ნაწილი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას მიიჩნევს სასჯელის მიზნად. მაგ., ესპანეთის კონსტიტუციის (25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) თანახმად, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელები ორიენტირებული უნდა იყოს

⁵⁶⁴ ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-4 გამოც., თბ., 2015, 52.

⁵⁶⁵ Murray v. The Netherlands [26.04.2016], ECHR, no.10511/10, §104.

მსჯავრდებულის თავიდან განსწავლაზე (re-education) და სოციალურ რეაბილიტაციაზე. იტალიის კონსტიტუციის თანახმად, სასჯელის მიზანია, გარდაქმნას პირი სასჯელის ვადის დასრულებამდე (იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლი).⁵⁶⁶

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, 1973 წლის გადაწყვეტილებაში რესოციალიზაცია გამოაცხადა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების განუყოფელ ნაწილად. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, რესოციალიზაცია ემყარება ორი საფუძველს: 1. ღირსების უფლებას 2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. პირის საზოგადოებაში რეინტეგრაცია სწორედ ის მიზანია, რასაც სახელმწიფო სასჯელის დანიშვნისას უნდა ისახავდეს.⁵⁶⁷

საინტერესოა, სასჯელის მიზნების საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებიდან (2015 წლის 12 ივნისი) არცთუ დიდი დრო არის გასული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, ჩვენმა სახელმწიფომ ფაქტობრივად დააფიქსირა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ლიბერალიზაციის პოლიტიკის სავალდებულობა.

სსსკ-ის 39-ე მუხლისგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (65-ე მუხლი) არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენას არ ითვალისწინებს. მასში სასჯელის მიზნების იერარქიაც (რიგითობა) განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნად პირველ რიგში არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არის გათვალისწინებული.

აღნიშნული საკითხი სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას უმთავრეს მიზანს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია წარმოდგენს. რესოციალიზაციის პროცესი არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშნიდან იწყება და მისი მეშვეობით ახალი დანაშაულის თავიდან

⁵⁶⁶ Meijer S., Rehabilitation as a Positive Obligation, European Journal of Crime, Criminal Law and Justice, Vol. 25, Issue 2, 2017, 152.

⁵⁶⁷ BVerfGE, 35. Band, 1973, Rn. 85, <[BVerfG, Urteil vom 05.06.1973 - 1 BvR 536/72 - openJur](#)> [04.02.2021].

აცილება ხდება შესაძლებელი. არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე პირველ რიგში მის საუკეთესო ინტერესსა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ითვალისწინებს. მართებულად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სამართლიანობა არის შეფასებითი ცნება.⁵⁶⁸ მართალია, სამართლიანობის აღდგენის მიზანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ბავშვთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიაში, არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით იღებს გადაწყვეტილებას და არასრულწლოვანს ჩადენილი ქმედების თანაზომიერ სასჯელს უფარდებს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ითვალისწინებს არასრულწლოვნის პიროვნებას, მის ასაკს, ჯანმრთელობას, განათლებას და კეთილდღეობას, ყველა იმ გარემოებას, რაც სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის არის საჭირო.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს: არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზღვრულ ასაკს; გარანტიებს სამართლიანი სასამართლოსთვის.“⁵⁶⁹

სამიუბელი საკითხის ამოსავალი სწორედ სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკაა. პოლიტიკა, რომელმაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი პირველ ადგილას დააყენა. მართალია, არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა არ არის, მაგრამ მისი ჭეშმარიტი ინტერესი უფრო ფართოა და საკითხთა განუსაზღვრელ წრეს მოიცავს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენის მნიშვნელოვანზე საუბრისას პროფსორ მზია ლეკვეიშვილის მოსაზრებით „ნათლად იკვეთება, რომ არ არსებობს არავითარი

⁵⁶⁸ ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოც., თბ., 2015, 87.

⁵⁶⁹ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 10 „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების შესახებ“, 2007, პუნქტი 16.

სამართლებრივი დასაბუთება, რომ ეს მიზანი არ იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანისთვის სასჯელის შეფარდებისას.⁵⁷⁰

მაშასადამე, სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით, მოცემულ ქვეთავში განხილული იქნა სამართლიანობის აღდგენის, დამნაშავეს რესოციალიზაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხი.

6.4. სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი

სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, მაშინ განხორციელდება, როდესაც დამნაშავესათვის შეფარდებული სასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული იქნება. იმისთვის, რომ სასჯელის მიზანი განხორციელდეს და სასჯელის პროპორციულობა იყოს დაცული, მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეს ბრალეულობის ხარისხი, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, პირის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ (აღიარებს, ინანიებს, განიცდის). აგრეთვე, ის გარემოება თუ რა ხერხით განხორციელდა კონკრეტული დანაშაული და რა შედეგი მოჰყვა მას (ხომ არ შეწყდა მომზადებისა თუ მცდელობის ეტაპზე). გადაწყვეტილების მიღებისას ასევე მნიშვნელოვანია დამნაშავეს წარსული ცხოვრება (მისი პიროვნული მახასიათებლები), ეკონომიკური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება დაზარალებულის მიმართ, მისი სურვილი აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს ან არ შეურიგდეს დაზარალებულს.

ყოველი საქმე ინდივიდუალურია, ყოველ საქმეში შესაბამისი კონკრეტული გარემოებებია გასათვალისწინებელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია თუ როგორ აფასებს თითოეულ ამ გარემოებას მოსამართლე და როგორ ასაბუთებს მას. სასჯელის

⁵⁷⁰ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 187.

პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისათვის ისეთი სასჯელის შეფარდებას, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას.⁵⁷¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ სამართლიანობა, როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს წარმოადგენს.⁵⁷²

სასჯელის პროპორციულობის პრინციპი განმტკიცებულია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. თანამედროვე მოდელური კოდექსის (Model Penal Code § 1.02,(2) (c)) თანახმად, დამნაშავე დაცული უნდა იქნეს გადამეტებული, არაპროპორციული და თვითნებური სასჯელისაგან. ამავდროულად, ამერიკის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-8 შესწორება კრძალავს უხეშად არაპროპორციული სასჯელის დანიშვნას.⁵⁷³

სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი, მაშინ არის სახეზე, როდესაც დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. პროფესორი *თემურ ცქიტიშვილი* სასჯელთა პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, სასჯელის ცალკეული სახის შეფასებას ახდენს. იგი სასჯელის პროპორციულობის კუთხით, ალტერნატიულ სასჯელებსაც ეხება, მაგრამ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის თავისებურებებზეც მსჯელობს. სასჯელის პროპორციულობისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონით განსაზღვრული სასჯელი დასჯადი ქმედების სიმძიმეს შეესაბამებოდეს.

ამ თვალსაზრისით კანონმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დასაცავი სამართლებრივი სიკეთის ღირებულება, ისე სხვა გარემოებები.⁵⁷⁴ მნიშვნელოვანია მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

⁵⁷¹ ცქიტიშვილი თ., სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის ორიენტირი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 523.

⁵⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043>> [23.01.2021].

⁵⁷³ Dressler J., *Understanding Criminal Law*, 7th ed., San Francisco, CA, 2015, 49.

⁵⁷⁴ ცქიტიშვილი თ., სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის ორიენტირი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 562.

2016 წლის 27 ოქტომბერს, სადამოს საათებში, ქ. თბილისში, ერთ-ერთი სასტუმროს შენობაში არსებულ სასადილოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანნაქონი დანის დარტყმის შედეგად, მირიანმა ილიას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა.⁵⁷⁵ მირიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით, რაც სსსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 (ოთხი) წელი. ბრალდების მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება არ ჩათვალა სამართლანად და სასჯელის ნაწილში დანიშნული პირობითი მსჯავრის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით მოითხოვა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: მან მხედველობაში მიიღო, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მირიანი იყო ძალზედ აგრესიული, იგი აწუხებდა და უხეშად ექცეოდა პერსონალს, რაზედაც დაზარალებულმა მას მისცა შენიშვნა და მოუწოდა წესრიგისაკენ. ყოველივე ამას მოჰყვა კონფლიქტი. სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, იმისთვის რომ დამნაშავეს სათანადო დასკვნები გამოეტანა, სააპელაციო პალატამ, მსჯავრდებულ მირიანს სსსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით. მოსამართლემ სასჯელის დანიშნისას მხედველობაში მიიღო ჩადენილი დანაშაულის ხასიათიც და დამნაშავეს პიროვნებაც.

კანონის ფარგლებში მოსამართლემ დამნაშავეს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, სამართლიანი და პროპორციული სასჯელი უნდა დაუნიშნოს. საინტერესოა ზოგიერთი შემთხვევა, როცა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამება საკანონმდებლო ფარგლებს, მაგრამ დამდგარი შედეგიდან გამომდინარე ძნელია იგი სამართლიანად და პროპორციულად შეფასდეს. ამ მხრივ საინტერესოა, სსსკ-ის 116-ე მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევები. მართალია, ქმედება გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი, მაგრამ ხშირად შედეგი იმდენად მძიმეა, რომ

⁵⁷⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №18/99-17, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში (პერსონალური მონაცემები შეცვლილია).

რთულია შეფასდეს რამდენად იქნა მიღწეული სამართლიანობის აღდგენის მიზანი და დანიშნული სასჯელით რამდენად გაუჩნდა საზოგადოებას სამართლიანობის შეგრძნება. მაგალითად, ექიმის შეცდომამ გამოიწვია დიდი ზომის ნაყოფის ფიზიოლოგიური გზით დაბადება და ასფიქსიის გამო გამოწვეული ატონური სისხლისდენით ნაყოფი დაიღუპა. ეს ყოველივე გამოწვეული გახლდათ ექიმის არასწორი მანევრით (მან დაიწყო საშვილოსნოს გაკერვა) და ამის გამო მშობიარეც დაიღუპა. წარდგენილ ბრალდებაში განსასჯელმა თავი დამნაშავედ არ სცნო. აღნიშნული ქმედების შეფასებისას, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იგი გაუფრთხილებელი დანაშაულია, მაგრამ ექიმის ყველა ქმედებას წინ უძღვის გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება: ა) მან ნაყოფის წონა არასწორად შეაფასა; ბ) საკეისრო კვეთაზე უარი განაცხადა; გ) საშვილოსნოს ამოკვეთის ნაცვლად – მისი გაკერვა დაიწყო. სწორედ ამიტომ სიკვდილის მიზეზი გახდა ორგანიზმის მწვავე სისხლნაკლებობა, რომელიც ატონური სისხლდენის გზით განვითარდა.⁵⁷⁶

განსასჯელი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. როცა დამდგარ შედეგზე ვფიქრობთ, მომხდარს ვანალიზებთ და სასჯელის სახეს და ზომას ვაფასებთ, ჩნდება კითხვა, რამდენად თანაზომიერია 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ისეთ შედეგთან მიმართებით, როგორც სიცოცხლის მოსპობაა.

გაუფრთხილებელ დანაშაულში სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსაზღვრისას სხვა გარემოებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ შედეგს, რაც დამნაშავის თვითიმედოვნებამ თუ დაუდევრობამ გამოიწვია (ადამიანის სიცოცხლის მოსპობა).

პირის ვალდებულების გათვალისწინება განსაზღვრავს ბრალის სიმძიმეს – მის მაღალ და მცირე ხარისხს.⁵⁷⁷ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ხდება სასჯელის ზომის განსაზღვრა.

⁵⁷⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის არქივი სისხლის სამართლის საქმეებზე (ვინაიდან საქმის მასალები მოწოდებულია დაშიფრული სახით, ვერ ხერხდება საქმის ნომრის მითითება.

⁵⁷⁷ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ცნება და მიზნები, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეოთხე გამოც., თბ., 250.

ხშირად საკითხს შემდეგნაირად განიხილავენ – სსსკ-ის 116-ე მუხლი გაუფრთხილებელი დანაშაულია, საკანონმდებლო კონსტრუქციის კუთხით სასჯელის ზომა მოცემული მუხლის სანქციის ფარგლებში 2 დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა სასჯელის ზომა დამდგარ შედეგთან მიმართებით ლიბერალურია, რამეთუ ასეთ შემთხვევებში შედეგი უმძიმესია – ადამიანის სიცოცხლე.

სსსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემთხვევებში (ექიმის მიერ ჩადენილი დანაშაულისას), სასამართლო მოქმედებს კანონის ფარგლებში, სამართლებრივ შეფასებას აძლევს ჩადენილ დანაშაულს და, შესაბამისად, დამნაშავეს განუსაზღვრავს სასჯელს, რომელიც ფიქრის და განსჯის საგანია. ეს საკითხი საკანონმდებლო კონსტრუქციის კუთხით დასაფიქრებელია.

თუკი შედარებას გავაკეთებთ, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთან გვაქვს საქმე სსსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, რომლებიც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს.

სსსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილი სატრანსპორტო შემთხვევისას ადამიანის სიცოცხლის მოსპობას შეეხება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე, ხოლო ამავე მუხლის მე-8 ნაწილი ითვალისწინებს სატრანსპორტო შემთხვევას, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ეს კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 10 წლამდე.

სსსკ-ის 116-ე მუხლი, ასევე 276-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შედეგს, როგორცაა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. თუმცა 116-ე მუხლის, როგორც პირველი, ასევე მეორე ნაწილებით გათვალისწინებული სანქციის ფარგლები ბევრად უფრო მსუბუქია, ვიდრე 276-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების შემთხვევაში.⁵⁷⁸ რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სსსკ-ის 116-ე მუხლის სანქცია (შედეგთან პროპორციულობის ნიშნით) საკანონმდებლო კონსტრუქციის კუთხით – დაფიქრებას მოითხოვს.

⁵⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № 1/549-17.

სამართლიანობისა და სასჯელის პროპორციულობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა გარემოებების დროს სასჯელის დანიშვნისას, კერძოდ, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, სასჯელის დანიშვნისას თანამონაწილეობისა და რეციდივის შემთხვევებში, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს.

მოცემულ სტატიაში განხილული იქნება სასჯელთა დანიშვნის თავისებურება დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. 2006 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს, სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოოდ სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა სრული შეკრება. 2013 წელს კანონში განხორციელდა ცვლილება და სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას – ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. ამავე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს რეციდივის შემთხვევას და უშვებს სასჯელის როგორც შეკრების ისე ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის შესაძლებლობას.

საინტერესოა აღნიშნული საკითხის განხილვა სამართლიანობის აღდგენის მიზნისა და პროპორციულობის თვალსაზრისით.

სასჯელის ინდივიდუალიზაციიდან გამომდინარე, როდესაც ვმსჯელობთ დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის შთანთქმის შესახებ, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია სასჯელის გათანაბრება.⁵⁷⁹

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა გამართლებული იყოს უფრო მკაცრი სასჯელით ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის მოსაზრება,⁵⁸⁰ მაგრამ სასჯელის დანიშვნისას სხვა ბევრი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

⁵⁷⁹ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 220.

⁵⁸⁰ აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მსჯელობა აქვს განვითარებული საქართველოს უზენაეს სასამართლოს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № 2კ-50აპ-18.

დანაშაულთა ერთობლიობის დროს, სასჯელის პროპორციულობის კუთხით საინტერესოა ნაწილობრივი შეკრების წესი. მოსამართლემ ასეთ შემთხვევაში დასაბუთებისას უნდა მიუთითოს, თუ რა გარემოებაზე დაყრდნობით მიიჩნია კონკრეტული სასჯელიდან გარკვეული ნაწილის შეკრება. და ბოლოს, მნიშვნელოვანია სასჯელთა სრული შეკრება, რომლის შესახებ წარსულის პრაქტიკამ საზოგადოების მხრიდან კრიტიკული შეფასება დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ განსაკუთრებით უნდა დაასაბუთოს თუ რატომ აირჩია სრული შეკრების წესი. დღევანდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხომ ფართო საკანონმდებლო შესაძლებლობას ითვალისწინებს ამ კუთხით (სასჯელთა შეკრების, ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი).

შესაბამისად, სამართლიანობა, როგორც პროპორციულობის არგუმენტი, სასჯელის შეფარდებისას სხვადასხვა გარემოებებით ვლინდება და საყურადღებო მსჯელობის საგანია.

6.5. სამართლიანობა და სასჯელის ინდივიდუალიზაცია

სასჯელის ინდივიდუალიზაცია არის სისხლის სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული სასამართლოს სპეციფიკური საქმიანობა, რაც გამოიხატება კონკრეტული პირისთვის სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრით.⁵⁸¹

სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დამნაშავეს რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციასთან. საინტერესოა, ამ საკითხთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრულია ინდივიდუალიზაციის ზოგადი კრიტერიუმი, რომლის თანახმად, სასამართლოს კანონით დადგენილ ფარგლებში გამოაქვს სასჯელი, რომელიც ეფუძნება და

⁵⁸¹ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 198.

ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და დამნაშავის პიროვნებას. საფრანგეთის სსკ-ში ტერმინი „ინდივიდუალიზაციის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „პერსონალიზაცია“. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მთელ რიგ სისხლის სამართლის კოდექსებში სამართლის სუბიექტებად იურიდიული პირებიც არიან აღიარებულნი.⁵⁸²

სასჯელის ინდივიდუალიზაცია უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში. ამ ფარგლებში მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საკმარისი თავისუფლება, რათა შეაფასოს ყველა გარემოება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის მიერ შესწავლილი იქნეს დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები, კერძოდ, მისი სოციალური ტიპი. ეს კი აუცილებელია დანაშაულში თანამონაწილეობის დროს, როცა თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურად ფასდება.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია არაერთ საკითხთან არის დაკავშირებული, მაგრამ მოცემული სტატიის ფარგლებში წარმოდგენილია სსსკ-ის 72-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, რაც დაკავშირებულია სამართლიანობის აღდგენის მიზანთანაც, რამეთუ არა მარტო სასჯელის დანიშვნისას, არამედ პირის სასჯელისგან გათავისუფლების დროსაც დაცული უნდა იქნეს სამართლიანობაც და სასჯელის ინდივიდუალიზაციაც.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა და, გარკვეულწილად, იგი შოტლანდიასა და ინგლისში მოქმედი სისტემის იდენტურად ჩამოაყალიბა.⁵⁸³ კერძოდ, შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც დაევალიათ მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, შეიძლება პირობით ვადამდე

⁵⁸² Papatheodorou T., De Individualisation, des Peines et la Personnalisation de Sanctions, Revue Internationale de Criminologie edde Police technique, No.1, 1993, 109.

⁵⁸³ არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბ., 2015, 199-120.

გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ასეთ შემთხვევაში პირი შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან. განსხვავებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს სასჯელის სახედ დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა.

ამ დროს მსჯავრდებული სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საკითხი ეხება სასჯელისგან გათავისუფლებას, თუმცა გარკვეული სასჯელის სახის მოხდისას გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის სასამართლო, ხოლო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში – ადგილობრივი საბჭო.

ბუნებრივია, იბადება კითხვა – რატომ არსებობს განსხვავებული მიდგომა სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის მიმართ? კერძოდ, რატომ ხდება სხვადასხვა ორგანოს მიერ აღნიშნული საკითხის განხილვა?

ამ საკითხზე მსჯელობისას ამოსავალი ერთია - სამართალშემფარდებელი და მართლმსაჯულების განმახორციელებელი დღეს საქართველოში სასამართლოა⁵⁸⁴ და სწორედ იგი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, როგორც სასჯელის დანიშვნის, ასევე მისგან გათავისუფლების შემთხვევაში. არსებულ პოზიციას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და იგი ადმინისტრაციული წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. თუკი პირის სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი საბოლოოდ სასამართლომდე მიდის, ხომ არ იქნებოდა უკეთესი ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიერ მასზე გადაწყვეტილება?

⁵⁸⁴ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1999, 59-ე მუხლი, მე-3 პუნქტი, 62-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციული წესით ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, ბუნდოვანია, სასამართლო კონტროლს ექვემდებარება ადგილობრივი საბჭოს მიერ კანონდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვის საკითხი, თუ მსჯავრდებულთან დაკავშირებული სხვადსხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები. კერძოდ, ის საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას სრულყოფილად გამოიკვლია თუ არა ყველა მნიშვნელოვანი საფუძველი.⁵⁸⁵ სამართლიანი სასამართლოს უფლება ითვალისწინებს ყოველმხრივ გამოკვლეული, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხს ყველა შემთხვევაში უნდა წყვეტდეს სასამართლო. მით უფრო, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ საკითხის განხილვისას არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულის უფლება გაეცნოს მასალებს, რომელიც ადგილობრივმა საბჭომ უნდა შეაფასოს.

ბუნდოვანია, ზეპირი მოსმენის სხდომების ჩატარების საკითხი, არ არსებობს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.⁵⁸⁶ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში არსებითად დაუსაბუთებელია.

შეკითხვაზე თუ პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი რატომ განიხილება განსხვავებული წესით, პასუხი შემდეგია: აღნიშნული დიფერენციაციის საფუძველი ბუნდოვანია და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხს ყველა შემთხვევაში სასამართლო უნდა წყვეტდეს.

⁵⁸⁵ ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, №2, 2014, 303-304.

⁵⁸⁶ ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, №2, 2014, 296-300.

6.6. სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეს რესოციალიზაციის ურთიერთმიმართება

მოცემული ნაშრომის ფარგლებში სამართლიანობის აღდგენის მიზანი განხილულია სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით, ასევე პროპორციულობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპების თვალსაზრისით, რომელთა შეფასების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ სამართლიანობის აღდგენა ხელს უწყობს და განაპირობებს დამნაშავეს რესოციალიზაციას. სასჯელის ამ ორი მიზნის კავშირი და სინთეზი აშკარა ხასიათისაა და სხვადასხვა გარემოებით ვლინდება. ბუნებრივია, ყველა გასათვალისწინებელი გარემოება ვერ იქნება სტატიაში განხილული, მაგრამ ცალკეულ ნიშნელოვან ფაქტორზე იქნება გამახვილებული ყურადღება.

სამართლიანობის არსი უპირველეს ყოვლისა, მოსამართლის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებით გამოიხატება. მსჯავრდებულის რესოციალიზაციაც სწორედ სასამართლოს მიერ სამართლიანი განაჩენის გამოტანიდან იწყება და სასჯელის მოხდის შემდეგაც გრძელდება. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ მიუხედავად მძიმე დანაშაულის ჩადენისა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მსჯავრდებულის პიროვნება და ზოგადი გარემოებები. ამიტომაც, შეიძლება სასჯელის ზომის მინიმუმის დანიშვნითაც მოხდეს მსჯავრდებული პირის გამოსწორება და რესოციალიზაცია.⁵⁸⁷

ამდენად, სამართლიანობის აღდგენის მიზანი – სამართლიანი სასჯელის სახისა და ზომის შერჩევასთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რესოციალიზაციის საკითხი თავისუფლების აღკვეთის დროს. ბუნებრივია, რეაბილიტაციის დაწყება უმჯობესია თავისუფლების აღკვეთის დღიდანვე. მსჯავრდებული უნდა იცნობდეს სარეაბილიტაციო პროგრამებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სრული დატვირთვით უნდა მიმდინარეობდეს საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები. „დამნაშავეს რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება გულისხმობს დამნაშავეს პიროვნების

⁵⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: № 23-527აპ.-17.

ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ არღვევს სისხლის სამართლის კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს“.⁵⁸⁸

რესოციალიზაციის პროცესისთვის საკმაოდ რთული გზა უნდა გაიაროს უვადო თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა. „უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე გათავისუფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არცერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებით,“⁵⁸⁹ სამართლიანობის აღდგენა და დამნაშვის რესოციალიზაცია მნიშვნელოვანია როგორც სასჯელის დანიშვნისას, ასევე სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას. მნიშვნელოვანია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებული ყველა მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შემდეგ სარგებლობდეს სათანადო მხარდაჭერით, რაც უზრუნველყოფს მათ ყოფაქცევას.⁵⁹⁰ სამართლიანობის აღდგენა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული რეაბილიტაციის პროცესთან.

„სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად“.⁵⁹¹ ვინაიდან მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის გარკვეული რისკი ყოველთვის არსებობს, რეაბილიტაციის მეთოდის დროული და სათანადო გამოყენებით ეს რისკი მინიმუმამდე შეიძლება იქნეს შემცირებული. რისკის დონის მინიმიზაცია შესაძლებელია საპატიმრო ან არასაპატიმრო პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, შრომითი ჩვევის გამომუშავების, სხვა გამასწორებელი ზემოქმედების გამოყენების მეშვეობით.

დამნაშავის რეაბილიტაციის კუთხით მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. „რეაბილიტაციის განხორციელებისას უნდა მოხდეს სასჯელის მორგება დამნაშავის პიროვნებაზე და არა დანაშაულზე. რეაბილიტაციის

⁵⁸⁸ არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, თბ., 2009, 6.

⁵⁸⁹ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 109.

⁵⁹⁰ ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი) „სამართლის ჟურნალი“, № 2, 2014, 289.

⁵⁹¹ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელალსრულების სამართალი, თბ., 2014, 81.

მიღწევითვის დიდია საზოგადოების როლი“.⁵⁹² „სასჯელის უმთავრეს მიზნად ამერიკის შეერთებულ შტატებში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიიჩნევა. იგი გულისხმობს დამნაშავის გარდაქმნას კანონმორჩილ საზოგადოების წევრად“.⁵⁹³

სასჯელის შედეგად მიღწეული უნდა იქნეს მისი მიზანი – პირის სამართლებრივი, სოციალური და მორალური რეაბილიტაცია.⁵⁹⁴

ინგლისელი სამართლის მკვლევრების აზრით, სასჯელი არ უნდა იყოს გამოყენებული მთელი სიმკაცრით. რესოციალიზაციის უპირატესობა მდგომარეობს არა სასჯელის სიმკაცრეში, არამედ შედაფრებით მსუბუქი სახის სასჯელის გამოყენებაში“⁵⁹⁵

სტატიის დასასრულს, სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით უნდა შეფასდეს. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სამართლიანობის აღდგენის მიზანი ემსახურება და იმავდროულად განაპირობებს სასჯელის სხვა მიზნების მიღწევას. განსაკუთრებულია მისი ურთიერთმიმართება დამნაშავის რესოციალიზაციასთან. ამ ორი მიზნის სინთეზი კი დამნაშავის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის მე-6 თავი ეხება სასჯელის ისეთ მნიშვნელოვან მიზანს, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა და მისი ურთიერთმიმართება დამნაშავის რესოციალიზაციასთან. მოცემულ თავში სამართლიანობის აღდგენის მნიშვნელობა პროპორციულობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის კუთხით იქნა განხილული, რაც საბოლოო ჯამში დამნაშავის რესოციალიზაციის საფუძველია. მოცემული კვლევის ფარგლებში, მეცნიერული შეხედულებებისა და არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოდგენილია შემდეგი მოსაზრებები:

⁵⁹² Banks C., *Criminal Justice Ethics: Theory and Practice*, Thousand Oaks, California, 2004, 116.

⁵⁹³ Lippman M., *Contemporary Criminal Law; Concepts, Cases, and Controversies*, 2nd ed., Thousand Oaks, California, 2010, 56.

⁵⁹⁴ Conton R., *Probation and the Philosophy of Punishment*, *Probation Journal*, Vol. 65 (3), 2018, 266.

⁵⁹⁵ Крылова Н., Серебrenикова А., *Уголовное Право Зарубежных Стран (Англии, США, Франции, Германии)*, Москва, 1977, 144.

სამართლიანობის აღდგენა თავისი არსით დაკავშირებულია სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებასთან. მისი უზრუნველყოფა კი შესაძლებელია დანაშაულის სწორი კვალიფილაციითა და მასზე დაყრდნობით, სასჯელის ზუსტი სახისა და ზომის შერჩევით. ეს კი შემდგომში დამნაშავის რესოციალიზაციის საფუძველია.

სამართლიანობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა, რაც გულისხმობს საკანონმდებლო კუთხით, თითოეული დანაშაულისათვის სწორად შერჩეული და განსაზღვრული სანქციის სახესა და ზომას (გაუფრთხილებელი დანაშაულების შემთხვევაში საკანონმდებლო კუთხით გასათვალისწინებელია დამდგარი მძიმე შედეგი).

სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავის რესოციალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ სამართლიანი სასჯელის დანიშვნა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს წყვეტდეს სასამართლო. აღნიშნული საკითხების განზოგადება ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

თავი VII. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი და მისი ურთიერთმიმართება დანაშაულის რესოციალიზაციასთან

7.1. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება როგორც სასჯელის მიზანი და დანაშაულის პრევენციის მოდელები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პრევენციას უწოდებენ.

პრევენცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და რისიმე თავიდან ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღებას ნიშნავს.⁵⁹⁶

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ პრევენციის ორ სახეს: საერთოს, ანუ ზოგადს (გენერალური) და სპეციალურს, ანუ კერძოს. მართალია სსკ-ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც მოცემულია სასჯელის მიზანი „ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“, ზუსტად არ არის განსაზღვრული ზოგადი და სპეციალური პრევენცია, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ: „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, ანუ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში იგულისხმება, როგორც ზოგადი ისე სპეციალური პრევენცია.

სასჯელის ზოგადი ანუ გენერალური პრევენცია მოიცავს ორ სახეს: პოზიტიური გენერალური პრევენცია და ნეგატიური გენერალური პრევენცია, ხოლო სასჯელის სპეციალურ, ანუ კერძო პრევენციაში თავის მხრივ ასევე გამოიყოფა ორი კომპონენტი: პოზიტიური სპეციალური პრევენცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

⁵⁹⁶ ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბ., 2000, 159.

სასჯელის ზოგადი (გენერალური) პრევენცია

გენერალურ ანუ ზოგად პრევენციაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს მიზანი წარმოადგენს იმ პირთა მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, რომელთა საქმიანობაც დანაშაულის ჩადენაზეა ორიენტირებული. მაგ. ვ. ზუბკოვას მიაჩნია, რომ სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანი ხორციელდება დაშინებისა და მსჯავრდებულზე სასჯელის დაკისრების საშუალებით, პრინციპით: „დაე სხვებს ეშინოდეთ.“⁵⁹⁷

ჩ. ბეკარია მიიჩნევს, რომ დანაშაულის თავიდან აცილების არსი გამოიხატება არა დანაშაულის სისასტიკეში არამედ მის გარდუვალობაში. იგი წერდა „უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა.“⁵⁹⁸

ზოგადი პრევენცია ხორციელდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პირის მიმართ სასამართლო გამოიყენებს სასჯელს, არამედ თვით სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან. პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა.⁵⁹⁹

სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის შემდგომ, კანონი გამაფრთხილებელ ფუნქციას ასრულებს. კანონის გამოქვეყნების ფაქტი დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე, რომ მათი მხრიდან გამოირიცხოს დანაშაულის ჩადენა.

მამასადამე, ზოგადი პრევენცია იწყება სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც დამყარდება დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილში გამოხატულია ზოგადი პრევენციის შინაარსი: „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. “აქედან გამომდინარე

⁵⁹⁷ ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმახანი, #3, 2004, 55.

⁵⁹⁸ ბეკარია ჩ., „დანაშაულისა და სასჯელისათვის, ხუცურაშვილი ი. (მთარგ.), თბ., 2003, 124.

⁵⁹⁹ ნაჭყებია გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ., 2002, 31.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია არა მხოლოდ დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებაც, რაც იმის დასტურია, რომ სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს.

სისხლის სამართლის კანონით ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამით სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ გაიგონ, რომ ზოგიერთ ქმედებას მართლწესრიგი განსაკუთრებით საშიშად თვლის და ამიტომ საზოგადოებამ ასეთი ქმედების მიმართ შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავოს, მერყევი ადამიანებისათვის დანაშაულისგან თავის შეკავების მძლავრ სტიმულს ის წარმოადგენს, რომ ქმედების აკრძალვა სასჯელის მუქარით არის განმტკიცებული.⁶⁰⁰

სასჯელის გენერალური პრევენციის თეორიის ადრესატია მთელი საზოგადოება. აქ გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ა) სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია მიზნად ისახავს სამართლისადმი პატივისცემის მიღწევას და შენარჩუნებას და ამით ახდენს საზოგადოებაზე პოზიტიურ ზემოქმედებას. მას აქვს სოციალ-პედაგოგიურად მოტივირებული სასწავლო-აღმზრდელობითი ეფექტი, რომელიც წარმოადგენს სამართალმორჩილების უნარის გამომუშავების პრაქტიკას. მიუხედავად დადებითი შინაარსისა იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებას.⁶⁰¹

სასჯელის გენერალური პრევენცია პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებად გვხვდება დაყოფილი გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში.

გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღიარებულია სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები გადაწყვეტილებაში უკანონო აბორტთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის სამართლებრივი საზოგადოების

⁶⁰⁰ნაჭყებია გ., დვალიძე ი., ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, 355

⁶⁰¹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 44.

ელემენტარული ღირებულებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. საკონსტიტუციო გადაწყვეტილებათა მიხედვით, ერთი მხრივ მოსახლეობის ღირებულებათა გაძლიერება, ხოლო მეორე მხრივ, დამნაშავეთა დასჯადი ქცევის ჩადენისაგან თავის შეკავება შეესაბამება პოზიტიურ გენერალურ პრევენციას.⁶⁰²

პოზიტიური გენერალური პრევენცია ცდილობს, რომ სამომავლოდ დადებითი გავლენა მოახდინოს და იგი არ არის ორიენტირებული ჩადენილ უმართლობაზე.

გერმანელი პროფესორი როქსინი აღნიშნავს, რომ სასჯელის ამოცანაა მართლწესრიგის დაცვა და მოსახლეობის მიერ სამართლის ერთგულების გაძლიერება. აღნიშნულს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღესდღეობით, ვიდრე წმინდა სასჯელის დამაშინებელ ზემოქმედებას. სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციაში გამოიყოფა სამი განსხვავებული მიზანი:

- 1) სოციალურ-პედაგოგიური მოტივირებული სწავლების ეფექტი, სამართლის ერთგულების გაძლიერება;
- 2) ნდობის ეფექტი, როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ სამართლის რეალიზაცია ხდება;
- 3) დაშოშმინების (დაწყნარების) ეფექტი, როდესაც დამნაშავესთან კონფლიქტი მოგვარებულია.⁶⁰³

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია, განსხვავებით ნეგატიური გენერალური პრევენციისგან, მოქმედებს განსაზღვრულ პირთა წრეზე, რომელთა ქცევაზეც სასჯელმა გავლენა უნდა მოახდინოს. მაშინ, როდესაც დაშინება მიმართულია ინდივიდების მიმართ, რომლებსაც აქვთ წარმოდგენა დანაშაულის ჩადენის შესახებ, პოზიტიური გენერალური პრევენცია გამოდის იქიდან, რომ დასჯილი ადამიანების თქმით, ისინი ყოველთვის ნორმის ერთგულები არიან.⁶⁰⁴

სასჯელის პოზიტიურ გენერალური პრევენციის იდეა გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა

⁶⁰² ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 66

⁶⁰³ იქვე, 68 გვ.

⁶⁰⁴ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 70.

ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

ბ) სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია

სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია უკავშირდება გერმანელი კრიმინალისტიკის ანსელმ ფოიერბახის სახელს (ფსიქოლოგიური იძულების თეორია).

ფსიქოლოგიური იძულების თეორია სასჯელს მიზნად უსახავს საზოგადოების დაშინებას. სასჯელის მუქარა, სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება საზოგადოებაში უნდა ნერგავდეს შიშს, რომ ფსიქოლოგიური იძულების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ დანაშაული არ ჩაიდინოს. ჰეგელი აკრიტიკებდა ფოიერბახის გენერალური პრევენციის თეორიას, რადგან მიიჩნევდა, რომ იგი ადამიანს ისე ეპყრობა, რომ ძალის დასაშინებლად თითქოს ჯოხს იქნევდა.⁶⁰⁵

გერმანელი პროფესორი მაიერი აღნიშნავს, რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის გავლენა საზოგადოებაზე ხორციელდება:

- 1) სასჯელის მუქარით;
- 2) სასჯელის შეფარდებით;
- 3) სასჯელის აღსრულებით.⁶⁰⁶

დანაშაულის ზოგადი გაფრთხილება მიიღწევა საზოგადოდ საშიშ ქმედებისათვის სასჯელის გამოყენების მუქარის გზით. იგი გამყარდება საზოგადოების თვალში, თუ სასჯელი გამოყენებულ იქნება დამნაშავის მიმართ, ეს დამნაშავეებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოახდენს და აიძულებს დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ პირებს თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან, რადგან ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა გარდაუვალი იქნება.

გამოჩენილი იტალიელი სოციოლოგი ე. ფერმი აღნიშნავს, რომ სასჯელის საფრთხე ეფექტური საერთოდ არაა და დანაშაულის გაფრთხილება არ შეუძლია. ასეთი მტკიცება რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოა, რადგან არსებობს პირთა წრე, რომლებიც დანაშაულს არ სჩადიან იმიტომ, რომ სასჯელის ეშინიათ. საკმარისია დავსვათ კითხვა

⁶⁰⁵ ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 45

⁶⁰⁶ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 72

გაიზრდება თუ არა დანაშაულთა რიცხვი თუ სისხლისსამართლებრივ ნორმებს გავაუქმებთ? ცხადი გახდება, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა რიცხვი გაიზრდება.⁶⁰⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სასჯელს უმეტეს შემთხვევაში დამაშინებელი ეფექტი გააჩნია. სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, არამედ საზოგადოებაში მყოფ „მერყევ“ პირებზე, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, ისე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით.

ნორვეგიელი კრიმინალისტი ი. ანდენესი თავის ნაშრომში თანმიმდევრულად იხილავს სასჯელის ზოგადპრევენციული გავლენის საკითხს. მისი აზრით, „სასჯელი ზოგადგამაფრთხილებელი მოქმედების სამ სახეს ფლობს: მას შეუძლია ჰქონდეს დაშინების ეფექტი, შეუძლია გააძლიეროს მორალური აკრძალვები (მორალური ეფექტი) და შეუძლია ჩვეულებრივი კანონმორჩილი ქცევის სტიმულირება.⁶⁰⁸

როგორც ვხედავთ, ი.ანდენესი ცდილობს სისხლისსამართლებრივი სასჯელის როლი უფრო ფართო, სოციალურ კონტექსტში წარმოადგინოს, რაც უდავოდ ყურადღების ღირსია.

ე. შმიდჰოიზერის აზრით, სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანშეწონილობა (Generalprhventive Zweckhaftigkeit) ეფუძნება სასჯელის სამ ფუნქციას: სამართლის დამტკიცება (Rechtsbewhhrung), ზოგადი დაშინება (Allgemeine abschreckung) და აკრძალვა (Tabuisierung).

ავტორის აზრით, სასჯელის დამტკიცების ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სასჯელი, რომელიც სამართლიანად რეაგირებს ამორალურ და დასჯად ქცევებზე, ამტკიცებს საზოგადოებაში აღიარებულ თანაცხოვრების ნორმათა მოქმედებას და ამით საზოგადოების მართლშეგნებას.

⁶⁰⁷ კორძაძე ზ., სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი#8, 1998

⁶⁰⁸ Анденес Н., Наказание и предупреждение преступлении М. 1979 с. 149.

ზოგადი დაშინების ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი დასჯა, თავისი სისხლისსამართლებრივი იძულების სფეროში, მომავალში ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელით იმუქრება.

აკრძალვის ფუნქცია - კი სასჯელის მუქარით სხვადასხვა ქმედებების აკრძალვასთან არის დაკავშირებული.⁶⁰⁹

ამ ავტორთა შეხედულებების ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ზოგადი პრევენციის მიზანი სასჯელით დაშინების გარდა ფლობს უდიდეს მორალურ ეფექტს და ის მიღწეულია მაშინ, როცა არაკანონმორჩილი მოქალაქეები აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ ყოველ ჩადენილ დანაშაულს გარდაუვლად მოჰყვება სასჯელი და ამის შედეგად შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზეა ორიენტირებული.

სასჯელის სპეციალური (კერძო) პრევენცია

სასჯელის სპეციალური პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებას კონკრეტული მსჯავრდებულის მხრიდან. სასჯელის დანიშვნისა და მოხდის შემდეგ მსჯავრდებულს აღარ უნდა ჰქონდეს ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული. ეს ყველაფერი კი მიიღწევა მხოლოდდამხოლოდ მსჯავრდებულის გამოსწორების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს. მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის აცილება შესაძლებელია, მაგ.სასამართლოს მიერ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როცა მსჯავრდებული ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ან პროფესის დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.⁶¹⁰

კერძო პრევენცია განსხვავებით ზოგადი პრევენციისგან ხორციელდება მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, როგორც სასჯელის დანიშვნის, ისე სასჯელის აღსრულების პროცესში.

⁶⁰⁹ Schmiedhuser E., Strafrecht. Allgemeiner Teil. Tübingen 1984 s 18-19

⁶¹⁰ ქათამაძე მ. , სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმნახი, #3 2004,55

სისხლის სამართლის თეორიაში მითითებულია, რომ სასჯელის მიზანი-ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში გამოიხატება დამნაშავე პიროვნების საზოგადოებისაგან იზოლაციაში, რათა მის მიმართ დაზარალებულმა მხარემ შურისგების მიზნით არ მოახდინოს რაიმეს ხელყოფა, ან მისი მხრიდან გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა. არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ფაქტორი გამორიცხულია.⁶¹¹ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით იქიდან გამომდინარე, რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მოიცავს, როგორც ზოგად ისე სპეციალურ პრევენციას.

ზოგადი და სპეციალური პრევენცია საკმაოდ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ემსახურებიან საერთო მიზანს-დანაშაულის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, დანაშაულთან საბრძოლველად ყველაზე კარგი საშუალებაა, მისი საერთოს თავიდან აცილება, ამიტომაც სისხლის სამართალში უდიდესი ადგილი უკავია სასჯელის ამ მიზანს.

სასჯელის სპეციალურ პრევენციაში, ისევე როგორც სასჯელის გენერალურ პრევენციაში გამოიყოფა ორი ასპექტი: სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია და სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია, კერძოდ:

ა) სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია.

სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიმართულია კონკრეტულ დამნაშავეზე, რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა სასჯელი.

სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას მისი რესოციალიზაციის გზით.

მ. ტურავა წერს: „პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით ისეთი დამნაშავეის ისევ საზოგადოებაში დაბრუნებას, რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია“.⁶¹²

სასჯელის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას აღიარებს საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასჯელის

⁶¹¹ დაუთაშვილი პ., კვაშილავა ალ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ.,

⁶¹² ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 44

მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზე და სხვა პირებზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. აღნიშნულ მუხლში გამოხატული როგორც სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციაა, ისე სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია.

პოზიტიური სპეციალური პრევენციის დროს სასჯელის მიზანი დამნაშავეს რესოციალიზაციაა, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. პოზიტიური სპეციალური პრევენციით დამნაშავეს რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებებით, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავეს პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემების და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.⁶¹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია უკავშირდება სასჯელის ისეთ მნიშვნელოვან მიზანს, როგორცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

ბ) სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია

სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია ძირითადად ორიენტირებულია მსჯავრდებულის დაშინებაზე. სასჯელი დამაშინებელ ეფექტს ახდენს იმ პირებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ არიან მსჯავრდებულები.

ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორიის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იქნეს დამნაშავეს ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციის გზით. რათა მოხდეს მის მიერ შემდგომში ახალი დანაშაულის აღკვეთა.⁶¹⁴

ნეგატიური სპეციალური პრევენციისათვის სასჯელის მიზანია დამნაშავეს შეშინება, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული. გარდა ამ ყოველივეს მისი მიზანია საზოგადოების დაცვა ახალი დანაშაულის ჩადენისაგან, ამიტომ დამნაშავეს მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავეს პიროვნებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური.⁶¹⁵

⁶¹³ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, 2011, 225.

⁶¹⁴ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 44

⁶¹⁵ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, 2011, 226.

სასჯელის რეალური აღსრულება დამნაშავეში ქმნის შიშს, რომ თუ იგი ამ ქმედებას გაიმეორებს, დაისჯება. მოზარდებს უფრო ადვილად შეუძლიათ სხვისი დასჯის მაგალითიდან დასკვნის გამოტანა, მაგრამ საკუთარ თავზე განცდილი უფრო მწარედ დასამახსოვრებელია. სასჯელის სიმკაცრემ დამნაშავე ქმედების განმეორებისგან რომ შეიკავოს, დამნაშავეს ცნობიერებაში უნდა გადასწონოს დანაშაულისაგან მიღებული სარგებელი. უტილიტარიზმის წარმომადგენელი დანაშაულის რეციდივისათვის უფრო მკაცრ სასჯელს ხსნის იმით, რომ პირველმა სასჯელმა, კერძო პრევენციის თვალსაზრისით, თავისი არაეფექტურობა დაამტკიცა.⁶¹⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას უპირატესობა ენიჭება სასჯელის ნეგატიურ სპეციალურ პრევენციასთან შედარებით.

7.2. სასჯელის დანიშვნა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭება სასჯელის დანიშვნის საკითხს. სიტყვა დანიშვნა თავისთავში, ბუნებრივია, გულისხმობს ადამიანის საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მოქმედებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. სასჯელის დანიშვნაც სწორედ ადამიანის მიერ წარმართული საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა.

სასჯელის დანიშვნა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მისი სიტყვითი გამოხატულება. აქ იგულისხმება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული საქმიანობა, არამედ დანაშაულისთვის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგების განსაზღვრის პროცესიც. კერძოდ, სასჯელის დანიშვნის პროცესი გულისხმობს პირობითი მსჯავრის დანიშვნას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, არასრულწლოვნისთვის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების დანიშვნას და სისხლის სამართლის

⁶¹⁶ წიქარიშვილი ვ., სასჯელი, ალმანახი.

კანონმდებლობით დანაშაულისთვის დადგენილი სხვა ალტერნატიული სისხლისსამართლებრივი შედეგებიდან რომელიმეს შერჩევას.⁶¹⁷

სასჯელის ობიექტური ნიშნებიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნა მოსამართლის საქმიანობის სფეროა, რადგან მხოლოდ მოსამართლე განსაზღვრავს კონკრეტული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულისთვის აბსტრაქტულად დადგენილი სისხლისსამართლებრივი შედეგებიდან რომელი უნდა ამოქმედდეს, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასამართლოსთან ერთად სხვა სახელმწიფო ორგანოებიც მონაწილეობენ სასჯელის დანიშვნაში. მაგალითად, როდესაც მსჯავრდებულს სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ნაწილი ეცვლება უფრო მსუბუქი სასჯელით, კერძოდ, შინაპატიმრობით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, შინაპატიმრობას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ნიშნავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო.

სასჯელის დანიშვნა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ემყარება გარკვეულ პრინციპებს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია არა სასჯელის შემფარდებელზე ანუ სასჯელის დანიშვნის პროცესზე, არამედ კანონმდებელზე, რადგან კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ პრინციპებს ემყარება.

“სისხლის სამართლის პრინციპების რეგულირების საგანია არა სასჯელის დანიშვნა, არამედ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა. სასჯელის დანიშვნა მნიშვნელოვანია, მაგრამ თავი და თავი, მაინც სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაა, რომლის შედეგს სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონის შინაარსზე კი, არსებითადაა დამოკიდებული სასჯელის დანიშვნაც. თუ სისხლის სამართლის კანონი შემუშავდება სისხლის სამართლის კანონის

⁶¹⁷ დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბ., 2013. 55

ყველა პროგრესული პრინციპების შესაბამისად, მაშინ სასჯელის დანიშვნის პრობლემაც იოლად გადაწყდება.“⁶¹⁸

სასჯელის დანიშვნისას შესაბამისი პრინციპები ერთმანეთისგან მოწყვეტით კი არ გამოიყენება, არამედ ისინი ხშირად ერთმანეთს ავსებენ. მაგალითად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი კავშირშია პირადი პასუხისმგებლობის პრინციპთან, სამართლიანობის პრინციპი, გარკვეულწილად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპშიც ვლინდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის IX თავი სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს ეძღვნება. კერძოდ, სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს უნიშნავს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში. რაც ნიშნავს, რომ სასამართლომ სასჯელი შეიძლება მხოლოდ ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის დანიშნოს. ამასთან, ეს სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი და პროპორციული.

ბუნებრივია, ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნა კანონიერების და მართლწესრიგის დაცვაა. რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან. თუკი ამ ყველაფერს უფრო ფართო ჭრილში განვიხილავთ, შესაძლებელია სასჯელის დანიშვნა ხელოვნებასთან გავაიგივოთ. მართალია, იურისპრუდენცია არ წარმოადგენს ხელოვნების რომელიმე დარგს, მაგრამ სასჯელის დანიშვნა მოსამართლის ისეთი საპასუხიმგებლო მოვალეობაა, რომელიც მან საოცარი სიზუსტით უნდა განახორციელოს. სწორედ ამ პროცესში ვლინდება მისი სამართალშემოქმედებითი ხასიათი, რომელზეც ადამიანის ბედია დამოკიდებული. სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს მოცემული ნორმის პირველივე წინადადებაში „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს“, ხოლო სასჯელი სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

⁶¹⁸ ნაჭებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბ., 1998, 136-137.

მართლმსაჯულების ორგანო დამნაშავეს მას შეუფარდებს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით. სამართლიანი სასჯელი საზოგადოებაში გავრცელებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.⁶¹⁹

სახელწოდებაში „ზოგადი საწყისები“ ნაგულისხმებია, რომ ისინი გამოსაყენებელია ყველა ტიპური შემთხვევისათვის, ანუ მასში ასახულია ჩვეულებრივი სიტუაცია: დამნაშავეს მიერ ჩადენილი და ბოლომდე მიყვანილი (დამთავრებული) დანაშაული, ხოლო თუ დაუმთავრებელ დანაშაულთან გვაქვს საქმე, დანაშაულთა და სასჯელთა ერთობლიობასა, რეციდივსა, თანამონაწილეობასა და სხვა შემთხვევებთან ეს ცნებები სსკ-ის 53-ე მუხლში ვერ თავსდება. ეს შემთხვევები გათვალისწინებულია მომდევნო მუხლებში. (იგულისხმება, სსკ-ის 56-ე, 57-ე, 58-ე მუხლები).

თვით სახელწოდება „ზოგადი საწყისები“ მოწმობს, რომ ისინი იძლევიან მითითებას, მოსამართლეთა მიერ მასში ასახულ დებულებათა სავალდებულო გათვალისწინების თაობაზე. ეს წესები ტიპიურია და მათი გამოყენება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკაზე არ არის გაანგარიშებული.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩამდენ პირს სასჯელი შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ქურდობა), მას სასჯელი დაენიშნება ამ მუხლით გათვალისწინებული მინიმალური და მაქსიმალური ზღვარის ფარგლებში.

სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციის თანახმად სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. ცხადია, კანონმდებელი უფრო მკაცრი სასჯელის სახეზე მსჯელობისას მოცემული მუხლის სანქციის ფარგლებში არსებული სასჯელის ზომას გულისხმობს. ამიტომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს

⁶¹⁹ ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., სისხლის სამართალი სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 580

კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა უფრო ხშირი გამოყენება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლი, რომელიც არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს ეხება, არ იმეორებს იმ ზოგად დებულებებს, რომელიც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 53-ე მუხლშია მოცემული. კოდექსის 75-ე მუხლი მიუთითებს, რომ „არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. რაც შეეხება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს - ეს არის მისი უსაფრთხოება, კეთილდღეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, რესოციალიზაცია - რეაბილიტაცია და სხვა ინტერესები. ისინი არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას მოითხოვს.⁶²⁰

ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე და სხვა შესაბამისი საკითხები.⁶²¹

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენით არასრულწლოვან ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 (ექვსი)

⁶²⁰ იხ. გამარტებით ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე.

⁶²¹ ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, 35.

თვის ვადით.⁶²² სასამართლომ განაჩენში დიდი ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მნიშვნელობაზე, რაც დაასაბუთა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ამასთან, მოსამართლემ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა შემდეგი: „ სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში იღებს არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის, განათლების, განვითარების ინტერესს და მიაჩნია, რომ სასჯელის მიზნების მიღწევა ა. მ-ს მიმართ, შესაძლებელი იქნება მისთვის შინაპატიმრობის შეფარდების შემთხვევაში“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომელიც მოსამართლისათვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ ითვალისწინებს არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, (კეროდ, ასაკს, განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობებს, ოჯახურ ვითარებას), რაც ხელს უწყობს არასრულწლოვანისათვის სასჯელის შეფარდებისას მაქსიმალურად გამყარებული იქნას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

შინაარსობრივად არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თვალსაჩინო მაგალითია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენი, სადაც მოსამართლე მიუთითებს შემდეგს: “კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გ. დ-ის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით, ბრალდებულს არ აქვს ინტერესი სწავლისა, დასაქმების მიმართ, გარკვეული პერიოდი დაკავებული იყო სპორტით, თუმცა ბოლოს უარი განაცხადა სპორტზეც. თავისუფალ დროს ატარებს არაორგანიზებულად და ძირითადად ქუჩაში, ასაკით უფროს, საექვო ქცევისა და მენტალიტეტის მქონე პირებთან. აქვს ინტერესი კრიმინალური სუბკულტურის წევრობის, მისთვის მნიშვნელოვანია იყოს ლიდერი, მართოს მისი წრე, მოიპოვოს აღიარება. დაკავებამდე ოჯახის წევრებს უხეშად ექცეოდა, ძირითად დროს ქუჩაში ატარებდა, მისი სახლში მისვლა უკავშირდებოდა პირველადი მოთხოვნილებების

⁶²² რუსთავის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/10-16.

დაკმაყოფილებას. ბოლო პერიოდში მისი განწყობა ოჯახის წევრების მიმართ დადებითისკენ შეიცვლება.⁶²³

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის პირველ მიზნად გათვალისწინებულია სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დაბოლოს, დამნაშავის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცი-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია როგორც არასრულწლოვნებთან, ისე სრულწლოვნებთან მიმართებით.

თუ არ განხორციელდა მსჯავრდებულის (ეს იქნება სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი) რესოციალიზაცია, სასჯელის დანარჩენ მიზნებს თითქმის აზრი ეკარგება. მაგალითად თუ ყოფილმა მსჯავრდებულმა დანაშაული კვლავ ჩაიდინა, ანუ ვერ იქნა მიღწეული მისი გამოსწორება, შესაბამისად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების (სპეციალური პრევენცია) მიზანიც მიუღწეველი დარჩება.⁶²⁴

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში საუბარია ზოგადად სასჯელის მიზნებზე, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლში მითითებულია დანიშნული სასჯელის მიზანზე. სასჯელის ისეთი მიზნები, როგორიცაა: სამართლიანობის აღდგენა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მათი მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის გზით. რაც შეეხება სასჯელის ისეთ, მიზანს როგორიცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მისი მიღწევა შესაძლებელია, როგორც დაშაულის ჩადენამდე, როდესაც ქმედება გამოცხადდება დანაშაულად და აიკრძალება მისი ჩადენა, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემდეგ.⁶²⁵

⁶²³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენი, საქმე №1/209-16.

⁶²⁴ ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017., 126

⁶²⁵ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016., გვ.89

სასჯელის დანიშვნისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის ზემოქმედება იყოფა სამ სტადიად:

- 1) სასჯელი, რომელიც მოცემულია კანონში, ზემოქმედებს, როგორც საერთო გამაფრთხილებელი ძალა. თვით ფაქტი, ახალი კანონისა, მისი პუბლიკაცია, ქმედების დანაშაულად გამოცხადება, ყოველივე ამას მოჰყვება საერთო გამაფრთხილებელი ზემოქმედება.
- 2) სასჯელი, რომელიც დანიშნულია სასამართლოს მიერ, ახდენს, როგორც საერთო, ისე სპეციალურ პრევენციულ ზემოქმედებას.
- 3) სასჯელი, მისი აღსრულების პროცესში ახდენს საერთო და სპეციალურ გამაფრთხილებელ ზემოქმედებას და ძირითადად მოქმედებს დამნაშავეზე.⁶²⁶

სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დამნაშავეს, რათა კვლავ არ დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისაგან შეაკავოს. საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამისობით ყველაზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისათვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდა.⁶²⁷

სასამართლომ უნდა დანიშნოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენციის მოთხოვნებს.

სასჯელი უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით. კარგია სასჯელი, რომელიც ამცირებს რეციდივის რისკს.⁶²⁸

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია სასჯელის შეფარდებისას სამი დირექტივა გაითვალისწინოს: 1) ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხი; 2) სასჯელის ზემოქმედება საზოგადოებაზე (ზოგადი პრევენცია); 3) სასჯელის პრევენციული და აღმზრდელობითი ზემოქმედება დამნაშავეზე (განსაკუთრებული პრევენცია).⁶²⁹

⁶²⁶ Шаргородский М. Д., наказание по советскому уголовному праву, часть вторая, Москва, 1985, с-198.

⁶²⁷ ბეკარია ჩ., დანაშაულისათვის და სასჯელისათვის, ირაკლი ხუცურაული (მთარგ.) იტალიურიდან, 2003, 70.

⁶²⁸ პრადელი ე., შედარებითი სისხლის სამართალი სუმბათაშვილი ე., (მთარგ.), 1999, 443.

⁶²⁹ Czupryniak R., Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S.312.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის შეფარდებისას პოზიტიური გენერალური პრევენციის მიზნებია: სანქცირებული ნორმის მოქმედების დადასტურება, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, მისწრაფება საჯარო სიმშვიდისაკენ ბრალის შესაბამისი და სამართლიანი სასჯელის მეშვეობით.⁶³⁰

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი პრევენცია მოქმედებს, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის დროს, ისე სხვა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას. მაგალითად, ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას და ა.შ.

სასჯელის ზოგადი პრევენციული როლი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავესათვის მისი შეფარდება თავისი არსებობის ფაქტითა და გამოყენების შესაძლებლობით დადებით ეფექტს ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ასპექტში.⁶³¹

ზოგადი პრევენციის მნიშვნელობაზე საუბარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაშიც, სადაც ვკითხულობთ: „კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯა არის დემონსტრირება, დეკლარირება იმისა, რომ ყველას, ვინც მსგავს ქმედებას ჩაიდენს, ემუქრება იგივე სასჯელი, შედეგად, მას აქვს ერთგვარი წინაღობის ძალა დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ. მაშასადამე, ამა თუ იმ ქმედებისთვის დაწესებულ/კონკრეტულ შემთხვევაში შეფარდებულ სასჯელს აქვს უნარი, შეამციროს როგორც იგივე, ისე სხვა პირების მიერ ამ დანაშაულის ჩადენა.“⁶³²

⁶³⁰ Czupryniak R., Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011, S.312.

⁶³¹ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, 31.

⁶³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება, 51-ე პუნქტი.

სასჯელის პრაქტიკა გავლენას ახდენს მოსახლეობის ინდივიდუალურ ცნობიერებაზე და ამტკიცებს საერთო საზოგადოებრივი თანაცხოვრების მიღებულ წესებს (ნორმებს).⁶³³

სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე. აუცილებელია, რომ დანაშაულებრივ ქცევას გარდაუვლად და ამასთან დროულად, მოჰყვეს სასჯელის დანიშვნა. არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მართალია, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დამნაშავის დასჯისათვის ყველაფერია გაკეთებული. რაც უფრო სრულად იქნება ეს საკითხები მოგვარებული, მით უფრო დიდი პრევენციული ძალა ექნება სასჯელს.⁶³⁴

რაც შეეხება სასჯელის სპეციალურ პრევენციას, იგი მთლიანად დამნაშავეზე არის მიმართული. სასჯელის დანიშვნისას აცილებული უნდა იქნეს ახალი დანაშაული დამნაშავის მხრიდან. სპეციალური პრევენცია მოქმედებს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად სპეციალური პრევენცია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს უფრო ეფექტურია. დამნაშავეს ესპობა შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ჩადენისა, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დანაშაულს ჩაიდენს სასჯელადსრულების დაწესებულებაში.

სპეციალური პრევენციის მიზანი მიღწეული იქნება, თუ დასჯილი პირი აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაძლოა, რომ მისი ქცევა არ შეესაბამებოდეს საზოგადოებაში გაბატონებულ თანაცხოვრების წესს, მან ჩაიდინოს სხვა სახის სამართალდარღვევა, მაგრამ ეს რა თქმა უნდა აღარ აღიქმება როგორც სასჯელის მიზნის მიუღწევლობა.⁶³⁵

სასჯელის სპეციალური პრევენციის მიზანი გულისხმობს დანაშაულის რეციდივის გამორიცხვის, მინიმალიზების მცდელობას, რაც პრინციპში ძირითადად

⁶³³ მაჭარაშვილი ო., დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), აღმანახი, #12, 1999, 54.

⁶³⁴ კორძაძე ზ., სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი, #8, 1998.

⁶³⁵ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, 34.

მიღწეულ უნდა იქნეს დამნაშავეს რესოციალიზაციით. ამ მხრივ, დანაშაულის სპეციალური პრევენციისა და რესოციალიზაციის მიზნები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.⁶³⁶

სასამართლო ვალდებულია სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დამნაშავეს პიროვნება. თუ სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, სასამართლომ შედარებით მკაცრი სასჯელი უნდა დანიშნოს. მაგალითად, პირს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის დაენიშნა არასაპატიმრო სახის სასჯელი, მან კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა დანიშნოს შედარებით მკაცრი სასჯელი, მაგ. თავისუფლების აღკვეთა, რადგან არასაპატიმრო სასჯელი არაეფექტური აღმოჩნდა.

პიროვნების სოციალური დახასიათებისათვის ნასამართლეობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ წარსულში ჩადენილმა დანაშაულმა პირზე ყოველთვის უარყოფითი გავლენა მოახდინოს. დამნაშავეს პოსტ - დანაშაულებრივი ქცევა უნდა მოწმობდეს, რომ მან მოინანია დანაშაული და გამოსწორდა. მსგავსი სიტუაცია სხვა ბევრ რამესაც შესაძლოა გულისხმობდეს. ამიტომ, მხოლოდ იმის გამო, რომ პიროვნება ადრე ნასამართლევი იყო ყოველთვის არ გულისხმობს ამ პირის გაზრდილ სოციალურ საშიშროებას. სასამართლოს ფუნქციაა დამნაშავეს ცხოვრების წესის, მისი რეპუტაციის შეფასება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თუ რა საფუძველით იქნა პირი გათავისუფლებული ამნისტიის, შეწყალების, პირობით ვადამდე გათავისუფლებით ან სხვა საშეღავათო საშუალებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დადებითად უნდა იქნეს შეფასებული ახლახან მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მიღებული მიდგომა არასრულწლოვანთა ნასამართლეობის თაობაზე. კოდექსის მე-12 მუხლში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანს ნასამართლეობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

⁶³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება, 50-ე პუნქტი.

ამით კანონმდებელი ნდობას უცხადებს არასრულწლოვანს და გზას უხსნის მას სასჯელის მიზნის მისაღწევად.

დამნაშავის პიროვნების შესაფასებლად და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ასევე, დადგინდეს დამნაშავის ქცევა დანაშაულის ჩადენისას და ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აქ მოსამართლის განსასჯელია, რა მოიმოქმედა დამნაშავემ მას შემდეგ, რაც განხორციელდა დანაშაული.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ საკმაოდ ბევრი დანაშაული მათ შორის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, ასევე საკუთრების სფეროში ჩადენილი დანაშაულები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ობიექტურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან, ერთგვარად ასტიმულირებენ ადამიანთა ქცევას. მაგალითად ბოლო პერიოდში ხშირად გაისმის „მძიმე ცხოვრებისეული გარემოებები“ რის გამოც აქტუალური გახდა სხვისი საკუთრების ხელყოფა, შესაბამისად ახალი დანაშაულის პრევენციის მიზნით, სასჯელის დანიშვნისას მნიშვნელოვანია ობიექტური ცხოვრებისეული გარემოებების სრულყოფილი გაანალიზება მოსამართლის მიერ.

შესაბამისად სასამართლომ ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეძლოს სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, რაც ერთ-ერთი საწინდარია ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და ზოგადი და კერძო პრევენციის ცხოვრებაში რეალიზების.

7.3. ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ურთიერთმიმართება

რესოციალიზაცია არ უნდა გავაიგივოთ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან, ვინაიდან მათ ორი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ.

პირველი არის ის, რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მიმართულია, როგორც მსჯავრდებულთა მიმართ, ასევე, საზოგადოების სხვა, „მერყევი წევრების“ მიმართ, ხოლო რესოციალიზაცია კონკრეტულ ადამიანებზეა ორიენტირებული, კერძოდ კი მსჯავრდებულებზე.

მეორე განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ რესოციალიზაცია ითვალისწინებს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მისი მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას, როგორც სამომავლოდ უსაფრთხოს, ხოლო სასჯელის მიზნის - ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ქვეტექსტი გულისხმობს, რომ მსჯავრდებულმა სასჯელის შიშით აღარ გაიმეოროს დანაშაული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია, მაშინ აუცილებელი ხდება დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლაცია. გამოდის, რომ სასჯელის ნეგატიურ კერძო პრევენციას, ერთგვარად, სუბსიდიური ხასიათი აქვს რესოციალიზაციის მიზანთან მიმართებით. ეს ფაქტი კი ხაზს უსვამს რესოციალიზაციის იდეის განხორციელების პრიმატს.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ურთიერთმიმართების კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი, რომელიც გამოიყენება როგორც კონტინენტური სამართლის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში.

საქართველოში პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს საკანონმდებლო დასაბამი XX საუკუნის დასაწყისიდან აქვს. აღსაღნიშნავია, რომ 1961 წლის სს კოდექსით (46-ე მუხ.) მას ერქვა „პირობითი მსჯავრდება“ და მის გვერდით არსებობდა ორი მუხლი განაჩნის აღსრულების გადადებაზე (მუხ.47-ე და 47 1), რაც სადღეისოდ არ არსებობს საქართველოს სს კოდექსში, თუმცა იგი შენარჩუნებულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ნაწილში (მაგალითად, ბელორუსიაში).

საქართველოს 2000 წლის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე პირობითი მსჯავრდების ინსტიტუტის შესაბამისადა მუხლმა (სსკ 46-ე მ.) ორჯერ განიცადა ცვლილება. ერთხელ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე. მეორედ კი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით.

განსხვავებით 2000 წლის სს კოდექსის 63-64 ე მუხლებით დადგენილი პირობებისგან, 1961 წლის კოდექსის 46-ე მუხლით პირობითი მსჯავრდება

გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაო.

2000 წლის სს კოდექსის 63-ე მუხლით კი პირობითი მსჯავრი გამოყენება შეიძლებოდა მაშინ, თუ სასჯელის სახით დანიშნული იყო გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ტუსალობა ან თავისუფლების აღკვეთა.

2006 წლის 28 აპრილის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კი დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სსკ 63-64 მუხლებში საერთოდ არაა დაკონკრეტებული, თუ რომელი სახის სასჯელის ჩათვლა შეიძლება პირობით. სსკ 64-ე მუხლებში, სადაც საუბარია გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობაზე, მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ დანიშნული სასჯელი შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი. თუმცა აქედან არ ჩანს ის, შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი ძირითადი სასჯელის (მაგალითად, ჯარიმის) ჩათვლა პირობით.

1961 წლის სს კოდექსით პირობითი მსჯავრდების გამოყენება ფორმალურად არ იყო შეზღუდული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით (იგი შეიძლება ყოფილიყო მკვლელობაც დამამძიმებელ გარემოებაში), ასევე მნიშვნელობა არ ჰქონდა ნასამართლობის ფაქტს. მთავარი იყო ის, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა საქმის გარემოებები და ბრალდებული პიროვნება (რაშიც შესაძლოა, მხედველობაში მიიღებდა მისი ნასამართლობის ფაქტს). რაც მთავარია, სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხადოს დანიშნული სასჯელი და განაჩენში უნდა აღენიშნა პირობითი მსჯავრდების შესაბამის მოტივები.⁶³⁷

2000 წლის სს კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ანუ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედი ნორმით, პირობითი მსჯავრის დროს სასამართლო ითვალისწინებდა სასჯელს დანიშვნის საფუძველს და პირობითი მსჯავრის მოსალოდნელ ეფექტს.

⁶³⁷ იხ. საქართველოს სს კოდექსი, ცვლილებით და დამატებებით 1995 წლის 1 ივნისამდე თბ. 1995, მუხ. 46-ე.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე არაა მითითება იმაზე, რომ „სასამართლო დარწმუნდა, მიზანშეუწონელია ბრალდებულმა მოიხადოს დანიშნული სასჯელი“.

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, დღეის მდგომარეობით მთელი რიგი შეზღუდვებია დაწესებული პირობითი მსჯავრის გამოყენებისთვის. კერძოდ, სსკ 63-ე მუხლში მითითებულია რომ:

ა) თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობითად (სსკ 63-ე მუხლის პირვ.ნაწ.)

ამდენად, დანაშაული სასჯელის პირობითად ჩათვლისთვის აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ მხარეებს შორის დადებული უნდა იყოს საპროცესო შეთანხმება;

ბ) თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანაშაული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია (63-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, შესაძლებელია, ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაული ან გაუფრთხილებელი დანაშაული, რომელიც შესაძლოა, იყოს მძიმეც;

გ) თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული, ეს პირი უნდა აღიარებდეს დანაშაულს ან/ და თანამშრომლობდეს გამოძიებასთან (მე-3 ნაწ.).

დ) წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისთვის. (ე.ი შეიძლება ნასამართლევი იყოს განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის- (მე-3 ნაწ.);

ე) წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს ორი ან მეტი განზრახი დანაშაულისათვის, თუნდაც ეს იყოს ნაკლებად მძიმე (მე-4 ნაწ.), რაც ასევე ზღუდავს პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას;

რაც შეეხება გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის ნასამართლეობის რაოდენობას, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი პირობა სსკ 63-ე მუხლის მიხედვით არის საპროცესო შეთანხმების არსებობა მხარეებს

შორის. ასეთი შეთანხმების არარსებობისას იგი არ გამოიყენება, თუნდაც პირი წარსულში სრულებით არ იყოს ნასამართლევო, ხოლო ამჟამად კი ჩადენილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული ან სულაც გაუფრთხილებელი დანაშაული.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ სსკ 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი (თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანაშაული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია). წინააღმდეგობაში მოდის სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილთან, რომელიც აწესრიგებს დანიშნული სასჯელის ნაწილის ჩათვლას პირობითად და სადაც მნიშვნელობა არა აქვს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.⁶³⁸

პრობლემა უნდა გადაწყდეს სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის სასარგებლოდ, რადგან იგი ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენების კერძო შემთხვევას. სახელდობრ, ადგენს არა მთლიანად დანიშნული სასჯელის ჩათვლას პირობითად, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის ჩათვლას პირობითად.⁶³⁹

არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი, რეგულირდება 63-ე მუხლის მე-5 ნაწილით, კერძოდ: „თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არ შესრულებია 18 წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“, როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებელი შედარებით ლიბერალურ მიდგომებს აწესებს, ვინაიდან პირობითი მსჯავრის დანიშვნის გარდა უმთავრესი პირობისა (საპროცესო შეთანხმება) განსაზღვრულია მხოლოდ ორი წინაპირობა არასრულწლოვანისათვის პირობითი მსჯავრის დანიშვნის, კერძოდ იგი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის უნდა იყოს არასრულწლოვანი და მას პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული, რომელიც არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე.

⁶³⁸ გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 393-394; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3. თბ. 2013, 118-119

⁶³⁹ თოდუა.ნ., (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 382.

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების გარკვევას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, ამ საკითხის სწორად გარკვევა თავისებურ ზეგავლენას ახდენს განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნაზე, პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გაზრდის, ამ ვადაში შესასრულებელი ვალდებულებების შეცვლის საკითხზე, ამნისტიის გამოყენების საკითხზე, ნასამართლობის საკითხზე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პირობითი მსჯავრის იურიდიულ ბუნებაზე მეცნიერებაში არაა ერთიანი მოსაზრება. დღემდე სადავოა საკითხი, პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ნაირსახეობას, სასჯელის სახეს, სასჯელისგან გათავისუფლების სახეს, სასჯელის გადავადებას, სასჯელის მოხდის თავისებურ სახეს, თუ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებას?

ზოგიერთი მეცნიერი პირობითი მსჯავრის სასჯელის სახედ მიჩნევას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უჭერდა მხარს სხვადასხვა არგუმენტების მომველიებით, რაც ძირითადად დაკავშირებულია სასჯელის მიზნებთან მის მსგავსებასთან.⁶⁴⁰

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით კი პირობითი მსჯავრი არის სასჯელის ისეთი სახე, რომელიც დგას თავისუფლების აღკვეთასა და გამასწორებელ სამუშაოს შორის.⁶⁴¹

ლიტერატურაში მითითებული არგუმენტები ვერ გამოდგება პირობითი მსჯავრის სასჯელის სახედ მიჩნევისათვის.

მიუხედავად ყველაფერი ამისა, პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე, რომლის თაობაზეც, პროფესორი ნონა თოდუა განსაზღვრავს არგუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ:

ა) ლიტერატურაში მოყვანილი არგუმენტები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი სასჯელის სახედ უნდა ჩაითვალოს, რადგან მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულისათვის აწესებს არა მარტო სასჯელს, არამედ

⁶⁴⁰Пионтовский А. А. Об условном осуждении или системе испытания, Уголовно-политическое исследование. Одесса 1894.

⁶⁴¹ Якубович М.И.О Правовой природе института уголовного осуждения, С.77.

სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების სხვა სახესაც (სსკ პირველი მუხ.). რომელიც იგივე მიზანს ემსახურება, რასაც სასჯელი;

ბ) პირობითი მსჯავრი რომ არაა სასჯელის სახე, ამაზე უდაოდ მეტველებს ის ფაქტი, რომ იგი არაა ნახსენები სს კოდექსის მე-40 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სასჯელთა სახეები;

გ) პირობითი მსჯავრის გამოყენებას აუცილებლად წინ უძღვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რომლითაც პირს უნდა დაენიშნოს სასჯელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, თავისუფლების აღკვეთის, თუ სხვა სახით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პირობითი მსჯავრის გამოყენება;

დ) დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი შეუცვალა სხვა სახის სასჯელით. შესაბამისად, იგი არაა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით(სსკ 73-ე მ.), რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანიშნული სასჯელის ნაწილის მოხდის შემდეგ.

ე) თუ პირობით მსჯავრს ჩავთვლით სასჯელის სახედ, მაშინ გამოვა, რომ სასამართლოს ერთი განაჩენით ერთი მსჯავრდებულის მიმართ ერთდროულად გამოაქვს ორი სახის ძირითადი სასჯელი: ერთი, რასაც ადგენს სასჯელის ზოგადი საწყისების გათვალისწინებით (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა) და მეორე, რასაც ადგენს პირობითი მსჯავრის გამოყენებით. ამასთანავე გამოვა, რომ სასამართლო პირველი ძირითადი სასჯელის აღსრულებას აჩერებს მეორე ძირითადი სასჯელის დანიშვნის გამო. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულებით უკანონო და დაუშვებელია, რადგან ერთდროულად შეუძლებელია ორი ძირითადი სასჯელის დანიშვნა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ ორი დამატებითი სასჯელის დანიშვნა.(სსკ 41-ე მუხლის მე-2¹ ნაწ.);

ვ) გარდა ამისა, თუ პირობით მსჯავრს ჩავთვლით სასჯელის სახედ, გამოვა, რომ პირველი ძირითადი სასჯელის აღსრულება არ აღსრულების საკითხი დამოკიდებულია

იმაზე, რამდენად შეასრულებს მსჯავრდებული მეორე ძირითადი სასჯელით - პირობითი მსჯავრით დადგენილ მოთხოვნებს. ეს კი სრული იურიდიული ნონსენსია;⁶⁴²

ზემოაღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე, პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე, თუმცა იგი ისეთი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებაა, რომლის გამოყენების დროსაც შესაძლებელია (თუმცა არაა აუცილებელი), სასამართლომ მსჯავრდებულს დაუნიშნოს ისეთი დამატებითი სასჯელი (მაგალითად, ჯარიმა), რაც მსჯავრდებულის მიმართ არ ყოფილა დაწესებული იმ ძირითად სასჯელთან ერთად, რაც ჩაითვალა პირობით.

პირობითი მსჯავრი არაა ასევე სასჯელისგან გათავისუფლების ნაირსახეობა, ვინაიდან იგი არაა შეტანილი სსკ XIV თავში, როგორც სასჯელისგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე. სს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებულია სასჯელისგან გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევა, საიდანაც პირობითი მსჯავრი არც ერთ მათგანს არ შეესაბამება.

პირობითი მსჯავრი არ არის ასევე სასჯელის გადავადების სახე, ვინაიდან სასჯელის გადავადება, სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე გამოიყენება რამდენიმე შემთხვევაში:

1. როცა არსებობს სასჯელის დროულად მოხდის გარკვეული დამაბრკოლებელი გარემოება;
2. ან როცა სასჯელის მოხდა მოცემულ ვითარებაში არაჰუმანურობის გამოვლინება იქნება.

ასეთი ვითარება გვაქვს მაშინ, როცა მსჯავრდებული ორსულადაა ან მშობიარობის შემდეგ, როცა მას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის შვილი.

პირობითი მსჯავრისგან სასჯელის გადავადება კიდევ იმით განსხვავდება, რომ პირობითი მსჯავრით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში თუკი პირი შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, მას სასჯელი მოხდილად ეთვლება, ხოლო ნასამართლობა

⁶⁴² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 616.

კი-გაქარწყლებულად (სსკ 79-ე მუხლის მე-3 ნაწ. „ა“ ქვეპუნქტი), რასაც ადგილი არა აქვს სასჯელის გადავადებისას.

პირობითი მსჯავრი ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახედ, რადგან:

ა) სს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას პირის მიმართ არ გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი და პირი არ ითვლება ნასამართლევად. პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობა კი არის პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა, რაც იწვევს მსჯავრდებულის ნასამართლობას;

ბ) სწორედ ამიტომაც პირობითი მსჯავრი არაა მითითებული საქართველოს სსკ XIII თავში, სადაც ჩამოთვლილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები, რა დროსაც პირის მიმართ არ გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი.

როგორც წესი, პირობითი მსჯავრი მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი მოიხადოს თავისუფლებაში.

ეს აზრი არსებითად სწორია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი უფრო მეტად ესადაგება ისეთ შემთხვევას, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა და იგი ჩათვლილია პირობით (რასაც უფრო მეტად აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში). მაგრამ, საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია ასევე ისეთ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სასჯელი (სსკ 64-ე მ.).⁶⁴³

შესაბამისად, როცა დანიშნულია სხვა ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელი (მაგალითად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ პირობითი მსჯავრი პირს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნული სასჯელი მოიხადოს თავისუფლებაში, რადგან დანიშნული სასჯელი ისედაც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

⁶⁴³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 619.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორებისათვის არაა საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა და რომ ამისათვის საკმარისია პირობითი მსჯავრით გამოსაცდელ ვადაში დაწესებული სხვა მოვალეობების შესრულება.

პირობითი მსჯავრი არ არსებობს გამოსაცდელი ვადის გარეშე. კერძოდ, თუ სახეზეა ამ კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 63-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

როგორც ვხედავთ, სსკ 64-ე მუხლის მიხედვით გამოსაცდელი ვადა გულისხმობს ორი კუმულაციური ვალდებულების შესრულებას: ა) არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ბ) შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ამდენად, ეს მოვალეობები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: 1. რომელსაც ადგენს კანონმდებელი და ამდენად, იგი არის მთავარი (გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული); 2. რომლის მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს აკეთებს კანონმდებელი სსკ 65-ე მუხლში, ხოლო სასამართლო საქმის გარემოების მიხედვით ამ ჩამონათვალთაგან აკეთებს არჩევანს.⁶⁴⁴

რადგან სახეზეა ორი კუმულაციური ვალდებულება, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია, მსჯავრდებულს ამ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დააკისროს ის მოვალეობები, რაც ჩამოთვლილია სსკ 65-ე მუხლში (თუმცა არაა ვალდებული ყველა მათგანი იყოს დაკისრებული).

სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის სასჯელი დაუნიშნა სასამართლომ პირს. კერძოდ:

ა) დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა;

⁶⁴⁴ თოდუა.ნ., (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 433.

ბ) დაუნიშნა მასზე უფრო მსუბუქი სასჯელი; თუ

გ) დაუნიშნა სასჯელი დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობით.

კერძოდ, თუ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი, მაშინ გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წლისაა.

თუ დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა, მაშინ გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 6 წლისაა.

რაც შეეხება ზემოთხსენებულ „გ“ შემთხვევის დროს დანიშნულ გამოსაცდელ ვადას, სსკ 64-ე მუხლის საფუძველზე: დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას - არანაკლებ 2 და არაუმეტეს 6 წლისა.

იმისათვის რათა პირობით დანიშნული სასჯელი ეფექტური იყოს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისით, ერთმნიშვნელოვნად პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადის მსვლელობისას სჭირდება შესაბამისი კონტროლი, ასევე - გარკვეული დახმარება.

კონტროლი საჭიროა მის ყოფაქცევაზე, ასევე იგი საჭიროა იმისთვისაც რათა გაირკვეს, თუ რამდენად ასრულებს იგი სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

რაც შეეხება დახმარებას, მსჯავრდებულს იგი სჭირდება მაშინ, როცა ამ ვალდებულებების შესრულებისას წააწყდება დაბრკოლებას, რომლის გადალახვა მისთვის სიმძნელეს წარმოადგენს. ასეთი სიმძნელე პირს შელიძლება შეექმნას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ბრალის გარეშე დაკარგა სამუშაო და ამდენად, ვერ ასრულებს ოჯახისადმი მატერიალურ დახმარების ვალდებულებას. ამ დროს პრობაციის ბიურო მას შემდგომისდაგვარად უნდა დაეხმაროს ახალი სამუშაოს მოძებნაში.

პირობით მსჯავრდებულის მიმართ კონტროლს და დახმარებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო - პრობაციის ბიურო (პრობაციის ოფიცრების მეშვეობით), გარდა იმ შემთხვევისა თუ პირობითი მსჯავრდებული არის სამხედრო მოსამსახურე, ამგვარ ფუნქციას მის მიმართ

ახორციელებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა და არა პრობაციის ბიურო (66-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

პრობაციის ოფიცერი თვალყურს ადევნებს მსჯავრდებულზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდა მსჯავრდებულის მიერ რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობა, პრობაციის ბიურომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისით, ისევე როგორც სხვა ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, მნიშვნელოვანია ყოველწლიურად ძლიერდებოდეს და ეფექტური და ინოვაციური კონტროლის მექანიზმების გარდა, სხვადასხვა სერვისების უფრო ფართო სპექტრს სთავაზობდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, პირობით მსჯავრდებულებს და ყოფილ მსჯავრდებულებს.

დასკვნა

წინამდებარე დისერტაციაში, სასჯელის მიზნებიდან განხილულ იქნა დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა წარმომეჩინა მისი პრიორიტეტულობა სასჯელის სხვა მიზნებთან მიმართებით.

კაცობრიობის დასაბამიდან, დანაშაული საზოგადოების თანხლები სოციალური მოვლენაა, ხოლო დღევანდელ რეალობაში, როდესაც თანამედროვე სამყარო და ადამიანური შესაძლებლობები არნახული ტემპით ვითარდება, იზრდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რის გამოც თითოეულ სახელმწიფოში იცვლება კრიმინოგენული მდგომარეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თითოეულმა სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოებისა და რესურსების მობილიზება, რათა ეფექტურად ებრძოლოს დამნაშავეობას. იმავდროულად თითოეულმა მათგანმა შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატაროს დანაშაულის შესამცირებლად, რაც თავის მხრივ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას განამტკიცებს.

იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული აზრის მიხედვით, სასჯელი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი რეაქციაა დანაშაულზე, სახელმწიფოს პასუხი მოტივირებულია დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ თანაზომიერი იძულების ღონისძიების გამოყენებით მისი ქცევის კორექტირების აუცილებლობით - საზოგადოებაში მისი ადაპტაციითა და მის მიერ მომავალი დანაშაულის ჩადენის რისკების მინიმალიზაციით, რაც რესოციალიზირებულ მსჯავრდებულს ნიშნავს.

სისხლის სამართლის თეორიაში მსჯელობის საგანია ის, თუ რა არის სასჯელის მიზანი, ვინაიდან ერთმანეთთანაა გაიგივებული სასჯელის ცნება და მისი მიზანი. სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რის მიღწევასაც ცდილობს კანონმდებელი სასჯელის დაწესებით და სასამართლო სასჯელის დანიშვნით, ხოლო რაც შეეხება დასჯას, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი სასჯელის მიზნად მიიჩნევს, იგი არის არა სასჯელის მიზანი, არამედ სასჯელის ნიშანი. დასჯა სასჯელის მიზანი ვერ იქნება, ვინაიდან სასჯელის მიზანი ორიენტირებულია მომავლისაკენ. პიროვნებას ვსჯით

იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. ამდენად, დასჯა არ შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც სასჯელის ნიშანი, ისე მისი მიზანიც. მიმაჩნია, რომ დასჯა არის სასჯელის ნიშანი, ხოლო მიზანი მოთავსებულია შინაარსის ფარგლებს გარეთ.

იურიდიულ დოქტრინაში პრობლემატურია სასჯელის მიზნებს შორის იერარქიულობის საკითხი.

ვერ დავეთანხმები პროფ. ი. დვალის მოსაზრებას, რომ სასჯელის უპირველესი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა. იგი წერს: „თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, განა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა? ბუნებრივია, არა, რადგან ეს სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე ძირს გამოუთხრის“.⁶⁴⁵

ზემოაღნიშნული შეფასება გადაჭარბებულად მიმაჩნია, ვინაიდან სამართლიანობის აღდგენის მიზანი სასჯელის შეფარდებით სრულდება, მხოლოდ აწმყოზეა ორიენტირებული და კონკრეტული პირის (დაზარალებულის) ინტერესებს იცავს. იგი არ არის მიმართული დანაშაულებრიობასთან საბრძოლველად და კრიმინალის დონის შესამცირებლად, განსხვავებით რესოციალიზაციისაგან, რომელიც ორიენტირებულია სამომავლო შედეგზე, დამნაშავის რეაბილიტაციაზე. ეს კი მაქსიმალურად ამცირებს ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობას და ხელს უწყობს მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაციას.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავად განხილულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი და მისი ურთიერთმიმართება დამნაშავის რესოციალიზაციასთან. ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში იგულისხმება ზოგადი, ანუ გენერალური და კერძო, ანუ სპეციალური პრევენცია. სასჯელის ზოგადი, ანუ გენერალური პრევენცია მოიცავს ორ სახეს: პოზიტიურ გენერალურ პრევენციას და ნეგატიურ გენერალურ პრევენციას, ხოლო სასჯელის სპეციალურ, ანუ კერძო

⁶⁴⁵ დვალის ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 25.

პრევენციაში ასევე გამოიყოფა ორი კომპონენტი: პოზიტიური სპეციალური პრევენცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია.

მიმაჩნია, რომ სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია მოქმედებს საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელით (კანონისადმი პატივისცემა), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით (სასჯელისადმი პატივისცემა).

რაც შეეხება სასჯელის ნეგატიურ გენერალურ პრევენციას, იგი ზემოქმედებას ახდენს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ (განსხვავებით პოზიტიური გენერალური პრევენციისგან, რომელიც საზოგადოების ყველა წევრზე მოქმედებს), არამედ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ, როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას გამოაცხადებს დანაშაულად და მის ჩადენას აკრძალავს სასჯელის მუქარით (კანონით დაშინება), ასევე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით (სასჯელით დაშინება).

სასჯელის მიზნების ისტორიული კვლევა, როგორც ძველ ქართულ სისხლის სამართალში, ასევე საბჭოთა სისხლის სამართალში, ევროპულ და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში, ვფიქრობ ნათლად წარმოაჩენს სასჯელის მიზნების განვითარებას და ტრანსფორმაციას, რომელიც სასჯელის სხვა მიზნებთან მიმართებაში, დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის პრიორიტეტულობის წარმოჩენაზეა ორიენტირებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მიზანს გააჩნია არსებობის საფუძველი, ჩემი აზრით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის უპირატესი

მნიშვნელობა ექვს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან დასახელებული სასჯელის მიზნებიდან, არცერთი ისე არ უზრუნველყოფს დანაშაულის დონის შემცირებას, როგორც ეფექტური რესოციალიზაციის პროცესი.

შესაბამისად მიზანშეწონილად მიმაჩნია, სისხლის სამართლის კოდექსი იძლეოდეს ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი იძლევა, კერძოდ: „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.“

როგორც ვხედავთ, პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მსჯავრდებულ პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზეც მიუთითებს, მაგრამ ვფიქრობ, ამ მიმართებით, პატიმრობის კოდექსი არარეალურად მაღალ სტანდარტს ადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით.

მიმაჩნია, რომ სასჯელის მიზანი- მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მართალია მსჯავრდებული არღვევს ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის ფაქტები არ ფიქსირდება.

აგრეთვე მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო დეფინიციაშია ზედმეტია მითითება „სხვა ადამიანებზე“, ვინაიდან მისი წინმსწრები სიტყვა - „საზოგადოება“, შინაარსობრივად თავისთავად მოიცავს სხვა ნებისმიერ ადამიანს.

რესოციალიზაციის საკანონმდებლო განმარტებაში, აგრეთვე მიზანშეწონილად მიმაჩნია აქცენტირება „პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე“, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებასთან, არამედ მის აღდგენასთან.

გასაზიარებელია პროფესორ გურამ ნაჭყებიას განმარტება „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა მსჯავრდებულის პიროვნებაში ბრალის, როგორც უპასუხისმგებლობის დაძლევა და პოზიტიური პასუხისმგებლობის

გამოღვიძება, როცა იგი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ამიერიდან მოეკიდება პასუხისმგებლობით, ე.ი. მისი აღსრულების შინაგანი მზაობით“.⁶⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ რესოციალიზაციის საკანონმდებლო დეფინიცია ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, კერძოდ შემდეგი სახით:

„მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოებრივი ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის აღდგენა“.

სსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რომლის ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულ დეფინიციასთან მიმართებაში, არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს და მათი მოსაზრება გასაზიარებელია იმ მიმართებით, რომ კანონმდებელს დაშვებული აქვს პრინციპული ხასიათის შეცდომა, ვინაიდან სასჯელის მიზანი ვერ იქნება სხვა პირზე ზემოქმედება, რამე თუ სასჯელის უშუალო ზემოქმედების ობიექტი სწორედ მსჯავრდებულია და პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძება სწორედ მსჯავრდებულის პიროვნებაში უნდა მოხდეს.

სსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში, სახეზე გვაქვს კიდევ ერთი საკანონმდებლო ხარვეზი, ვინაიდან განმარტებულია, რომ სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რომლის ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მაგრამ პატიმრობის კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლებში საუბარია, მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიმართ გასატარებელ რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებსა და სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებზე.

⁶⁴⁶ სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება თბ. 2021, 102.

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონშია ნახსენები არასაპატიმრო სასჯელშეფარდებულ მსჯავრდებულთა მიმართ გასატარებელ რესოციალიზაციის საშუალებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, კანონმდებელმა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი და ასევე, თვალსაჩინოდ ასახოს რესოციალიზაციის პროცესის ის საშუალებები და გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც ხდება და უნდა მოხდეს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვთ არასაპატიმრო სასჯელი.

ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რესოციალიზაციის ცნებაზე და მასთან ასოცირებული ცნებების ანალიზზე (სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, ინტეგრაცია, აღზრდა, მკურნალობა და გამოსწორება. თითოეული მათგანი განსხვავებული მეთოდისა და საშუალების გამოყენებას გულისხმობს, იმ უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რასაც მსჯავრდებულის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებას გულისხმობს), რის საფუძველზეც ნათლად დასტურდება, რომ სისხლის სამართალში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მის გარდაქმნას, კანონმორჩილ მოქალაქედ და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ვინაიდან რესოციალიზაციის მიზანთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელის დანიშვნის საკითხი, ნაშრომში დეტალურად არის განხილული სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც გამოკვეთილია საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლო განაჩენებში ძირითადად შაბლონურად ხდება სასჯელის მიზნების განმარტება და ფაქტიურად არ ვითარდება მსჯელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზანზე და ასევე არ ხდება სასჯელის შინაარსის სრულყოფილი განმარტება.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია იწყება სასჯელის დანიშვნის მომენტიდან, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის დანიშვნისას დეტალურად იქნას შესწავლილი ბრალდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა, განვლილი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, საქმეში არსებული უტყუარი და პირდაპირი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს საქართველოს სახელით განაჩენის გამოცხადება, რომლის სამართლიანობასა და პროპორციულობაში პირველ რიგში მსჯავრდებული უნდა დარწმუნდეს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას სასჯელის მიზნების მიღწევისას, განსაკუთრებით კი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისას, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება.

შესაბამისად მოსამართლისთვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება არ არის მხოლოდ რეკომენდაცია, არამედ პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალიზირებული სასჯელი უნდა განსაზღვროს, რომელიც დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხარვეზად მიმაჩნია ის გარემოება, რომ სსკ-ის 53-ე მუხლით განსაზღვრულ გარემოებებში, რომლითაც სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე ხელმძღვანელობს, არ არის ნახსენები დამნაშავის პიროვნება.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დამნაშავის პიროვნების სრულყოფილი შესწავლა საფუძველს წარმოადგენს, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების პროპორციული, სამართლიანი და ინდივიდუალური სასჯელის დანიშვნისა, რომელიც ხელს შეუწყობს სასჯელის დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას.

ამ მხრივ განსაკუთრებით მისასალმებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე უნდა მომზადდეს, გასათვალისწინებლად სავალდებულო, დამნაშავის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

დამნაშავეს შესახებ, ინდივიდუალურ ანგარიშში ასახული ბიო-ფსიქო-სოციალური ინფორმაცია ხელს უწყობს მისი პიროვნების სრულყოფილ შესწავლას სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მაქვს გააზრებული, თუ რაოდენ დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, ანალოგის დანერგვა სრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაშიც.

პრაქტიკულობის თვალსაზრისით, მართლმსაჯულების პირველივე სტადიიდან ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება, ლოგიკური განვითარება იქნება პენიტენციურ სისტემაში უკვე დანერგილი მსჯავრდებულის რისკისა და ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების სისტემის, რაც თავის მხრივ მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს.

წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან. განსაკუთრებით, კი რესოციალიზაციის მიზანთან.

მინიმალურ სასჯელზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საკითხი, ხომ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება თანამედროვე დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოს.

ცხადია დემოკრატიის გარეშე, არათუ მსჯავრდებულის ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა შეგვეძლება, არამედ კანონმორჩილი ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა არსებობაც კი ეჭვქვეშ დადგება.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოებისათვის საყოველთაო სიკეთის მოტანაზე, სოციალური მიმართულებების გაძლიერებითა და დაცვით. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი უმნიშვნელოვანესია, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესის ეფექტური

წარმართვისათვის. ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პრინციპში უნდა მოვიაზროთ სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა მსჯავრდებულისათვის ადეკვატური სარეაბილიტაციო პროგრამების მიღება-შემუშავებასა და მათ გატარებაში.

სახელმწიფოს, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით, ნებისმიერი აქტივობის განსახორციელებლად ფინანსური და ადამიანური რესურსები ესაჭიროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა და მიდგომები განხილულ იქნეს ეკონომიკურ ჭრილში და შერჩეული აქტივობები იყოს მაქსიმალურად ოპტიმალური და შედეგზე ორიენტირებული.

უფრო კონკრეტულად კი მიმაჩნია, რომ რესოციალიზაციის მიზნის მისაღწევად და ხარჯთეფექტურობის თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლებამ, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით უნდა დაამტკიცოს კომპლექსური და კარგად გააზრებული, ხანგრძლივადიანი და ხარჯთეფექტური სამოქმედო გეგმა, ყველა იმ აქტივობის გათვალისწინებით, რომელიც უცვლელად და გეგმაზომიერად განხორციელდება.

რესოციალიზაციასთან კავშირში განხილულ იქნა თავისუფლების აღკვეთის საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის მის მიღწევას, რა ძალისხმევა სჭირდება სახელმწიფოს საამისოდ, თავისუფლების აღკვეთა თავისი ხასიათით ყველაზე მძიმე სასჯელს წარმოადგენს და ამ დროს სასჯელის გავლენა ყველაზე მეტად შეიმჩნევა, მნიშვნელოვანია შემცირდეს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება რიგ შემთხვევებში, სადაც რესოციალიზაციის მიღწევა შედარებით ნაკლები ძალისხმევითაცაა შესაძლებელი, მისი სამომავლო შედეგებიდან გამომდინარე.

მიმაჩნია, რომ მოსამართლემ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა დანიშნოს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ალტერნატიულ სასჯელებს. ზოგადად ცნობილია, რომ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს.

სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა უვადო თავისუფლების აღკვეთაზე. რესოციალიზაციის უმთავრესი ფაქტორი ასეთ შემთხვევებში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობაა.

რესოციალიზაციის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი, რათა ერთის მხრივ მსჯავრდებული განთავსებული იყოს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებში და მეორეს მხრივ, ხელი მიუწვდებოდეს რესოციალიზაციის პროცესის სხვადასხვა სერვისებზე, როგორცაა: ფსიქო-სოციალური მომსახურება, იურიდიული მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ღონისძიებები, პროფესიულ გადამზადებაში ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება.

გარდა ამისა, როგორც მსჯავრდებულის, ასევე სასჯელმოხდილი პირისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმებაში ხელშეწყობა, რათა მას გაუჩნდეს ლეგალური შემოსავალი და აღარ იფიქროს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე.

ამ მხრივ მიზანშეწონილად მიმაჩნია, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დაინიცირება, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებლები, რომლებიც დაასაქმებენ მსჯავრდებულებს ან ყოფილ მსჯავრდებულებს, ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან მიმართებით დისერტაციაში ასევე განხილულია არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების თავისებურებები, ვინაიდან ალტერნატიული სასჯელები იცავს მსჯავრდებულს ციხის ზეგავლენისგან, ეტიკეტირებისაგან და საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე შესაძლებელს ხდის პირის გამოსწორებას.

ამ მხრივ მისასაღმებელია, რომ საქართველოში ალტერნატიული სასჯელების შეფარდების ტენდენცია თანდათან იზრდება, მაგრამ ამ კუთხით სახელმწიფოს კვლავაც გასატარებელი აქვს შესაბამისი აქტიური ღონისძიებები.

ალტერნატიულ სასჯელებთან მიმართებაში, მიუღებლად მიმაჩნია საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული და ქართულ რეალობაშიც დანერგილი და

დადებითად შეფასებული, ალტერნატიული სასჯელის - თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება, რომელიც შინაარსობრივად პირდაპირ ორიენტირებული იყო მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე.

სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე მიმაჩნია, რომ დამნაშავის პიროვნების სრულყოფილ შესწავლას, ასევე განსაკუთრებული როლი აქვს არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში, რამეთუ გამოირიცხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლის მოთხოვნები (მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) და აგრეთვე შინაპატიმრობის სახით დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლის მოთხოვნები (მსჯავრდებულის ფინანსური სიდუხჭირის გამო).

ამ საკითხთან მიმართებაში, მიზანშეწონილად მიმაჩნია ნორმატიული ცვლილებების დაინიცირება, რომლის საფუძველზეც გაუქმდება შინაპატიმრობის აღსასრულებლად დაწესებული ფინანსური ვალდებულებები (სადეპოზიტო თანხა 5000 ლარის ოდენობით და ყოველთვიური მოსაკრებელი 100 ლარის ოდენობით) და სახელმწიფო სრულად დაფარავს სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების ხარჯებს.

სასჯელის სახით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ეფექტურობისათვის, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წინასწარ იყოს განსაზღვრული სამუშაო ადგილები, რომელიც თავისთავად არ იქნება მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებიანი, ამასთანავე სასჯელის მოხდის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში გააჩენს დასაქმების პერსპექტივასაც.

დისერტაციაში აგრეთვე განხილულ იქნა სისხლის სამართლის ზემოქმედების სხვადასხვა ზომები, კერძოდ: პირობით ვადამდე გათავისუფლების, შეწყალებისა და ამინისტის როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში. ეს ზომები უპირობოდ წარმოადგენს მსჯავრდებულის შანსს დაუბრუნდეს საზოგადოებას სასჯელის სრულად მოხდამდე და რესოციალიზაციის პროცესი საზოგადოებაში წარიმართოს.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არ მთავრდება დანიშნული სასჯელის მოხდით, იგი მის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, რასაც სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ესაჭიროება.

ზემოაღნიშნულმა მხარდაჭერამ მინიმუმ უნდა გამორიცხოს ის დისკრიმინაციული მიდგომები და განწყობები, რასაც ყოფილი მსჯავრდებულები დასაქმების ძიების პროცესში აწყდებიან.

საზოგადოებამ მსჯავრდებული უნდა მიიღოს, როგორც სრულფასოვანი მოქალაქე, რისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის აქტიური მუშაობა.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ აქტიური პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით და შეახსენოს მოქალაქეებს ის მორალური და სამართლებრივი ღირებულებები, რომლებზეც დგას თანამედროვე საზოგადოება.

დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კანონმდებლის მიერ რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის საკანონმდებლო აღიარების მიუხედავად, აღნიშნული არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კუთხით ყველაფერი კარგადაა, ვინაიდან ფორმალური აღიარება ერთია და მის მისაღწევად გატარებული ქმედითი ღონისძიებები, კი მეორე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ კუმულაციურად გამოიყენოს ყველა საშუალება დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაში. აგრეთვე დანერგოს და განავითაროს მსჯავრდებულთა საჭიროებებზე მორგებული რესოციალიზაციის ღონისძიებები, ვინაიდან, აღნიშნული მეტად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

ამ პროცესში, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

რესოციალიზაციის სამომავლო პერსპექტივა საზოგადოების უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტიაა. შედეგი, რომელიც მას მოჰყვება გაცილებით აღემატება მასზე გაწეულ დანახარჯებს, ამიტომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ამ პროცესის ნაყოფიერ წარმართვას.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი არა მარტო სისხლისსამართლებრივი საკითხია, არამედ ღრმა ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს. იგი მეტად აქტუალური და პრობლემური საკითხია სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში და შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ამ მიზნის ირგვლივ მუშაობა კვლავ გაგრძელდეს, რაც მჯერა, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სისხლის სამართლის მეცნიერების, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ნორმატიული მასალა:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი 1952 წლის 20 მარტი.
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
4. პატიმრობის კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, სსმ, 12, 24/03/2010.
5. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №1, მუხ. 10, 30/12/1960 (ძალადაკარგულია, 01/06/2000).
6. საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1960 წლის რედაქცია.
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
8. საქართველოს სს კოდექსი, ცვლილებით და დამატებებით 1995 წლის 1 ივნისამდე თბ. 1995.
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 22/06/1999.
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 09/10/2009.
11. საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“.
12. საქართველოს კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ.
13. საქართველოს კანონის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ - 2011 წლის რედაქცია.
14. საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“.
15. საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N566 ბრძანებულება „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“.

16. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანება.
17. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.
18. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის #418 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულება.
19. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის დებულება.
20. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანება სსიპ - „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“.
21. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.
22. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №682 ბრძანება „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

23. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა., 2005.
24. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011.

25. არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბ., 2015.
26. ადგილობრივი დემოკრატიის გზამკვლევი საქართველოსთვის, თბ., 2004.
27. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
28. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019.
29. ავალიანი თ., ჩიტაძე გ., შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ., 2016.
30. არსოშვილი გ., დამნაშავეს რესოციალიზაცია, თბ., 2009.
31. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბ., 2015.
32. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011.
33. არისტოტელე, პოლიტიკა ნაწილი პირველი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ, თბ., 1995.
34. ბალარჯიშვილი ი., დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბ., 2010.
35. ბეკარია ჩ., დანაშაულისა და სასჯელისათვის, ხუცურაული ი. (მთარგ.), ლეჟავა ე. (რედ.), თბ., 2003.
36. ბურდული ი., რედ. საკორპორაციო სამართლის კრებული II, თბ., 2014.
37. გაბუნია მ., კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბ., 2016.
38. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მესამე, თბ., 2013.
39. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე.
40. გაეროს მინიმალური სტანდარტები და წესები, პატიმართან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები).

41. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011.
42. გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.
43. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3. თბ., 2013.
44. გოგიაშვილი გ., კონსტიტუციის საიდუმლოებანი, ლექციები.
45. გორგოძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი. მართლმსაჯულება და კანონი, 2018 N1.
46. გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბ., 2001.
47. გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013.
48. დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011.
49. დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993.
50. დაუთაშვილი პ., კვაშილავა ალ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2003.
51. დვალაძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2008.
52. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბ., 2013.
53. დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2002.
54. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
55. ერემაძე ქ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016.
56. ევროპის საბჭოს მინისტრთა კონტეტის რეკომენდაცია (99) 22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდის თაობაზე, 1-ლი პუნქტი. იხ. მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.),

ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012.

57. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, (2003) 23 რეკომენდაციის დანართი, პირველი პუნქტი.
58. ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France) 16 ოქტომბერი, 2001, 27-ე პუნქტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით. წესი 107.1.
59. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, პრეამბულა.
60. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, 107- წესი.
61. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე.
62. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016.
63. ვარძელაშვილი ი., სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2020.
64. ვარძელაშვილი ი., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა, სამართლის ჟურნალი №2, თბ., 2013.
65. ვაჩიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებები, თბ., 1960.
66. ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010.
67. ზაალიშვილი თ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1, 2012.
68. თოდუა ნ., (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.

69. იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 39-ე, თბ., 2013.
70. ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017.
71. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი- 85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014.
72. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
73. ივანიძე მ., სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი, ჟურნ. „მართლმსაჯულება, №2, 2008.
74. ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რედ. ქიტიაშვილი ა., ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010.
75. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბ., 2007.
76. კოდუა ე., და სხვა(სარედ.ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004.
77. კობერიძე კ., სასჯელადსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, #11-12, თბ., 2002.
78. კობახიძე ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013.
79. კორძაძე ზ., სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, აღმანახი, #8, თბ., 1998.
80. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008.
81. კრისტი ნ., დანაშაულის კონტროლი როგორც ინდუსტრია, ნატალია ბურდული (მთარგ.), თბ., 2017.

82. კრისტი ნ., ტკვილის საზღვრები, ბახტაძე უ. (მთარგ.), შალიკაშვილი მ., გიორგაძე გ. (რედ.), სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017.
83. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბილისი, 2014.
84. ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., სისხლის სამართალი სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019.
85. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა ავტორთა კოლექტივი, თბ., 2018.
86. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, თბილისი 2011.
87. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
88. ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კორკელიას კ., რედ. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012.
89. ლომთათიძე ე., საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბ., 2016.
90. მალანია თ., სასჯელის მიზნები, „სისხლის სამართლის ჟურნალი“, № 2, თბ., 2019.
91. მახარობლიძე თ., ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მათა ივანიძე - 50 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ., 2017.

92. მახარაძე ა., სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, მართლმსაჯულება და კანონი, #1, 2011.
93. მაჭარაშვილი ო., დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიები (შედარებითი ანალიზი), აღმანახი, #12, 1999.
94. მაჭარაშვილი ზ., სამართლებრივი სახელმწიფოს იდეური მეტამორფოზები, სახელმწიფო სამართალი (III), თბ., 2001.
95. მეტრეველი ვ., ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ., 1983.
96. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003.
97. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირები.
98. მიქნაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კორკელია ვ., თბ., 2012.
99. მიქნაძე გ., არასრულწლოვან, ქალთა და უვადო თავისუფლებაალკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბ., 2008.
100. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე.
101. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, (შემდგენელი სამსონ ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე), თბ., 2004.
102. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, 2011.
103. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016.
104. მინდაძე ო., მინდაძე გ., სასჯელაღსრულებითი სამართალი, ქუთ., 2008.

105. მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, ფრანგულიდან ლაზუჩიძე დ. (მთარგ.), თბ., 1994.
106. მჭედლიშილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ., 2017.
107. ნანობაშვილი ზ., ამინისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, აღმანახი, N13, 2000.
108. ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005.
109. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ., 2002.
110. ნაჭყებია გ., დვალიძე ი., ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.
111. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბ., 1998.
112. ნაჭყებია გ., პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ., 2015.
113. ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, #2(37), თბ., 2013.
114. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006.
115. ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების საკითხისათვის, სამართალი, თბ., 1995.
116. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2015.
117. ნაჭყებია გ., საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.

118. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი. თბ., 2016.
119. ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, № 2, 2014.
120. პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული. თბ., 2010.
121. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ეკატერინე სუმბათაშვილი (მთარგ.), თბ., 1999.
122. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2007.
123. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, რედ. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., თბ., 1976.
124. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში.
125. საქართველოს სახალხო დამცველი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა, თბ., 2004.
126. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმე განაჩენის ფორმის მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015.
127. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მესამე გამოცემა, თბ., 2018.
128. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი (რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი.), თბ., 2007.
129. საქართველოს საერთო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის სტატისტიკა : <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf>
130. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010.

131. ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011.
132. ტყემელიაძე გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996.
133. ტყემელიაძე გ., სასჯელის ცნება და მიზნები, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007.
134. უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, ბაბუხაძია მ. (მთარგ.), ქურდოვანიძე ქ. (რედ.), თბ., 2012.
135. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007.
136. უსენაშვილი ჯ., სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 2016.
137. ფარტენაძე ო., თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათ., 2009.
138. ფარტენაძე ო., სისხლის სამართლებრივი სასჯელის აღსრულება (მიზნები და ეფექტურობა), ბათ., 1998.
139. ფაფიაშვილი შ., სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, სამართალი, 1995, #3-4.
140. ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი, #3, თბ., 2004.
141. ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბ., 2000.
142. ქირია ა., სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები, ბურდული ი., რედ. საკორპორაციო სამართლის კრებული II, თბ., 2014.
143. ქირია ა., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მჟავანაძე ზ., მინდაძე ო., ქუთ., 2005.
144. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბ./ბერლ., 2013.
145. შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვიშვილი -85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014.

146. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მე-3 გამოც., თბ., 2017.
147. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2011.
148. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014.
149. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი., 2016.
150. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013.
151. შალიკაშვილი მ., კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში) თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1-2, თბ., 2010.
152. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, რედ. გეგენავა დ, თბ., 2019.
153. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016.
154. შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, კვლევა, თბ., 2016.
155. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011.
156. ჩიხლაძე დ., დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 2016.
157. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თოთლაძე ლ. (მთარგ.), ტურავა მ. (რედ.), მე-10 გამოც., თბ., 2016.
158. ცხადაძე თ., კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის მიებაში, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი, თბ., 2016.

159. ცეციტიშვილი თ., სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის პროპორციულობის ორიენტირი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
160. ცეციტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
161. ცეციტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016.
162. წიქარიშვილი კ., სასჯელი, აღმანახი, #8, თბ., 1998.
163. წულაია დ., კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბ., 2010.
164. წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005.
165. ხარებავა მ., ესეზუა ლ., გალუაშვილი მ., ეს შენი უფლებაა, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეა. თბ., 2009.
166. ხასია მ., პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბ., 2008.
167. ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბ., 2005.
168. ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაკატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი №2, 2011.
169. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2015.
170. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984.
171. ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი №1, თბ., 2014.
172. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი., 2011.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

173. German Basic Law Art. 1 and 2. <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>
174. Code of criminal procedure of France, Art. 729.
175. Constitution of Italian Republic.
https://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf
176. The Spanish Constitution of 1978.
<https://app.congreso.es/consti/constitucion/indice/titulos/articulos.jsp?ini=25&tipo=2>
177. Penitentiary Principles Act in Netherlands article 2(2): [https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl-at.nsf/0/4dcca5be395ff03ec12577060033c97d/\\$FILE/Prisons%20Act.pdf](https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl-at.nsf/0/4dcca5be395ff03ec12577060033c97d/$FILE/Prisons%20Act.pdf)
178. Alschuler A., The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Last Century and Some Thoughts about the Next, University of Chicago Law School, 2003.
179. Anderson W.R., The Economics of Crime, The Macmillan Press LTD 1976, Ch.2, The Social Optimal Level of Offence, 2006.
180. Briggs J., Christopher Harrison, Angus McINNES and David Vincent, Crime and Punishment In England, 1996.
181. Banks C, The Purpose of Criminal Punishment, Criminal justice ethics : theory and practice, 2004. <http://open.lib.umn.edu/criminallaw/chapter/1-5-the-purposes-of-punishment/>
182. *Banks C.*, Criminal Justice Ethics: Theory and Practice *Banks C.*, Criminal Justice Ethics: Theory and Practice, Thousand Oaks, California, 2004.
183. Boerner D. and Lieb R., Sentencing Reform in the Other Washington, 28 *CRIME & JUST.* 71 (2001). <https://digitalcommons.law.seattleu.edu/faculty/634>
184. Case S., Jhonson Ph., David Maniow, Roger Smith, Kate williams, Criminology, Oxford University Press, 2017.
185. *Conton R.*, Probation and the Philosophy of Punishment, Probation Journal, Vol. 65 (3), 2018.
186. Chris Hale, Keith Hayward, Azrin Wahidin, Emma Wincup, Criminology, Third Ed. Oxford University Press 2013.

187. Christine Morgenstern, Judicial rehabilitation in Germany – the use of criminal records of and the removal of recorded convictinns,
http://www.ejprob.ro/uploads_ro/720/Judicial_rehabilitation_in_Germany.pdf
188. Colvin M.. Penitentiaries Reformatories and Chain Gangs, New York St. Martin's press, 1997.
189. Denny M., „Norway's Prison System: Inv s Prison System: Investigating Recidivism and estigating Recidivism and Reintegration“ Coastal Carolina University, 2016.
190. Dieter OPP. K., The Economics of Crime and The Sociology of Deviant Behavior, A Theoretical Confrontation of Basic Propositions, Kyklos 1989.
191. Dressler J., Understanding Criminal Law, 7th ed., San Francisco, CA, 2015.
192. D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.
193. Esposito M., “The Rehabilitation Role of Punishment in Prisons in Italy. Theoretical Development and Sociological Considerations”, Department of Human, Social and Health Sciences, University of Cassino and Lazio Meridionale, Cassino, Italy 2014.
<https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>
194. European Convention of human rights, supplements and amendments of Protocols,
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf
195. Frase R.S, Punishment Purposes, Standford University, 2005.
196. Taylor D., „crime, policing and punishment in England 1750-1914“, 1998.
197. Tonry M, Crime and Justice, Purposes and Functions of Sentencing, 2006.
<https://www.jstor.org/stable/10.1086/503374>
198. Timofeeva E.A., Foreign Prison Experience Resocialization of Prisoners, 2018.
https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2019/03/shsconf_pedtp2018_12004.pdf
199. Purposes To Punishment – General arrangement
<http://stage6.pbworks.com/f/Purposes+of+Punishment.pdf>
200. Thora S. Gutnick Allen, „Thomas Hobbes's Theory of Crime and Punishment“.School of History, Queen Mary University of London 2016.
201. Journal of Modern History, Randal McGowen, University of Oregon, The body of Punishment in Eighteenth –Century England 1987.

202. Journal of Developmental and Life-Course Criminology 2020.
<https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s40865-020-00139-3.pdf>
203. Larry J. Siegel, Criminology, Theories, Patterns, and Typologies, Twelfth edition, 2016.
204. Lippman M., Contemporary Criminal Law; concepts, cases, and controversies, second edition. Washington D.C., 2010.
205. Lippman M., Contemporary Criminal Law, Concepts, Cases and Controversies, 2nd ed., Thousand Oaks, California, 2010.
206. Miller W. - The Social History of Crime and Punishment in America, Washington D.C., 2012.
207. Materni Mike C., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, 2013.
208. Mayr F., Integration von Haftentlassenen. Möglichkeiten und Grenzen im Rahmen betreuter Wohnformen, 2003.
209. Meijer S., Rehabilitation as a Positive Obligation, European Journal of Crime, Criminal Law and Justice, Vol. 25, Issue 2, 2017.
210. Materni M., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, British Journal of American Legal Studies, Vol. 2, Issue 1, 2013.
211. Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010.
212. N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.
213. Phelps M. S., Rehabilitation in the Punitive Era: The Gap Between Rhetoric and Reality in U.S. Prison Programs 2011.
214. Papatheodorou T., De Individualisation, des Peines et la Personnalisation de Sanctions, Revue Internationale de Criminologie et de Police technique, No.1, 1993.
215. Principles and Purposes of Sentencing, Scottish Sentencing Council, 2017.
<<https://www.advocates.org.uk/media/2601/principles-and-purposes-of-sentencing-consultation.pdf>>.

216. Roscoe P., An Introduction to the Philosophy of Law: Revised ed., Chelsea, Michigan, 1982.
217. Rothblatt H. B., Criminal Law of New York- The Revised Penal Law, Rochester-New York press, 1971.
218. Rotman E., „Do Criminal Offenders Have a Constitutional Right to Rehabilitation?“ 1986.
219. Špero J., Prevention of Crime and treatment of Offenders 2020 N.111, article: RESOCIALIZATION AND REHABILITATION OF OFFENDERS IN THE COMMUNITY - THE CROATIAN PROBATION SERVICE.
220. United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007.
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf
221. War criminal case 72 BVerfGE 105 (1986).
222. Wright J. S., The Need for Education in the Law of Criminal Corrections, Valparaiso University Law Review, 1967.

გერმანულენოვანი ლიტერატურა:

223. Brandner T., Gottesbegegnungen im Gefängnis, Eine praktische Theologie der Gefangenenseelsorge, Frankfurt, 2009.
224. Bundesverfassungsgericht (First Division) 5 June 1973 BVerfGE 35, 202
<https://germanlawarchive.iuscomp.org/?p=62>
225. Czupryniak R., Berücksichtigung generalpräventiver Gründe bei der Strafzumessung in Deutschland und Polen, Hamburg, 2011.
226. Freudenthal S., C. Licht, Zur Effektivität von Resozialisierungsmaßnahmen: Stimmt die These des „nothing works“? Norderstedt Germany, 2006.

227. Gautschi J., C. Rügger, Vom Strafvollzug in die Freiheit. Risikoorientierung und Übergangsmanagement: aktuelle Entwicklungen in Bewährungshilfe und Sanktionenvollzug, Sozialaktuell, NR. 12_ Dezember, 2009.
228. Gesetz über den Vollzug der Freiheitsstrafe und der freiheitsentziehenden Maßregeln der Besserung und Sicherung, <https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html>
229. Kury H., Die Behandlung Straffälliger. Teilband 2: Ergebnisse einer empirischen Untersuchung zum Behandlungserfolg bei jugendlichen und heranwachsenden Untersuchungshäftlingen, Berlin, 1987.
230. Tluczik A., Strafvollzug und Resozialisierungsmaßnahmen: Resozialisierung von Straftätern im Kontext sozialpädagogischer Ziele und Probleme sowie rechtlicher Fragen, Hamburg, 2013.
231. Scholz M., Resozialisierung – Ein Berufsfeld Sozialer Arbeit, Diplomarbeit, 2003.
232. Schneck C., Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012.
233. Schmiedhauer E., Strafrecht. Allgemeiner Teil. Tübingen 1984.
234. Weber K., Strafe und Ausgrenzung statt Hilfe und Integration? Möglichkeiten, Grenzen und Perspektiven der Sozialen Arbeit in der Resozialisierung. Utopie kreativ, H. 160 (Februar 2004).
235. Welti F., Behinderung und Rehabilitation im sozialen Rechtsstaat, Tübingen, 2005.

რუსულენოვანი ლიტერატურა:

236. Анденес Н., Наказание и предупреждение преступления, Москва., 1979.
237. Дуюнов В. К., Механизм Уголовно-правового Воздействия Теоретические Основы и Практика Реализации, Москва., 2001.
238. Кригер Г.А., наказание и его применение, Москва., 1962.

- 239.Карпец И.И., индивидуализация наказания, в советском уголовном праве, Москва., 1961.
- 240.Крылова Н., Серебренникова А. Уголовное право зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии), Москва., 1997.
- 241.Курс уголовного права, том 2, Общая часть, учение о наказании, Москва., 2002.
- 242.Крылова Н., Серебренникова А., Уголовное Право Зарубежных Стран (Англии, США, Франции, Германии), Москва., 1977.
- 243.Никифоров Б.С., Решетников Ф.М., Современное Американское Уголовное Право, Москва., 1990.
- 244.Рыбак М., Ресоциализация осужденных к лишению свободы, Саратов., 2002.
- 245.Папиашвили Ш., наказания за должностные преступления и их эффективность, Тбилиси., 1983.
- 246.Применение наказания по советскому уголовному праву, Москва., 1958.
- 247.Пионтовский А. А. Об условном осуждении или системе испытания, Уголовно-политическое исследование. Одесса., 1894.
- 248.Становский М.Н. Назначение Наказания, Теория и Практика Уголовного Права и Уголовного Процесса, Санкт-Петербург., 1999.
- 249.Шаргородский М. Д., наказание по советскому уголовному праву, часть вторая, Москва., 1985.
- 250.Якубович М.И., О правовой природе условного осуждения, Москва., 1946.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

251. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენი, საქმე №1/209-16.
252. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1ბ/99-17.
253. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ- 165-16, (26.03.16).
254. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № 1/549-17.
255. რუსთავის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/10-16.
256. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე N2კ-367აპ-17 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.
257. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2016.
258. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № 2კ-50აპ-18.
259. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: № 2კ-527აპ.-17.
260. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წელი 26 ნოემბერის განაჩენი საქმე N457აპ-21, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
261. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 დეკემბრის განაჩენი საქმე N 524აპ-21 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
262. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმე N 541აპ - 19 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
263. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განაჩენი საქმე N157აპ-17 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

264. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/4/592 „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
265. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე: ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
266. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჯამკოციანი და სომხეთის მოქალაქე მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
267. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის № 1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
268. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
269. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება.
270. კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (Kafkaris v. Cyprus), 12 თებერვალი 2008 წელი.
271. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35,202 (35)).
272. ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France), 16 ოქტომბერი 2001 წელი.
273. Murray v. The Netherlands [26.04.2016], ECHR, no.10511/10.
274. Постановление Пленума Верховного Суда СССР, от 29 июня 1979 г №3.